ეროვნული
ბიბლიოთეკა

დარეჯან თვალთვაძე
ნანა გაფრინდაშვილი

ქართული მართლწერის წესები და სავარჯიშოები



დარეჯან თვალთვაძე
ნანა გაფრინდაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული მართლწერის წესები და სავარჯიშოები

მეორე შესწორებული გამოცემა



„საქართველოს მაცნე“

„ქართული მართლწერის წესები და სავარჯიშოები“ დამხმარე სახელმძღვანელოა, რომელშიც თავმოყრილი და განმარტებულია ის ძირითადი გრამატიკული ცნებები და კატეგორიები, რომელთა ცოდნა გაგიადვილებთ სწორად წერისა და მეტყველების სწავლას.

წიგნში განხილულია მორფოლოგიის, ორთოგრაფიის, სინტაქსის, პუნქტუაციის, ლექსიკისა და სტილის საკვანძო საკითხები. გამოცემაში მოცემული გრამატიკული სავარჯიშოების შესრულება დაგეხმარებათ, არ დაუშვათ შეცდომები წერისა და მეტყველების დროს. წიგნის ფორმატი მოგცემთ იმის საშუალებას, რომ დაზოგოთ დრო და სავარჯიშოები პირდაპირ გამოცემის ტექსტში შეასრულოთ.

სავარჯიშოებში წარმოდგენილი ზოგიერთი ფორმა, ერთი შეხედვით, შეიძლება ხელოვნურადაც კი მოგეჩვენოთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა მათგანს ჰყავს “ავტორი”.

წინამდებარე დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია მოსწავლეებისა და აბიტურიენტებისათვის, სტუდენტებისა და ქართული ენის შესწავლით დაინტერესებული პირებისათვის. იგი ჯეროვან სამსახურს გაუწევს ყველას, ვისაც სურს წეროს და ისაუბროს სალიტერატურო ქართულით.

რედაქტორები: პროფ. გ. გოგოლაშვილი
პროფ. ვ. იმნაიშვილი

რეცენზენტები: პროფ. ც. ბარამიძე, ნ. შარაშენიძე

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არცერთი ნაწილი არ შეიძლება იქნეს გადაბეჭდილი, გავრცელებული ან გამოქვეყნებული ელექტრონული, ფოტოგრაფიული, მექანიკური ან რაიმე სხვა საშუალებით გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

© დარეჯან თვალთვაძე, ნანა გაფრინდაშვილი, 2011

ISBN 978-9941-16-128-5

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე ვ ი

I. არსებითი სახელების მართლწერა ---------- 7

- რამდენიმე ერთნაირი ბგერის თავმოყრა არსებით სახელებში- ---------- 7
- ფუძის კუმშვა ---------- 10
- ფუძის კვეცა ---------- 12
- ვითარებითი ბრუნვის დაბოლოება ---------- 15
- წოდებითი ბრუნვის დაბოლოება ---------- 16
- საკუთარ სახელთა მართლწერა ---------- 17
  - ადამიანთა საკუთარი სახელები და გვარები ---------- 18
  - ფუძისეული **ი** და სახელობითი ბრუნვის ნიშანი **-ი** ადამიანთა საკუთარ სახელებში ---------- 19
  - ადამიანთა გვარები ---------- 22
  - სახელისა და გვარის ერთად ბრუნება ---------- 24
  - გეოგრაფიულ სახელთა მართლწერა ---------- 28
- თანდებულიანი ბრუნვები ---------- 32

II. ზედსართავი სახელების მართლწერა ---------- 37

III. რიცხვითი სახელების მართლწერა ---------- 42

- რაოდენობითი რიცხვითი სახელების მართლწერა ---------- 42
- რიგობითი რიცხვითი სახელების მართლწერა ---------- 45
- წილობითი რიცხვითი სახელების მართლწერა ---------- 50

IV. ნაცვალსახელთა მართლწერა ---------- 53

V. მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან ---------- 57

- რამდენიმე მსაზღვრელის რიგი ---------- 58

VI. სათაურების მართლწერა ---------- 60

VII. წარმოქმნილ სახელთა მართლწერა ---------- 63

VIII. რთული სიტყვების (კომპოზიტების) მართლწერა ---------- 65

- ერთცნებიანი კომპოზიტები ---------- 65
- მრავალცნებიანი კომპოზიტები ---------- 70

IX. ზმნების მართლწერა ---------- 76
- სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები ---------- 76
- ობიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები ---------- 78
- ზმნისწინები ---------- 83
- თემის ნიშანთა მართლწერასთან დაკავშირებული საკითხები ---------- 87
- III სერიის მწკრივების წარმოებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები ---------- 91
- რამდენიმე ერთნაირი ბგერის თავმოყრა ზმნებსა და ნაზმნარ სახელებში ---------- 95
- **ვ**-ს ჩართვა და შენარჩუნება ზმნებში ---------- 96
- რიცხვში მონაცვლე ზმნები ---------- 99

X. სახელზმნების მართლწერა ---------- 103
- საწყისი ---------- 103
- მიმღეობა ---------- 105

XI. ზმნიზედების მართლწერა ---------- 110

XII. ლექსიკა და ფრაზეოლოგია ---------- 112
- სინონიმები ---------- 112
- ანტონიმები ---------- 116
- პარონიმები ---------- 119
- ომონიმები ---------- 123
- უცხოური სიტყვების მართლწერა ---------- 129
- ჟარგონი, დიალექტიზმები, არქაიზმები ---------- 142
- ფრაზეოლოგიზმები ---------- 145

XIII. სტილის საკითხები ---------- 152

XIV. სინტაქსის საკითხები ---------- 188
- შემასმენლისა და ქვემდებარის ურთიერთობა ---------- 193
- ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმება რიცხვში ---------- 199
- რთული წინადადების სინტაქსი ---------- 204

- **„რომელიც“** წევრ-კავშირი. მისი ადგილი წინადადებაში და რიცხვში შეთანხმება ასახსნელ წევრთან ---------- 207
- ტიპობრივი შეცდომები მიზეზის- და მიზნისგარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში ------ 212
- რთული ქვეწყობილი წინადადების გადაკეთება მარტივად და მარტივი წინადადების გადაკეთება რთულ ქვეწყობილ წინადადებად -------- 225

XV. სასვენი ნიშნები ---------- 249

- **წერტილი** ---------- 249
- **კითხვის ნიშანი** ---------- 250
- **ძახილის ნიშანი** ---------- 251
- **მრავალწერტილი** ---------- 253
- **მძიმე** ---------- 254
  - მძიმე შერწყმულ წინადადებაში ---------- 254
  - მძიმე უკავშირო შერწყმულ წინადადებაში ---------- 254
  - მძიმე კავშირიან შერწყმულ წინადადებაში ---------- 257

მძიმე განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებთან ---------- 261

  - მძიმე განკერძოებულ განსაზღვრებასთან ---------- 261
  - მძიმე დანართთან ---------- 265
  - მძიმე განკერძოებულ გარემოებასთან ---------- 268
  - მძიმე „გარდა“ და „მიუხედავად“ თანდებულიან სახელებთან ---- 270
  - მძიმე ჩართულ სიტყვებსა და გამოთქმებთან ---------- 271
  - მძიმე მიმართვასთან ---------- 273
  - მძიმე მიგებით ნაწილაკებსა და შორისდებულებთან ---------- 275

მძიმე რთულ წინადადებაში ---------- 277

  - მძიმე რთულ თანწყობილ წინადადებაში ---------- 277
  - მძიმე რთულ ქვეწყობილ წინადადებაში ---------- 278

- **წერტილ-მძიმე** ---------- 282
- **ორწერტილი** ---------- 284
- **ტირე** ---------- 286
- **ფრჩხილები** ---------- 289
- **ბრჭყალები** ---------- 290

XVI. სასვენი ნიშნები პირდაპირ ნათქვამთან - 293

- სხვათა სიტყვის ნაწილაკების მართლწერა - - - - - - - - - - - - - - - - - - -

I. არსებითი სახელის მართლწერა

◈ *ცნობისათვის:*

არსებითი სახელი ეწოდება საგნის აღმნიშვნელ სიტყვას.

არსებითი სახელი იბრუნვის. ერთმანეთისაგან განსხვავებულია საზოგადო და საკუთარ არსებით სახელთა ბრუნება.

ქართულში შვიდი ბრუნვაა: სახელობითი (ბრუნვის ნიშანი -ი ან 0), მოთხრობითი (-მ, -მა), მიცემითი (-ს), ნათესაობითი (-ის), მოქმედებითი (-ით), ვითარებითი (-ად, -დ), წოდებითი (-ო, -ვ, Ø).

სახელის იმ ნაწილს, რომელსაც ბრუნვის ნიშნები დაერთვის, *ფუძე* ეწოდება. თანხმოვანზე დაბოლოებულ სახელს *თანხმოვანფუძიანი* ჰქვია, ხმოვანზე დაბოლოებულს კი – *ხმოვანფუძიანი.*

თანხმოვანფუძიანი სახელები შეიძლება იყოს *ფუძეუკუმშველი* ან *ფუძეკუმშვადი,* ხმოვანფუძიან სახელებში კი გამოიყოფა სამი ჯგუფი: *ფუძეუკვეცელი, ფუძეკვეცადი და კუმშვად-კვეცადი სახელები.*

რამდენიმე ერთნაირი ბგერის თავმოყრა არსებით სახელებში

☞ *გახსოვდეთ!*

- მანით დაბოლოებულ სახელებს მხოლობითი რიცხვის მოთხრობით ბრუნვაში ორი მ მოუდის (კალამ-მა, გურამ-მა).
- როცა სახელი სანით ბოლოვდება, მხოლობითი რიცხვის მიცემით ბრუნვაში ორი ს უნდა დაიწეროს (თბილისს, კლასს).
- თუ სახელის ფუძე ე-ზე ბოლოვდება, ებ-იან მრავლობითში ორი ე იწერება (დღე-ებ-ი, მეჩაიე-ებ-ი).
- თუ სახელის ფუძე ია-ზე ბოლოვდება, ნათესაობითსა და მოქმედებითში ორი ი მოიყრის თავს (ბიოლოგია — ბიოლოგი-ის, ბიოლოგი-ით).
- თუ სახელის ფუძე ბოლოვდება სხვა ხმოვანზე ან თანხმოვანზე, მაშინ ებ-იან მრავლობითში ერთი ე უნდა დაიწეროს (წელი – წლ-ებ-ი).
- თუ სახელის ფუძე ნ-ზე ბოლოვდება, ნარიანი მრავლობითის სახელობით და წოდებით ბრუნვაში ორი ნ მოიყრის თავს (ბრძენი – ბრძენ-ნ-ი, ბრძენ-ნ-ო).
- თ-ზე დაბოლოებულ სახელებს ნარიანი მრავლობითის მოთხრობით, მიცემით და ნათესობით ბრუნვებში ორი თ ექნებათ (ბარათი – ბარათ-თ-ა, საათი —საათ-თ-ა).

სავარჯიშო N 1. გაასწორეთ შეცდომები:

1. გემის ქიმა მზის სხივებზე გაიელვა.
2. გაწყვეტილმა სიმა უცნაური ხმა გამოსცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ეს ზღაპარი ბავშვობაში დიდედაჩემა მიამბო.
4. ძველებურმა კალამა პირველკლასელთა დიდი ინტერესი გამოიწვია.
5. ვანოს თავშეკავებულმა სალამა ზეინაბი ცოტა შეაფიქრიანა.
6. გურამა ბევრი იდარდა თავისი დაუფიქრებელი ნაბიჯის გამო.
7. სურამა ძლიერ არგო მაკას უმცროს შვილს.
8. ეს ამბავი რომ გაიგო მარიამა, სიხარულით ცას ეწია.
9. მოულოდნელად გემა რყევა დაიწყო.
10. ამ ომა და გაუთავებელმა აყალმაყალმა ბატონი გოგი უდროოდ დააბერა.

სავარჯიშო N 2. გაასწორეთ შეცდომები:

1. ინგლის თავისი განუმეორებელი ხიბლი აქვს.
2. გიორგიმ მალე აუღო ალღო ახალ კურს.
3. ფას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, მთავარი მხოლოდ ხარისხი იყო.
4. მალე ქუთაის კეთილმოწყობილი სტადიონი ექნება.
5. დმანის მწერალთა დელეგაცია ესტუმრა.
6. ჩემს უფროს მეგობარი ეწვია ქუთაისიდან.
7. სინდის გეფიცები, ამის შესახებ პირველად მესმის!
8. გაოცებული ბავშვები ყურადღებით ათვალიერებდნენ უზარმაზარ სასმის.
9. დათოს და მაკას 12 ივნის უნდა ვესტუმრო.
10. ხავს უცნაური ფერი დაჰკრავდა.

სავარჯიშო N 3. გაასწორეთ შეცდომები:

1. შორს მოჩანდა ნისლში გახვეული კლდები.
2. მერცხლები მოფრინდნენ და აივნებზე ბუდების გაკეთება დაიწყეს.

3. ბავშვები ორლობებში სათამაშო მახებს დაათრევდნენ.
4. ანა უკვე დღებს ითვლიდა, ისე ეჩქარებოდა სამშობლოში დაბრუნება.
5. გამოუცდელმა ორატორმა ვერაფრით მოახერხა აუდიტორის ყურადღების მიპყრობა.
6. იტალისა და გერმანის გუნდები ჩემპიონატში ერთმანეთს შეხვდნენ.
7. ეს ქალბატონი ბიოლოგის სახელმძღვანელოს ავტორია.
8. ამ პრობლემის მოგვარებას, ალბათ, წლები დასჭირდება.
9. ბრძენი ამბობენ, საუკეთესო წყარო ადამიანის ბედნიერებისა მოსიყვარულე გულიაო.
10. თბილის ამშვენებს მტკვარზე გადებული ლამაზი ხიდები.

სავარჯიშო N 4. გაასწორეთ შეცდომები:

1. მეთუნუქებმა საღამოს კარგად მოილხინეს.
2. ჭიაბერმა თვალი შეავლო მელქისედეკ კათალიკოს.
3. ლილი და მზია აის შეხაროდნენ.
4. მე-12 კლას ახალი სასწავლო გეგმა შესთავაზეს.
5. მევენახებმა წელს ყურძნის უხვი მოსავალი მიიღეს.
6. კვირეები ისე გადის, რომ თვალის დახამხამებას ვერ ვასწრებ.
7. მანგლისა და წავკის წელს ბევრი მოაგარაკე ეწვია.
8. უძველეს თას რომ შევახე ხელი, გული სხაგვარად ამიძგერდა.
9. კრებაზე შეკრებილი მონაზონი ეპისკოპოს ელოდნენ.
10. იაკობ ხუცეს „შუშანიკის წამება“ V საუკუნეში დაუწერია.

ფუძის კუმშვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

◈ *ცნობისათვის:*

კუმშვა ეწოდება ფუძიდან ხმოვნის ამოვარდნას (კალამი-კალმის; კედელი - კედლის). იკუმშება ა, ე, და ო ხმოვნები. კუმშვას ფუძეზე ხმოვნით დაწყებული ბოლოსართის დართვა იწვევს. ო ხმოვანი ან საერთოდ იკარგება (ობოლი-ობლის), ან ვ-დ იქცევა (ნიორი, ნივრის).

☞ *გახსოვდეთ!*

კუმშვად სახელებს ფუძე ეკუმშებათ მხოლობითი რიცხვის სამ ბრუნვაში: **ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში და ებ-იანი მრავლობითის ყველა ბრუნვაში:**

სახ.	ტაძარ-ი	**ტაძრ-ებ-ი**
მოთხ.	ტაძარ-მა	**ტაძრ-ებ-მა**
მიც.	ტაძარ-ს	**ტაძრ-ებ-ს**
ნათ.	**ტაძრ-ის**	**ტაძრ-ებ-ის**
მოქმ.	**ტაძრ-ით**	**ტაძრ-ებ-ით**
ვით.	**ტაძრ-ად**	**ტაძრ-ებ-ად**
წოდ.	ტაძარ-ო	**ტაძრ-ებ-ო**

❖ **სწორია: ტაძრის გუმბათი** (და არა: ტაძარის გუმბათი).

- სახელი **„ამბავი“** შეკუმშვისას ა ხმოვანთან ერთად კარგავს ვ თანხმოვანსაც და გვექნება *ამბ-ის, ამბ-ით, ამბ-ად (და არა: ამბავ-ის, ამბავ-ით, ამბავ-ად).*

- სახელი **„თვალი“** იკუმშება, თუ ის არ აღნიშნავს მხედველობის ორგანოს *(ურმის თვალი, ძვირფასი თვლები),* მაგრამ უკუმშველია, თუ მხედველობის ორგანოს აღმნიშვნელია *(თვალის ტკივილი, თვალის ფერი).* ასევეა სახელი **„წელი“**, რომელიც უკუმშველია, როცა ის სხეულის ნაწილს აღნიშნავს *(წელის ტკივილი),* მაგრამ კუმშვადია, როცა დროის მონაკვეთის მნიშვნელობით იხმარება *(ხუთი წლის შემდეგ).*

ჩვეულებრივ, ერთმარცვლიანი თანხმოვანფუძიანი საზოგადო არსებითი სახელები უკუმშველია *(კარი, ბერი, ფერი, ქარი),* მაგრამ თუ ამგვარი სახელები კომპოზიტების მეორე ნაწილად მოგვევლინებიან, მაშინ შეიკუმშებიან *(ჭიშკარი, ჭიშკრის; დედაბერი, დედაბრის).*

სავარჯიშო N 5. გაასწორეთ შეცდომები:

1. ქარიშხალის მოლოდინში ყველა დაზაფრული იყო.
2. ელენე დროებით ასრულებდა მდივანის მოვალეობას.
3. პატარა გიორგი მამალის ყივილმა შეაშინა.
4. ანდრო 5 წლის იყო და კალამის ხმარება ჯერ არ იცოდა.
5. დეიდა სალომე კაკალის მურაბით გამიმასპინძლდა.
6. მკვლევარის ეს ნაშრომი პირველად 2002 წელს დაისტამბა.
7. აკაკიმ ხელ-პირი წყაროს წყალით დაიბანა.
8. მალხაზმა შორიდანვე მოჰკრა თვალი მაყვალის ბუჩქებს.
9. თათიას გამოცდაზე მაღალი ნიშნის მიღების იმედი ჰქონდა.
10. მგელის ყმუილი დიდხანს ისმოდა მთიდან.

სავარჯიშო N 6. გაასწორეთ შეცდომები:

1. ცისკარის ვარსკვლავი დანათოდა სვეტიცხოველის ტაძარს.
2. მასწავლებელის დანაბარები სკოლის ჭიშკარამდე არ მიჰყოლია ნიკოს.
3. ელენემ თავისი ოთახის კედლები ცისფერად შეღება.
4. კარგი ამბავის მოლოდინში სტუდენტები მხიარულად მასლაათობდნენ.
5. გიორგი მეფეს ძვირფასი თვალებით შემკული გვირგვინი შვენოდა.
6. მოულოდნელად დათო რთული არჩევანის წინაშე აღმოჩნდა.
7. ამ გზას ჯვარის მონასტრამდე მივყავართ.
8. ხორბალი, ქერი და შვრია მარცვალეული კულტურებია.
9. ერეკლემ ფანჯარის მინა ლურსმანით გაამაგრა.

10. სუფრაზე ეწყო ნიგოზიანი ბადრიჯანი, ნიორიანი ქათამი, ქოთნის ლობიო, მსხალის, ატამისა და ჭერამის ჩირი. ღვინოს ჭიქები სავსე იყო ახალდაწურული ყურძნის წვენით.

სავარჯიშო N 7. გაასწორეთ შეცდომები:

1. მას დიდხანს ახსოვდა იმ დედაბერის უცნაური გამოხედვა.
2. ნანა და ზურა ჭადრის ქვეშ ისხდნენ.
3. ჟურნალ „ცისკარის“ ბოლო ნომერი დაგვიანებით გამოვიდა.
4. ვაჟას თავისი კლასის დამრიგებელის ხმა არ გაუგონია.
5. ყვითელი ფოთლის დანახვაზე შემოდგომა მახსენდება.
6. გუშინ ჩემს ეზოში მეზობელის ხბო შემოპარულა.
7. ფუტკრის ბზუილი ახლა უკვე ოთახიდან ისმოდა.
8. სამზარეულოში ნირრის უსიამოვნო სუნი იდგა.
9. — მგლის მუხლი და ორბის თვლები აქვსო, — ამბობდნენ სოფელში მინდიაზე.
10. ანას ყველაზე მეტად ფირუზისთვალიანი ბეჭედი მოსწონდა.

ფუძის კვეცა

◈ ***ცნობისათვის:*** ფუძის ბოლო ხმოვნის დაკარგვას კვეცა ეწოდება. კვეცადია საზოგადო სახელები, რომელთა ფუძე ბოლოვდება **ა** და **ე** ხმოვნებზე.

☞ ***გახსოვდეთ!***

ხმოვანფუძიან სახელებს ფუძე ეკვეცებათ მხოლობითი რიცხვის მხოლოდ ორ ბრუნვაში — **ნათესაობითსა და მოქმედებითში.**

სახ.	ზღვა	დღე
მოთხრ.	ზღვა-მ	დღე-მ
მიც.	ზღვა-ს	დღე-ს
ნათ.	**ზღვ-ის**	**დღ-ის**
მოქმ.	**ზღვ-ით**	**დღ-ით**
ვით.	ზღვა-დ	დღე-დ
წოდ.	ზღვა-ო	დღე-ო

სწორია: აკაციის ხე (და არა: აკაციას ხე), მეზოვის სახლი (და არა: მეზოვეს სახლი).

- ა-ზე დაბოლოებული სახელი **ებ**-იან მრავლობითში ხმოვანს მოიკვეცს ყველა ბრუნვაში (**ზღვ-ებ**-ი, **ზღვ-ებ**-მა, **ზღვ-ებ**-ს, **ზღვ-ებ**-ის, **ზღვ-ებ**-ით, **ზღვ-ებ**-ად, **ზღვ-ებ**-ო), ე-ზე დაბოლოებული სიტყვები კი არ იკვეცება (დღე-ებ-ი, დღე-ებ-მა, დღე-ებ-ს, დღე-ებ-ის, დღე-ებ-ით, დღე-ებ-ად, დღე-ებ-ო).

უკვეცელია:

- **ო, უ** და **ი** ხმოვანებზე ფუძედაბოლოებული სახელები. გამონაკლისია **ღვინო,** რომელიც მხოლობითი რიცხვის ორ ბრუნვაში – ნათესაობითსა და მოქმედებითში— კვეცადია. **სწორია:** ***ღვინის, ღვინით*** *(და არა: ღვინოსი, ღვინოთი).*

- ***უკვეცელია*** ა-ზე დაბოლოებული ზოგიერთი საზოგადო სახელი მხოლობით რიცხვში: *ბიცოლა, ტოროლა, ენძელა, ჭრიჭინა, დედოფალა და სხვ.*, მაგრამ მრავლობით რიცხვში ისინიც მოიკვეცენ ფუძისეულ **ა** ხმოვანს.
სწორია: ***ტოროლას*** *ხმა (და არა: ტოროლის ხმა),* მაგრამ მრავლობითში – *ტოროლები.*

- ***უკვეცელია*** უცხო ენებიდან შემოსული ე-ზე დაბოლოებული საზოგადო სახელები: *ტირე, კუპე, ატელიე, ჟელე, კაფე და სხვ.*
სწორია: ***კაფეს*** *მეპატრონე (და არა: კაფის მეპატრონე).*

- ***უკვეცელია*** ნათესაური დამოკიდებულების გამომხატველი საზოგადო სახელები *(დედა, მამა, ბებია, ბაბუა . . .),* თუ მათ საკუთარი სახელის მნიშვნელობით ვხმარობთ: *„**დედას** ოთახი მეორე სართულზეა“, „შვილმა **დედის** ამაგი უნდა დააფასოს“.* პირველ შემთხვევაში იგულისხმება საკუთარი „დედა“ და ის არ იკვეცება *(**დედას** ოთახი),* ხოლო მეორე შემთხვევაში კი იგულისხმება საერთოდ **დედა,** როგორც საზოგადო სახელი, და იკვეცება *(**დედის** ამაგი).*

- **ი** ხმოვანზე დაბოლოებული საზოგადო სახელები უკვეცელია მხოლობით რიცხვში, მაგრამ კვეცადია მრავლობითში.
სწორია: დიჯეიმ, დიჯეის, დიჯეისი, დიჯეითი, დიჯეიდ, დიჯეი; მრ. რ. დიჯე-ებ-ი.

- თუ საზოგადო არსებით სახელს კნინობითის მაწარმოებელი (-უნა, -უკა, -ულ-ია) დაერთო, ასეთი სახელები მხოლობითი რიცხვის ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში უკვეცელი იქნება, ხოლო **ებ**-იან მრავლობითში — კვეცადი.
სწორია: ***დათუნიასი, დათუნიათი; ჩიტუნასი, ჩიტუნათი*** *(და არა: დათუნის, ჩიტუნის), მაგრამ მრავლობითში — დათუნი-ებ-ი, ჩიტუნ-ებ-ი.*

- რამდენიმე სახელს ფუძე ერთდროულად ეკუმშება და ეკვეცება. მათ **კუმშვად-კვეცადი სახელები** ჰქვიათ. კუმშვად-კვეცადი სახელები ***(ქვეყანა, ქარხანა, ბეგარა, მოყვარე, ფანჯარა, ტომარა, ჰეჰელა)*** მხოლობითი რიცხვის ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებში და **ებ**-იანი მრავლობითის ყველა ბრუნვაში შეკუმშულ-შეკვეცილი ფორმით უნდა ვიხმაროთ ***(ქვეყნის, მოყვრის, ჰეჰლები...).***

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარჯიშო N 8. ფრჩხილებში მოთავსებული სახელები ჩასვით სათანადო ბრუნვის ფორმით:

1. (თონე) შეკეთება მეზობელს ვთხოვე.
2. სწრაფად უნდა ვიარო, იქნებ (მზე) ჩასვლამდე ჩავიდე გორში.
3. შორს მოჩანდა (მთვარე) შუქით განათებული კავკასიონი.
4. (კლდე) ნაპირიდან დიდი ლოდი ჩამოგორდა.
5. ტყიდან ხმა ისმოდა (ჩიტუნა).
6. (ტურა) დანახვაზე ბავშვებმა ტირილი მორთეს.
7. აქაურობა (ქვა და ლოდი) არის სავსე.
8. დურგალმა (ფანჯარა) ჩარჩოები (წიფელი) დაამზადა.
9. ტყიდან (კოდალა) ხმა ისმოდა.
10. ეს წამალი (თმა) ძირებს ამაგრებს.

სავარჯიშო N 9. გაასწორეთ შეცდომები:

1. ამაგდარი მეცნიერის იუბილის აღნიშვნა შემოდგომისათვის გადაიდო.
2. ხეში ბევრ სასარგებლო ნივთს ამზადებენ.
3. ნატა დილიდან ბებიის ნაჩუქარი დედოფლით თამაშობდა.
4. ორცნებიანი კომპოზიტები ტირით კი არა, დეფისით იწერება.
5. მაგდამ დედისაგან ისწავლა გემრიელი ჟელის მომზადება.
6. ენძელის და იის გამოჩენა გაზაფხულის დადგომის ნიშანია.
7. დაუვიწყარია ქართული „იავნანის“ ჰანგები.
8. სამკერვალო ატელიის შესასვლელთან ახალგაზრდა კაცი იდგა, რომელსაც პირი კაშნით შეებურა.
9. მეფისნაცვალის გამოჩენამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.
10. კაფის ფანჯრები ნაძვნარს გადაჰყურებდა.

სავარჯიშო N 10. გაასწორეთ შეცდომები:

1. ელენე ყურადღებით აკვირდებოდა პეპელას ფარფატს.
2. აგურის ქარხანის მუშებმა გადაწყვიტეს, კვირას სილნალში წასულიყვნენ.
3. მიხო მალე დაიღალა მძიმე ტომარის თრევით.
4. ადამიანმა როგორ უნდა გაძლოს უმოყვაროდ და უთვისტომოდ?
5. ნუთუ ჩემი ქვეყანის ბედი ამ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული?
6. ბეგარისა და ღალას გადახდა მძიმე ტვირთად დააწვა ხალხს.
7. მსოფლიოს მოწინავე ქვეყანები ახალ ტექნოლოგიებს ნერგავენ.
8. წასვლის წინ ფანჯარის დაკეტვა არ დაგავიწყდეს!
9. რამაზი გააოცა ტომარების სიმრავლემ.
10. თბილისის სიახლოვეს ახალი ქარხანები აშენდა.

ვითარებითი ბრუნვის დაბოლოება

◈ ***ცნობისათვის:*** ვითარებით ბრუნვაში ხმოვანფუძიან სახელებს ბოლოში დაერთვით **-დ** (და არა: **-თ**), თანხმოვანფუძიანებს — **-ად** (და არა: **-ათ**).

სწორია: ***კაცად, ამხანაგად, მდინარედ, წყაროდ*** *(და არა: კაცათ, ამხანაგათ, მდინარეთ, წყაროთ).*

სავარჯიშო N 11. გაასწორეთ შეცდომები:

1. მეორეკურსელები სასამართლოში მოწმეებათ გამოიძახეს.
2. ხუთ წელიწადში სალომე ულამაზეს ქალათ იქცა.
3. ეგ ბიჭი ადამიანათ აღარ ივარგებს.
4. კოკისპირული წვიმის შემდეგ პატარა რუ ბობოქარ მდინარეთ გადაიქცა.
5. კაცათ მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესათ დარგე:

ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო: „აბა, დღეს მე ვის რა ვარგე?“

6. შეშინებულ მონადირეს გამხმარი კუნძი დათვათ მოეჩვენა.
7. ლევანმა სტუდენტათ გახდომა დიდი ამბავით აღნიშნა.
8. ობოლ გოგონას ქალბატონი მაია დედათ მიაჩნდა.
9. „ამაღამ ვახშამათ რა გვაქვს?“— იკითხა ლუარსაბმა.
10. აბჯარათ და სატევრათ ეგ არ გამოდგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წოდებითი ბრუნვის დაბოლოება

◈ *ცნობისათვის:* წოდებით ბრუნვის დაბოლოებაა -ო, -ვ ან **Ø.**

☞ *დაიმახსოვრეთ!*

საზოგადო სახელები წოდებით ბრუნვაში გადმოიცემა:

- ბოლოთანხმოვნიანები -ო ბრუნვის ნიშნით *(ექიმ-ო, შვილ-ო).*
- ბოლოხმოვნიანები (ორ- და მეტმარცვლიანები) -ვ ბრუნვის ნიშნით ან დაბოლოების გარეშე (ე.ი. ფუძის სახით) *(დედა-ვ//დედა).*
- ერთმარცვლიანი ბოლოხმოვნიანები -ო ნიშნით *(კლდე-ო, დღე-ო).* ზოგ შემთხვევაში, განსაკუთრებით კი პოეზიაში, დასაშვებია -ვ დაბოლოების ხმარება *(„მზევ შინა და მზევ გარეთა, მზევ, შინ შემოდიო“. შდრ.: „მზეო, ამოდი, ამოდი“).*
- დაბოლოების გარეშე იხმარება უ ბოლოხმოვნიანი ორმარცვლიანი სახელები *(ძუძუ, ბაბუ, ტაბუ).*
- სახელის მიმართვის ფორმაში ფუძის ბოლოკიდური ვ არ იკარგება. სწორია: *ერისთავო! ვეფხვო! (და არა: ერისთაო! ვეფხო!).*
- თუ სახელის ფუძე ო-ზე ბოლოვდება, წოდებითში ორი ო ექნება *(რტო-ო).*
- უცხოური ტიტულები *(ბარონი, ჰერცოგი, გრაფი, მარკიზი და მისთ.)* წოდებითში -ო ბრუნვის ნიშნით უნდა გაფორმდეს.

  სწორია: *გრაფო! მარკიზო! ლორდო! (და არა: გრაფ! მარკიზ! ლორდ!).*

  ეს სახელები -ო ბრუნვის ნიშანს დაირთავენ მაშინაც, როცა ისინი მსაზღვრელად არიან გამოყენებული. სწორია: *ჰერცოგო ბეკინგემო! გრაფო სეგედი! (და არა: ჰერცოგ ბეკინგემო! გრაფ სეგედი!)*
- მიმართვის ფორმები, როგორებიცაა: „მის“, „მისის, „მისტერ“, „სერ“, „მადამ“, „ლედი“, „სენიორ“/„სინიორ“, „სენიორა“/„სინიორა“ ქართულში გაუფორმებლად რჩება. სწორია: *მისტერ ველინგტონო! მისის კრისტი! სენიორ ბერტოლუჩი! მადამ ჟერარდო!*

სავარჯიშო N 12. დასვით სახელები წოდებით ბრუნვაში:

მეზობელი	მეგობარი	ბავშვი
კაცი	მინდორი	მხერხავი
ვაზი	სოფელი	მევენახე
მდინარე	მიწა	სამშობლო
სახლი	წყარო	ქვეყანა
ღვინო	მთა	მზე
და	ძმა	დღე
კლდე	ხბო	დრო
რკო	ქალაქი	ლექსი
მკლავი	მკერავი	დეიდა
ბებია	ხევი	პირუტყვი
ტყავი	ხახვი	ნიავი
თავი	კრავი	ბარონი
გრაფი	სენიორიტა	ლედი

გახსოვდეთ!

- **„და“ კავშირით შეერთებულ სახელთაგან ბრუნვის ნიშნებს ორივე დაირთავს:** *მამამ და შვილმა, დასა და ძმას (და არა: მამა და შვილმა; და და ძმას).*
- **მიცემით, ნათესაობით ან მოქმედებით ბრუნვაში დასმული „და“ კავშირის წინ მდგომი არსებითი სახელი გავრცობილი ფორმით (ე.ი. -ა ხმოვნის დამატებით) უნდა ვიხმაროთ. სწორია:** *დედასა და მამას, დედისა და მამის, დედითა და მამით (და არა: დედას და მამას, დედის და მამის, დედით და მამით).*

საკუთარ სახელთა მართლწერა

ცნობისათვის: საკუთარია სახელი, რომელიც ჰქვია ერთ რომელიმე საგანს.

საკუთარი სახელებია:

- ადამიანთა (პირთა) სახელები, ანუ ანთროპონიმები (აქვე იგულისხმება გვარები, ფსევდონიმები, ზედმეტსახელები).
- გეოგრაფიული სახელები, ანუ ტოპონიმები (ქვეყნების, ქალაქების, მდინარეების, ზღვების, ოკეანეების, ტბების, კონტინენტების, მთების... სახელები).

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

- **პლანეტებისა და ციური სხეულების სახელები** *(დედამიწა, მარსი, ორიონი).*
- **წელიწადის დროთა, თვეებისა და კვირის დღეების აღმნიშვნელი სახელები** *(გაზაფხული, სექტემბერი, ორშაბათი...).*
- **მხატვრული ნაწარმოებების სათაურები, ჟურნალ-გაზეთების, ფაბრიკა-ქარხნების, სხვადასხვა დაწესებულების სახელები, რომლებიც ბრჭყალებში უნდა ჩავსვათ** *(პოემა „ვეფხისტყაოსანი“, ჟურნალი „ცისკარი“, ფაბრიკა „ისანი“, მეტროს სადგური „ვაგზლის მოედანი“, გემი „შოთა რუსთაველი“, შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო „სამგორი“, სააქციო საზოგადოება „ამალთეა“, გამომცემლობა „დიოგენე“, ნაყინი „თოლია“ და სხვ.).*
- **ცხოველთა სახელები** *(ყურშა, წიქარა, ბომბორა).*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანთა საკუთარი სახელები და გვარები

გახსოვდეთ!

- **ადამიანთა საკუთარ სახელებს ბრუნვის დროს ფუძე არ ეცვლებათ: ბოლოთანხმოვნიანი ყველა უკუმშველია, ბოლოხმოვნიანი — უკვეცელი. სწორია:** *მაიასი, ელენეს, დარეჯანის (და არა: მაიის, ელენის, დარეჯნის).*
- **ადამიანთა საკუთარი სახელები წოდებით ბრუნვაში ფუძის სახით უნდა ვიხმაროთ. სწორია:** *ოთარ! თეკლე! ნიკა! ალექსი! (და არა: ოთარო! თეკლევ! ნიკავ! ალექს!).*
- **სახელის ფუძის გასარკვევად სახელს მოთხრობით ან მიცემით ბრუნვაში ვსვამთ, ჩამოვაშორებთ ბრუნვის ნიშანს და, რაც დაგვრჩება, სწორედ ის არის ფუძე.**
  მაგალითად: დავითი, დავით-მა, დავით-ს. ფუძეა დავით; ლელა, ლელა-მ, ლელა-ს. ფუძეა ლელა.
- **ხმოვანი ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია თანხმოვანფუძიან საკუთარ სახელებში:** *(ავთანდილ-ი, ბაგრატ-ი, ეფრემ-ი, ვასილ-ი, ლევან-ი და სხვ.)*
- **ხმოვანი ი ფუძისეულია ხმოვანფუძიან საკუთარ სახელებში** *(ირაკლი, გიორგი, გივი, დალი და სხვ.).*
- **იმისთვის, რომ გამოვარკვიოთ, რომელ სახელებშია ი ფუძისეული და რომელში ბრუნვის ნიშანი, უნდა ვიცოდეთ:**
  - **სახელობითი ბრუნვის ნიშანს ი-ს არ დაირთავს ბოლოთანხმოვნიანი სახელი, რომელსაც მოსდევს გვარი ან პროფესიის (თანამდებობის და სხვ.) აღმნიშვნელი სიტყვა** *(მაგალითად: მიხეილ ჯავახიშვილი, გურამ რჩეულიშვილი, თამარ მეფე, ვახტანგ გორგასალი).*
  - **ხმოვანი ი ფუძისეულია და სახელს გადაჰყვება ყველა ბრუნვაში, თუ მას მოსდევს გვარი ან პროფესიის (თანამდებობის და სხვ.) აღმნიშვნელი სიტყვა** *(მაგალითად: აკაკი წერეთელი, დიმიტრი თავდადებული, ლეონტი მროველი)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

☞ *გახსოვდეთ!*

ადამიანის საკუთარი სახელი არც იკუმშება, არც იკვეცება. არა აქვს მრავლობითი რიცხვი და ყოდებით ბრუნვაში ფუძის სახით არის ყარმოდგენილი.

ფუძისეული ი და სახელობითი ბრუნვის ნიშანი -ი ადამიანთა საკუთარ სახელებში

სავარჯიშო N 13. მიუწერეთ მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვის ფორმები შემდეგ სახელებს:

სახელობითი	*მოთხრობითი*	*მიცემითი*
აკაკი	აკაკი-მ	აკაკი-ს
გურამი	გურამ-მა	
გივი	გივი-მ	
გიორგი	გიორგი-მ	
დალი	დალი-მ	
დიმიტრი	დიმიტრი-მ	
დავითი	დავით-მა	
ვარლამი	ვარლამ-მა	
ვალერი	ვალერ-მა	
მაგული	მაგულ-მ	
მარიამი	მარიამ-მა	
მალხაზი	მალხაზ-მა	
ედუარდი	ედუარდ-მა	
ლავრენტი	ლავრენტი-მ	
ნიკოლოზი	ნიკოლოზ-მა	
რაფიელი	რაფიელ-მა	
სიმონი	სიმონ-მა	
ჯარჯი	ჯარჯი-მ	
მიხეილი	მიხეილ-მა	
დარეჯანი	დარეჯან-მა	
ნოდარი	ნოდარ-მა	
ნუგზარი	ნუგზარ-მა	

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევანი
ირაკლი
ვახტანგი
ეთერი
ამირანი
ბაქარი
ლალი
თამარი
ქეთი
ანასტასია
ჯემალი
რატი

სავარჯიშო N 14. იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები:

1. ეთერიმ ძმას ამანათი გაუგზავნა.
2. დათომ, ოთარიმ და ნუნუმ სოფელს ბჟინევში ნათესავები მოინახულეს.
3. თამაზის იმ წვეულებაზე წასვლა არც უფიქრია.
4. ფრიდონიმ ტაბაკინის მონასტერს ძველებური ხატი შესწირა.
5. დავითიმ დილით კარგათ გამოიძინა და გვიან ისაუზმა.
6. დაჭრილ ჯუმბერის სასწრაფოთ გადაუსხეს სისხლი.
7. ჯემალის ქორწილში მთელი სოფელი ეწვია.
8. გივიმ პატარა ძმა მომღერლათ გაზარდა.
9. იურიმ, იგორიმ და დიმიტრიმ შვებულება იმერეთში გაატარეს.
10. დალის საჩუქრათ ყვავილები მიართვეს.

☞ *დაიმახსოვრეთ!*

არ შეიძლება ასეთი შემოკლება: შ. რუსთაველი, თ. მეფე, ი. ხუცესი, დ. აღმაშენებელი, ვ.ფშაველა და სხვ.

სავარჯიშო N 15. დასვით წოდებით ბრუნვაში:

გურამი	თენგიზი	ეთერი
აკაკი	იური	დალი
ვანო	ალექსი	ნუნუ
დუტუ	ქეთი	მაია
მართა	ელენე	გოგი
დევი	ანი	ეკა
ლელა	შორენა	ირაკლი
გიორგი	ვახტანგი	ლევანი
ნოდარი	ოთარი	ომარი
დავითი	საბა	ლაშა
კახა	რევაზი	მალხაზი
გივი	ირინე	რუსუდანი

> ☞ *გახსოვდეთ!*
>
> - ადამიანთა სახელებს წოდებითში ნიშანი არ უნდა *(გურამ! ეკა!)*.
> - გეოგრაფიული სახელები და ცხოველთა საკუთარი სახელები, რომლებიც თანხმოვანზე ბოლოვდება, გადმოიცემა -ო ბრუნვის ნიშნით *(თბილის-ო, რიონ-ო, კავკასიონ-ო)*.
> - გეოგრაფიული სახელები და ცხოველთა საკუთარი სახელები, რომლებიც ხმოვანზე ბოლოვდება, გადმოიცემა ბრუნვის ნიშნით ან მის გარეშე *(სამტრედიავ//სამტრედია; ყურშავ//ყურშა)*.

> ☞ *გახსოვდეთ!*
>
> - უცხო გეოგრაფიული სახელები, რომლებიც ორიგინალის ენაზე ი-ზე ბოლოვდება, ქართულად გადმოცემისას ფუძისეულ ი-ს ინარჩუნებს *(დელი, დელი-მ, დელი-ს, წოდ. დელი!)*.

სავარჯიშო N 16. დასვით წოდებით ბრუნვაში:

თბილისი	ალაზანი	მთაწმინდა
მოსკოვი	სამტრედია	მცხეთა
ჭიათურა	გორი	მტკვარი

მარაბდა	ბახმარო	პრალა
ბორჯომი	საირმე	არაგვი
გონიო	ქობულეთი	დელი
ბათუმი	პარიზი	აბაშა
სტამბოლი	ოსლო	ქსანი
ნიუ-იორკი	ტოკიო	აფრიკა
ყურშა	ლონდონი	ჰელსინკი
მამადავითი	საბურთალო	მადრიდი
ზუგდიდი	ევროპა	რომი
რიონი	იუპიტერი	ერევანი
კავკასიონი	იალბუზი	წიქარა
ზესტაფონი	უშბა	ნიკორა

ადამიანთა გვარები

☞ *დაიმახსოვრეთ!*

- -შვილზე დაბოლოებული გვარი ისევე იბრუნვის, როგორც საზოგადო სახელი *შვილი*. წოდებითში მას ექნება -*ო* *(ქართველიშვილ-ო)*.

- -ო დაერთვის, ასევე, თანხმოვანზე გათავებულ გვარებს *(წერეთელ-ო, ჯაშ-ო)*.

  ☑ ორიოდე გვარი კუმშვადია: *წერეთელი - წერეთლის, მაჩაბელი – მაჩაბლის; წერეთლები, მაჩაბლები.*

- -ძე-ზე დაბოლოებული ადამიანთა გვარები ისე იბრუნვის, როგორც საზოგადო სახელი „ძე“. ნათესაობითსა და მოქმედებითში ხდება კვეცა *(ბარამიძე — ბარამიძის, ბარამიძით.* შეცდომაა *ბარამიძეთი)*. წოდებითში ეს გვარები იხმარება ბრუნვის ნიშნის დაურთველად *(ბარამიძე!)*.

- ფუძე ეკვეცებათ გვარებად ქცეულ ე ფუძიან საზოგადო სახელებსაც *(მებუკე — მებუკის)*.

- ე-ზე დაბოლოებულ სახელებს ებ-იან მრავლობითში მოუდის ორი ე *(ბოლქვაძეები, მენაბდეები)*.

- -ვა, -უა, -ია-ზე გათავებული ქართული გვარები ფუძეს არ იკვეცეს მხოლობითი რიცხვის ნათესაობითსა და მოქმედებითში *(ჭითანავა, ჭითანავას(ი), ჭითანავათი; ჯაბუა, ჯაბუას(ი), ჯაბუათი; ჩიტაია, ჩიტაიას(ი), ჩიტაიათი)*, მაგრამ კვეცადი ხდება ებ-იან მრავლობითში *(ჭითანავები, ჯაბუები, ჩიტაიები)*. ეს გვარები წოდებითში იხმარება ბრუნვის ნიშნის დაურთველად *(ჭითანავა, ჯაბუა, ჩიტაია)*.

- **არაქართული წარმოშობის ბოლოხმოვნიანი გვარები უკვეცელია** *(გოეთე, ჰემინგუეი, დანტე, ბოტიჩელი, გორკი, ტრუბეცკოი, მორავია...).*

- **თანხმოვანზე დამთავრებული უცხოური გვარები წოდებითში დაირთავენ -ო ბრუნვის ნიშანს** *(სმირნოვ-ი — სმირნოვ-ო; რეიგან-ი — რეიგან-ო).*

სავარჯიშო N 17. დასვით ნათესაობით, მოქმედებით და წოდებით ბრუნვებსა და ებ-იან მრავლობითში შემდეგი გვარები:

სახელობითი	*ნათესაობითი*	*წოდებითი*	*მრ. რიცხვი*
აბდუშელიშვილი			
ბარათაშვილი			
ამირეჯიბი			
ჩიტაური			
ამილახვარი			
პაპასქირი			
ცაგარელი			
ჯავახიშვილი			
კანდელაკი			
მაჩაბელი			
ორბელიანი			
წერეთელი			
ლლონტი			
მესხი			
მუჯირი			
ხავთასი			
ჯაში			
ჯიბუტი			
ქარაბაკი			
გოგოჭური			
აბაშიძე			
მაჭავარიანი			
ლეონიძე			
ჭავჭავაძე			
შანიძე			

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მენაბდე
მებუკე
შელია
ჯაბუა
ჩიქობავა
თოფურია
ხვისტანი
შენგელია
კოდუა
კვარაცხელია
გულუა
გუგუნავა
ნაკანი
პუშკინი
ტოლსტოი
პავლოვი
გორკი
ვისოცკი
სტენდალი
დიუმა
გოეთე
ბალზაკი
ბოტიჩელი
რაიკინი
იაკუბოვიჩი
ხმადულინა

სახელისა და გვარის ერთად ბრუნება

☞ *გახსოვდეთ!*

- **სახელი გვართან ერთად ფუძის სახით იწერება:** *ნოდარ ანდღულაძე (და არა: ნოდარი ანდღულაძე).*
- **თუ გვართან ერთად ბრუნებისას ადამიანის სახელი წინ უსწრებს გვარს, იგი არც ერთ ბრუნვაში არ შეიცვლება** (ზაალ ბარათაშვილი, ზაალ ბარათაშვილმა, ზაალ ბარათაშვილს, ზაალ ბარათაშვილის ...).

- ადამიანის სახელი ასევე უბრუნველია, თუ მას მსაზღვრელად მოსდევს გვართან გათანაბრებული ხელობის, წარმომავლობის, თანამდებობის აღმნიშვნელი სახელი *(დავით აღმაშენებელი, ერეკლე მეორე, ექვთიმე ათონელი, მელქისედეკ კათალიკოსი...)*.

- სიების შედგენისას, როცა, ჩვეულებრივ, ჯერ გვარი იწერება და მერე სახელი, სახელი ფუძის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი *(აბაშიძე ზურაბ, კახიძე ამირან, კობახიძე ირაკლი)*.

- თუ საკუთარ სახელს ან გვარს (ან ორივეს ერთად) უსწრებს თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი (წოდება-თანამდებობის ან ხელობა-პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვები — *პოეტი, მწერალი, მხატვარი, ექიმი, პროფესორი, პარლამენტარი, პრეზიდენტი* — საკუთარი სახელი იბრუნვის ჩვეულებრივი წესით, ხოლო განმსაზღვრელ სიტყვას მხოლოდ სამ ბრუნვაში (სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში) ექნება ბრუნვის ნიშანი, დანარჩენ ბრუნვებში კი ფუძის სახით იქნება წარმოდგენილი.

სახ.	კომპოზიტორ-ი	ზაქარია ფალიაშვილ-ი
მოთხ.	კომპოზიტორ-მა	ზაქარია ფალიაშვილ-მა
მიც.	კომპოზიტორ	ზაქარია ფალიაშვილ-ს
ნათ.	კომპოზიტორ	ზაქარია ფალიაშვილ-ის
მოქ.	კომპოზიტორ	ზაქარია ფალიაშვილ-ით
ვით.	კომპოზიტორ	ზაქარია ფალიაშვილ-ად
წოდ.	კომპოზიტორ-ო	ზაქარია ფალიაშვილ-ო

- თუ ასეთი მსაზღვრელი სიტყვა ხმოვანფუძიანი სახელია, მაშინ ის ყველა ბრუნვაში ფუძის სახით იქნება წარმოდგენილი

სახ.	მეუფე ანდრია
მოთხ.	მეუფე ანდრია-მ
მიც.	მეუფე ანდრია-ს
ნათ.	მეუფე ანდრია-ს(ი)
მოქ.	მეუფე ანდრია-თი
ვით.	მეუფე ანდრია-დ
წოდ.	მეუფე ანდრია

- სასულიერო პირების მიმართ *„მამაო“* ფორმის ხმარება გამართლებულია მხოლოდ მიმართვის დროს. სწორია: ***მამა გიორგიმ*** *ბრძანა (და არა: მამაო გიორგიმ ბრძანა),* ***მამა გიორგის*** *ქადაგება (და არა: მამაო გიორგის ქადაგება).*

- საზოგადო სახელები *„ბატონი“* და *„ქალბატონი“* საკუთარ სახელებთან ბრუნებისას ინარჩუნებს -ი ნიშანს ნათესაობითსა და მოქმედებითში. სწორია: *ბატონ-ი ივანეს წიგნი, ქალბატონ-ი თამარ-ით ვამაყობ.*

- *„ბატონის“, „ქალბატონის“* ევროპული შესატყვისები *(სერ, მისტერ, მის, მისის, სინიორ, სინიორა, სინიორიტა, მუსიე, მადამ, დონ, დონა, ფრაუ, ჰერ, ჰან,*

პანი) საკუთარ სახელთან ერთად ბრუნებისას უცვლელნი რჩებიან. იბრუნვის მხოლოდ მომდევნო საკუთარი სახელი.

სწორია: *მისტერ კუპერი, მისტერ კუპერმა, მისტერ კუპერს . . . მისტერ კუპერ!*

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარჯიშო N 18. აბრუნეთ:

სახ.	**თინათინ ბარათელი**	**გაიოზ გურული**
მოთხ.	თინათინ ბარათელმა	გაიოზ გურულ-ის
მიც.	თინათინ ბარათელს	გაიოზ გურულ-ს
ნათ.	თინათინ ბარათელის	გაიოზ გურულ-ის
მოქ.	თინათინ ბარათელით	გაიოზ გურულ-ით
ვით.	თინათინ ბარათელივით	გაიოზ გურულ-ივ.
წოდ.	თინათინ ბარათელო	გაიოზ გურულ-ო.

სახ.	**ახვლედიანი პავლე**	**ჩიტაია ნინო**
მოთხ.	ახვლედიანმა პავლე-მ	ჩიტაია ნინო-მ
მიც.	ახვლედიანს პავლე-ს	ჩიტაია ნინო-ს
ნათ.	ახვლედიანის პავლე-ს	ჩიტაია ნინო-ს
მოქ.	ახვლედიანით პავლე-თი	ჩიტაია ნინო-თი
ვით.	ახვლედიანივით პავლე-ვი	ჩიტაია ნინო-ვ
წოდ.	ახვლედიანო პავლე	ჩიტაია ნინო

სახ.	**მწერალი ლეო ქიაჩელი**	**ექიმი ანა ლალიძე**
მოთხ.	მწერალმა ლეო ქიაჩელ-მა	ექიმ-მა ანა ლალიძე-მ
მიც.	მწერალს ლეო ქიაჩელ-ს	ექიმ-ს ანა ლალიძე-ს
ნათ.	მწერლის ლეო ქიაჩელ-ის	ექიმ-ის ანა ლალიძე-ის
მოქ.	მწერლით ლეო ქიაჩელ-ით	ექიმ-ით ანა ლალიძე-ით
ვით.	მწერლივით ლეო ქიაჩელ-ივ	ექიმ-ივ ანა ლალიძე-ივ
წოდ.	მწერალო ლეო ქიაჩელ	ექიმ-ო ანა ლალიძე

სახ.	**პროფესორი შანიძე**	**მამა დავითი**
მოთხ.	პროფესორ-მა შანიძე-მ	მამა დავით-მა
მიც.	პროფესორ-ს შანიძე-ს	მამა დავით-ს
ნათ.	პროფესორ-ის შანიძე-ის	მამა დავით-ის
მოქ.	პროფესორ-ით შანიძე-ით	მამა დავით-ით
ვით.	პროფესორ-ივ შანიძე-ივ	მამა დავით-ივ
წოდ.	პროფესორ-ო შანიძე	მამა დავით.

სახ.	სერ სტივენსონი	ქალბატონი მედეა
მოთხ.	სერ სტივენსონ-ს	ქალბატონ-ი
მიც.	სერ სტივენსონ-ს	ქალბატონ-ს
ნათ.	სერ სტივენსონ-ის	ქალბატონ-ის
მოქ.	სერ სტივენსონ-ით	ქალბატონ-ით
ვით.	სერ სტივენსონ-ად	ქალბატონ-ად
წოდ.	სერ სტივენსონ-ო	ქალბატონ-ო

სავარჯიშო N 19. გაასწორეთ შეცდომები:

1. გუშინ კენჭი უყარეს პარლამენტარ აბესაძეს წინადადებას.
2. პროფესორი შანიძეს ლექცია 93-ე აუდიტორიაში გადაიტანეს.
3. დოსტოევსკის დიდი გავლენა მოახდინა რუსული ლიტერატურის განვითარებაზე.
4. მხატვარი ელენე ახვლედიანის უცნობი ნამუშევრები გალერეა „უნივერსმა“ გამოფინა.
5. მინისტრი რაზმაძის ბრძანებით სამსახურიდან დაითხოვეს გაგუა რამაზ.
6. ილიამ ლექსი „მესმის, მესმის“ ჯუზეპე გარიბალდის მიუძღვნა.
7. გუსტავ ფლობერს რომანმა „მადამ ბოვარმა“ დიდი პოპულარობა მოუტანა.
8. პუშკინიმ და ლერმონტოვმა საქართველოს ლექსები უძღვნეს.
9. ბატონ ლევანით ამაყობს მთელი ინსტიტუტი.
10. ქართველი მაყურებელი კარგად იცნობს იტალიელ მსახიობ მარჩელო მასტროიანს.

სავარჯიშო N 20. გაასწორეთ შეცდომები:

1. საბჭოს თავმჯდომარეთ აირჩიეს ბუაძე რევაზი აკაკის ძე.
2. მამარ გაბრიელის ქადაგებას მრევლი სულგანაბული უსმენდა.

3. ამ სიმღერის ავტორია გოგელია თამარი.
4. გურამ გუგუშვილი ირაკლის ძე სკოლაში შევიდა 1999 წელს.
5. კახა დალმაშენებელის გამზირზე ცხოვრობს და ყოველდღე ფეხით დადის გ. ბრწყინვალეს ქუჩაზე მდებარე სამსახურში.
6. თ. მეფის ხიდი ერთმანეთთან აერთებს მტკვარის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებს.
7. პაატა ბურჭულაძეს გამოსვლამ ყველა აღაფრთოვანა.
8. გუშინ ქალბატონ დარეჯანის ლექციაზე რატომ არ მოხვედი?
9. ბატონ ოთარის კოლეგები ახალი ალმანახის პრეზენტაციაზე მიიწვია.
10. ჟურნალისტ რატიშვილმა, სამწუხაროდ, ჩვენთან სასაუბროთ ვერ მოიცალა.

გეოგრაფიულ სახელთა მართლწერა

◈ *ცნობისათვის:*

გეოგრაფიული სახელები ისევე იბრუნვის, როგორც შესაბამისი ფუძის საზოგადო არსებითი სახელები. თანხმოვანფუძიანთაგან ზოგი უკუმშველია *(თელავი – თელავ-ის, ესპანეთ-ი – ესპანეთ-ის)*, **ზოგი – კუმშვადი** *(მტკვარ-ი – მტკვრ-ის, იორ-ი – ივრ-ის)*. **ხმოვანფუძიანთაგან ა-სა და ე-ზე დაბოლოებული სახელები კვეცადია** *(აჭარა – აჭარ-ის, საჩხერე – საჩხერ-ის, ჯორჯია – ჯორჯიის)*, **დანარჩენი — უკვეცელი** *(ურარტუ – ურარტუ-ს(ი), საგარეჯო – საგარეჯო-ს(ი)*.

☞ *გახსოვდეთ!*

- **თანხმოვანფუძიანი გეოგრაფიული სახელი წოდებითში დაირთავს -ო-ს** *(თბილის-ო, არაგვ-ო)*.

- **ხმოვანფუძიან გეოგრაფიულ სახელს წოდებითში ან -ვ ნიშანი უნდა, ან არაფერი. სწორია:** ***მთაწმინდავ//მთაწმინდა*** *(მაგრამ არა: მთაწმინდაო)*.

სავარჯიშო N 21. გაასწორეთ შეცდომები:

1. გეოგრაფიის გაკვეთილზე მიხომ ვერაფრით გაიხსენა, რა ჰქვია დანიას დედაქალაქს.
2. მოგზაურის ჩანაწერებით ირკვევა, რომ იგი აღფრთოვანებულია იაპონიათი და ავსტრალიათი, ყველაზე მეტად კი — ეგვიპტეს პირამიდებით.
3. კუბას მიწისძვრა დამანგრეველი ძალის აღმოჩნდა.
4. სამტრედიას ცენტრში ულამაზესი ხეივანი გააშენეს.
5. საირმეს წყალი არაჩვეულებრივი სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა.
6. თერჯოლას მოსახლეობა სტადიონის გახსნას მოუთმენლად მოელის.
7. შარშან კავკასიის ბიზნესის სკოლის ხუთი სტუდენტი ჯორჯიას შტატში გაიგზავნა სასწავლებლად.
8. ავტობუსი სოფელ ბანძადან დილის 8 საათზე გავიდა.
9. სოფელ ოტობაიას მოსახლეობამ გზები გადაკეტა.
10. შორაპანის მთებზე მტრედისფერი ნისლი გაწოლილა.

სავარჯიშო N 22. გაასწორეთ შეცდომები:

1. თვითმფრინავი ჰავანას აეროპორტში დაჯდა.
2. ტელეკომპანია „რუსთავი 2“ ბარსელონადან ამ საფეხბურთო მატჩის პირდაპირ ტრანსლაციას დაგვპირდა.
3. ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ ალაბამას და მინესოტას შტატებში, ორი დღეა, ქარიშხალი მძვინვარებს.
4. გაეროს დამკვირვებლები სოფელ ორსანტიას მოსახლეობას შეხვდნენ.

5. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ სასომხეთისა და მოლდოვის სახელმწიფო დელეგაციები მიიღო.
6. შეთანხმებას ხელი მოაწერეს ყაზახსტანის, უზბეკისტანის, თურქმენისტანის და ყირგისტანს წარმომადგენლებმა.
7. მანაგუა ნიკარაგუას დედაქალაქია.
8. სოფელ ტანძიას მოსახლეობამ დიდი ზეიმით აღნიშნა სულხან-საბა ორბელიანის იუბილე.
9. ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარების სურვილი გამოუთქვამს ქალაქ ჰელსინკისაც.
10. ორთაჭალას და ფონიჭალას დასახლებას 3 დღეა, წყალი არ მიეწოდება.

☑ **სწორია ქვეყანათა სახელების –ეთ სუფიქსით დაბოლოებული და ლიტერატურული ტრადიციით განმტკიცებული ფორმები *(უზბეკეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, სომხეთი* და არა:** *უზბეკისტანი, ტაჯიკისტანი, თურქმენისტანი, სასომხეთი).*

სავარჯიშო N 23. გაასწორეთ შეცდომები:

1. ლევანი, ფრთხილად იარე! გახსოვდე, შვილო, გზები მოყინულია.
2. ნოდარი, თუ არ შეწუხდები, ეს წიგნი მომაწოდე! ნოდარი, შენ გეუბნები, არ გესმის?!
3. ნუგზარი, ნუგზარი, იცი, შენთვის რა კარგი ამბავის თქმა დამავალეს?
4. რატომ აგვიანებ, მალხაზი, ბატონ თედოს ლექციაზე?
5. ბომბორის ყეფა არემარეს აყრუებდა.
6. აქ დაჯექი, რუსუდანო!

7. ელენეჭ, რა ფიქრში წასულხარ?! შეხედე უკვე „ნიკორწმინდას“ გუმბათი გამოჩნდა.
8. ახლოს მოდი, მარიამო, რაღაც უნდა გითხრა.
9. შორენა ან ჭიაბრის ცოლი უნდა გამხდარიყო, ან გირშელ ერისთავის.
10. მართავ, შენი შვილები სად არიან?

სავარჯიშო N 24. გაასწორეთ შეცდომები:

1. ომარი, წამომყვები ნესტანი ამილახვარის მოსანახულებლად?
2. გიორგი კახიანი წერეთელის გამზირზე ცხოვრობს.
3. შექსპირის შემოქმედება მაჩაბელის თარგმანებით გაიცნო ქართველმა საზოგადოებამ.
4. კლდიაშვილი, თუ შეიძლება, გაჩუმდი!
5. ჭყონიავ, რატომ არ შეასრულე დავალება?
6. ეკას რომ არ შეშინებოდა, ლევანს ვთხოვე, სახლამდე მიეცილებინა იგი.
7. გ. ტაბიძეს და გ. ლეონიძეს ბევრი ლექსი ზეპირად ვიცი.
8. — თავაძეთი უკმაყოფილო ვარ, – მკაცრად უთხრა მასწავლებელმა გურამი თავაძეს დედას.
9. გ. მერჩულეს „გრ. ხანძთელის ცხოვრება“ ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლია.
10. ცინცაძესა და ცომაიას მშობლებს დირექტორი ხვალ შეხვდება.

სავარჯიშო N 25. გაასწორეთ შეცდომები:

1. ვეკუაჭ, შეწყვიტე ლაპარაკი!
2. სიჭინავაჭ, ხელს ნუ მიშლი!

3. ვახტანგ დიდებულიძე კარგი კაცია.
4. დიდებულიძე ვახტანგ კარგი კაცია.
5. თაო ჩემო, ბედი არ გიწერია!
6. ნესტან-დარეჯნის მოძებნა მეტად ძნელი საქმე იყო.
7. ჭიაბრის სიკვდილმა ყველა დაამწუხრა.
8. იმღერე, საბავ, იმღერე!
9. ჭიჭინაძე დავით ვ. ფშაველას ძეგლთან ცხოვრობს, მაგრამ, რადგანაც დედამისი დ. ალმაშენებელის გამზირზე მდებარე სკოლაში მუშაობს, ისიც იქ სწავლობს.
10. გზა მშვიდობისა, ჩემო ვახტანგი!

თანდებულიანი ბრუნვები

◈ *ცნობისათვის:*

თანდებული ჰქვია დამხმარე სიტყვას ან ბგერათა ჯგუფს, რომელიც დაერთვის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას და აღნიშნავს საგნის მდებარეობას, მიმართულებას, დანიშნულებას და სხვ.

თანდებული არ დაერთვის მოთხრობით და წოდებით ბრუნვას. დანარჩენ ბრუნვებში გვხვდება შემდეგი თანდებულები:

სახ.	-ვით (თანხმოვანფუძიან სახელებთან)
მოთხრ.	- - - - - - - - - - - - -
მიც.	-ვით, - თან, -ზე, -ში, შორის, შუა
ნათ.	-თვის, -კენ, -გან, -თანავე, -ებრ, მიერ, გამო, გარდა, მიმართ, შესახებ...
მოქ.	- ურთ, -გან (>იდან//დან) →
ვით.	მდე//მდის
წოდ.	- - - - - - - - - - - - -

☞ *გახსოვდეთ!*

- თანხმოვანფუძიან სახელებთან -ვით თანდებული შეიძლება დაერთოს როგორც სახელობითის, ისე მიცემითის ფორმას: *კაცივით//კაცსავით, ლომივით//ლომსავით, ქარივით//ქარსავით.*
- მისაღებია -თვის, -გან, -კენ თანდებულების დართვა ნათესაობითი ბრუნვის

მოძებნა. —

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც გავრცობილ, ისე გაუვრცობელ ფორმაზე: *ძმისათვის//ძმისთვის, ქალაქისაკენ//ქალაქისკენ, ძმისაგან//ძმისგან.*

- **თანდებული -გან დაერთვის როგორც ნათესაობით, ასევე მოქმედებით ბრუნვაში დასმულ სახელებს, მაგრამ მათ შორის განსხვავებაა. -გან თანდებული იხმარება ნათესაობითი ბრუნვის ფორმასთან, როცა გვინდა აღვნიშნოთ მასალა ან მოქმედების წყარო, ანდა მიზეზი (კითხვები: ვისგან? რისგან?** და არა: საიდან? ან რა დროიდან?). **სწორია:** *წერილი მივიღე დედისგან ან დედისაგან (და არა: დედიდან); მაგიდა დაშზადებულია ხისგან ან ხისაგან (და არა: ხიდან).*

- **მოქმედებით ბრუნვაში -გან თანდებულის დართვისას სახეს იცვლის როგორც ბრუნვის ნიშანი, ასევე — თანდებული:** სახლ-ით-გან >სახლ-იდ-გან > სახლ-იდან. **მოქმედებითში დასმული -გან თანდებულიანი სახელი მიუგებს კითხვებზე: საიდან? რა დროიდან?** (და არა: ვისგან? რისგან?). *გამოვიდა სახლიდან, დილიდან წვიმდა.*

- **სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმას შეიძლება დაერთოს თანდებულები -მდე ან -მდის:** *სოფლამდე//სოფლამდის, წყარომდე//წყარომდის.* **ამათგან უპირატესობა ეძლევა -მდე სახეობას.**

- **-ზე თანდებულის პირვანდელი სახეა <u>ზედა</u>. იმ შემთხვევაში, როდესაც თანდებულიან სახელს ნაწილაკი არ დაერთვის, <u>ზედა</u>, <u>ზედ</u>, <u>ზე</u> სახეობათაგან თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ერთადერთ სწორ ფორმად რჩება –<u>ზე</u>. სწორია:** *მაგიდაზე (და არა: მაგიდაზედ).*
  - **-ც(ა) ნაწილაკის დართვისას ძველი <u>ზედა</u> სახეობა რჩება უცვლელად** *(მაგიდაზედაც).*
  - **-ვე ნაწილაკის დართვისას იხმარება <u>ზედას</u> მოკვეცილი ვარიანტი <u>ზედ</u>** *(მაგიდაზედვე).*
  - **თუ სახელის ფუძე მთავრდება ზ თანხმოვანზე, -ზე თანდებულის დართვისას ორი ზ უნდა დაიწეროს** *(კოვზ-ი – კოვზ-ზე).*
- **თუ სახელის ფუძე შ თანხმოვანზე ბოლოვდება, მაშინ -ში თანდებულის დართვისას ორი შ მოიყრის თავს** *(ქარქაშ-ი – ქარქაშ-ში).*
- **თუ სახელის ფუძე თ თანხმოვანზე მთავრდება, -თან თანდებულის დართვისას ორი თ უნდა დაიწეროს** *(საათ-ი – საათ-თან).*
- **ს-ზე ფუძეგათავებული სახელები ინარჩუნებს ამ თანხმოვანს -ზე და -ში თანდებულების დართვისას. სწორია:** *თბილისზე (და არა: თბილიზე ან თბილისში).*
- **სწორია -თვის** (და არა: თვინ).
- **სწორია -მდე//მდის** (და არა: მდინ, მდი).
- **თუ მიცემითში ან ნათესაობითში დასმულ ორ და მეტ სიტყვას ერთი და იგივე თანდებული მოუდის და უკანასკნელს წინამავალთან და კავშირი აერთებს, ასეთ შემთხვევაში უშუალოდ და-ს წინ მდგომი სახელი უთანდებულოდ, გავრცობილი ფორმით იხმარება.**

სწორია: *თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში* (და არა: *თბილისში, ქუთაისში და ბათუმში*); *მინდორში, ტყეში, ბაღსა და ვენახში ნისლი იდგა* (და არა: *მინდორში, ტყეში, ბაღში და ვენახში ნისლი იდგა*).

ეროვნული ბიბლიოთეკა

- თანდებულ-ზმნისართები: გარდა, უკან, შემდეგ, გამო, წინაშე, წინ, შესახებ და სხვ. I და II პირის ნაცვალსახელების სანმოკვეცილ ფორმებს უნდა დაერთოს. სწორია: *ჩემ გარდა, შენ შესახებ, ჩვენ მიერ, თქვენ გამო* (და არა: *ჩემს გარდა, შენს შესახებ, ჩვენს მიერ, თქვენს გამო*).

- სანის გარეშე იხმარება I და II პირის ნაცვალსახელთან შერწყმული თანდებულებიც. სწორია: *ჩემკენ, შენკენ, ჩვენკენ* (და არა: *ჩემსკენ, შენსკენ, თქვენსკენ*).

- უსანო ფორმებია საჭირო <u>შორის</u> და <u>შუა</u> თანდებულებთანაც. სწორია: *ჩვენ შორის, თქვენ შუა* (და არა: *ჩვენს შორის, თქვენს შუა*).

- სახელის მიცემით ბრუნვასთან შეერთებული (ს მოკვეცილი) თანდებულიანი ფორმები გაკომპოზიტებულია და ერთად იწერება. სწორია: *ჭერქვეშ, ფეხქვეშ, თავქვეშ, ცხვირწინ* (და არა: *ჭერ ქვეშ, ფეხ-ქვეშ, თავ-ქვეშ, ცხვირ წინ*).

სავარჯიშო N 26. გაასწორეთ შეცდომები:

1. კოვზე წყალის წვეთები დარჩა.
2. ძველებურ საათან პაპაჩემის სურათი ეკიდა.
3. რისთვის დამსაჯეთ ასე, მამა პეტრე?
4. ილია ჭავჭავაძე XIX საუკუნეს 60-იან წლეებში გამოვიდა სამწერლო ასპარეზე.
5. ქუთაისში ბევრმა არც კი დაიჯერა თავჯდომარეს ნაამბობი.
6. გამწარებულმა ნინომ სახლამდინ ძლივს მიაღწია.
7. გიორგი სააკაძემ ხმალი ქარქაში ჩააგო.
8. ცოტნემ ულვაში ეშმაკურად ჩაიცინა.
9. ნუცამ ბალიში ჩარგო თავი და მწარედ აქვითინდა.
10. ლუკამ ბარათან ერთად ფულიც გამოუგზავნა თავის ცოლ-შვილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარჯიშო N 27. გაასწორეთ შეცდომები:

1. იქაურობას თეთრი მარმარილოდან გამოთლილი ფიგურები ამშვენებდა.
2. ნოდარიმ მაშინვე ხმალზედ იტაცა ხელი.
3. რამაზი გოცირიძე სკოლის ჩემპიონი იყო შაში, ია ცარციძე კი – ჭადრაკში.
4. საქართველოს კეთილმეზობლური ურთიერთობა აქვს თურქეთან.
5. ვანო თამაზიზედ უკეთ სწავლობს.
6. არაგვის ხეობისგან თბილი სიო ქროდა.
7. ბაღებში და ვენახებში ბულბულები გალობდნენ.
8. პური ხელით დავგლიჯეთ და ხაში ჩავყარეთ.
9. ბიჭები დიდხანს ბჭობდნენ, როგორ დაეხსნათ ლუკა საპყრობილისგან.
10. ერთხელ ნიკამ ხის ტოტებიდან კარავი გააკეთა.

სავარჯიშო N 28. გაასწორეთ შეცდომები:

1. ამის გამო თბილიშში დიდად არავინ ღელავდა.
2. მოხარშულ კომში უნდა ჩადოთ ქიშმიში და ჰაერღუმელში შეწვათ.
3. ანგარისში მოტყუვდი, ჩემო ეთერი!
4. ძია ნოდარი, ნახე, ჩვენი კნუტი კალათან მოკალათებულა.
5. როცა მოვალ სახში, მაშინ ვილაპარიკოთ ამასზე.
6. სათამაშო დათუნიას თათან პატარა ბურთი ეგდო.
7. ისე ბნელა, რომ თვალთან თითს და თითან თვალს ვერ მიიტან.
8. სუფრაზე ვეფხვისავით ახტა სანიკიძეს ბიძაშვილი.
9. ეს სიტყვები გულში ისარისავით ჩამერჭო.
10. ზრდილობიანათ ილაპარაკე, ამბავი გამოჰკითხე, გადამთიელისავით ნუ მოექცევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარჯიშო N 29. გაასწორეთ შეცდომები:

1. ჩემი დამწვარი ბედიდან უკეთესს არც ველოდი.
2. ყაჩაღებიდან გულგახეთქილმა ოთარამ პატრულს დაურეკა.
3. ამას ქმრიდან დარჩა ორ-ნახევარი ჰექტარი ყანა.
4. მარცხიდან დაზღვეული არავინ არის.
5. ამ ადგილისაგან ფეხი არ მოიცვალო, მალე დავბრუნდები.
6. უნდა ვიფიქროთ საქართველოს წარსულზე, აწმყოზე და მომავალზე.
7. ეს თასი ხიდან გამოთალა ბიძაჩემმა.
8. სახლში და სამსახურში ყველაფერი მისი გასაკეთებელი იყო.
9. რიყის ქვიდან ჩემმა მეზობელმა ულამაზესი გალავანი ააშენა.
10. ტოტებისაგან გულყვითელა ჩიტმა გამოიხედა.

სავარჯიშო N 30. გაასწორეთ შეცდომები:

1. ჩემს გამო არ იდარდოთ.
2. დიდი გამოცდილი მუშაკისავით რომ გამოიდე თავი, არ შეგრცხვა?
3. შვილო, ეს ჩანთა სახლამდი მიმატანინე, მძიმეა.
4. მგონი, ეს ბავშვი შენსკენ გამორბის.
5. დათიკო დაჭრილი ლომისავით ღრიალებდა.
6. ხვალ ქუთაისში და ბათუმსში მზიანი ამინდია მოსალოდნელი.
7. ბურთი სწორედ ჩემს წინ დაეცა.
8. როგორც იქნა, დიდი წვალების შემდეგ მალხაზიმ სოხუმამდი ჩაალწია.
9. შენს მიერ რეკომენდებული წიგნები ვერსად ვიშოვე.
10. — თქვენს შორის ყველაზე უმფროსი მე ვარ, — განაცხადა ეთერმ.

II. ზედსართავი სახელის მართლწერა

◈ *ცნობისათვის:* ზედსართავი სახელი საგნის ნიშან-თვისებას გამოხატავს. მისი კითხვებია: *როგორი? რომელი? სადაური? როდინდელი?*

ზედსართავი სახელი, ჩვეულებრივ, არსებითთან ერთადაა, მაგრამ შეიძლება შეგვხვდეს დამოუკიდებლადაც.

დამოუკიდებელი ზედსართავი სახელი არსებითი სახელის მსგავსად იბრუნვის, არსებითთან ერთად ბრუნების დროს კი გასარჩევია ორი შემთხვევა:

ა) *ხმოვანფუძიან ზედსართავ სახელთა ბრუნება არსებით სახელთან ერთად;*

ბ) *თანხმოვანფუძიან ზედსართავ სახელთა ბრუნება არსებით სახელთან ერთად.*

☞ *გახსოვდეთ!*

- ხმოვანფუძიანი ზედსართავისა და არსებითის ერთად ბრუნებისას, თუ ზედსართავი სახელი წინ უსწრებს არსებითს, ზედსართავი უცვლელი რჩება *(ანკარა წყარო, ანკარა წყარომ..., მწვანე ველი, მწვანე ველმა, მწვანე ველს...)*

- ბოლოთანხმოვნიანი ზედსართავი სახელი არსებითთან ერთად ხმარებისას ბრუნვის ნიშნებს სრულად დაირთავს სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში *(მალალ-ი სახლ-ი, მალალ-მა სახლ-მა, მალალ-ო სახლ-ო);* ნაწილობრივ იკვეცს ნათესაობითსა და მოქმედებითში *(მალალ-ი სახლ-ის, მალალ-ი სახლ-ით);* მთლიანად აქვს მოკვეცილი მიცემითსა და ვითარებითში *(მალალ სახლ-ს, მალალ სახლ-ად).*

სავარჯიშო N 31. აბრუნეთ: მაღალი კაცი, კაბური ღვინო, თეთრი ქუდი, წითელი ვარდი, ლამაზი ხედი.

	მხ.რ.	მრ. რ.
სახ.	მალალი კაცი	
მოთხ.	მალალ-მა კაც-მა	
მიც.	მალალ	კაც-ებ
ნათ.	მალალი	კაც-თ-ა
მოქმ.	მალალ-ით	კაც-თ-ით
ვით.	მალალ	კაც-თ-ად
წოდ.	მალალ-ო	კაც-ნ-ო

სახ.	კახური ღვინო
მოთხ.	ხახურ-მა ღვინო-მ
მიც.	ხახურ ღვინო-ს
ნათ.	ხახურ-ის ღვინო-ის
მოქმ.	ხახურ-ი ღვინო-ი-თ
ვით.	ხახურ ღვინო-ო
წოდ	ხახურ-ო ღვინო-ო.

სახ.	თეთრი ქუდი
მოთხ.	თეთრ-მა ქუდ-მა
მიც.	თეთრ ქუდ-ს
ნათ.	თეთრ-ის ქუდ-ის
მოქმ.	თეთრ-ი ქუდ-ი-თ
ვით.	თეთრ ქუდო-ო
წოდ.	თეთრ-ო ქუდ-ო.

სახ.	წითელი ვარდი
მოთხ.	წითელ-მა ვარდ-მა
მიც.	წითელ ვარდ-ს
ნათ.	წითელ-ის ვარდ-ის
მოქმ.	წითელ-ი ვარდ-ი-თ
ვით.	წითელ ვარდო-ო
წოდ.	წითელ-ო ვარდ-ო.

სახ.	ლამაზი ხედი
მოთხ.	ლამაზ-მა ხედ-მა
მიც.	ლამაზ ხედ-ს
ნათ.	ლამაზ-ის ხედ-ის
მოქმ.	ლამაზ-ი ხედ-ი-თ
ვით.	ლამაზ ხედო-ო
წოდ.	ლამაზ-ო ხედ-ო.

> ☞ *გახსოვდეთ!*
>
> - ნართანიან მრავლობითში ბოლოთანხმოვნიანი ზედსართავი სახელი მხოლოდ ორ ბრუნვაში იცვლება: სახელობითსა და წოდებითში. დანარჩენ ბრუნვებში ფუძის სახითაა წარმოდგენილი.

სავარჯიშო N 32. აბრუნეთ ნართანიან მრავლობითში:

სახ.	მაღალ-ნ-ი	მთა-ნ-ი	კეთილ-ნ-ი	კაც-ნ-ი
მოთხ.				
მიც.				
ნათ.				
მოქმ.	—	—		
ვით.	—	—		
წოდ.				

სავარჯიშო N 33. გაასწორეთ შეცდომები:

1. ლუკას ყოველთვიურ უმფროს ძმის იმედი ჰქონდა.
2. ჩემმა შორეულ ნათესავმა გარეულ ბატის ფიტული მაჩუქა.
3. ლევანი ავალიანი ოცნებობდა მაღალ მწვერვალების დაპყრობაზე.
4. მონადირეებს უყვართ იდუმალი ამბავთა მოყოლა.
5. გუშინ სალამოს კახურ ღვინოთი დავთვერით.
6. დ.კლდიაშვილმა თავის მოთხრობებში იმერელ აზნაურების გაჭირვებული ცხოვრება აღწერა.
7. აკაკი გვეტაძე ლილინით კრავდა თეთრ ვარდების თაიგულს.
8. იმ დროს თბილისში ყველაზე მაღალი შენობად სასტუმრო „ივერია“ ითვლებოდა.
9. ჩვენ ბოლომდე კარგ ამხანაგებად დავრჩით.
10. ინგლისელი ახალგაზრდები ტაშს უკრავდნენ ცეცხლოვანს ქართულს ცეკვებს.

გახსოვდეთ!

თუ ზედსართავი სახელი მოსდევს არსებით სახელს, მაშინ იგი ყველა ბრუნვაში სრულად დაირთავს ბრუნვის ნიშანს.

სავარჯიშო N 34. აბრუნეთ: მწვანე ფოთოლი, ღია ჭა, საინტერესო ამბავი, ცა ულრუბლო, გული კეთილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახ.	მწვანე ფოთოლი
მოთხ.	მწვანე ფოთოლ-მა
მიც.	მწვანე ფოთოლ-ს
ნათ.	მწვანე ფოთოლ-ის
მოქმ.	მწვანე ფოთოლ-ით
ვით.	მწვანე ფოთოლ-ად
წოდ.	მწვანე ფოთოლ-ო

სახ.	ღია ჭა
მოთხ.	ღია ჭა-მ
მიც.	ღია ჭა-ს
ნათ.	ღია ჭა-ის
მოქმ.	ღია ჭა-ით
ვით.	ღია ჭა-ად
წოდ.	ღია ჭა-ო

სახ.	საინტერესო ამბავი
მოთხ.	საინტერესო ამბავ-მა
მიც.	საინტერესო ამბავ-ს
ნათ.	საინტერესო ამბ-ის
მოქმ.	საინტერესო ამბ-ით
ვით.	საინტერესო ამბ-ად
წოდ.	საინტერესო ამბავ-ო

სახ.	ცა ულრუბლო
მოთხ.	ცა-მ ულრუბლო-მ
მიც.	ცა-ს ულრუბლო-ს
ნათ.	ცის ულრუბლო-ის
მოქმ.	ცით ულრუბლო-ით
ვით.	ცად ულრუბლო-ად
წოდ.	ცა-ო ულრუბლო-ო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახ.	გული კეთილი
მოთხ.	გულ-ქ. ხვილ-ქ.
მიც.	გულ-ს ხვილ-ს
ნათ.	გულ-ის ხვილ-ის
მოქმ.	გულ-ით ხვილ-ით
ვით.	გულ-ად ხვილ-ად
წოდ.	გულ-ო ხვილ-ო

◈ ***ცნობისათვის:*** **ზედსართავ სახელს (უპირატესად ვითარებითს) ხარისხის სამი ფორმა აქვს: დადებითი *(დიდი)*, უფროობითი *(უდიდესი)* და ოდნაობითი *(მოდიდო).***

- **უფროობითი ხარისხის მაწარმოებელია უ—ეს თავსართ-ბოლოსართი *(უ-დიდ-ეს-ი, უ-მალლ-ეს-ი).* ოდნაობითს კი მო — ო თავსართ-ბოლოსართი აწარმოებს *(მო-დიდ-ო, მო-მწვან-ო).***
- **-ელ და -ილ სუფიქსზე დაბოლოებული ზოგიერთი ზედსართავი სახელი ხარისხის მაწარმოებელი აფიქსების დართვისას ამ სუფიქსებს კარგავს *(ტკბილი –უტკბესი – მოტკბო, გრძელი — უგრძესი – მოგრძო, სქელი – უსქესი – მოსქო).***
- **ორი ზედსართავი სახელი „წითელი“ და „ყვითელი“ ოდნაობითი ხარისხის წარმოებისას ფუძისეულ ე ხმოვანს იცვლის ა ხმოვნით. გვაქვს წითელი — მო-წითალ-ო, ყვითელი – მოყვითალ-ო** (ნაცვლად მოწითელო, მოყვითელოსი).
- **„კარგის“ უფროობითი ხარისხის ფორმაა უ-კეთ-ეს-ი** (და არა: უკარგესი), **„ცუდისა“ — უარესი** (და არა: უცუდესი).
- **„ფერის“ შემცველი ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები კუმშვადია:** *ვარდისფერი— მოვარდისფრო, ცისფერი— მოცისფრო.*

☞ ***გახსოვდეთ!*** **ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის ფორმებში ორი უ საჭირო არ არის. სწორია:** *უდიდესი (და არა: უუდიდესი), ულამაზესი (და არა: უულამაზესი).*

სავარჯიშო N 35. აწარმოეთ ზედსართავი სახელების ხარისხის ფორმები:

ლამაზი	უ-ლამაზ-ეს-ი	მო-ლამაზ-ო
მწვანე	უ-მწვან-ეს-ი	მო-მწვან-ო
თეთრი	უ-თეთრ-ეს-ი	მო-თეთრ-ო
წითელი	უ-წითელ-ეს-ი	მო-წითალ-ო
მალალი	უ-მალლ-ეს-ი	მო-მალლ-ო
წმინდა	უ-წმინდ-ეს-ი	მო-წმინდა-ო
ჭკვიანი	უ-ჭკვიან-ეს-ი	მო-ჭკვიან-ო
სულელი	უსულელესი	მო-სულელ-ო
მწარე	უ-მწარ-ეს-ი	მო-მწარ-ო

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. რიცხვითი სახელების მართლწერა

◈ ***ცნობისათვის:*** **რიცხვითი სახელი საგნის რაოდენობას, რიგს ან წილს ასნიშნავს. შესაბამისად, გვაქვს რაოდენობითი** *(სამი, ასი)*, **რიგობითი** *(მესამე, მეასე)* **და წილობითი** *(მესამედი, მეასედი)* **რიცხვითი სახელები.**

რაოდენობითი რიცხვითი სახელების მართლწერა

◈ ***ცნობისათვის:*** **რაოდენობითი რიცხვითი** სახელი შედგენილობით ორგვარია: **მარტივი** *(ერთიდან ათამდე, ოცი, ასი, მილიონი)* და **რთული** (ორი ან მეტი ფუძის შეერთებით მიღებული. *მაგ.: თორმეტი < ათ-ორ-მეტი, ოცდაშვიდი და სხვ.).* რიცხვის გამოსახატავად ხშირად რამდენიმე რიცხვითი სახელია გამოყენებული. ისინი ცალ-ცალკე იწერება. მათ **შედგენილ რიცხვით სახელებს** უწოდებენ *(ას ორმოცდახუთი, ხუთი ათას შვიდას ოცდარვა).* ფუძის მიხედვით **ყველა რიცხვითი სახელი თანხმოვანფუძიანია,** გარდა **რვისა** და **ცხრისა ან რვასა და ცხრაზე დაბოლოებული რთული რიცხვითი სახელებისა** *(ოცდარვა, ას ცხრა).* ამას გარდა, გვაქვს გაურკვეველი რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელებიც: **ბევრი, მრავალი, ცოტა.**

☑ **მართებული ფორმაა ნული** და არა— ნოლი.

☞ *გახსოვდეთ!*

- ცალკე აღებული რაოდენობითი რიცხვითი სახელი ისე იბრუნვის, როგორც მსგავსი ფუძის არსებითი სახელი.
- არსებითი სახელის მსაზღვრელად გამოყენებული რაოდენობითი რიცხვითი სახელი ისე იბრუნვის, როგორც მსგავსი ფუძის ზედსართავი სახელი არსებითთან ერთად.
- რაოდენობით რიცხვით სახელს წოდებითი ბრუნვა იშვიათად აქვს, თუმცა არსებით სახელთან ერთად ბრუნებისას რაოდენობითი რიცხვითი სახელი წოდებითი ბრუნვის ფორმით იშვიათად, მაგრამ მაინც გამოიყენება, *მაგალითად: „ორო ჭადარო, წყვილო ჭადარო!“ (გალაკტიონი); „ო, ძვირფასო ოთხო წელიწადო!“ (ილია).*

სავარჯიშო N 36. აბრუნეთ: ერთი, ცხრა, ხუთი ახლი, სამი დღე, რვა ღილილო.

სახ. ერთი ცხრა ხუთი ახლი სამი დღე რვა ღილილო

მოთხ. ერთმა ცხრამ ხუთმა ახალმა სამმა დღემ რვამ ღილილომ

მიც. ერთს ცხრას ხუთ ახალ სამ დღეს რვა ღილილოს

ნათ. ერთის ცხრის ხუთი ახლის სამი დღის რვა ღილილოსი

მოქ. ერთით ცხრით ხუთი ახლით სამი დღით რვა ღილილოთი

ვით. ერთის ცხრის ხუთი ახლის სამი დღის რვა ღილილოსა

წოდ. ერთო ცხრავ ხუთო ახალო სამო დღევ რვა ღილილოვ.

☞ *დაიმახსოვრეთ!*

- „და“-თი შეერთებული რაოდენობითი რიცხვითი სახელები და ასეულების აღმნიშვნელი რიცხვები ერთად იწერება *(ოცდასამი, ოცდათორმეტი, ორასი და ა.შ.).*
- ცალ-ცალკე იწერება რიცხვითი სახელები, რომლებიც შედგება მარტივი ან რთული კომპონენტებისაგან *(ას ოცი, სამას ოცდაცამეტი, ათას შვიდას ორი, სამი ათას ექვსას ოთხმოცდარვა და ა.შ.).*
- ათასეულთა რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები ათასს სახელობითი ბრუნვის ფორმით შეეწყობა ყველა ბრუნვაში *(ორი ათასი კაცი, ორი ათასმა კაცმა და ა. შ.).*
- *მილიონს, მილიარდს* მათი რაოდენობის განმსაზღვრელი რიცხვითი სახელი შეეწყობა როგორც მსაზღვრელი სახელი და იბრუნვის მათთან ერთად საერთო წესის თანახმად *(სამი მილიონი კაცი, სამმა მილიონმა კაცმა, სამ მილიონ კაცს და ა.შ.).*
- სამი და მეტი ნაწილისაგან შემდგარ რთულ რიცხვით სახელებში „*ათასი*“, „*მილიონი*“, „*მილიარდი*“ ფუძის სახითაა წარმოდგენილი, მათი ოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელი სახელობით ბრუნვაში დგას, ბრუნვის ნიშანს კი დაირთავს უკანასკნელი (საზღვრულისწინა) რიცხვითი სახელი.
  სწორია: *ორი ათას ხუთასი, ხუთი მილიონ სამი ათას რვაას ექვსი კაცი.*
- ერთადერთი სწორი ფორმაა *თხუთმეტი* *(მცდარია: ხუთმეტი, თუთხმეტი).*

☞ *გახსოვდეთ!*

- რიცხვით სახელთან არსებითი სახელი ყოველთვის მხოლობით რიცხვში დგას. სწორია: *ათი წიგნი* *(და არა: ათი წიგნები); ბევრი ვაშლი* *(და არა: ბევრი ვაშლები).*

სავარჯიშო N 37. შეცვალეთ ციფრები სიტყვებით. გაასწორეთ სხვა შეცდომებიც:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ჩემს წინაშეა 123 ფირმის შემოთავაზება.
2. შენს სკოლაში თურმე 1235 მოსწავლე სწავლობს.
3. ამ წელს სასკოლო ბიბლიოთეკა 415 წიგნით შეივსო.
4. ჩვენს ქარხანაში სულ 1545 ადამიანი მუშაობენ.
5. ამ წიგნში ბევრი, კერძოდ, 256, ილუსტრაციებია.
6. ჯვარის ულელტეხილი ზღვის დონედან 2379 მეტრ სიმაღლეზედ მდებარეობს.
7. დღეს რაღაც ცოტა საქმეები მაქვს, ჩემს აგარაკზე ხომ არ წავსულიყავი?
8. პირველივე გამოცდაზე ხუთმეტი მოწაფე ჩაიჭრა.
9. ამ ზაფხულს თუთხმეტი წიგნი წავიკითხე.
10. ხეს ძირში ორი ბიჭები ჩამომჯდარიყო.

სავარჯიშო N 38. გაასწორეთ შეცდომები:

1. სამწი დები ხმაშეწყობილად მღეროდნენ.
2. არჩევნებში სამმა მილიონ ხუთიათას შვიდასოთხმოცდახუთმა კაცმა მიიღო მონაწილეობა.
3. შვიდასმა ათასმა კაცმა მოითხოვა ამ კანონის შეცვლა.
4. მანქანაში ხუთი ბიჭები ჩასხდნენ.
5. ვაჟამ უამრავი ტყუილები თქვა.
6. ყრილობაზე ბევრი ახალგაზრდები იყვნენ და ცოტა ასაკოვნები.
7. აქ ორასამდე ასეთი დიდი სახლებია აშენებული.
8. წელს ჩვენს სკოლაში უამრავი სტუმრები მოდიოდნენ სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან.

9. სავარაუდოთ, ეს ამბავი ხუთი მილიონი შვიდას ოთხმოცდა ცხრამეტი წლის წინ მოხდა.
10. ორივე ძმები ცხინვალში ცხოვრობენ.

სავარჯიშო N 39. გაასწორეთ შეცდომები:

ორი ბიჭები, ათი ბავშვები, თორმეტი სტუდენტები, ოცი რვეულები, ასი ჯარისკაცები, ას ოცი მანქანები, ოცდახუთი ქათმები, ბევრი წიგნები, ცოტა მცენარეები, მრავალი საქმეები.

რიგობითი რიცხვითი სახელების მართლწერა

◈ ***ცნობისათვის:*** **რიგობითი რიცხვითი სახელი** იწარმოება რაოდენობითი რიცხვითი სახელის ფუძეზე ***მე-*** თავსართისა და **-ე** ბოლოსართის დართვით *(მე-ორ-ე, მე-ათ-ე, მე-ჩვიდმეტ-ე).* გამონაკლისს წარმოადგენს ***პირველი,*** რომელიც იხმარება ***მეერთეს*** ნაცვლად. ***მეერთე*** გამოიყენება რთულ რიცხვით სახელებში. ***სწორია:*** *ორმოცდამეერთე, ასმეერთე (და არა: ორმოცდაპირველი, ასპირველი).*

- **ყველა რიგობითი რიცხვითი სახელი ხმოვანფუძიანია, გარდა ერთისა** *(პირველი).*
- **ცალკე აღებული რიგობითი რიცხვითი სახელი იბრუნვის, როგორც მსგავსი ფუძის არსებითი სახელი** *(პირველი, პირველმა, პირველს და ა. შ; მეორე, მეორემ, მეორეს, მეორის და ა. შ.).*
- **არსებითი სახელის მსაზღვრელად გამოყენებული რიგობითი რიცხვითი სახელი ისე იბრუნვის, როგორც მსგავსი ფუძის ზედსართავი სახელი არსებითთან ერთად** *(პირველი კლასი, პირველმა კლასმა, პირველ კლასს და ა.შ; მეორე სართული, მეორე სართულმა, მეორე სართულს და ა.შ.).*

სავარჯიშო N 40. აწარმოეთ რაოდენობითი რიცხვითი სახელისაგან რიგობითი:

ორი	მე-ორე	სამი	მე-სამე
ხუთი	მე-ხუთე	რვა	მე-რვე
თექვსმეტი	მე-თექვსმეტე	თვრამეტი	მე-თვრამეტე
ათი	მე-ათე	ოცი	მე-ოცე
თორმეტი	მე-თორმეტე	ოცდახუთი	მე-ოცდახუთე

სამოცდაათი
ას სამი
ორმოცი
ასი
ათასი
ორას ოცდაშვიდი
ორი ათასი
მილიონი
შვიდასი ათასი
ათი ათას ორი
ხუთი ათას ექვსას ოთხი -

ოთხმოცდახუთი
ხუთას ხუთი
სამასი
რვაასი
ხუთი ათასი
ხუთას ოცდაცამეტი
ექვსი ათას სამას სამოცდაშვიდი
შვიდას ორმოცდარვა
ორი ათას ხუთას ოცდაერთი
ცხრაასი ათას ცამეტი
მილიონ ექვსას ერთი

☞ ***გახსოვდეთ!***

- **„და“-თი შეერთებული რიცხვითი სახელებისაგან რიგობითის მაწარმოებელი მოუდის მის მეორე ნაწილს (ერთიდან ცხრამეტამდე):** ***ოცდა-მე-ხუთ-ე, ოცდა-მე-ათ-ე, ორმოცდა-მე-ცხრამეტ-ე).*** *არასწორი ფორმებია: მეოცდახუთე ან მეოცდამეხუთე და მისთ.*

- **ასევე სწორია:** ***ას მეორე, ორას მეათე, ათას მეხუთე*** *და არა: მეასმეორე, მეორასმეათე და მეათასმეხუთე.*

სავარჯიშო N 41. აწარმოეთ რაოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან რიგობითი სახელები და ჩაწერეთ არაბული ციფრებით და სიტყვიერადაც:

ნიმუში:	*რაოდენობითი*	*რიგობითი*
	2 (ორი)	*მე-2 (მეორე)*
	203 (ორას სამი)	*203-ე (ორას მესამე)*

3 (სამი) (მე-3)
5 (ხუთი) (მეხუთე)
16 (ჩვიდმეტი) (მეჩვიდმეტე).
25 (ოცდახუთი) (მეოცდახუთე).
55 (ორმოცდათხუთმეტი) (მეორმოცდათხუთმეტე).
76 (სამოცდათექვსმეტი) (მესამოცდათექვსმეტე).
129 (ას ოცდაცხრა) (ას ოცდაცხრამეტე).

283
405
558
1506
2347
3000
4 876
20 365
98 673
109 367
1 347 995

სავარჯიშო N 42. აბრუნეთ: პირველი, მეთერთმეტე.

სახ.	**პირველი**	**მეთერთმეტე**
მოთხ.		
მიც.		
ნათ.		
მოქ.		
ვით.		
წოდ.		

☞ ***გახსოვდეთ!***

- როცა მაწარმოებელი **მე-** თავსართი თავში მოუდის რიგობით რიცხვით სახელს, ჯერ იწერება **მე-**, შემდეგ **დეფისი** და ბოლოს **სათანადო რიცხვი** *(მე-2, მე-6, მე-18, მე-100).*
- როცა მაწარმოებელი **მე-** თავსართი რთული რიცხვითი სახელის უკანასკნელ ნაწილს მოუდის, მაშინ იწერება **ჯერ რიცხვი, შემდეგ დეფისი და ბოლოს -ე** *(25-ე, 39-ე, 103-ე; 235-ე).*

☑ **„პირველი“ არაბული ციფრით უნდა დაიწეროს ასე: *1-ლი, 1-ლმა, 1-ლს, 1-ლის, 1-ლში და ა.შ.***

სავარჯიშო № 43. გაასწორეთ შეცდომები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. აი, მეოცდაერთე საუკუნეც დადგა.
2. 1 კურსზე უამრავი მეგობრები შევიძინე.
3. ეს ლექსი მწერალის თხზულებათა სრულ კრებულის 12-ე ტომშია დაბეჭდილი.
4. მე და მაიკო მე-28-ე რიგში ვისხედით.
5. სწავლა მე-2-ე და 3-ე კურსზე ძნელია, მაგრამ 4-ეზე შედარებით ადვილი.
6. ამ ფილმის მე-34 სერიას ორშაბათს აჩვენებენ.
7. მხოლოდ 3-ე ცდაზე მოახერხა რამაზიმ სასურველი მწვერვალის დაპყრობა.
8. სამწუხაროდ, ქართველი მოჭადრაკეები ამჯერად 2-ე ადგილს დასჯერდნენ.
9. გიორგიმ მოსწავლეთა ოლიმპიადაზე 1-ი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა.
10. მე-12-ე კლასში ქართულს ნოდარი კორინთელი გვასწავლიდა.

☞ ***დაიმახსოვრეთ!***

- **რიგობითი რიცხვითი სახელების რომაული ციფრებით გამოსახვისას არც თავში და არც ბოლოში რიგობითი სახელის მაწარმოებელი პრეფიქსი ან სუფიქსი არ იწერება! (*სწორია* XIX; მცდარია: *მე-XIX, XIX-ე და მე-XIX-ე).***
- **რიცხვის ციფრით გამოხატვისას ბრუნვის ნიშანი (გარდა სახელობითისა) ციფრს დეფისით გამოეყოფა *(5-მა, 2-ს, 9-ს, IV-მ, XI-ს).***
- **თუ რიგობითი რიცხვითი სახელი არაბული ციფრითაა გადმოცემული, -ე მაწარმოებელი და ბრუნვის ნიშანი ერთად იწერება *(34-ემ, 65-ეს, 23-ით).***
- **ასეთივე წესით დაერთვის რიცხვით სახელს ნაწილაკი -ც, -ცა, -ღა, -ოდე, -ვე) და თანდებულიც *(მე-7-ში, III-ც, 21-ზე).***

- **-ვე ნაწილაკდართული რიცხვითი სახელის ბრუნებისას** გაბატონებულია შეზრდილი სახეობა *(ორივე, ორივემ, ორივეს....)*, შეუზრდელი სახეობა დასაშვებადაა მიჩნეული *(ორმავე, ორსავე, ორისავე)*; უარყოფილია: *ორთავე, ორთავენი, ორთავემ, ორთავეს...*

- **-ოდე ნაწილაკი სახელობითი ბრუნვის ფორმასთან არის შეზრდილი. ბრუნვის ნიშნები და თანდებულები ნაწილაკიან ფორმას დაერთვის:** *ორიოდე, ორიოდემ, ორიოდესათვის და სხვ.*

სავარჯიშო N 44. აბრუნეთ: ოთხივე, სამივე, ორიოდე.

სახ.	ოთხივე	სამივე	ორიოდე
მოთხ.			
მიც.			
ნათ.			
მოქ.			
ვით.			
წოდ.			

სავარჯიშო N 45. გამოსახეთ რიგობითი რიცხვითი სახელები რომაული ციფრებით. გაასწორეთ შეცდომები:

1. წელს აკაკი წერეთელის ოცტომეულის მეხუთე ტომი გამოვიდა.
2. ნინო მეათე კლასში სწავლობს, ნანა — მეთერთმეტეში.
3. პიანისტთა მეშვიდე კონკურსზე ვახტანგი გოგოლაძე პირველი ხარისხის დიპლომით დააჯილდოვეს, ბაქარი ბოტკოველი კი — მეორეთი.
4. ამ ტაძარის მშენებლობა მეფე გიორგი პირველმა დაიწყო.
5. ქართლში ვახტანგი მეექვსეს მეფობის დროს კახეთში თეიმურაზ მეორე მეფობდა.
6. მეფე დავით მეოთხეს „ალმაშენებელს“ უწოდებენ.
7. ამის შესახებ წიგნის მეთუთხმეტე თავში წერია.
8. მე ორთავე ძალიან მიყვარს, ნატოც და დათოც.

9. უნივერსიტეტის სამთავე კორპუსებში სწავლა ერთსა და იმავე დროს იწყება.
10. პირველი კურსის სტუდენტები ტექნიკური უნივერსიტეტის მეექვსე კორპუსის მეოთხე სართულზე შეიკრიბნენ, მეორეკურსელები კი — მეხუთეზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წილობითი რიცხვითი სახელების მართლწერა

◈ ***ცნობისათვის:*** **წილობითი რიცხვითი სახელები იწარმოება რიგობითი რიცხვითი სახელების ვითარებითი ბრუნვის ფორმისაგან** (მეათე-დ > მეათედი). გამონაკლისია **ნახევარი,** რომელიც გამოიყენება **მეორედის** ნაცვლად, იგი უკავშიროდ დაერთვის სახელებს და გამოიყოფა მათგან დეფისით.

- სწორი **ფორმებია:** ***სამ-ნახევარი, საათ-ნახევარი, მეტრ-ნახევარი, თვე-ნახევარი*** *(და არა: სამნახევარი ან სამ ნახევარი, საათნახევარი ან საათ ნახევარი).*

☑ **სწორი დაწერილობაა:** ***სამთვე-ნახევარი, ხუთლარ-ნახევარი, ორკილო-ნახევარი და არა:*** *სამ თვე-ნახევარი, ხუთლარნახევარი, ორკილო ნახევარი.*

- ფორმათაგან **მეორადი** და **მეორეული** ერთადერთ სწორ ფორმადაა მიჩნეული ***მეორეული*** (*მეორადი* მცდარი ფორმაა).

- წილადის გამომხატველი სიტყვები იწერება ცალ-ცალკე. **სწორია:** ***ერთი მეორედი, სამი მეხუთედი, ხუთი მეთორმეტედი*** *(და არა: ერთი-მეორედი, სამი-მეხუთედი, ხუთი- მეთორმეტედი).*

- **ცალკე აღებული წილობითი რიცხვითი სახელი იბრუნვის როგორც მსგავსი ფუძის არსებითი სახელი** *(მესამედი, მესამედმა, მესამედს და ა. შ.).*

- **არსებითი სახელის მსაზღვრელად გამოყენებული წილობითი რიცხვითი სახელი ისე იბრუნვის, როგორც მსგავსი ფუძის ზედსართავი სახელი არსებითთან ერთად** *(მეათედი ნაწილი, მეათედმა ნაწილმა, მეათედ ნაწილს და ა.შ.).*

სავარჯიშო N 46. გახსენით ფრჩხილები და დაწერეთ სწორად:

(მეტრ)ნახევარი, კილო(ნახევარი), (ტონა)ნახევარი, (წუთ)ნახევარი, (ლარ)ნახევარი, (თვე)ნახევარი, (წელიწად)ნახევარი, (დღე)ნახევარი.

სავარჯიშო N 47. აბრუნეთ: მეხუთედი, სამი მეხუთედი, ხუთი მეათედი.

სახ. მეხუთედი სამი მეხუთედი ხუთი მეათედი.

მოთხ.

მიც.

ნათ.

მოქ.

ვით.

წოდ.

სავარჯიშო N 48. აბრუნეთ: ათივე, ცამეტივე, ოცდახუთივე, რვანივე.

სახ. ათივე ცამეტივე

მოთხრ.

მიც.

ნათ.

მოქ.

ვით.

წოდ.

სახ. ოცდახუთივე რვანივე

მოთხრ.

მიც.

ნათ.

მოქ.

ვით.

წოდ.

სავარჯიშო N 49. გაასწორეთ შეცდომები:

1. მე-XII საუკუნეში საქართველო უძლიერესი სახელმწიფო იყო.
2. რა ცოტა სტუდენტები მოვიდა პრეზენტაციაზე?
3. სამი კაცები მდუმარეთ მიუყვებოდნენ აღმართს.
4. შვიდნი ძმა ბევრ კეთილ საქმეებს აკეთებდნენ.
5. საბუთები II-ე სართულიდან მე-III-ზე აიტანე და XX-ე ოთახში მზიას დაუტოვე.
6. დღეს უკვე ორმოცდამეხუთმეტე ადამიანმა გიკითხათ, ბატონო ილია.
7. რატომ იყიდე კილონახევარი კომბოსტო?
8. ერთი-მესამედია მეტი თუ ერთიმეორედი?
9. მე დავიბადე ათას ცხრაას ოთხმოცდა ორ წელს.
10. 1 გზა იყო ბრძოლის, მე-2-ე კი — მშვიდობის.

☞ *გახსოვდეთ!*

- **რიცხვით სახელთა ფუძის გაორკეცებით მიღებული რთული სახელები დეფისით იწერება** *(ორ-ორი, სამ-სამი, ას-ასი).*
- **დეფისია საჭირო მაშინაც, როცა სხვადასხვა რიცხვითი სახელია შეერთებული:** *(ათი-თორმეტი, 10-12, სამოცი-სამოცდაათი, 60-70).*

IV. ნაცვალსახელთა მართლწერა

◈ ***ცნობისათვის:*** ნაცვალსახელი ჰქვია სიტყვას, რომელიც სხვა სახელების ნაცვლად იხმარება გარკვეულ შემთხვევაში. შინაარსის მიხედვით გამოიყოფა რამდენიმე ჯგუფი:

1. **პირის ნაცვალსახელები**: მე, შენ, ის (იგი), ჩვენ, თქვენ, ისინი (იგინი), თავი.
2. **ჩვენებითი:** ეს, ეგ, ის (იგი), ასეთი, ეგეთი, ისეთი, ამნაირი, მაგნაირი, იმნაირი, ამისთანა, მაგისთანა, იმისთანა, ამდენი, მაგდენი, იმდენი.
3. **კითხვითი**: ვინ? რა? რომელი? როგორი? რანაირი? რამდენი? სადაური? როდინდელი?
4. **კუთვნილებითი**: ჩემი, შენი, (ი)მისი, ჩვენი, თქვენი, (ი)მათი, თავისი, თავიანთი.
5. **კითხვით-კუთვნილებითი**: ვისი? რისი? რისა?
6. **მიმართებითი:** ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, რანაირიც, რამდენიც, სადაურიც, როდინდელიც, ვისიც, რისიც, რისაც,
7. **განსაზღვრებითი**: თვით, თვითონ, თავად, თითოეული, ყოველი, ყველა, სხვა.
8. **განუსაზღვრელობითი:** ვინმე, რამე, რომელიმე, როგორიმე, რამდენიმე, ვიღაც(ა), რაღაც(ა), რომელიღაც(ა), როგორიღაც(ა), სადაურიღაც(ა), როდინდელიღაც(ა).
9. **უარყოფითი**: არავინ, ვერავინ, ნურავინ, აღარავინ, ვეღარავინ, ნუღარავინ, არარა (არრა, არა), ვერარა (ვერრა, ვერა), ნურარა (ნურრა, ნურა), არაფერი, ვერაფერი, ნურაფერი, აღარაფერი, ვეღარაფერი, ნუღარაფერი.
10. **ურთიერთობითი**: ერთმანეთი, ერთურთი, ურთიერთი, ერთიმეორე.

☞ ***გახსოვდეთ!***

- I და II პირის ნაცვალსახელები (მე, შენ, ჩვენ, თქვენ) ბრუნვათა მიხედვით არ იცვლება. ოღონდ **მე**-ს მიცემითისა და ნათესაობითის მნიშვნელობით **ჩემ** ენაცვლება *(თანდებულის დართვით: ჩემზე, ჩემთვის, ჩემკენ, ჩემგან და ა. შ.).*

- თანდებულიან I და II პირის ნაცვალსახელებს **ს** არ დაერთვის. **სწორია:** ***ჩემკენ, შენკენ, ჩემ მიერ, ჩემ შესახებ, ჩვენ და თქვენ შუა*** *(და არა: ჩემსკენ, ჩემს მიერ, ჩემს შესახებ, ჩვენს და თქვენს შუა).*

- იმ შემთხვევაში, როცა ორი პირის ნაცვალსახელიდან ერთ-ერთი I პირის **მე** ნაცვალსახელია, იგი პირველ ადგილას დაისმის და ერთადერთი ლიტერატურული გამოთქმაა: ***მე და შენ შორის, მე და მას შორის*** *(და არა: ჩემ და შენ შორის, ჩემ და მას შორის).*

- თუ პირველი პირის ნაცვალსახელი მეორე ადგილზე დაისმის, მხოლოდ ამ შემთხვევაში **მე**-ს შეენაცვლება **ჩემ**. **სწორია:** ***შენ და ჩემ შორის*** *(და არა: შენ და მეს შორის).*

- **მათ** პირის ნაცვალსახელია, **მათი** — კუთვნილებითი. **მათ** იხმარება ზმნასთან ერთად. იგი მოთხრობითი ბრუნვის ნიშანს არ დაირთავს.

  სწორია: *მათ ააშენეს, მათ დაწერეს* *(და არა: მათმა ააშენეს, მათმა დაწერეს),* კუთვნილებითი ნაცვალსახელი **მათი** კი სახელს ახლავს და ბრუნვის ნიშნებსაც დაირთავს. **სწორია:** ***მათმა საქმემ, მათმა მეზობელმა*** *(და არა: მათ საქმემ, მათ მეზობელმა).*

- ნაცვალსახელი **ჩვენგანი** აღნიშნავს ჩვენ შორის ერთ რომელიმეს, **თქვენგანი** — თქვენ შორის ერთ რომელიმეს, **მათგანი** — მათ შორის ერთ რომელიმეს. ამიტომ **სწორია:** ***თითოეული ჩვენგანი, თითოეული თქვენგანი, თითოეული მათგანი*** *(და არა: თითოეული ჩვენთაგანი, თითოეული თქვენთაგანი, თითოეული მათთაგანი).*

- კუთვნილებითი ნაცვალსახელები წინადადებაში მსაზღვრელი სახელებია და წინ უსწრებს საზღვრულს: ***ჩემი*** *სახლი,* ***თქვენი*** *სკოლა და ა.შ.* მსაზღვრელად გამოყენებულ კუთვნილებით ნაცვალსახელებს **მიცემითში ს უნდა დაერთოს. სწორია:** ***ჩემს მეგობარს, შენს ამხანაგს, მათს საქმეს, ჩემს მეგობრად*** *(და არა: ჩემ მეგობარს, შენ ამხანაგს, მათ საქმეს და ა.შ.).*

- კუთვნილებითი ნაცვალსახელები **თავისი და მისი (იმისი)** გამოხატავს მესამე პირის კუთვნილებას, მაგრამ სხვადასხვაგვარად: **თუ საგანი მოქმედი პირის კუთვნილებაა, ითქმის „თავისი“, თუ სხვისი — „იმისი“ ან „მისი“.** *მაგ., ნინომ თავისი წიგნი მაჩუქა (ე.ი. წიგნი ნინოსია); ნინომ მისი წიგნი მაჩუქა (ე.ი. წიგნი ნინოს არ ეკუთვნის, წიგნი სხვისია).*

- განსაზღვრებით და განუსაზღვრელობით, ასევე, რიცხვითი სახელის შემცველ ნაცვალსახელებთან არსებითი სახელი მხოლობითში დაისმის. **სწორია:** ***ყველა კაცი, ვილაც ქალი, იმდენი ბავშვი, რამდენიმე წიგნი*** *(და არა: ყველა კაცები, ვილაც ქალები, იმდენი ბავშვები, რამდენიმე წიგნები).*

- **-მე** ნაწილაკი უმეტესად შეზრდილია ნაცვალსახელებთან (ვინმე, რამე, რომელიმე, რამდენიმე) და ბრუნვის ნიშნები ბოლოს დაერთვის: *ვინმე-მ, ვინმე-ს, ვინმე-ს(თვის), ვინმე-თი, ვინმე-დ.* წოდებითი არა აქვს. ამის პარალელურად დასაშვებადაა მიჩნეული შეზრდილი სახეობა: მიცემითში — **ვისმე,** ნათესაობითში — **ვისთვისმე.** უარყოფილია: *ვისმეს, რასმეს, რაიმეს.*

- **-ღაც(ა)** ნაწილაკდართული ნაცვალსახელებისათვის მრავლობით რიცხვში სწორი ფორმებია **ვილაცები, რაღაცები, რაღაც-რაღაცები** *(და არა: ვილაცეები, რალაცეები).*

- **-ვე** ნაწილაკდართული ნაცვალსახელის (**იგივე**) არსებითთან ერთად ბრუნებისას სახელობითში გვაქვს **იგივე,** დანარჩენ ბრუნვებში **–იმავე.**
  სწორია: ***იგივე, იმავემ, იმავეს, იმავეს(თვის), იმავეთი, იმავედ.*** წოდებითი არა აქვს. შეცდომაა: *იგივემ, იგივეს, იგივეს(თვის), იგივეთი, იგივედ.*

- **ერთი და იგივე** საზღვრულთან ერთად შემდეგნაირად იბრუნვის:

სახ.	**ერთი**	**და**	**იგივე**	**ამბავი**
მოთხ.	**ერთმა**	**და**	**იმავე**	**ამბავმა**
მიც.	**ერთსა**	**და**	**იმავე**	**ამბავს**
ნათ.	**ერთისა**	**და**	**იმავე**	**ამბის**
მოქ.	**ერთი**	**და**	**იმავე**	**ამბით**
ვით.	**ერთ**	**და**	**იმავე**	**ამბად**
წოდ.	—			

სავარჯიშო N 50. ნახეთ, არის თუ არა შეცდომები და გაასწორეთ:

1. შენსკენ რომ შემობრუნდა, სწორედ მაშინ მოვკარი თვალი ჩემს მეზობელს.
2. მათს საქმეებს შთამომავლობა არ დაივიწყებს.
3. მათმა დიდი სახლი აიშენეს გარეუბანში.
4. მათმა დიდმა სახლმა, რომელიც გარეუბანში აიშენეს, ჩემსზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.
5. მათმა დიდი შრომა გასწიეს მიზნის მისაღწევათ.
6. იმათ პირნათლათ მოიხადეს სამშობლოს წინაშე ვალი.
7. იმგენს დიდი სიძნელეების გადალახვა მოუხდებათ.
8. მათ გული აიცრუეს სწავლაზე.
9. ჩემ მეგობარს ანი ჰქვია.
10. ჩემ და შენ შორის დიდი ხანია, ყველაფერი დამთავრდა.

სავარჯიშო N 51. ნახეთ, არის თუ არა შეცდომები და გაასწორეთ:

1. ჩვენ პეტრეს 2008 წლის ივნიშში მძიმე დღები დაუდგა.
2. მთელს დარბაზში იდგა ყავას საამო სურნელი.
3. ხევისბერმა გოჩამ მისი შვილი ხანჯალით განგმირა.
4. მათმა განიზრახეს, თავი არ დაეზოგათ მიზანის მისაღწევათ.

5. მათ რომიდან მოკითხვის ბარათი გამოუგზავნეს მზია ბიცოლას.
6. არაბეთის მეფემ, როსტევანმა, მისი ქალიშვილი ავთანდილს მიათხოვა.
7. მეფე გიორგი მესამემ მისსავე სიცოცხლეში გაამეფა მისი ქალიშვილი, თამარი.
8. ჩვენს თბილისს, ჩვენს უმშვენიერეს დედაქალაქს, გაუმარჯოს!
9. აღელვებული დავითი ლევანისთან მივიდა და იმის კარი კინაღამ შეამტვრია.
10. მათემ თავისი ჯვარი გაისწორა მკერდზე, თითქოს ახლა იგრძნო მისი ძალა და სიმძიმე.

სავარჯიშო N 52. ნახეთ, არის თუ არა შეცდომები და გაასწორეთ:

1. ნანაც იგივეს ამბობდა, რასაც ზურაბი.
2. კესოს ერთიდაიგივე ამბავის სამჯერ მოყოლაც კი არ ეზარება.
3. აქ ვიღაცეები რომ ჭორებს ავრცელებენ, ეს ძალიან გამაღიზიანებელია.
4. ჯერ მე გიამბობ ჩემს შესახებ ყველაფერს, მერე შენ მომიყევი შენს ოჯახზე.
5. მარიამს ამის თაობაზე ვისთანმე ლაპარაკი უნდოდა, მაგრამ ვერ ბედავდა.
6. გაფრთხილებთ, მე აქ ვიღაცეების ჭკუაზე არ ვივლი.
7. თითოეულმა მათთაგანმა ყველაფერი გააკეთა, რომ ჩვენთვის ესიამოვნებინათ.
8. ამ დღეს ყველა ჩვენგანი გრძნობს დიდ სიხარულს.
9. მათი მომავალი ბედი დამოკიდებულია მათივე მონდომებაზე.
10. მათ არც უფიქრიათ, რომ ექსპედიცია ჩაიშლებოდა.

V. მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

◈ ***ცნობისათვის:*** მსაზღვრელი ორგვარია: **შეთანხმებული,** ანუ ატრიბუტული, და **მართული,** ანუ სუბსტანტიური.

- **შეთანხმებული მსაზღვრელი გადმოიცემა ზედსართავი სახელით** *(დიდი სახლი),* **რიცხვითი სახელით** *(ორი კაცი),* **ნაცვალსახელით** *(ჩემი სახლი),* **არსებითი სახელით** *(ექიმი ჭკუასელი)* **და სახელზმნით** *(დაჭრილი ვეფხვი).*

  (შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების შესახებ იხ. ზემოთ: გვ. 37 — 38).

- **მართული მსაზღვრელი არსებითი სახელით არის გადმოცემული და დგას ნათესაობით ბრუნვაში. თუ მართული სახელი უშუალოდ წინ უძღვის საზღვრულს, იგი უცვლელია ყველა ბრუნვაში:** *ხის სახლი, ხის სახლმა, ხის სახლს ....*

- **თუ წყობა ინვერსიულია (შებრუნებული), მსაზღვრელი ბრუნვის ნიშნებს დაირთავს მოთხრობითში, მიცემითსა და წოდებითში, ნათესაობითი და მოქმედებითი კი არა აქვს.**

სწორია: თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძისა (და არა: თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძის).
სწორია: თარგმანმა ბაჩანა ბრეგვაძისამ (და არა: თარგმანმა ბაჩანა ბრეგვაძისმა).
სწორია: თარგმანს ბაჩანა ბრეგვაძისას (და არა: თარგმანს ბაჩანა ბრეგვაძისა).

სავარჯიშო N 53. აბრუნეთ: დედის გული, გული დედისა, ავტორის შენიშვნა, შენიშვნა ავტორისა.

სახ.	დედის გული	გული დედისა
მოთხრ.		
მიც.		
ნათ.		
მოქ.		
ვით.		
წოდ.		

სახ.	ავტორის შენიშვნა	შენიშვნა ავტორისა
მოთხრ.		
მიც.		
ნათ.		
მოქ.		
ვით.		
წოდ.		

რამდენიმე მსაზღვრელის რიგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

☞ *გახსოვდეთ!*

- **როდესაც საზღვრულის წინ დასმულ ორ არაერთგვარ მსაზღვრელთაგან ერთ-ერთი არის რიცხვით სახელი, მეორე—ზედსართავი ან მართული მსაზღვრელი, რომელიც საზღვრულთან ერთად არ გამოხატავს კუთვნილებას, რიცხვითი სახელი პირველ ადგილზე დაისმის.**
  სწორია: *ბევრი წითელი ბურთი, ორი მალალი კაცი* *(და არა: წითელი ბევრი ბურთი, მალალი ორი კაცი).*

- **თუ ზედსართავი ან მართული მსაზღვრელი საზღვრულთან ერთად გამოხატავს კუთვნილებას (მოსწავლის რვეული, მეზობლის ბავშვი), მაშინ რიცხვითი სახელი მეორე ადგილზე დაისმის.**
  სწორია: *მეზობლის სამი ბავშვი, სახლის ორი ფანჯარა* *(და არა: სამი მეზობლის ბავშვი, ორი სახლის ფანჯარა).*

- **თუ არაერთგვარ მსაზღვრელთაგან ერთ-ერთი ნაცვალსახელია, პირველ ადგილს ყოველთვის ეს ნაცვალსახელი იჭერს.**
  სწორია: *ეს სასიკეთო საქმე, ჩემი კარგი მეგობარი* *(და არა: სასიკეთო ეს საქმე, კარგი ჩემი მეგობარი).*

- **თუ ორივე მსაზღვრელი ზედსართავია (ან მიმღეობა)—ერთი ვითარებითი, მეორე მიმართებითი—პირველ ადგილზე ვითარებითი ზედსართავი (ან მიმღეობა) დგება, მეორეზე—მიმართებითი.**
  სწორია: *მოკლე სასაცილო ამბავი, ახალი საარჩევნო კანონი* *(და არა: სასაცილო მოკლე ამბავი, საარჩევნო ახალი კანონი).*

  ◈ ***ცნობისათვის:*** ვითარებითია პირველადი ზედსართავი სახელი: დიდი, შავი, ტკბილი და სხვ. მიმართებითია ზედსართავი, რომელიც ნაწარმოებია სახელის ან ზმნიზედისაგან: ცხენი — ცხენიანი, ჩვენ — ჩვენებური, აქ — აქაური, გუშინ — გუშინდელი და ა. შ.

- **თუ ორივე მსაზღვრელი მიმართებითი ზედსართავია, მეორე ადგილზე, უპირატესად, -ურ სუფიქსით ნაწარმოები ზედსართავი დგება.**
  სწორია: *საერთაშორისო ამხანაგური მატჩი, ხვალინდელი საამური ცხოვრება* *(და არა: ამხანაგური საერთაშორისო მატჩი, საამური ხვალინდელი ცხოვრება).*

- **თუ მსაზღვრელთაგან ერთი შეთანხმებულია, ხოლო მეორე მართული და მართული მსაზღვრელი გამოხატავს საზღვრულის მასალას, წარმომავლობას ან დანიშნულებას, ასეთ შემთხვევაში ჯერ იწერება შეთანხმებული მსაზღვრელი, შემდეგ — მართული.**
  სწორია: *ლამაზი ჩაის ჭიქა, დიდი ოქროს საათი* *(და არა: ჩაის ლამაზი ჭიქა, ოქროს დიდი საათი).*

- **თუ მართული მსაზღვრელი საზღვრულთან ერთად კუთვნილებას გამოხატავს, ასეთ შემთხვევაში შეთანხმებული მსაზღვრელი მათ შუაში უნდა ჩაისვას. სწორია:** ***ბავშვის ძველი ველოსიპედი, ქისტების პატარა სოფელი*** *(და არა: ძველი ბავშვის ველოსიპედი, პატარა ქისტების სოფელი) და მისთ.*

სავარჯიშო N 54. იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები:

1. მაგიდაზე ლამაზი ორი ლარნაკი იდგა.
2. მარის დაბადების დღეზე მეორეკურსელმა სამმა ბიჭმა წითელი ბევრი ვარდები და ყვითელი მიხაკები მოუტანა.
3. სახლს რკინის ორი კარი ჰქონდა.
4. ის ზაფხულის დღეები დიდხანს ახსოვდათ ექსპედიციის მონაწილეებს.
5. სარდაფში ძველი ბავშვების სათამაშოები ჩავიტანე.
6. ქართველი ერთიანი ერი საუკუნეების წინ ჩამოყალიბდა.
7. პარლამენტი დიდხანს მუშაობდა საარჩევნო ახალი კანონის შემუშავებაზე.
8. ავლაბრის პრეზიდენტის რეზიდენციაში გამართული მეგობრული გუშინდელი შეხვედრით ყველა კმაყოფილი დარჩა.
9. ზვიადაური პატარა ხევსურების სოფელში ცხოვრობდა.
10. ქართველების დიდი ისტორია საგმირო მრავალი საქმით დაამშვენეს ჩვენმა თანამედროვეებმა.

VI. სათაურების მართლწერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახსოვდეთ!

- **თხზულების, წიგნის, გაზეთის ან ჟურნალის სახელწოდება, თუ ის ერთსიტყვიანია და სახელობითი ბრუნვის ფორმითაა მოცემული, ისევე იბრუნვის, როგორც საზღვრული, რომელსაც წინ უძღვის შეთანხმებული მსაზღვრელი:**

სახ.	მოთხრობა „ძაღლ-ი“	რომან-ი	„არსენა მარაბდელ-ი“
მოთხ.	მოთხრობა „ძაღლ-მა “	რომან-მა	„არსენა მარაბდელ-მა“
მიც.	მოთხრობა „ძაღლ-ს“	რომან	„არსენა მარაბდელ-ს“
ნათ.	მოთხრობა „ძაღლ-ის“	რომან	„არსენა მარაბდელ-ის“
მოქმ.	მოთხრობა „ძაღლ-ით“	რომან	„არსენა მარაბდელ-ით“
ვით.	მოთხრობა „ძაღლ-ად“	რომან	„არსენა მარაბდელ-ად“
წოდ.	მოთხრობა „ძაღლ-ო“	რომან-ო	„არსენა მარაბდელო“

- **თანდებულიან ბრუნვებში თანდებული ბრჭყალების შიგნით უნდა დაიწეროს. სწორია:** ***მოთხრობა „კაცია-ადამიანში“, მოთხრობა „კაცია ადამიანზე“*** *(და არა: მოთხრობა „კაცია-ადამიან“-ში, მოთხრობა „კაცია-ადამიან“-ზე)*

- **თუ სათაური ნართანიანი მრავლობითითაა გადმოცემული** *(„მთანი მაღალნი“)*, **გადმოცემულია სხვა ბრუნვის (არა სახელობითის) ფორმით** *(„ჰე, მამულო“)*, **თანდებულიანია** *(„ჯანყი გურიაში“)*, **მოცემულია წინადადების *სახით*** *(„გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“)* **ან წარმოდგენილია ზმნის პირიანი ფორმით** *(„ამოდის, ნათდება!“)*, **მაშინ იბრუნვის მსაზღვრელი და თანდებულიც მას უნდა დაერთოს.**

❖ **სწორია:**

სახ.	**ნ. ბარათაშვილის ლექს-ი**	**„ფიქრნი მტკვრის პირზედ“**
მოთხ.	**ნ. ბარათაშვილის ლექს-მა**	**„ფიქრნი მტკვრის პირზედ“**
მიც.	**ნ. ბარათაშვილის ლექს-ს**	**„ფიქრნი მტკვრის პირზედ“**
ნათ.	**ნ. ბარათაშვილის ლექს-ის**	**„ფიქრნი მტკვრის პირზედ“**
მოქ.	**ნ. ბარათაშვილის ლექს-ით**	**„ფიქრნი მტკვრის პირზედ“**
ვით.	**ნ. ბარათაშვილის ლექს-ად**	**„ფიქრნი მტკვრის პირზედ“**
წოდ.	**ნ. ბარათაშვილის ლექს-ო**	**„ფიქრნი მტკვრის პირზედ“**

❖ **სწორია: ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირზედ“** (და არა: ლექს „ფიქრნი მტკვრის პირზედში“); **ლექსში „წამყე ბეთანიისაკენ“** (და არა: ლექს „წამყე ბეთანიისაკენში“ ან ლექს „წამყე ბეთანიისაკენ“-ში).

☑ **ქართულში სათაურის შემდეგ წერტილი არ იწერება!**

სავარჯიშო N 55. იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. პოემამ „ბახტრიონი“ დიდად დააინტერესა ბელგიელი მკვლევარები.

2. ლექსით „განთიადი” აკაკი წერეთელმა გამოხატა მისი პატრიოტული იდეები.

3. გაზეთი „ივერიას“ ფურცლებზე საინტერესო ინფორმაციები იბეჭდებოდა.

4. სამეცნიერო ჟურნალს „გეორგიკა“ საგაზეთო ჯიხურებში ვერ იყიდით.

5. შ. რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსანი“ მრავალი თარგმანი არსებობს ევროპულ და აზიურ ენებზე.

6. ჰაგიოგრაფიულ თხზულება „შუშანიკის წამება“-ში საყურადღებო ისტორიული ცნობებია დაცული.

7. ვ. ფშაველის მოთხრობის „მთის წყაროს“ დასაწყისი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე.

8. პოემით „ალუდა ქეთელაური“ ვაჟამ მკითხველი პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის ურთულეს პრობლემებზე დააფიქრა.

9. საინფორმაციო გადაცემა „მოამბის“ დამთავრებისთანავე პირველ არხზე ტელესერიალ „სახლი ძველ უბანში“ აჩვენებდნენ.

10. ღვაწლმოსილი მსახიობი იხსენებდა, როგორ კითხულობდა ბავშვობაში ლექს „შემოღამება მთაწმინდაზედს“.

სავარჯიშო N 56. იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ფილმ „რაც გინახავს, ველარ ნახავში“ მთავარ როლს სოფიკო ჭიაურელი ასრულებს.
2. გურამ დოჩანაშვილის მოთხრობა „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდაზე“ ქართულის მასწავლებელი ბევრს გვესაუბრა.
3. ჯემალ ქარჩხაძის ნოველა „იგის“-ს კრიტიკოსები მწერალის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად მიიჩნევენ.
4. დრამატურგ შადიმან შამანაძეს ნაწარმოებ „მხოლოდ ერთხელ, ისიც ძილშის“ მიხედვით მოკლემეტრაჟიანი ფილმიც გადაიღეს.
5. ამერიკელმა დიდმა მწერალმა ერნესტ ჰემინგუეიმ პატარა შესანიშნავი მოთხრობისთვის „მოხუცი და ზღვა“ ნობელის პრემია მიიღო.
6. მთავარ როლს სპექტაკლში „კავკასიური ცარცის წრე“ მსახიობი რამაზ ჩხიკვაძე ასახიერებს.
7. ელდარ შენგელაიას ფილმის „ცისფერი მთების“ გადაღებისას არაერთი კურიოზი მომხდარა.
8. გუშინ ო. ჭილაძის რომან „ყოველმან ჩემმან მპოვნელმანის“ პირველი გამოცემა მაჩუქეს.
9. ჟურნალში „XXI-ე საუკუნე“ მრავალი ახალი თარგმანები დაიბეჭდა.
10. ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილ“-ში მწყემსი ქალის ულამაზესი პორტრეტია დახატული.

VII. წარმოქმნილ სახელთა მართლწერა

◈ *ცნობისათვის:* სახელზე სხვადასხვა მაწარმოებლის (აფიქსის) დართვით შეიძლება ახალი შინაარსის სიტყვა მივიღოთ. მაწარმოებელია **თავსართი** (ანუ პრეფიქსი), **ბოლოსართი** (ანუ სუფიქსი), **თავსართ-ბოლოსართი** (ანუ პრეფიქს-სუფიქსი, რომელსაც კონფიქსი ეწოდება).

შინაარსის მიხედვით წარმოქმნილი სახელები შეიძლება იყოს:

1. წარმომავლობის, ანუ სადაურობის, სახელები *(ქართლ-ელ-ი, კახ-ურ-ი).*
2. ქონების სახელები *(შვილ-იან-ი, ღონ-იერ-ი, კლდ-ოვან-ი, მანდილ-ოსან-ი, სამკუთხ-ედ-ი, ლურჯთვალ-ა).*
3. უქონლობის სახელები *(უ-თავ-ო, უ-ბედ-ურ-ი, უ-შიშ-არ-ი).*
4. ხელობის, ანუ პროფესიის, სახელები *(მე-თევზ-ე, მე-ზღვა-ურ-ი).*
5. დანიშნულების სახელები *(სა-ყურ-ე, სა-სკოლ-ო, სა-ფეხ-ურ-ი).*
6. გეოგრაფიული სახელები *(იმერ-ეთ-ი, სა-ბერძნ-ეთ-ი).*
7. წინა ვითარების სახელები *(ნა-ქალაქ-არ-ი, ნა-ჭრილობ-ევ-ი).*
8. აბსტრაქტული სახელები *(მშვიდ-ობა, ბედნიერ-ება, სი-ჭაბუკ-ე).*
9. კნინობით-ალერსობითი სახელები *(დედ-იკო, ნან-უკა, თამ-უნა, წიგნ-აკ-ი, დედოფალ-ა).*
10. -ნარ სუფიქსით ნაწარმოები სახელები *(ნაძვ-ნარი, ბაღ-ნარ-ი).*

- წარმომქმნელ აფიქსთა ფუნქციით ქართულში შეიძლება შეგვხვდეს ბრუნვის ნიშნებიცა და თანდებულებიც *(სახლობ-ით-ი, შინდ-ის-ი, პურ-ად-ი, ჩვენ-გან-ი)*
- საკმაოდ ბევრია უცხოაფიქსიანი სახელებიც *(ჩაი-დან-ი, ყავა-ხანა, ხაზინა-დარ-ი, სოციალ-იზმ-ი, კომუნ-ისტ-ი, ანტი-ქართული, პრო-დასავლური და ა. შ.).*

☞ *გახსოვდეთ!* სახელთა წარმოქმნის დროს **ვ ბგერა არ იკარგება** შემდეგ შემთხვევებში:

- **-ურ** სუფიქსის დართვისას, როცა ძირეული სიტყვა ბოლოვდება **ვ** თანხმოვნით *(დათვი — დათვური, ბავშვი — ბავშვური)* ან როცა ბოლოკიდურ კვეცად ხმოვანს წინ უზის **ვ** *(ლიტვა — ლიტვური).*

  ☑ *გამონაკლისია: მეთაური, სათაური, ნათესაური, ფშაური, მოხეური.*
- **-ოვან** სუფიქსის დართვისას, როცა ძირეული სიტყვის ბოლოკიდურ **ვ**-ს წინ უძღვის თანხმოვანი *(ბეწვი — ბეწვოვანი).*

  ☑ *გამონაკლისია: რიცხვი — მრავალრიცხოვანი.*

- **უ-ო აფიქსის დართვისას,** როცა ძირეული სიტყვა ბოლოვდება **ვ**-ზე *(თავი—უთავო, ნავი–უნავო),* ან ბოლოკიდურ კვეცად ხმოვანს წინ თანხმოვანი უზის *(სიტყვა – უსიტყვო, დავა – უდავო).*

  ☑ *გამონაკლისია: მოძრავი — უმოძრაო.*

- **სა- ო აფიქსების დართვისას** *(ზავი – საზავო, ბავშვი – საბავშვო).*

  ☑ *გამონაკლისია: პატივი – საპატიო, მრეცხავი – სამრეცხაო, კაცობრივი – საკაცობრიო, ნაძლევი – სანაძლეო, საფლავი – სასაფლაო...*

- **-ობა** სუფიქსის დართვისას, როცა ძირეული სიტყვის ბოლოკიდურ **ვ**-ს წინ უძღვის თანხმოვანი *(ბავშვი — ბავშვობა).*

ბიბლიოთეკა

სავარჯიშო N 57. გახაზეთ სწორი ფორმები:

სანაძლევო, მკლაური, უნიავო, უნაო, უქცეო, უკრავო, უტიო, სანავოსნო, სადავო, სამარხვო.

ვ-ს ჩართვა

◈ ***ცნობისათვის:*** *ვ-ს ჩართვა ხდება:*

- **მე – ე** და **სა – ე** აფიქსების დართვისას, როდესაც ძირეული სიტყვის ბოლოს არის **ე** ან **ო** ხმოვანი: *ტყე – მე-ტყე-ვ-ე, ეზო – მე-ეზო-ვ-ე.*
- **სი – ე** პრეფიქს-სუფიქსის დართვისას, როდესაც ძირეული სიტყვის ბოლოს არის **ა** ან **ო** ხმოვანი: *ბრძა – სი-ბრძა-ვ-ე, მარტო – სი-მარტო-ვ-ე.*

☞ **გახსოვდეთ!** **ვ** არ ჩაერთვის **სი-ე** პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოებ **უ** ბოლოხმოვნიანი ძირეული სიტყვისაგან ნაწარმოებ წარმოქმნილ სახელებს: ცრუ – სი-ცრუ-ე (და არა: სიცრუვე).

სავარჯიშო N 58. აწარმოეთ სიტყვები მე – ე და სი – ე აფიქსების დართვით: რძე, ტყე, ეზო, კოხტა, ბრძა, ფართო, ვიწრო, სუფთა, ახლო, მარტო, ყრუ, ბლუ, ცრუ.

VIII. რთული სიტყვების (კომპოზიტების) მართლწერა

ერთცნებიანი კომპოზიტები

◈ *ცნობისათვის:* ერთცნებიანი, ანუ ერთმნიშვნელობიანია, კომპოზიტი, რომლის მნიშვნელობა არ უდრის შემადგენელი ფუძეების მნიშვნელობათა ჯამს. ასეთ შემთხვევაში რთული ფუძის შემადგენელ ნაწილებს შორის და კავშირი არ ჩაისმება.

☞ *დაიმახსოვრეთ! ერთად, უდეფისოდ იწერება:*

- ფუძეგაორმაგებული კომპოზიტები, რომელთა ნაწილების მნიშვნელობა გასაგებია, სიტყვას კი ახალი, სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს *(წამწამი, თავთავი...).*

- ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები, რომელთა ნაწილები მნიშვნელობას-მოკლებული მარცვლებია *(ბაჯბაჯი, ჩიფჩიფი, კაშკაში...).*

- უდეფისოდ იწერება ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები, რომელთა ფუძეში ბგერის შეცვლა ან დამატება ხდება *(ჩხარაჩხური, ქოხმახი, არემარე, ავანჩავანი, კანტიკუნტად...).*

- ერთად, უდეფისოდ იწერება „და“ კავშირით შეერთებული ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები *(სხვადასხვა, პირდაპირ, ხანდახან...),* ასევე, „და“ კავშირით შეერთებული რიცხვითი სახელები 21-დან 100-მდე *(ოცდახუთი, ორმოცდაექვსი...).*

  ☑ *ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ და მხოლოდ, კვლავ და კვლავ, უფრო და უფრო* იწერება ცალ-ცალკე.

- ერთად, უდეფისოდ იწერება ორი სიტყვის შეერთების შედეგად მიღებული კომპოზიტები, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი რთული ფუძის შემადგენელი პირველი ნაწილი *(ჯარისკაცი, ძმისწული, ვარდისფერი, შვილიშვილი, დედინაცვალი, მზეთუნახავი, ავადმყოფი, ქვითკირი, გულკეთილი, ლომგული, გონებამახვილი...).*

- ერთად, უდეფისოდ იწერება, აგრეთვე, მრავალწევრიანი კომპოზიტები *(თავგზააბნეული, თავქუდმოგლეჯილი, წვერულვაშგათეთრებული, თავსაფარწაკრული...).*

- ერთმნიშვნელობიან კომპოზიტებს ქმნის ისეთი რთული სიტყვებიც, რომლებშიც პირველი წევრი ზმნიზედა ან თანდებულია *(ზეგავლენა, ზედამხედველი, შინაყმა, წინდაუხედავი, თანაკლასელი).* ისინი უდეფისოდ იწერება.

- **ერთად, უდეფისოდ იწერება კომპოზიტები, რომლებშიც მსაზღვრელი (კუთვნილებითი ნაცვალსახელი) მეორე ადგილასაა დასმული და ერთად აღებული წარმოადგენს ნათესაობის აღმნიშვნელ სიტყვას** *(დედაჩემი, მამათქვენი...).*

- **ერთად, უდეფისოდ იწერება კომპოზიტები, რომლებშიც ატრიბუტული მსაზღვრელის ფუძე შეზრდილია არსებითი სახელის ფუძეს** *(ქალბატონი, ავდარი, ხარირემი, ბერიკაცი, ახალქალაქი, ლუკმაპური).*

- **ერთად, უდეფისოდ იწერება** <u>**-ა**</u> **სუფიქსდართული ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები** *(ნარნარა, კამკამა, შავტარა, ცისფერთვალება...).*

- **ერთად, უდეფისოდ იწერება ექს-, ჰიპერ-, ჰიპო-, სუპერ-, მინი-, მეგა-, ავტო-, ფსევდო- და მისთ. პრეფიქსოიდიანი სიტყვები** *(ექსპრეზიდენტი, სუპერმარკეტი, მინიფეხბურთი, მეგავარსკვლავი, ავტორბოლა, ფსევდოგმირი (ასევე,* **ფსევდო-***ს ქართული შესატყვისი* ***ცრუ****: ცრუმორწმე, ცრუპატრიოტი...).*

სავარჯიშო N 59. გაასწორეთ შეცდომები:

1. ხევ-ხუვებში უამრავი ხარა-ხურა ჩაუყრიათ უსულ-გულო ტურისტებს.
2. მეგი ღელავდა, რადგან სხვა და სხვა ინფორმაცია მოდიოდა ფრონტიდან.
3. ნათია წარა-მარა საათს უყურებდა, კოტე არ ჩანდა.
4. ჯარისკაცებმა ბრახა-ბრუხით აიარეს წყნეთის ალმართი.
5. ყანაში მომუშავე გლეხს ოფლი წურ-წურით ჩამოსდიოდა.
6. არე მარე გააყრუა უცნაურმა გრუხუნმა.
7. რა უსწორ-მასწორო ზედაპირი აქვს ამ მაგიდას.
8. ჩქარა წავიდეთ, გზა და გზა გიამბობ ყველაფერს.
9. ჩალისფერი დათვი ბაჯ-ბაჯით გამოვიდა ტყიდან.
10. ილიკო აბდა-უბდას ლაპარაკობდა.

სავარჯიშო N 60. გაასწორეთ შეცდომები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ახალ დაქორწინებულები ევროპაში სამოგზაუროდ გაემგზავრნენ.
2. ზაფხულის ცხელი ამინდები შემოდგომის ავ-დარმა შეცვალა.
3. პატარა ანდრო საოცრათ გონება-გახსნილი ბავშვია.
4. გლეხ-კაცი გულ-ამოსკვნილი ტიროდა და მეგობარს თავის გულის ნადებს უზიარებდა.
5. ეს ლომ-გული ვაშკაცი ცნობილი თავადი-შვილის ვაჟი შვილი იყო.
6. ლოყებ ღაჟღაჟა რაინდი იარაღ-ასხმული გამოცხადდა ბრძოლის ველზე.
7. გაიცანით, ეს ყმაწვილი კაცი ჩვენი ახალი თანა-მშრომელია.
8. დიდია ჩვენი ზედა-მხედველის ზე-გავლენა თავის ხელ ქვეითებზე.
9. იგი ნამდვილი ზე-კაცი იყო.
10. წიგნის წინა-თქმაში ავტორი საუბრობს თავისი ნაშრომის დედა აზრზე.

სავარჯიშო N 61. გაასწორეთ შეცდომები:

1. პაპა-ჩემი და მამიდათქვენი თანა-კლასელები ყოფილან.
2. დიდედა ჩვენი მეტის მეტად ჭკვიანი და ენა მახვილი ქალი იყო.
3. ბოლოსდაბოლოს, როდის გვესტუმრებიან ბიძა შენი და ბიცოლა-შენი?
4. როგორი შრომის მოყვარე და ერთ-გული ქალია ვერიკო!
5. ვახტანგის თავის მეზობელი დიდი მხედართ-მთავარი ეგონა.
6. თმა ჭაღარა მღდელთ მთავარმა ბავში სიონში მონათლა.
7. ელენე ქმარ-შვილიანი ქალი ყოფილა, მე კი შინა-ბერა მეგონა.
8. ამირანს ფოთის ნავ-სადგურში თავისი ძმად ნაფიცი შეხვდა.

9. თავ-გზა-არეული გიორგი გულ ჯავრიანი დაეხეტებოდა ლუკმა პურის საშოვნელათ.

10. ქალაქის მერმა თანა-მოქალაქეებს რკინის გზის სადგურიდან 300 ოდე მეტრში ახალი სუპერ მარკეტის მშენებლობის დაწყების შესახებ აუწყა.

სავარჯიშო N 62. გაასწორეთ შეცდომები:

1. შუა დღემდე თავ-აუღებლად იმუშავეს თეამ და ნათიამ.
2. ასეთი გულ-წრფელი თანა-დგომა ჩემთვის არავის გაუწევია.
3. ბოდიშს გიხდით, მაგრამ ამ მრავალ ტომეულის წინა-სიტყვაობაში ამის შესახებ არაფერი წერია.
4. წესიერად მოიქეცით, ბავშვებო, გემ-ბანზე მარტო ხომ არა ხართ?
5. თავ-ზარი დამეცა, როცა შენი თავ-გადასავალი გავიგე.
6. ვარდის ფერ სამოსში გამოწყობილი ქალი ფეხ მორთხმით იჯდა ქვა-ფენილზე.
7. ნოდარ-მანგარიშ მიუცემელათ ჩაასხა ნავთი ნავთ-ქურაში.
8. ბერიკაცი კვლავ ხუროთ მოძღვრობაზე ოცნებობდა.
9. ჩვენს ულვაშებ გადაპრეხილ ნოშრევანს, საბედნიეროდ, ბედის წერამ ვერა-ფერი დააკლო.
10. ამ ზღვის პირა ქალაქში უამრავი ღირსეული მამული-შვილი ცხოვრობს.

სავარჯიშო N 63. გაასწორეთ შეცდომები:

1. ლელამ ბებიის დანატოვარი ქინძის თავი იასამნისფერი კაბის გულის პირზე დაიბნია.
2. ცხვირ-პირ ახვეული ჭაღარა კაცი ორღობეში კოჭლობით მიდიოდა.

3. თმაგათეთრებულ შუახნის ქალს დრო და დრო უსიამოვნო ფიქრები ეძალებოდა.

4. კაშკაშა მთვარე არე-მარეს ანათებდა.

5. თავსაფარ წაკრულ ქალები მთელ დღეს ლაქლაქს ანდომებდნენ.

6. დილის რიჟრაჟს ღამის ბინდბუნდი გაეფანტა.

7. ერეკლეს ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა ბერმონაზვნურ ყოფაზე და თავ დაუზოგავად ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი გაეგო.

8. „ჩემი სოფელი რაჭის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს," —უთხრა ვახტანგ მლევანს და გულთბილად გაუღიმა.

9. —არ მოგბეზრდა წარამარა ერთი და იგივეს ლაპარაკი?— შეჰყვირა მოთმინება დაკარგულმა რევაზმა.

10. ლაშა და სანდრო დღეს და ღამ მაღალმთიანი რეგიონების ეკონომიკური განვითარების გეგმაზე მუშაობდნენ.

სავარჯიშო N 64. გაასწორეთ შეცდომები:

1. ჩემი სოფლის თავში თეთრი ციხეკოშკი დგას.
2. კოშკი თავ-ჩამორღვეულია და ხავს დადებული ლოდები ბლომადაა ყრია ირგვლივ.
3. ციხის გალავანს ჯერაც ატყვია, ალყაშიჩამდგარ მოიერიშე მტერს ხმლები ზედ რო ულესავს.
4. ერთხელ, ბრძოლა რომ გათავებულა, ჩვენებს, თურმე, ნიჩაბით უხვეტიათ ტყვია-წამალი გალავნის გარშემო, იმდენი უსვრია მტერს.
5. ჩემ ბალღობაშიდე მსმენია, თურმე, ღამ-ღამობითთ, ცის-კრის ვარსკლავის ამოსვლამდის, თმა-ჭაღარა მანდილოსანი ჩამორბის ამ ციხიდან.

6. იგი ვიღაცას შორიდან მკაცრად ეძახის: არ გაბედო მოსვლა, სირცხვილიანო, არ მომეკარო!
7. თითქოს ამ დროს საიდანღაც ვიღაც ხმალამოღებული აბჯრიანი ვაჟკაცი გამოვარდება, თავ-ქუდ-მოგლეჯილი.
8. იგი უცბად შეჩერდება და ქალს შორიდან მიაძახებს: ან შევაკვდები, ან მოგივალ სახელიანი!
9. შუაღამეა სოფელში.
10. სიჩუმეს მხოლოდ ჭრიჭინობელის დამღლელი ჭრიჭინი და ურმის თვალების რახა-რუხი არღვევს.

მრავალცნებიანი კომპოზიტები

◈ ***ცნობისათვის:*** მრავალცნებიანია კომპოზიტი, რომლის მნიშვნელობა უდრის შემადგენელი ფუძეების მნიშვნელობათა ჯამს *(დედ-მამა, ცოლ-ქმარი, რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთი).*

☞ *გახსოვდეთ!*

- ორ- და მეტცნებიანი კომპოზიტის ნაწილებს შორის შეიძლება „და“ კავშირის ჩასმა.
- ყველა ორ- და მეტცნებიანი კომპოზიტი იწერება დეფისით.

დეფისით იწერება:

- რთული სიტყვები, რომლებიც მიღებულია მნიშვნელობის მხრივ ერთმანეთთან დაკავშირებული ფუძეების გაერთიანებით *(დედ-მამა, და-ძმა, ოქრო-ვერცხლი, ქართლ-კახეთი).*
  - სინონიმური მნიშვნელობის რთული სახელები *(სიცილ-კისკისი, ბედ-იღბალი, ძალ-ღონე).*
  - ანტონიმური მნიშვნელობის რთული სიტყვები *(დიდ-პატარა, სიკვდილ-სიცოცხლე).*
- რიცხვითი სახელების ფუძის გაორკეცებით მიღებული კომპოზიტები *(ორ-ორი, სამ-სამი).*
- ფუძეგაორკეცებული ზედსართავები *(ცხელ-ცხელი, პატარ-პატარა).*

- **სახელის ფუძის გაორკეცების შედეგად მიღებული ბრუნვის ნიშნის უქონელი ზმნიზედები** *(ტყე-ტყე, მინდორ-მინდორ, ქუჩა-ქუჩა).*

- **ერთი და იმავე ფუძის მქონე, მაგრამ ზმნისწინით განსხვავებული რთული ზმნები** *(აივლ-ჩაივლის, მიიხედ-მოიხედა)* **ან სხვადასხვა ფუძის მქონე გაერთიანებული ზმნები** *(გააცივ-გააცხელა, გაათეთრ-გააშავა).*

- **შერწყმული დანართი, რომლის პირველი წევრი ფუძის სახითაა წარმოდგენილი** *(პრემიერ-მინისტრი, წევრ-კორესპონდენტი, ექიმ-სტომატოლოგი, ინჟინერ-მშენებელი, სახლ-მუზეუმი, ტელეფონ-ავტომატი...).*

- **უცხოური ვიცე- პრეფიქსით და ქართული ვაი- პრეფიქსით დაწყებული კომპოზიტები:** *ვიცე-პრეზიდენტი, ვიცე-მერი, ვაი-მეცნიერი, ვაი-კრიტიკოსი.*

- **კუთვნილებითი კომპოზიტები**
  - **კუთვნილებითი კომპოზიტები, შემადგენელ ფუძეთა რაოდენობის მიუხედავად, ერთად იწერება** *(მაღალქუსლიანი, ხუთსართულიანი, ნაბდისქუდიანი, ლამაზკაბიანი).*
  - **თუ კუთვნილებით კომპოზიტს წინ უძღვის -ზე ან -ში თანდებულის მქონე ადგილის გარემოება, ასეთ შემთხვევაში უნდა დავწეროთ ორი სიტყვა** *(თავზე ხელაღებული, ბალიშში თავჩარგული).*
  - **თუ კუთვნილებითი კომპოზიტის პირველი ნაწილი რიცხვითი სახელია, რომელიც ციფრით (ან რაიმე სიმბოლოთი) არის წარმოდგენილი, მომდევნო სახელს იგი დეფისით დაუკავშირდება** *(5-ადგილიანი, X-უცნობიანი, 20-თეთრიანი).*

☞ ***გახსოვდეთ!***

თუ ორმნიშვნელობიან დეფისიან კომპოზიტს სიტყვის საწარმოებელი აფიქსი დაერთვის, მისგან ნაწარმოები ახალი სიტყვა ერთად (უდეფისოდ) დაიწერება *(და-ძმა, მაგრამ* ***დაძმური****; ცოლ-შვილი, მაგრამ* ***ცოლშვილიანი****).*

☑ *ზოგჯერ სიტყვის მნიშვნელობა დამოკიდებულია კომპოზიტის მართლწერაზე. მაგალითად: ხარ-კამეჩი (= ხარი და კამეჩი), ხარკამეჩი (= მამრობითი სქესის კამეჩი); ცოცხალ-მკვდარი (= ცოცხალი და მკვდარი), ცოცხალმკვდარი (= სიკვდილის პირას მყოფი).*

სავარჯიშო N 65. გაასწორეთ შეცდომები:

1. რძალ-მულმა თუშ-ფშავ-ხევსურეთის ამბები გაიხსენა.
2. სიძ/სიმამრმა მოულოდნელი სტუმრობით დედა-შვილი მეტად გააოცა.

3. — შენ რას გაიგებ, რა გრძნობაა დედა-შვილობა, — უთხრა ჭრელჭრელ კაბაში გამოწყობილ ნათიას გუშინ წინ ანიკო დეიდამ.

4. ბედნიერი სიძეპატარძალი შინ სოსომ მიიყვანა.

5. — რას დაეხეტები ქუჩა-ქუჩა, წადი, ხელი გაანძრიე, იქნებ ორიოდე კაპიკი იშოვო! — გაუძახოდა ლოყებ ჩაცვენილი დედაბერი ახალგაზრდა კუნთ მაგარ კაცს.

6. მუხლებში თავ-ჩარგული ნინო 3 უცნობიანი განტოლების ამოხსნას ცდილობდა.

7. ქალვაჟმა ჯერ ტყვე-ტყვე იარა, შემდეგ კი ჩქარ-ჩქარი ნაბიჯით ნაპირ-ნაპირ გაუყვა მდინარეს.

8. ლადოს, სკვერ გამწარებულ ცოლ-შვილიან კაცს, დედაქალაქში აღარაფერი ესაქმებოდა.

9. მაღალ სართულიანი სახლების დანახვაზე შავ-ჩოხიანი, ნაბდის-ქუდიანი მოხუცი ერთ-ხანს კიდევაც დაიბნა.

10. მაღლიდან წაწვეტებულ-სახურავიანი კოშკები და ნისლიანი მთები გადმოგვყურებდნენ.

სავარჯიშო N 66. გაასწორეთ შეცდომები:

იყო ერთი ღარიბ-ლატაკი, მაგრამ დიდი ძალ ღონის-მქონე კაცი. შიშველ-ტიტველი დადიოდა, კარგი სიტყვა-პასუხი იცოდა. ქართლ კახეთი, ტაო-კლარჯეთი და მესხეთ-ჯავახეთი ფეხ და ფეხ ჰქონდა მოვლილი. წერა-ჟითხვა არ იცოდა, მაგრამ ბაზარში აივლ-ჩაივლიდა, გაძვრებ-გამოძვრებოდა, ეზო-ეზო, სოფელ-სოფელ და შუკა-შუკა ივლიდა, რამე საქმეს გააკეთებდა და ორ-ორ და სამ-სამ ლარს კი იშოვიდა. ჭრელჭრელი და ფერად-ფერადი ტან-საცმელი ეცვა-ხოლმე,

ჩქარჩქარი სიარული იცოდა და სხაპა/სხუპით ლაპარაკობდა. ლამაზლამაზი, მაღალ-მაღალი, თხელ-თხელი კაცი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარჯიშო N 67. გაასწორეთ შეცდომები:

1. თამაზიმ ღილინღილინითა და ბრახა-ბრუხით ჩაირბინა კიბე.
2. ჩემ მეგობარს ჯარისკაცის ფარაჯა ეცვა.
3. ნინო, შენი და-ძმა ალარ აპირებს კოჯორში ჩამოსვლას?
4. კოტეს მხარბეჭი ამშვენებდა, ლადო კი დაბალ/დაბალი და უმხარბეჭო იყო.
5. — ისე დაგბეჟავთ, ცხვირპირს გაგიერთიანებთ,— ეხუმრებოდა პეტრე ბიჭებს.
6. ამ კაცზე ამბობდნენ, დიდი უცხვირ-პირო და უავკარგო ვინმეაო.
7. დავით, წვერულვაშს გაუფრთხილდი, ხომ იცი, ნამუსიანი კაცი სწორედ წვერულვაშიანი უნდა იყოს!
8. ეს პურმარილი ლალის ნაცნობ-მეგობრების მოტანილია.
9. ზაზას თავისი ტყის-პირა სახლის აშენებაში ტოლამხანაგები დაეხმარნენ.
10. მიხაკო უცოლშვილო მარტოხელა კაცია.

სავარჯიშო N 68. გაასწორეთ შეცდომები:

1. ეკამ შორიდანვე დაინახა ღამე ნათევი და ცრემლ გამშრალი დედამისი.
2. შ. რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ 16 მარცვლიანი შაირით არის დაწერილი.

3. რა უნდა ქნას, შიშველტიტველი დარჩა, მთელი სარჩოსაბადებელი დაკარგა.
4. პირველ კურსელი ავთო უნივერსიტეტის დერეფანში ამაყად, ქვეყნის ბატონპატრონივით გადიგამოდიოდა.
5. ეშმაკურად თვალებ მოჭუტული თეა ფუსფუსით მიმოდიოდა ოთახში.
6. მიწაყრილზე ყურებ აცქვეტილი და კბილებ დაკრეჭილი ძაღლი ილრინებოდა.
7. დაბნეული, გულამღვრეული წვერულვაშიანი დევკაცი ზევით-ქვევით დადიოდა.
8. ნელნელა გათენდა და მზის კაშკაშა სხივებმა გაანათა დედამიწა.
9. მწვანე თვალება მზიას ამ რახარუხზე გაელვიძა.
10. ოხვრაკვნესა რას გვიშველის, ჩქარჩქარა ვიაროთ, ქარბუქია მოსალოდნელი!

*** სავარჯიშო N 69. გაასწორეთ შეცდომები. დასვით სასვენი ნიშნები:**

თამაზიმ უცხოეთიდან თბილიში მიმავალ მეგობარს ქუთაიშში მცხოვრებ ბიძაშვილთან წერილი გამოატანა: ბიჭო გურამი ძალიანი მომენატრე, ამ დღებში ჩამოვალ საქართველოში და წევიდეთ თბილისში, ჩემ კლას მინდა შევხთე. თვები კვირეები და დღები ისე გადის რო ჩვენიანს ვერავის ვერ ვხედავ. ბევრი რამე მომენატრა: ჩვენებური ატამის ჩაკბეჩა მომინდა, ყურძენის შეჭმა ალუბალით პირის ჩატკბარუნებას რა ჯობია

იცი გურამი კიდო რა მომაგონდა? ჩვენი ფანჯარის პატარა სარკმელი გამახსენდა. ამ სარკმელის გაღება ცოტა ძნელი იყო. ვახტანგიმ და აკაკმა ვერაფრით ვერ ისწავლეს მისი გახსნა. კიდო შ. რუსთაველის ძეგლი გამახსენდა, ისე, ი. ხუცეს რატო არ უდგავენ ძეგლს

გახსოვს შ.რუსთაველის პროსპექტზე შენი ყურშა რო დევინახეთ? ყურშა, ყურშა! გამოვეკიდეთ და სად გაუჩინარდა ის ყურებ აცქვეტილი ძაღლი ველარ დევინახეთ

თფილისის ქუჩებში სულ ორ ორი და სამ სამი დავდიოდით. მე შენ და ლევანი. ათასცხრაას ორმოცდათვრამეტში მე დავიბადე, ათას-ცხრაას ორმოცდა თუთხმეტში ლევანი. მე მე-2-ე კლასში რო წამიყვანეს მაშვინ ლევანი მე-6-ე კლასში იყო და სწორეთ იმ დღიდან დავძმაკაცდით. მერე ის მე-X-ე სკოლაში გადაიყვანეს და იშვიათად ვხედავდი. მის სახლამდე ასე კილომეტრნახევარი იქნებოდა. ერთხელ დედა ჩემმა ორნახევარი კილო ბალი მიყიდა სამნახევარი ლარი მომცა და ბევრი კანფეტები. მითხრა, სამი ბიჭები წადით ლევანისთანო. ოთხთავე წავედით. მათმა ძაან გეიხარენ ლევანის ნახვით. ამგენის სიხარული მეც გადმომედო. ლევანის მისი უბედურება არ ეყოფოდა, რო ეხლა ამათ თავისი უბედურება არ მეეყოლათ? მარა ლევანი მათ სახელს ძაან უფრთხილდება, თვითოეული მათთაგანი მისთვის ძვირფასია.

რაებს ბოდავენ ხოლმე ეს ბიჭები, რა ბავშურ სისულელეებს ყვებიან. არა, სადაო და საეჭო არაფერია. ჩვენ ყველა კარქი მეგობრები ვართ.

გახსოვს, როგორ გვიყვარდა ფშავური და მოხევური ხინკალი. არა ძაან უთავურები ვართ თვარა ხინკალის გაკეთებას რაღა უნდა?

ხან და ხან გამახსენდება ჩემი სახლ კარი, ავლუღლუღდები, გულ-გაგლეჯილი ქუჩა ქუჩა დავდივარ და ნაცნობ სახეებს ვეძებ. უკვე წვერ-ულვაშ-გათეთრებული კაცი ვარ, სულ ასე გულ-ამოსკვნილმა უნდა ვიტირო?

პაპა ჩემი და მამიდა-ჩემი გამახსენდენ. მაღალ-მაღალი, ხმელხმელი მოხუცები იყვნენ. კიდევ ბევრი ვილაცეები მენატრებიან. ეჰ რამდენი რამე მახსენდება, რა კარქი იყო ახალ-გაზრდობა!

შენი თამაზი ხელაძე

IX. ზმნების მართლწერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

◈ *ცნობისათვის:* ზმნა ჰქვია მოქმედების ან მდგომარეობის გამომხატველ სიტყვას. ზმნა ორგვარია: პირიანი (წერს) და უპირო (წერა).

პირიან ზმნას წინადადებაში შემასმენელი ჰქვია.

- *ზმნა იმდენპირიანია, რამდენი პირის ნაცვალსახელიც შეეწყობა მას ერთდროულად.*
- *ზმნის პირი ორგვარია: სუბიექტური და ობიექტური. სუბიექტური მოქმედი პირია, ობიექტური — სამოქმედო. პირი სამია: პირველი, მეორე, მესამე.*
- *პირიან ზმნას რიცხვის ორი ფორმა აქვს: მხოლობითი და მრავლობითი.*

სავარჯიშო N 70. ალნიშნეთ რამდენპირიანია და რომელი პირები შეეწყობა შემდეგ ზმნებს:

აშენებს	წუხს	ბრწყინავს
დგას	უყურებს	ვადასტურებთ
ეალერსება	ცურავენ	შესდგომია
ჰკითხა	ეგდო	გადმოჰყურებს
დატკბნენ	ვუვლიდით	დავტოვეთ
დახატეს	ანგრევ	გამომიტანა
ემალებიან	შეჭამა	ასრულებდნენ
დაუხატა	აფერადებდა	გიცდიან
ჭრიან	დაუსრულებია	ვცხოვრობ
გააკეთეთ	აშრიალებდნენ	მოჰფენოდა

სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები

მხ. რ.	მრ.რ.
1. ვ—————————————	1. ვ————————————თ
2. ხ, (ჰ, ს), Ø ————————	2. ხ, (ჰ,ს), Ø ————————თ
3. ————————————ს, ა, ო	3.————————ენ, ნენ, ან, ნ, ეს.

◈ *ცნობისათვის:*

- სუბიექტური მეორე პირის ნიშნად **ხ** გვაქვს ორიოდე ზმნაში: ხ-არ, მო-ხ-ვალ, წა-ხ-ვედ-ი.
- 9 თანხმოვნის (დ,თ,ტ, ძ,ც,წ, ჯ,ჩ,ჭ) წინ იხმარებოდა **ს** პრეფიქსი, ბ,ფ,პ, გ,ქ,კ, ყ თანხმოვნების წინ კი – **ჰ**.
- ხმოვნებისა და დანარჩენი თანხმოვნების წინ სუბიექტური II პირის ნიშანი არ გვხვდება.
- თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით სუბიექტური მეორე პირის **ს-** და **ჰ-** ნიშნების გამოყენება სავალდებულო არ არის, თუმცა, მათი გამოყენება არ ითვლება შეცდომად: *(ტირი/სტირი; თქვი/სთქვი; მოკალი/მოჰკალი....* მათგან უპირატესობა უნდა მიენიჭოს უნიშნო ფორმებს).

☞ *გახსოვდეთ!*

- თუ ზმნის ფუძე **ვ** თანხმოვნით იწყება, პირველ სუბიექტურ პირში ორი **ვ** უნდა დაიწეროს *(ვვარჯიშობ, ვვარცხნი, ვვაჭრობ).* ერთი პირის ნიშანია, მეორე — ფუძისეული.
- I სუბიექტური პირის ნიშანი **ვ** ზმნაში იწერება **უ** და **ო** ხმოვნების წინაც *(ვუწერ, ვოშობ, დავობლდი, გავოცდი).*

სავარჯიშო N 71. გაასწორეთ შეცდომები:

1. გიორგი რომ არ მომესალმა, მეწყინა და გაოცდი.
2. ამას რას მოვესწარი, ეს რა დღეში ჩავარდი, მე საწყალი!
3. მაშინვე დამავიწყდა ჯავრი და მწუხარება და ზეზე წამოვარდი.
4. სკამზე უხერხულათ დავჯექი, თავი ვერ შევიკავე, გადმოვარდი და იატაკზე დავეცი.
5. ჩემ მდგომარეობას კარგად რომ დაუკვირდი, მივხვდი, მეტი ალარ შემიძლია, ალარ ვიცი, რა წყალშიდ ჩავარდე!
6. ვეცი კარეფს და გარეთ გამოვარდი.
7. თავს არ ვზოგავდი, ბევრს ვარჯიშობდი, გული მწყდებოდა, პატარა ტანის რო ვიყავი.
8. მე ჩემ პატარა დას თმას ვარცხნიდი ხოლმე.
9. არ მეგონა, თუ მოვიდოდა, ძლიერ გაოცდი, როცა ლელა ეზოში დავინახე.

10. ღამ-ღამობით აქ ვაჭრობ ხოლმე და დილაობით კი სახლში მივდივარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

☞ *გახსოვდეთ!*

-თ სუფიქსი მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი ნიშანია ზმნებში და ამიტომ სახელებში ან მყარ გამოთქმებში მისი გამოყენება ზედმეტია. სწორია: *ბოდიში, კარგი, თქვენი ჭირიმე* და არა: *ბოდიშით, კარგით, თქვენი ჭირიმეთ* და მისთ. ფორმები.

☑ **სწორია *გამარჯობა*, მაგრამ დასაშვებია *გამარჯობათ!***

ობიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები

◈ *ცნობისათვის:* **ობიექტური პირი ორგვარია: პირდაპირი და ირიბი.**

- **პირდაპირია ობიექტი, რომელიც ბრუნვას იცვლის.** I სერიის მწკრივებთან ის მიცემით ბრუნვაშია (კითხვაზე **რას შვრება?** მიუგებს **მიცემითი ბრუნვის** ფორმით. მაგ., *ხატავს ის **მას** (კაცი სურათს)*, ხოლო II სერიის მწკრივებთან — სახელობითში (კითხვაზე **რა ქნა?** მიუგებს **სახელობითი ბრუნვის** ფორმით. *დახატა მან **ის** (კაცმა სურათი).*

- **ირიბი ობიექტი ბრუნვაუცვლელია. ის ყოველთვის მიცემით ბრუნვაში დგას.** *ემალება ის **მას** (ბავშვი დედას), დაემალა ის **მას** (ბავშვი დედას).*

- **თუ ზმნას პირდაპირი ობიექტური პირი ეწყობა, ის გარდამავალია** *(ხატავს ის **მას**, დახატა მან **ის**).* **თუ ზმნა ასეთ პირს არ შეიწყობს, ის გარდაუვალია** *(ემალება ის **მას**, დაემალა ის **მას**).*

პირდაპირი ობიექტური პირის ნიშნები

მხ.რ.	მრ.რ.
1. მ - - - - - - - - - -	1. გვ - - - - - - - - -
2. გ - - - - - - - - - -	2. გ - - - - - - - - - თ
3. - - - - - - - - - -	3. - - - - - - - - - -

☞ **გახსოვდეთ! პირდაპირ ობიექტურ III პირს ნიშანი არ უნდა.**

ირიბი ობიექტური პირის ნიშნები

მხ.რ.	მრ.რ.
1. მ - - - - - - - - - -	1. გვ - - - - - - - - -
2. გ - - - - - - - - - -	2. გ - - - - - - - - - - თ
3. ჰ, ს, Ø - - - - - - -	3. ჰ, ს, Ø - - - - - - - (თ)

☞ *გახსოვდეთ!*

- თუ ზმნის ფუძე **მ** თანხმოვნით იწყება, პირველი ობიექტური პირის მხოლობით რიცხვში ორი **მ** უნდა დაიწეროს *(მმალავს, მმართებს, მმართავს).*
- ორი **გვ** იყრის თავს პირველი ობიექტური პირის მრავლობით რიცხვში, თუ ზმნის ფუძე იწყება **გვ** თანხმოვნით *(გვგვრის, დაგვგვიანებია).*
- ორი **გ** უნდა დაიწეროს, როცა **გ** თანხმოვნით დაწყებულ ფუძეს დაერთვის მეორე ობიექტური პირის ნიშანი *(გგზავნის, მოგგუდავს).*
- ***ჰ*** *და* ***ს*** *პრეფიქსები იწერება:*
  - **ორპირიან გარდაუვალ ზმნებში, ე. ი. როცა ზმნას შეეწყობა ბრუნვაუცვლელი (ირიბი) ობიექტი, რომელიც ყოველთვის მიცემით ბრუნვაში დგას** *(ჰყავს, ჰგავს, ჰგონია, სტკივა, მოსწყდა, მოსწონს, სწამს და ა. შ.).*
  - **სამპირიან ზმნებში, რადგან მათ შეეწყობათ ირიბი ობიექტი (ბრუნვაუცვლელი)** *(ჰკითხავს, მოსწყვეტს, მოჰფინა, მიჰყიდა, მოჰგვრის, მისცემს, დასძენს, მოსჭრის, დაჰპირდა...)*
  - **ორპირიან გარდაუვალ და სამპირიან ზმნებში** III ირიბი ობიექტური პირის აღსანიშნავად **ჰ** იწერება მხოლოდ 7 თანხმოვნის (**გ,კ,ქ, ბ,ფ,პ,ყ**) *წინ (ჰკითხა, ჰქონდა, ჰყავს...),* **ს** იწერება მხოლოდ 9 თანხმოვნის (**დ,თ,ტ, ძ,ც,წ, ჯ,ჩ,ჭ**) წინ *(სთხოვა, მოსჭრის, მისწერს...);* ხმოვანთა და დანარჩენი თანხმოვნების წინ **ჰ** და **ს** პრეფიქსი დაკარგულია.
- **რამდენიმე შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ზმნას ირიბი ობიექტური პირი არ ახლავს, მისი ნიშანი მაინც იწერება** *(გასტანს, გამოსცემს, გასცემს, გასწევს, ასწევს, სჩადის, დასძენს, დაჰყო (დრო).*

სავარჯიშო N 72. გაასწორეთ შეცდომები. დასვით სასვენი ნიშნები:

1. შვილო ნუ დამღუპავ და ცოცხლად ნუ დამარხავ
2. ნუთუ ბატონი ბესიკი მართლა ფიქრობს რომ რასაც უნდა იმას გამაკეთებინებს

3. შენ თუ გონია რომ სპექტაკლზე უშენოთ ვერ წავალთ ძალიან ცდები.
4. ბიჭო ეს რა მომსვლია ეს რა დამართნიაო წუხდა თმა შეევერცხლილი შუა ხნის კაცი.
5. მე რომ შარშან ჰოსპიტალში მკურნალობდნენ, დედაჩემმა ეხლა გაიგო.
6. —მე თუ არ დამალე, ის მსუნაგი მელა მეც ჩამყლაპავსო სტიროდა მამალი.
7. მივხვდი, რომ შეიარაღებული მეომრების დანახვამ მე მხნეობა შემატა.
8. სამწუხაროდ გუშინ ჩვენ რომ ლექციაზე დაგვიანებია კახასაც გაუგია.
9. მაინც და მაინც გინდა რომ სოფელში შენ გაგზავნონ?
10. „თუ არ მოისვენებთ ორთავეს თავებს წაგლეჯთ!“ —ემუქრებოდა ბებია მოჩხუბარ მამლებს.

სავარჯიშო N 73. გაასწორეთ შეცდომები:

1. მანანა თავის ოთხი შვილებით ტელევიზორს მისჯდომოდა და ღმერთს ჰმადლობდა, რომ ყველა საღსალამათი ყავდა.
2. თავ-ზარ-დაცემული კაკო ზემოდან დაცქეროდა ლოდს და ფეხის განთავისუფლებას ჰლამობდა.
3. დამორცხვებულ გოგონას ყველა შეჰხაროდა, ლევანის რა ლამაზი საცოლე ყოლიაო.
4. სტუდენტებს სიცილით თვალებიდამ ცრემლი ცვიოდათ.
5. შეშინებული ბავშვები მუხას შეფარებოდენ.
6. გლეხ-კაცობა კალიასავით მოფენოდა ჭალას.
7. მას ტკივილისაგან სახე დაპრანჭოდა.
8. ის ჭიშკარს მიდგომოდა და რაცხას ბუტ-ბუტებდა.

9. ბიჭს, რომელსაც შალვარი შემოგლეჯოდა, ცხვირი უცნაურათ გვერზე მოგრეხოდა.
10. რა საზრიანათ მოქცეულა, ყაჩაღებს ყანაში რომ დაჭმალვია.

სავარჯიშო N 74. გაასწორეთ შეცდომები:

1. ნინოს ვახტანგზე მეტათ გოგი მოწონს.
2. რა აზრი ქონდა ამის გაკეთებას?
3. ის კარგა ხანია, აღარ გავს წელ-გამართულ ვაჭკაცს.
4. დედაკაცს მშვიდათ ძინავს.
5. მტრედმა ფრთა-ფრთას შემოკრა.
6. ისინი შენდობას თხოვდენ მღდელს.
7. მათ ერთმანეთს ერთგულობა შეჰფიცეს.
8. გურამიმ ლევანის ხბო ოც ლარად მიყიდა.
9. მათ სახელ განთქმულ ოჯახს ამ არა კაცმა საქვეყნოთ მოჭრა თავი.
10. ისინი ხელს არაფელს არ ჰკიდებდენ.

☞ ***დაიმახსოვრეთ!***

- **ჰ და ს პრეფიქსები არ იწერება ერთპირიან ზმნებში** *(ბრუნავს, გმინავს, დგას, ქრის, დუმს, ჩანს, ყვავის ...).*

  ☑ თუ ერთპირიან ზმნას შეეწყობა ნაცვალსახელი **მას** და არა **ის**, მაშინ ზმნა ინვერსიულია და **ჰ** ან **ს** ნიშანი უნდა დაიწეროს *(სძინავს მას, სწყურია მას , სცხელა მას, სცივა მას...).*

  - *ზმნებთან* ***ღვიძავს, შია*** *ნიშანი დაკარგულია.*
  - *გამონაკლისის სახით* ***ს*** *შეიძლება დარჩეს გამოთქმაში* ***ქრისტე ალსდგა!***

- **ჰ და ს პრეფიქსი არ იწერება ორპირიან გარდამავალ ზმნებში** *(ხატავ, ქსოვს, კრეფთ, ბარავს, კლავს, ტეხს, თქვა....).*

- **მ, ნ, რ, ლ, ვ, ზ, ს, ჟ, შ, ღ, ხ თანხმოვნებით და ხმოვნებით დაწყებული ზმნები, რომელთაც ირიბი ობიექტი ეწყობა, დაიწერება ობიექტური პირის ნიშნის გარეშე** *(გავსებია, დანათის, შელამდა, დამალვია, გაშლოდა, გალურჯებოდა, გაშეშებია, გახარებია, მოხვევს, მოხსნიდა, შემატებოდა...).*

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარჯიშო № 75. გაასწორეთ შეცდომები:

1. ხელ-ჩართულმა ბრძოლამ მთელს ღამეს გატანა.
2. გამომცემლობა მერანმა წელს ასზე მეტი წიგნი გამოცა.
3. მართველმა მკაცრი ბრძანება გაცა.
4. მან დიდი შრომა გაწია და სამუშაო პირ ნათლად შეასრულა.
5. ის დედასავით ჰზრუნავს თავის მოსწავლეებზე.
6. მინდორში ბევრი ლამაზი ყვავილები ჰყვავიან.
7. ვინ არ დასტკბება ამ მშვენიერის მთის სილამაზით.
8. მონადირეები უცბათ შესდგნენ და გაჩუმდნენ.
9. ვარსქენი ფეხით შედგა შუშანიკს.
10. ქარი ჰქრის და ფოთლები ქარ და ქარ მიჰქრიან.

სავარჯიშო N 76. გაასწორეთ შეცდომები. დასვით სასვენი ნიშნები:

1. მთავრობა ამ საკითხზე სდუმს და სჩანს დიდ ხანს არც აპირებს დუმილის დარღვევას.
2. როგორ თქვენც გაქვსთ რამე საჩივარი გაუკვირდა ადვოკატს.
3. ქორი ორივე ფეხებით გახლავსთ ჩამოკიდებული ბატონო უპასუხა გლახუნამ.
4. მათ ჩემს მეტი არავინ ყავსთ პატრონი ამოიგმინა ქალმა.
5. მაგათ არაუშავსთ რა, კარქათ არიან.
6. ქალები მიდგნენ ჭურჭელს და უცბათ გარეცხეს
7. ბატონის დანახვაზე შეშინებული შინა ყმები შესდგენ
8. გზისპირას მამლები ერთმანეთს დაეძგერენ.
9. ბიჭები ფრთხილათ მიუახლოვდნენ ნოდარის.
10. ღვინობის თვის დასაწყისში მამა და შვილი უკვე მომავალი ქორწილისთვის ემზადებოდნენ.

☞ *დაიმახსოვრეთ!*

- წარსულ დროში (წყვეტილში) კითხვაზე **რა ქნა?** ორპირიან ირიბობიექტიან და ერთპირიან ზმნებში მესამე სუბიექტური პირის ნიშნად მრავლობით რიცხვში იწერება **-ნენ** და არა: **-ენ.**

  სწორია: *იდგნენ, გათბნენ, აშენდნენ, დაემალნენ* ***და არა:*** *იდგენ, გათბენ, აშენდენ, დაემალენ.*

- ერთპირიან და ორპირიან ზმნებს, რომელთაც პირდაპირი ობიექტი დაკარგული აქვთ, მაგრამ ქვემდებარე მოთხრობითში ეწყობათ, წყვეტილში (კითხვაზე **რა ქნეს?**) მესამე სუბიექტური პირის ნიშნად მოუდით **-ეს** და არა: **-ენ.**

  სწორია: *ბავშვებმა იტირეს* ***და არა:*** *ბავშვებმა იტირენ,* ***მათ იცხოვრეს*** ***და არა:*** *მათ იცხოვრენ.*

ზმნისწინები

◈ *ცნობისათვის:* **ზმნისწინი ჰქვია ზმნის წინა ნაწილს, ერთ- ან ორმარცვლიან ელემენტს, რომელიც ზმნას თავში დაერთვის.**

ზმნისწინებია: მი, მო, ა(აღ), და, ჩა (*შთა*), შე, გა(*გან*), გადა (*გარდა*), წა (*წარ*), ამო (*აღმო*), ჩამო (*შთამო*), შემო, გამო, გადმო, წამო (*წარმო*).

ზმნისწინს აქვს 4 ფუნქცია:

1. **უჩვენებს მიმართულებას** *(მიაქვს, მოაქვს, გადააქვს, შეაქვს, გადმოაქვს, ამოაქვს და ა. შ.).*
2. **აწარმოებს დროს** *(წერს, დაწერს).*
3. **მოქმედებას წარმოგვიდგენს დასრულებული სახით** *(ხატა, დახატა).*
4. **გამოყენებულია ახალი მნიშვნელობის სიტყვათა საწარმოებლად** *(მი-ხვდა, მო-ხვდა, შე-ხვდა, და-ხვდა; გამო-იცვალა, გარდა-იცვალა, შე-იცვალა).*

☞ *გახსოვდეთ!*

- ზმნისწინთა ძველი სახეობების **(აღ-, აღმო-, გან-, შთა-, გარდა-, წარ-)** გამოყენება უფრო ხშირია სახელზმნასთან და ბევრ შემთხვევაში ზმნისწინთა ძველსახეობიანი ფორმები ერთადერთია. მაგალითად, სიტყვებში: **აღზრდა,**

აღმზრდელი, აღდგენა, აღნიშვნა, შთაბეჭდილება, წარმოშობა, წარმოშობილი და სხვ. არ შეიძლება ამ ზმნისწინთა გამარტივებული ფორმები ვიხმაროთ *(აზრდა, ამზრდელი, ადგენა, ანიშვნა, ჩაბეჭდილება, წამოშობა, წამოშობილი).*

- **პირიან ზმნათა ფორმებში გვხვდება ზმნისწინთა გამოყენების შემდეგ**

შემთხვევები:

ა) როცა ზმნისწინების ძველი და ახალი სახეობა პარალელურად იხმარება *(განასხვავებს—გაასხვავებს, განასახიერებს—გაასახიერებს, განათავისუფლებს — გაათავისუფლებს, აღიმაღლებს — აიმაღლებს და ა. შ.).* **ასეთ შემთხვევებში ორივე ფორმა სწორად ითვლება.**

ბ) როცა ზმნისწინის ძველსახეობიანი ფორმა ერთადერთია *(განაგებს, განკურნავს, განაგრძობს, წარმოადგენს, წარმოშობს.* არასწორია: *გააგებს, გაკურნავს, გააგრძობს, წამოადგენს, წამოშობს* და მისთანა ფორმები).

გ) მომხდარია დიფერენციაცია: თუ ძველი ზმნისწინი დაერთო ზმნას, სხვა მნიშვნელობა აქვს, თუ ახალი — სხვა. მაგალითად, **განაახლებს მუშაობას** ნიშნავს გააგრძელებს მუშაობას, ხოლო **გააახლებს** ნიშნავს ახლად აქცევს. ასევე განსხვავებული მნიშვნელობისაა სიტყვები: **განადიდებს** და **გაადიდებს, აღიზრდება** (ბავშვი) და **აიზრდება** (მცენარე), **განწმინდა** (ცოდვათაგან) და **გაწმინდა** (ტალახისგან). არ შეიძლება ითქვას და დაიწეროს ასე: *განადიდებს ოთახს, განწმინდა ტალახისაგან, აიზრდება ბავშვი* და სხვ.

ზმნისწინთა უმართებულო ხმარების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ვიცოდეთ:

- **აღ-** ზმნისწინიან ფორმებში პირველი პირის სუბიექტური ნიშანი **ვ** ზმნისწინის შემდეგ იწერება *(აღ-ვ-ნიშნე, აღ-ვ-ზარდე).* არასწორია: *ავღნიშნე, ავღწერე.*

  ☑ გამონაკლისია ზმნები: *ვაღიარებ, ავღორძინდი.* აქ **ღ** ფუძესთანაა შეზრდილი.

- **გან-** ზმნისწინისაგან მომდინარეობს **ნ** ელემენტი შეცდომით დაწერილ სიტყვებში ანთავისუფლებს, ანზოგადებს და სხვ. აქ **გან-** ზმნისწინის **ნ** ელემენტი ფუძისეულად იქნა გაგებული, რაც არაა სწორი. უნდა იყოს: **ათავისუფლებს, აზოგადებს, ავითარებს და მისთ.**

- ასევე უმართებულოა **ვარდგენ, ვურდგენ** და მისთ. ფორმები, სადაც **წარ-** ზმნისწინის **რ** ფუძისეულ ელემენტადაა გაგებული. მართებული ფორმებია: ***ვადგენ, ადგენ, ადგენს, ვუდგენ, გიდგენ, წარვადგენ.***

სავარჯიშო N 77. გაასწორეთ შეცდომები:

1. ნუთუ უკვე ავსა და კარგსაც ველარ ანსხვავებ ერთმანეთისაგან?
2. შექმნილი ვითარება დეტალურად ავწერე, მოქმედების გეგმა შევიმუშავე და დირექტორს თვითონვე წაურდგინე.
3. რატომ გაანთავისუფლეთ ფირმა „ატმის რტო“ გადასახადისაგან?
4. ორატორი ანვითარებდა პროდასავლურ იდეებს და აწზოგადებდა სხვა ქვეყნების გამოცდილებას.
5. ნიკას ამზრდელი მამიდის განსაკუთრებული რიდი ქონდა.
6. მამაჩემის ქონებას ჩემს მეტი ვერავინ გაკარგავს.
7. გამინთავისუფლეთ ორი ოთახი პირველ სართულზე.
8. დირექტორმა ბრძანა, რომ ელენეს ანთავისუფლებს მხოლოდ პირველი გაკვეთილიდან.
9. თუ მალე გავნთავისუფლდი, ყავაზე დაგპატიჟებ.
10. ქართველებმა ადგენითი სამუშაოები მალევე დაამთავრეს.

სავარჯიშო N 78. გაასწორეთ შეცდომები:

1. ბატონო მინისტრო, პოლიციის ქვეგანყოფილება გირდგენთ ამ თვეში მომხდარი დანაშაულების სიას.
2. ამ პროექტში კარგად წამოჩნდა ავტორის გაზრახვა, მუდმივად ანხორციელოს ახალი იდეები.
3. ჩვენ ყოველთვის გვაღფრთოვანებდა მათი წარმატებები.
4. უნდა აგვენიშნო, რომ პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ გულზე მომეშვა.
5. ია ფთხილად ანცალკევებს კვერცხის გულს ცილისაგან .

6. ჩვენი ფირმა მალე გაახლებს მუშაობას და, იმედი მაქვს, დიდ წარმატებებსაც მიაღწევს.

7. მე ხშირად ვფიქრობ ჭეშმარიტ ხელოვნებაზე, რომელიც ნამდვილად გვაღფრთოვანებს და გვაღელვებს.

8. მე მხოლოდ ამ ჟურნალში ვქვნიშნავ და ვქნუსხავ ყველაფერს.

9. ბავშვებს პატრიოტული სულისკვეთებით ვზრდით.

10. ამ ნაშრომში, რომელსაც საბჭოს ვუძღვნი განსახილველად, გაანხორციელებ ჩემს სანუკვარ ოცნებებს: ვანვითარებ, ვანზოგადებ და ვანმტკიცებ ახალ შეხედულებებს.

სავარჯიშო N 79. გაასწორეთ შეცდომები. დასვით სასვენი ნიშნები:

1. ნუ ღელავხარ მე თითონ ავღწერ და ავღნუსხავ ყველაფერს.
2. თუ დროზედ გავნთავისუფლდი ხვალ დილით უკვე მანდ ვიქნები
3. სკოლა უნდა ღზრდიდეს განათლებულ და მაღალი ზნეობის მქონე ადამიანებს.
4. სამართველო ურდგენს სამინისტროს თავისი მუშაობის ანგარიშს
5. ნიკო ღვინოს წყალში ანზავებს.
6. უნდა ავღნიშნო, რომ ეს თამაში ბავშვს კარგ ჩვევებს უნვითარებს.
7. წარმატების შეგრძნება მაღფრთოვანებდა.
8. იგი ყოველთვის ვერ ანხორციელებს თავის ოცნებებს ცხოვრებაში.
9. მწერალი ამ აზრს თავის ახალგაზრდობის დროინდელ თხუზულებებ ანვითარებდა, მოგვიანებით მან პოზიცია შეიცვალა.
10. მთავარ როლს სპექტაკლში მეფე ლირში მსახიობი რამაზი ჩხიკვაძე ანსახიერებს.

თემის ნიშანთა მართლწერასთან დაკავშირებული საკითხები

ეროვნული ბიბლიოთეკა

◈ *ცნობისათვის: ზმნის იმ ნაწილს, რომელიც საერთოა I და II სერიის ყველა მწკრივისათვის, თემა ჰქვია.*

თემის ნიშნებია: -ი (ვთლ-ი), -ავ (ვხატ-ავ), -ამ (ვსვ-ამ), -ებ (ვაკეთ-ებ), -ობ (ვამაყ-ობ), იშვიათად -ემ (მივც-ემ), -ევ (ვანგრ-ევ) და -ოფ (ვყ-ოფ).

☞ *გახსოვდეთ!*

- I თურმეობითში (კითხვა: **რა უქნია?**) ზმნებს გადაჰყვებათ **-ავ** და **-ამ** თემის ნიშნები.

  ***სწორია: დაუხატავს, გაუბამს** (და არა: დაუხატია, გაუბია).*

- **-ებ** თემის ნიშნის ნაცვლად ზოგჯერ შეცდომით **-ობ**-ს ხმარობენ.

  ***სწორია: ჭიკჭიკებს, სრიალებს** (და არა: ჭიკჭიკობს, სრიალობს).*

  ☑ *ცოცხალ მეტყველებაში ძალზე გავრცელებულია რამდენიმე ზმნის ხან –ებ, ხან -ობ თემისნიშნიანი ფორმის გამოყენება, რასაც ხელს უწყობს აწმყოსა და მყოფადის ფორმების განსხვავების სურვილი (უპასუხებს — პასუხობს, უკარნახებს — კარნახობს, იღებს –ღებულობს, უსაყვედურებს — საყვედურობს). მათგან სწორ ფორმებად მიიჩნევა **-ებ**- თემის ნიშნიანი ფორმები.*

- **-ობ** თემის ნიშნის ნაცვლად ზოგჯერ შეცდომით –**ოფ**-ს ხმარობენ.

  ***სწორია: ჩავაწყობ, ვამაყობ** (და არა: ჩავაწყოფ, ვამაყოფ).*

  ☑ *სწორია: **იცვამს** და არა: იცმევს; **იბრძვის** და არა: ბრძოლობს.*

სავარჯიშო N 80. გაასწორეთ შეცდომები. დასვით სასვენი ნიშნები:

1. რომელ წამალს სვავს დედა შენი წნევის დროს?
2. მთელი დღეა გულზე მჩხვლეტავს ეს ტელეფონი კი რეკს და რეკამს არ ჩუმდება.
3. ბავშვი ჯერ თხას აბავს ლობესთან, მერე მანჭვას იწყებს, თითს სასაცილოთ ბზრიკავს და ფეხს ბრეცავს.
4. ბერიკაცი ერთ წუთს არ ისვენებს: ხან ბალახს გლეჯავს ხან ძროხას წველს ხან რძეს დღვებავს ცომსაც კი თითონ ზილავს.

5. მუსიკოსი ყოველდღიურად ხვეწავს თავის ოსტატობას და დიდ სახელსაც იხვეჭავს.
6. ამბობენ, რომ იგი ხმას გაკმინდავს და ჩვენთან ურთიერთობას საბოლოოდ გაწყვიტავს.
7. პატარა მზეთ-უნახავი ძალიან ეტანება სასუსნავს ხან ლოყა წითელა ვაშლს კბიჩავს ხან შაქარს კვნიტავს.
8. გამოუძინებელი მგზავრები თვალებს იფშვნიტავენ.
9. ეს დიდ-ვაჭარი ხალხს ღლიტავს ყვლიფავს, მათ სასიცოცხლო ძალებს შრიტავს.
10. დღისით ყველა დაკავებულია ხილს კრეფავენ ცხვარს კრიჭავენ ხალიჩებს კეცავენ კაკალს ტეხავენ შეშას ჩეხავენ, ღამით კი დასხდებიან და ღვინოს ხეთქავენ.

სავარჯიშო N 81. გაასწორეთ შეცდომები:

1. ბებია-ჩემი საბნებს გულმოდგინეთ ბერტყს, მერე კეცს და სახლში მიაქ.
2. მოხუცები დილიდან ხორბალს ლეწენ.
3. ასე თუ გაგრძელდა, ნიალვარი ყველაფერს წალეკს.
4. ქარი თამთას თმებს უწეწს.
5. ის ჩვენს ბედნიერებას ჭედს.
6. მონადირე მწყერებს ხოცს.
7. თქვენ ბედს მხოლოთ დეკანი თუ გადაწყვიტავს.
8. ნერვიულობას არ იმჩნევდა, თუმცა, მისი გული შიშით ფეთქდა.
9. ამასობაში ძაღლი ფეხებს გაფშრკავდა.
10. ეს ქალი მთელი დღეა, ქვაბებს ხეხს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

☞ *გახსოვდეთ!*

- **დაუშვებელია -ავ თემის ნიშნის ხმარება ხმოვანმონაცვლე (ფუძედრეკად) ზმნებთან** (*გრეხს-გრიხა, ცვეთს-ცვითა, წმენდს-წმინდა*).
  მართებული ფორმებია: კრეფს, წყვეტს, ბრეცს, გრეხს, კბეჩს, კმენდს (და არა: *კრიფავს, წყვიტავს, ბრეცავს, გრეხავს, კბეჩავს, კმინდავს*).

  ◈ *ცნობისათვის: ხმოვანმონაცვლე (ფუძედრეკადი) ეწოდება ზმნებს, რომელთაც ფუძის ე ხმოვანი II სერიის მწკრივებში ი-თი ეცვლებათ (ვკრეფ – ვკრიფე, ვგრეხ – ვგრიხე), ხმოვანმონაცვლეა -ევ და -ენ სუფიქსიანი ზმნებიც: (ვანგრევ – დავანგრიე; დავადგენ – დავადგინე).*

  ☑ *ფუძისეული ხმოვნის გასაგებად შეიძლება მოვიშველიოთ ზმნების საწყისი ან მიმღეობური ფორმები: დრეკა–გადრეკილი, გრეხა –დაგრეხილი, ბრეცა –დაბრეცილი)*

- **მიუღებელია -ავ თემის ნიშნის ხმარება ზოგ ერთთემიან არახმოვანმონაცვლე ზმნაშიც. სწორი ფორმებია:** ***კვეთს, კვეცს, ტეხს, ჩეხს, ჭექს, ხეთქს, იხვეჭს, ჩეჩს, იღელს, ყეფს, წერს, ხვენს***... (*და არა: კვეთავს, კვეცავს, ტეხავს, ჩეხავს...*).

- **აუცილებელია -ავ თემის ნიშნის ხმარება ზმნებთან:** ***ბერტყავს, თიბავს, კენკავს, კეტავს, კეცავს, ლესავს, ლეწავს, ჰენტავს, ფეშვავს, რეცხავს, ფეთქავს, ქექავს, წალეკავს, წენწავს, ჭედავს, ხეხავს, ხოცავს, კვებავს, წვეთავს, რეკავს***... (*არასწორი ფორმებია: ბერტყს, კეცს, ლესს, ლეწს, ფეთქს, ხეხს, წენწს და მისთ.*).

☞ ***დაიმახსოვრეთ!*** **-ავ ბოლოსართიან ზმნათაგან საწყისი იწარმოება -ა სუფიქსის დართვით და შედეგად საწყისის დაბოლოება იქნება -ვა:** *ბარავს - ბარვა, თიბავს -თიბვა, ლესავს - ლესვა, ფეთქავს - ფეთქვა.* ***უთემისნიშნო ზმნებს საწყისის დაბოლოებად მხოლოდ -ა აქვს:*** *ტეხს - ტეხა, ყეფს - ყეფა, წერს - წერა, ხეთქს - ხეთქა.*

☑ *გამონაკლისია* ***შთანთქმა****, რომლის პირიანი ფორმა* ***-ავ*** *სუფიქსიანი იქნება და არა* ***-ამ.*** ***სწორია: შთანთქავს, შთაუნთქავს, ჩანთქავს*** (*და არა: შთანთქამს, შთაუნთქამს, ჩანთქამს*).

ა. ხშირად ერთმანეთში ურევენ ***-ავ*** *და* ***-ამ*** *თემის ნიშნებს, რაც დაუშვებელია. სისწორის შემოწმება შეიძლება საწყისებით, სადაც შენარჩუნებული იქნება თემისნიშნისეული* ***ვ*** *და* ***მ*** *თანხმოვნები: ბარვა — ვბარავ (და არა: ვბარამ); დარტყმა — ვარტყამ (და არა: ვარტყავ); სმა – ვსვამ (და არა: ვსვავ); დადგმა — დავდგამ (და არა: დავდგავ).*

სავარჯიშო N 82. გაასწორეთ შეცდომები:

1. ნიკომ შენიშნა, რომ თამარიც ისე აზროვნებდა, როგორც თითონ.
2. ქვეყანა მშვიდობით გადაურჩა ამ უბედურებას.

3. მშიერი ბავშვი ყლაპვას ვერ ასწრებდა, ისე ხარბად თქვლეფდა რძეს.
4. ვანოს მარტო დედის სიტყვები აძლობს, სხვა არაფერიც არ უნდა.
5. აღა-მაჰმად-ხანი დიდიხანია, აპირობდა, თავს დასხმოდა საქართველოს.
6. ისეთი თვალით შეხედა, რომ იაგო ჟრუანტელმა აიტანა.
7. ერთი მრწიფებული ბიჭი თავს წამოადგა ანზორის.
8. ზღვის ნაპირზე მდგარი ბავშები თითით უღერებენ ჩემზედ.
9. ერბოს ქილაში ჩაასხაშთ და, როცა მოგესურვებათ, იხმარებთ.
10. ხეთებმა ბერძნებს ბევრი რამ გონების მონაღვაწები უანდერძეს.

სავარჯიშო N 83. დაასრულეთ სიტყვები:

1. ყველაფერს შთანთქ... ბნელი უფსკრული.
2. გმირებსა და სახელოვან მოღვაწეებს ქვეყნის შემოქმედებითი ძალი ბად...ს
3. წყლის ხმაური გოგიას ათასგვარ ფიქრს უბად... თავში.
4. ალარ შეჰფერ...ს ბერიკაცს ახალგაზრდული ქცევა.
5. ვაჟკაცს ნამუსის ქუდი ახურ...ვს
6. კაცმა გულში არ უნდა ჩაიდოს ბოროტ...ა
7. გიორგის ჩემთვის დაბადების დღე არ მოულოცა...ს
8. სოფელს ირგვლივ საუცხოო ტყეები აკრ...ავს
9. თუ გული გულობს, ქადა ორი ხელით იჭმე...ა
10. მასწავლებელს უთქვ...ა, ხვალ საკონტროლო წერა გექნებათო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარჯიშო N 84. გახაზეთ სწორი ფორმები:

კაცთმოყვარება — კაცთმოყვარეობა

მრავალგვაროვანება — მრავალგვაროვნება

ურჩობა — ურჩება

ქვეყნიერობა — ქვეყნიერება

ოცნებობა — ოცნება

მშვენიერება — მშვენიერობა

თვალსაჩინოობა — თვალსაჩინოება

თვითმოქმედება — თვითმოქმედობა

ბოროტება — ბოროტობა

ღვთისმოშიშება — ღვთისმოშიშობა

სავარჯიშო N 85. გახაზეთ სწორი ფორმები:

აკრია, შეჰფერობს, ცნობილობს, ცნობილობდა, ცნობს, შეჰფეროდა, ოცნებობა, აკრავს, უთანხმობა, უჭირავს, მშვენიერობა, უჭერია, ახურავს, აუბამს, ბოროტობა, უთანხმოება, თვალსაჩინოება, თვითმოქმედობა, თვალსაჩინოობა, ქვეყნიერობა, შესაბამობა, შესაბამისობა.

III სერიის მწკრივების წარმოებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები

☞ ***გახსოვდეთ!*** **-ავ** და **-ამ** თემისნიშნიან ზმნებს თემის ნიშნები აუცილებლად გადაჰყვებათ I თურმეობითში (კითხვა: **რა მიქნია?**).

მართებული ფორმებია: ***დამიხატავს, გამითიბავს, დამიკეტავს, დამირტყამს*** *(და არა: დამიხატია, გამითიბია, დამიკეტია, დამირტყია).*

სავარჯიშო N 86. გაასწორეთ შეცდომები. დასვით სასვენი ნიშნები:

1. ჩემია,არ მომიპარავ,შე ურჯულო,შენც ხომ იცი რომ არ მომიპარიხ.
2. ეთერს კაბა ძალზედ მოხდენილად შეუკერია და მეტად უხდებოდა, თუმცა პავლე უკმაყოფილოდ ებუზღუნებოდა: რას გავხარ, რანაირათ ჩაგიცვიაო.
3. ნელის რომ თავზედ, თეთრი ქუდი ახურია გუშინ-წინ ითხოვა მეზობელისგან.
4. ჩემს დღეში ღვინო არ მისვიაო უყვებოდა თმა-ჭალარა კობა ახალგაზრდებს.
5. შეუბრალათ ჩემთვის ყელზე მძივი და უთქვიათ ნეტა ეს ბავშვი ბედნიერი იყოსო.
6. სოფლიდან დედა-წულიანად გაუხიზნიათ ყველა.
7. ბიცოლაჩემს, მარგალიტას, მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭია, ეს როგორ გამიბედეო.
8. დავბადებულვარ თუ არა, ბებიაჩემს ბუხრისწინ კაკლის დიდი აკვანი დაუდგია.
9. მამასახლისს მისთვის დიდი ხელფასი დაუნიშნია.
10. ომში ოც მეთაურს თვალის ჩინი დაუკარგავს და ეხლა საოპერაციოთ ამზადებდენ.

სავარჯიშო N 87. გაასწორეთ შეცდომები:

1. კაცი მოსდგომოდა ბაღბოსტანს და გულმოდგინეთ მუშაობდა.
2. მან გულგატეხილ ქალს ძალიან თხოვა, უკან გაყოლიყო.
3. ეს წერილი არავის წაუკითხიბ, მაგრამ ყველას ეინტერესებოდა.
4. ქვეყანას ახლადმოსული თეთრი თოვლი დასდებიყო.
5. ცაცხვს რომ არ მიჰყუდებიყო, უთუოთ წაიქცეოდა.

6. —ნეტა სულ არ გავიჩენიყავ დედაჩემსა, — თავბედს იწყევლიდა მანანა.
7. ეს, თურმე, დედა-ჩემის ხერხი იყო, რომ წერაკითხვა შემყვარებინა.
8. ასეთი რამ აქამდე არსად მინახავს და არც შენ გინახავს ალბათ.
9. ნიკოს ძალიან უნდოდა დიდი ხნის უნახავ მეგობარს აეროპორტში დახვედრია.
10. გაზეთში „ახალი ცხოვრება“ წერია, რომ რუსთავში უცხოპლანეტელები უნახავთ.

☞ ***გახსოვდეთ!***

- ორპირიანი ვნებითი გვარის ზმნები II თურმეობითში (კითხვა: **რა მექნა?**) უნდა იხმარებოდეს **-ოდ** დაბოლოებით. მართებული ფორმებია: ***გავჩენოდი, დავდგომოდი, გავზრდოდი*** და არა: *გავჩენიყავ, დავდგომიყავ, გავზრდიყო.*
- I თურმეობითში **(რა მიქნია?)** ერთპირიანი ვნებითი გვარის ზმნების I სუბიექტური პირის ფორმაში **ვ** თავსართიც უნდა იყოს წარმოდგენილი და **„ვარ“** მეშველი ზმნაც. სწორია: ***გავზრდილვარ, აველვებულვარ*** *(და არა: გაზრდილვარ, აღელვებულვარ),* II თურმეობითში **(რა მექნა?)** კი **ვ** თავსართი წარმოდგენილია მიმღეობური ნაწილის წინ, მაგრამ იგი არა აქვს მეშველ ზმნას. **სწორია**: ***დავმდგარიყავი, ვყოფილიყავი*** *(და არა: დამდგარვიყავი, დავმდგარვიყავი, ყოფილვიყავი, ვყოფილვიყავი).*

სავარჯიშო N 88. გაასწორეთ შეცდომები:

1. ის ცხრილობდა, მალე გაესაღებია თავისი საქონელი.
2. უჩემოთ გინდოდა, ეს სუფრა ჩაგეტარებია?
3. მერაბის თავი არ უნდოდა შეეწუხებია და ისე იქცეოდა, ვითომ არაფერი იცოდა.
4. ნეტა ბილეთი დაებრუნებია და გამგზავრება გადაეფიქრებია.
5. და-ძმას ტბის პირას ცეცხლი უკვე გაეჩაღებია და თბებოდა.
6. ნათიას თაროებზე წიგნები კოხტად ჩაემწკრივებია.
7. ნინოს დაავალეს, ფაქიზად ჩაეწებებია სურათები ალბომში.

8. გისურვებ, შენ შვილს შენზე უფრო დიდი სახლი აეშენებინოს.
9. მარეხის სახლი უკვე დაელაგებინა, ოთახები დაეხვეტწა, ჭურჭელი დაერეცხწა და იატაკიც მოეპრიალებინა.
10. მლებავს კედლები გაულესია და შეუთეთრებია.

> ☞ *გახსოვდეთ!*
>
> **III სერიის II თურმეობითსა (რა მექნა?) და III კავშირებითში (რა მექნას?) უნდა ვიხმაროთ ფორმები: დაელაგებინა – დაელაგებინოს, გაეფერადებინა – გაეფერადებინოს.** *არ არის სწორი: გაეფერადებია, დაელაგებია...*

სავარჯიშო N 89. გაასწორეთ შეცდომები:

1. რა უცნაური ადამიანია, ვერაფერს გადააწყვეტინებ, ვერაფერს გააკეთებინებ.
2. მაღალ–მაღალმა ვაჟკაცმა მართას ყუთი შინ წაალებია და 4–სართულიანი სახლის სარდაფში ჩაატანია.
3. არჩილმა ლაშას წიგნები თავის ოთახში აატანია და თაროებზედ დააწყობია.
4. დედამ შვილს წამალი ფუს+ფუსით დაალევია და სწრაფათ დაურეკა ექიმს.
5. კაცებმა ფიცრებს სულ ჭრიჭინ-ჭრიჭინი დააწყებინეს.
6. ჩვენ ჯარისკაცებს ვერც იარაღი დააყრევინეს და ვერც დააჩოქეს.
7. მეჯინიბეს ჩალის+ფერი ცხენები ეტლში შეაბმევინეს და დალოდება უბრძანეს.
8. ქალბატონმა სახლი მოახლეს დაალაგებია, მისმა შვილებმა კი საწყალ ბიჭებს მთელ დღეს ყანა აბარვინეს.
9. ეკას ეზოში მოვაცდევინე და ბებიაჩემს ჩანთა ჩავალაგებინე.
10. მოსამსახურეებმა სტუმრებს ჯერ ~~ბალტოები~~ დააკიდებინეს, მერე კი ყველას ხელი დააბანინეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

☞ *გახსოვდეთ!*

შუალობითი კონტაქტის ფორმებში **-ინ** და **-ევინ** მაწარმოებელი სრულად უნდა დაიწეროს.

სწორია: ***აწერინებს, აბარვინებს, აშლევინებს, აკვლევინებს.***

მცდარია: *აწერიებს, აბარვიებს, აშლევიებს, აკვლევიებს.*

რამდენიმე ერთნაირი ბგერის თავმოყრა ზმნებსა და ნაზმნარ სახელებში

◈ ***ცნობისათვის:*** **ზმნებსა და ნაზმნარ სახელებში ორი ან სამი ერთნაირი ბგერის მიჯრით ხმარება გამოწვეულია ზმნისწინისეული და ძირისეული ხმოვნების, გვარისა და ქცევის ნიშნების თავმოყრით** *(ააშენებს, მიიპარება, შეეგება, მშვიდდება, მოოჭვილი, მმართველი, დააარსა).*

სავარჯიშო N 90. გაასწორეთ შეცდომები:

1. გაზაფხულმა ახმაურა ღელები, ატირა პატარა-პატარა წყაროები, აორთქლა დედა+მიწა.
2. ჯუმბერიმ დაარსა ახალი არასამთავრობო ორგანიზაცია.
3. საქმე მშვიდათ და დინჯათ უნდა გაკეთო.
4. ამდენმა ნევრიულობამ ის დაავადა.
5. დედა-შვილმა გაათკეცეს მისი მოვლა.
6. ამ სიყვარულმა და მზრუნველობამ ის გაადამიანა.
7. როგორ მიზლაზნება და მიღოღავს ეს მატარებელი?
8. ეთერის ძალიან უნდოდა, რომ ეს მესამე ოთახიც შეერთებინა.
9. კიბეებზე ადი-ჩადიოდა და თავის მოქროვილ ქამარს ყველას უჩვენებდა.
10. მან თავის დაუფიქრებელ ნაბიჯით ცოლშვილს ცხოვრება გაუბედურა.

სავარჯიშო N 91. გაასწორეთ შეცდომები. დასვით სასვენი ნიშნები:

1. ელენემ თავისი ამგვარი საქციელით,ვახტანგის ქორწილი ჩააშხამა და გაუგემურა.
2. დედამ შვილს კაბა გაუთოვა და უთხრა: სხვა დროს ნუ მომართავ ამ თხოვნით, შენ თითონ გააკეთე.
3. მას დაღლილ/დაქანცული ჯორი ისე გაურჩდა, რომ იძულებული გახდა ფეხით მიყოლოდა.
4. დედა ჩემი როცა მხედავს მშვიდდება.
5. ჭორი ჩემ თვალწინ დიდება და იძაბება.
6. ის მუშაობს სამართველოში,მართველია.
7. სად არის ჩემი დამალავი ანუ ის ვინც მე დამალა.
8. ამ ბავშვმა ყველაფერი დალეწა, ნამდვილი მტვრეველი გამოვა
9. ეს არის მტრის მუსვრელი?
10. მითხარით,ვინ არის ჩვენი ცხოვრების გამრუდებელი.
11. ეს ქუჩა არის ჩვენი,დედა+ქალაქის დამშვენებელი.
12. ვინ არის ამ ბალის გამწვანებელი?
13. მზე ეთხოვებოდა სვეტიცხოველის მოქროვილ გუმბათებს.
14. შებინდა, ქუჩაში ფარნები აანთეს.
15. პაპა ნოშრევანს ყურთა+სმენაც და მხედველობაც საგრძნობლათ გაუმჯობესდა.

ვ-ს ჩართვა და შენარჩუნება ზმნებში

> ☞ ***დაიმახსოვრეთ!***
>
> - **ვ** თანხმოვანი შენარჩუნებულ უნდა იქნეს **ზმნურ** ფუძეთა თანხმოვნებს შორის, თუნდაც ფუძეს წყვილბაგისმიერი ბგერით (ბ, ფ, პ, მ) დაწყებული სუფიქსი მოსდევდეს: ***მიწვდომა, მოკვდომა, დამხვდური, მხატვრული, ამოვაძვრე, დავაძვრე, გაძვრება...*** *(მაგრამ* ***ამოძრობა, ამოსაძრობი, ამოძრომა, შეძრომა, საძრომი...*** *და არა: ამოძვრომა, ამოძვრობა, ამოსაძვრობი, საძვრომი...).*

სწორია: ***წვრთნის*** და არა: *წრთვნის.*

- **ვ** თანხმოვანი შენარჩუნებულ უნდა იქნეს უწყვეტლის მწკრივის (კითხვა: **რას ვშვრებოდი?**) **-ოდ** და მეორე კავშირებითის (კითხვა: **რა ვქნა?**) **-ო** სუფიქსების დართვისას, თუ **ვ** ძირეულია და თანხმოვანს მოსდევს ან **ვ** სუფიქსისეულია და თანხმოვნებს შორისაა მოქცეული: ***იწვოდა, იგვოდა, ილტვოდა, ეკვროდა, იძვროდა, ილვწოდა.*** მაგრამ გვაქვს: *ებრძვის – ებრძოდა, ესვრის – ესროდა, ეტყვის – ეტყოდა, უძლვის – უძლოდა, დაისეტყვა – დაისეტყვოს, იელვა – იელვოს...*

- **ვ** თანხმოვანი შენარჩუნებულია **-ევ** სუფიქსთან ფუძედრეკად ზმნათა წყვეტილის მწკრივის III პირის მრავლობითში (კითხვა: **რა ქნეს?**).

  სწორია: ***შეერივნენ, შეესივნენ, შეეჩვივნენ, დაეწივნენ, მოეხვივნენ...*** *(და არა: შეერიენ, შეესიენ, შეეჩვიენ, დაეწიენ, მოეხვიენ ...).*

სავარჯიშო N 92. გაასწორეთ შეცდომები:

1. ძალიან ძნელია ვარსკვლავის მიწდომა ცაში.
2. ჩვენ გუნდს გამოცდილი მწრთვნელი წრთვნის.
3. ამ ტყეებში ბევრი გარეული ფრინველი გვხდება.
4. მომხდური ვერაფრით გაბედავს თქვენ უდიერათ მოპყრობას.
5. მამიდა-ჩემი მხატვრული კითხვის დიდ-ოსტატია.
6. რაღას ვიზავდი, დავაძრე ჩემი ქაღალდები დასტა დახტათ?
7. რაღა მექნა, დავიძრე ყველა კბილები ერთდღეს.
8. გაძრება-გამოძრება და გაუჩენელს გააჩენს.
9. თეთრ-კანიანები და შავ-კანიანები ამ ქალაქში მეგობრულად ცხოვრობენ.
10. კალიები შეესიენ ბალ-ვენახებს და გაანადგურენ.

სავარჯიშო N 93. გაასწორეთ შეცდომები:

1. შ. რუსთაველი მე-XII-ვ საუკუნეში ილწვოდა.
2. სახლკარი საცოდავათ იწოდა, ცეცხლი ბრიალებდა.
3. ეს დარბაზები ორ დღეში ერთჯელ იგოდა.

4. ეს დედაკაცი სულ დიდებისკენ და სიმდიდრისკენ ილტოდა.
5. ბავშვი თავსაფარწაკრულ ქალს ეკროდა.
6. ვ. გორგასალი სპარსეთს ებრძოდა.
7. რას ამბობ, ჩემი შვილისშვილი იმათ თოფს არ ესროდა.
8. თავგზააბნეულ ხალხს წინ თეთრ წვერა მოხუცი უძღვოდა.
9. ნეტა არ დაისეტყოს წელს ბაღ-ვენახები.
10. როგორ ბნელა, იქნებ იელოს, რომ რამე დავინახო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

❖ *გაითვალისწინეთ:*

თანხმოვანი **ვ** შენარჩუნებულია წყვეტილის მწკრივის მხოლობითი რიცხვის **I და II პირისა და მრავლობითი რიცხვის ყველა პირის ფორმაში** იმ ზმნებში, რომლებიც **პირველ თურმეობითში** (კითხვა: **რა მიქნია?**) ვ ბგერას წარმოგვიდგენ ფუძეში:

ვაწყობ - **დამიწყვია** (I თურმეობითი) – **დავაწყვე, დავაწყვეთ, დააწყვეს** (წყვეტილი); ვაცხობ – **გამომიცხვია** (I თურმეობითი) — **გამოვაცხვე, გამოაცხვეს** (წყვეტილი);

*მაგრამ: განვაგრძობ – **განმიგრძია** (I თურმეობითი)—**განვაგრძე** (წყვეტილი);*

ვამკობ – **შემიმკია** (I თურმეობითი) — **შევამკე** (წყვეტილი);
ვაქრობ – **ჩამიქრია** (I თურმეობითი) — **ჩავაქრე** (წყვეტილი);
ვაშრობ – **გამიშრია — გავაშრე;**
ვაცხრობ – **დამიცხრია— დავაცხრე.**

სავარჯიშო N 94. გაასწორეთ შეცდომები:

1. აი, რა კარგათ ვიმუშავე, რამდენი აგურები დავაწყე.
2. შუალამისას მათმა დააწყეს გეგმა, როგორ გაქცეულიყვენ.
3. მე ბალიში დავალტე ცრემლებით.
4. მეზობლის ბიჭები დავათრე და ბარბაცბარბაცით გაუშვი სახში.
5. გუშინწინ გემრიელგემრიელი ნამცხვრები გამოვაცხე.
6. არა, ბატონო, ეს ტორტი მე არ გამომიცხია.
7. ჩემი თვალისჩინი მას მივანდე.
8. შენთვის მომინდია, რაც გინდა, ის უკითხე.
9. ჩავაქვრე სანთელი, ოთახში ბნელოდა.
10. სარეცხი გავრეცხე და გავაშვრე კიდევაც.

> ☞ *არ დაგავიწყდეთ!*
>
> -ავ და -ევ ბოლოსართიან ზმნებთან შუალობითი კონტაქტის ფორმებში ვ თანხმოვანი არ იკარგება. სწორია: *აბედვინებს, ახატვინებს, აკვლევინებს* (და *არა: აბედინებს, ახატინებს, აკვლეინებს).*

სავარჯიშო N 95. გაასწორეთ შეცდომები:

1. რას აბედინებს ამ თითის სიგრძე ბავშს.
2. მასწავლებელი მთელი გაკვეთილი პეიზაჟს ახატინებდა ბავშებს.
3. გაიოზი ძალიან ბევრს ამუშავებს თავის ვაჟი+შვილებს: მიწასაც აბარებინებს, ყანასაც ათესინებს და ვენახსაც ასხვლევინებს.
4. სახლისთვის საჭირო ფიცრებს ჩემი ნათესავები ქარხანაში ახერხიებენ.
5. საქორწილო კაბას დედას შევაკერინებ და მოვაქარგვინებ.
6. ბიძა+შვილებმა ლაშას საქმე მალე მოაგვარებინეს.
7. მეგობრებმა კოტეს მანქანა შუა გზიდან მოაბრუნებინეს და მაკა აეროპორტში წააყვანინეს.
8. ასეთი შვილი დედას ნამდვილად თავს მოაკვლეინებს.
9. ამ კარებს თეთრად შევაღებინებ.
10. ეკლესიის ფრესკები შარშან აღადგენინეს ერთერთ ცნობილ მხატვარს.

რიცხვში მონაცვლე ზმნები

> ◈ *ცნობისათვის:* ზოგი ზმნა უღლებისას მხოლობით რიცხვში სხვა ფუძეს იყენებს, მრავლობით რიცხვში კი — სხვას. ასეთ ზმნებს რიცხვში ფუძემონაცვლე ზმნებს უწოდებენ.
>
> - სუბიექტური პირის მიხედვით რიცხვში მონაცვლე ზმნებია: *ჯდომა/სხდომა, ვარდნა/ცვივნა, კვდომა/ხოცვა, გდება/ყრა, მობმა/მოსხმა, დება/წყობა.*

- **ობიექტური პირის რიცხვში მონაცვლე ზმნებია:** *ჩაგდება/ჩაყრა, მოკვლა/დახოცვა, დასმა/დასხმა, ტეხა/დამტვრევა/დამსხვრევა, გაგდება/გარეკვა, წაყვანა/წასხმა.*

☞ ***გახსოვდეთ!*** **თუ ქვემდებარე მხოლობითში მდგომი, მაგრამ სიმრავლის გამომხატველი სიტყვებით არის წარმოდგენილი (კრებითი სახელები, „და-ძმის“ ტიპის კომპოზიტები), მას რიცხვში მონაცვლე ზმნით გამოხატული შემასმენელი მრავლობითის ფუძით, მაგრამ მხოლობითის ფორმით შეეწყობა. სწორია:** ***ბალხი დასხდა*** *(და არა: ბალხი დაჯდა, დაჯდნენ, დასხდნენ);* ***და-ძმა მისცვივდა*** *(და არა: და-ძმა მივარდა, მივარდნენ, მისცვივდნენ);* ***ცოლ-ქმარი დაიხოცა*** *(და არა: ცოლ-ქმარი დაიხოცნენ, მოკვდა, მოკვდნენ).*

☞ ***დაიმახსოვრეთ!***

- ერთზე ითქმის **ჯდომა,** მრავალზე — **სხდომა.**
  მე ვზივარ, ჩვენ ვსხედვართ.
- ერთზე ითქმის **ვარდნა**, მრავალზე — **ცვენა (//ცვივნა).**
  ფუტკარი წყალში ჩავარდა; ფუტკრები წყალში ჩაცვივდნენ.

  ☑ თუ სუბიექტად ისეთი საგნის აღმნიშვნელი სახელია გამოყენებული, რომელიც მთლიანი არ არის და ნაწილებად იშლება (მაგალითად: ფქვილი, ნაცარი, ქვიშა და სხვ.), მაშინ მას **რიცხვში მონაცვლე ზმნა მრავლობითის ფუძით, მაგრამ მხოლობითის ფორმით შეეწყობა.**
  ივანეს თვალში ნაცარი ჩაუცვივდა.
- ერთზე ითქმის **კვდომა,** მრავალზე – **ხოცვა.**
  ის კვდება, ისინი იხოცებიან.

  ☑ ზოგჯერ "ხოცვის" ადგილზე გვხვდება "ამოწყდომა".
  მთელი სოფელი ამოწყდა.
- თუ ობიექტი მხოლობითშია, ითქმის **გდება,** თუ მრავლობითში – **ყრა.**
  ქვას ჩავაგდებ; ქვებს ჩავყრი.

  ☑ **ყრა** ფუძე გამოიყენება, აგრეთვე, როცა ობიექტი კრებითი სახელია ან ისეთი საგნის აღმნიშვნელი სახელი, რომელიც მთლიანი არ არის და ნაწილებად იშლება.
  ალაზანში ნახირს ვყრიდით; ქათმებს საკენკი დავუყარე.
- **მოკვლა** ფუძე ობიექტის მხოლობით რიცხვს აღნიშნავს, ხოლო **დახოცვა** – მრავლობითს.
  მოვკალი მგელი; დავხოცეთ მგლები.
- ერთ ობიექტზე ითქმის **სმა,** მრავალზე — **სხმა.**
  ბავშვი ნავში ჩავსვი; ბავშვები ნავში ჩავსხი.

  ☑ *თუ ობიექტი უსულო საგანია, მაშინ მრავლობით რიცხვში ფუძის შენაცვლება არ ხდება.*

ოქრომჭედელმა ბეჭედში ძვირფასი თვლები ჩასვა;
მოსწავლემ ფორმულაში რიცხვები სწორად ჩასვა.

☑ **სხმა** შეიძლება სხვა ზმნასაც შეენაცვლოს, ოღონდ განსხვავებული შინაარსით. მაგალითად: ერთზე ითქმის **მოიბა** და ბევრზე — **მოისხა;** ერთზე ითქმის **დაცემა,** ბევრზე — **დასხმა**.

*თავს **დაეცა** ერთი, მაგრამ თავს **დაესხა** მრავალი;*
*ის თავს **დაეცა** მტრის ჯარს, მაგრამ მას თავს **დაესხნენ** მონღოლები.*

- ერთმანეთს ენაცვლება, აგრეთვე:
  - **ტეხა** და **მტვრევა** *(გატეხა ჭიქა, დაამტვრია ჭიქები);*
  - **აღება** და **აკრეფა** *(აიღო ფურცელი; აკრიფა ფურცლები);*
  - **გაგდება** და **გარეკვა** *(გააგდო ძროხა, გარეკა ნახირი).*

სავარჯიშო N 96. გაასწორეთ შეცდომები:

1. ფრინველები ჩვენსკენ გამოფრინდენ და ხეებზე შემოჯდენ.
2. მთიდან ჩამოსული მამაკაცები დასასვენებლად მორებზე ჩამოჯდენ.
3. ხალხი დაჯდა. ბავშვებიც გვერდით მიუჯდენ ხანში შესულ მამაკაცებს.
4. ცოლ-ქმარი ოთახის კუთხეში დაჯდა.
5. და-ძმას ხელიდან გაუვარდა მთელი ფული.
6. ბავშვებზე გაბრაზებულ რძალ-დედამთილს მაშინვე მათი ოთახისგან გაგდება მოუნდათ.
7. დაძახილზე სახლიდან დაფეთებული ქალები გამოვარდნენ.
8. მხოლოდ ერთი ლამაზი ფრთება გუგული მოკვდა, კუდმაკრატელა მერცხლები კი ყველანი მოკვდნენ.
9. ულვაშ გაპარსული კაცები და თმა გაშლილი ქალები სიცილით მოკვდნენ, როცა მათ გვერდით თავ გადაპარსული ბოვშები დაჯდნენ.
10. ბიჭები სულ მოუთქმელად გავარდნენ, რომ ბევრი შეშები მოეტანათ ჭადის გამოსაცხობათ.

სავარჯიშო N 97. გაასწორეთ შეცდომები. დასვით სასვენი ნიშნები:

1. მე და დედა-ჩემი სამზარეულოში დავჯექით ბაბუა-ჩემი და ბებია ჩემიც გვერდით მოგვიჯდნენ და მხიარულად ვისაუბრეთ.
2. თუ ასე ცუდათ მოიქცევით შიმშილით მოკვდავთ და სახლიდან გაგადებთ.
3. რატო დააგდე აქ ეს ფურცლები?
4. კაცს ხელ-ჯოხი შემთხვევით გაუვარდა ხელიდან ხელ-თათმანები კი თითონ გადაეყარა.
5. დედა-შვილობამ დასვი ეგ პირ-ტიტველა ბიჭები და სერიოზულად დაელაპარიკე.
6. აიღე ბიჭო ეს წიგნები ვინ დაყარა ისინი აქ!
7. რამ ჩაგაგდებია ეს კოვზები უჯრაში? ან როგორ გატყდა ეს ამდენი თეფშები?
8. ეზოში ღობესთან გაუსხლავი ხეები ეგდო.
9. ღმერთო როდის ჩავარდნენ ისინი ასეთ გაჭირვებაში?
10. ბავშვები რომ ნავში ჩავსვით არ ციცქნოდა.

☞ *დაიმახსოვრეთ ზოგიერთი ზმნის სწორი ფორმები, რომელთა გამოყენებისას ხშირად უშვებენ შეცდომებს.*

- *სწორი ფორმებია:*
  - ***იღვწის*** *(და არა: იღწვის);* ***წვრთნის*** *(და არა: წრთვნის);* ***დაამახსოვრდება*** *(და არა: დაახსომდება),* ***გაუხარდა*** *(და არა: გაეხარდა),* ***შეეშინდა*** *(და არა: შეეშინა).*
  - ***ავტომანქანა მყავს*** *(და არა: მაქვს),* ***მაგალითი მომყავს*** *(და არა: მომაქვს).*
  - *უზრუნველყოფილ* ***იქნეს*** *(და არა: იქნას), წარმოდგენილ* ***იქნეს*** *(და არა: იქნას)...*
  - ***თანავუგრძნობ, თანამიგრძნობს*** *(და არა: ვუთანაგრძნობ, მითანაგრძნობს)...*
  - ***ძალმიძს, ძალგიძს, ძალუძს*** *(და არა: მძალმიძს, გძალუძთ, ძალუცს).*

X. სახელზმნების მართლწერა

საწყისი

◈ ***ცნობისათვის:*** **ისეთ სიტყვას, რომელსაც სახელის ნიშნებიც აქვს და ზმნისაც, სახელზმნა ჰქვია. სახელზმნა ორგვარია: საწყისი და მიმღეობა. საწყისი წინადადებაში ისეა გამოყენებული, როგორც არსებითი სახელი** *(წერა, შენება, ხტომა)*, **ხოლო მიმღეობა — როგორც ზედსართავი სახელი** (აშენებული, დაუხატავი, დაჭრილი).

საწყისის მაწარმოებელია ბოლოსართი **-ა** *(ჭრ-ა, ხატვ-ა)*, ზოგ საწყისს -ა ნიშნის წინ უჩნდება **-ოლ, -ომ, -ნ** ბოლოსართები *(ქრ-ოლ-ა, დგ-ომ-ა, თხოვ-ნ-ა)*.

გვაქვს სხვაგვარად ნაწარმოები საწყისებიც: *ლოდინი, ტირილი, სიხარული, ქუხილი...*

☞ **საწყისის გამოყენებისას გავრცელებულია შემდეგი სახის შეცდომები:**

- უთემისნიშნო ზმნებში უმართებულოდ გაჩენილი **-ავ** თემის ნიშნის **ვ** თავს იჩენს საწყისშიც. *მაგ. ჩეხს/ჩეხავს > ჩეხვა, ტეხს/ტეხავს > ტეხვა და ა. შ.*
  სწორი ფორმებია: ჩეხა, ტეხა, ყეფა, ქროლა და მისთ.
  ☑ **რეცხავს** ზმნისათვის საწყისის სწორი ფორმაა **რეცხვა** და არა: რეცხა.
- **სიტყვები: ქეიფი, ღალატი, ყოყმანი, შეცდომა, ლოდინი და სხვ. თვითონ საწყისებია და არ საჭიროებენ თემის ნიშნის დამატებას. ამიტომ უმართებულო ფორმებია:** *ქეიფობა, ღალატობა, ყოყმანობა, შეცდომილება, ლოდნა და ა. შ.*
- ზმნებისათვის **არწევს, შეეჯიბრება, შეახრჩოლებს** საწყისი არის **რწევა, შეჯიბრება, შეხრჩოლება** *და არა: რწება, შეჯიბრი, შეხრჩოლვა.*
- **წვრთნის** ზმნის საწყისია **წვრთნა** და არა: გავრცელებული წრთვნა.

სავარჯიშო N 98. გახაზეთ სწორი ფორმები:

რეკვა, წვრთვნა, გადარჩომა, ჩარჩენა, შობვა, გადარჩენა, წვრთნა, ლოდინი, მუდარა, შეჯიბრება, ლოდნა, შეჯიბრი, მუდარება, რეცხვა, რწევა, ფრენა, ფრინვა, რწება, რეცხა, რეკა, შეხვეწება, შეცდომილება, ყოყმანობა, ღალატი, ქროლა, ქეიფი, ქეიფობა, ქროლვა, ღალატობა, ყოყმანი, შეცდრმა, შეხვერწნა.

სავარჯიშო N 99. გაასწორეთ შეცდომები:

1. გოჩამ ერთ დღეს მოინდომა ნახევარი ჰექტარი ტყის აჩეხვა.
2. გადავრჩი, მარა რათ გინდა, ვაი, ამ გადარჩომას.
3. ლოდნა დაუწყე, მეინტერესებოდა, რას მეტყოდა.
4. ონისემ მუდარებით შეჰხედა დათას.
5. ეკლესიაში მხოლოდ სალიტანიო ზარების რეკა ისმოდა.
6. კალია სხვადასხვა გზას ირჩევს ფრინვის დროს.
7. ირაკლის ამხანაგებს იმ ფულით ქეიფობა გადაეწყვიტათ.
8. იმ დღეს ჩემ ყოყმანობას ბოლო მოელო.
9. დიდ ინტერესს იწვევს შეჯიბრი ფეხბურთში, რომელიც ხვალ დაიწყება.
10. ბევრი ვეხვერწე, შენიჭირიმე, მაგრამ არ მომისმინა.

სავარჯიშო N 100. გაასწორეთ შეცდომები:

1. ქარის ქროლვა ტემპერატურათა სხვაობით არის განპირობებული.
2. ღირსეული მეუღლის პოვა ადვილი არ არის, მაგრამ ზურაბმა მაინც იპოვნა იგი.
3. „ძოვა“ სახელზმნაა, კერძოდ, საწყისი.
4. ამდენმა შრომამ, წრთვნამ და წვალებამ ბოლოს მაინც გამოიღო შედეგი.
5. დაღალვა რას მიქვიან, საქმე ხომ გავაკეთეთ, ეს არის მთავარი.
6. მიჯნურის წინ თრთოლვა და კრთომა განსაკუთრებით ახასიათებთ სარაინდო ეპოსის პერსონაჟებს.
7. მტერობა და შუღლი არის ყველა უბედურობის წყარო.
8. როგორც ამბობენ, გახშირდა მოქალაქების ცარცვა-გლეჯვა.

9. თხოვა ძალიან უძნელდებოდა, მაგრამ ბოლოს ნანამ მაინც სთხოვა რეზოს დახმარება.

10. ახლა ყოყმანობის და ლოდნის დრო არ არის.

მიმღეობა

◈ ***ცნობისათვის:*** **მიმღეობა ჰქვია ზმნის უუღლებელ ფორმას, რომელიც იბრუნვის და წინადადებაში უმეტესად ისე გამოიყენება, როგორც ზედსართავი სახელი:** *დამწერი, დასაწერი, დაწერილი, დაუწერელი...*

გამოყოფენ მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი გვარის მიმღეობებს.

მოქმედებითი გვარის მიმღეობა მიუთითებს მოქმედ საგანზე. მისი მაწარმოებელია **მ-** თავსართი ან **მ-ელ** და **მა-ელ** თავსართ-ბოლოსართი *(მ-კერავი, მ-შენებ-ელ-ი, და-მა-არსებ-ელ-ი).* ორიოდე მიმღეობა ნაწარმოებია **მ-არ** (დისიმილაციით **მ-ალ**) თავსართ-ბოლოსართის დართვით *(მ-ხატვ-არ-ი, მ-წერ-ალ-ი;* ამგვარ მიმღეობებს არსებითი სახელის მნიშვნელობა აქვთ მოპოვებული).

შეცდომების დიდი ნაწილი მიმღეობის მაწარმოებელ პრეფიქს-სუფიქსების უმართებულო ხმარებაზე მოდის. სალიტერატურო ნორმაა **მ-ელ** პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები მიმღეობის ფორმები. სწორია: **შე-მ-მართვ-ელ-ი** და არა: შემმართავი; **მო-მ-ჯადოებ-ელ-ი** და არა: მომჯადოები; **მ-შველ-ელ-ი** და არა: მშველი; **შე-მ-ცოდვ-ელ-ი** და არა: შემცოდავი.

☑ რამდენიმე შემთხვევაში ნორმად მიჩნეულია **მ-** პრეფიქსიანი მიმღეობები. **სწორია: მცოცავი, შემგნები, შემტყობი, სულთამხუთავი** (და არა: მცოცველი, შემგნებელი, შემტყობელი, სულთამხუთველი).

ვნებითი გვარის მიმღეობა სამოქმედო საგნის მდგომარეობას გამოხატავს (აშენებული, მოტანილი, დასაწერი). ვნებითი გვარის მიმღეობის ფორმათა წარმოება სამგვარია: პრეფიქსული (**ნა-**კეთები, **უ-**ნახავი, წა-**სა-**ღები); სუფიქსური (დაწერ-**ილ**-ი, გალექს-**ილ**-ი, დახატ-**ულ**-ი); პრეფიქსულ-სუფიქსური (გა-**უ**-კეთებ-**ელ**-ი, გა-**სა**-კეთებ-**ელ**-ი, და-**მ**-ჭკნ-**არ**-ი). გავრცელებულ **-ილ** და **-ულ** სუფიქსიან პარალელურ ფორმათაგან უმართებულოა **-ულ** სუფიქსიანი ფორმები. **სწორია: გალექსილი, აბურძგნილი, შეფუთნილი** (და არა: გალექსული, აბურძგნული, შეფუთნული).

საშუალი გვარის მიმღეობას აწარმოებს **მ** თავსართი და თავსართ-ბოლოსართები: **მ-არ** (დისიმილაციით **მ-ალ**), **მ-არე** (დისიმილაციით **მ-ალე**), **მო-ე** (მ-ცურავი, მ-ბრწყინავი, მ-ძინ-არ-ი, მ-ტირ-ალ-ი, მ-დუმ-არ-ე, მ-ხურვ-ალ-ე, მო-ბიბინ-ე, მო-თამაშ-ე).

☞ გახსოვდეთ!

- რიცხვში მონაცვლე ზმნათა მნიშვნელობა გაღმოჰყვება მათგან ნაწარმოებ სახელზმნებსაც. **ამიტომ ერთზე ითქმის დამჯდარი, ბევრზე — დამსხდარი.**

  სკამზე ჩამომჯდარი კაცი, მაგრამ *ჩამომსხდარი კაცები.*

  ერთზე ითქმის გადაგდებული, ბევრზე — გადაყრილი.

  მდინარეში გადაგდებული ქვა, მაგრამ *გადაყრილი ქვები.*

  ერთზე ითქმის ჩავარდნილი, ბევრზე — ჩაცვენილი.

  ორმოში ჩავარდნილი კაცი, მაგრამ *გაჭირვებაში ჩაცვენილი ადამიანები.*

- **მ-ზე დაწყებული ზმნისაგან მ თავსართით ნაწარმოებ მიმღეობაში ორი მ მოიყრის თავს** *(მ-მართველი, და-მ-მორჩილებელი).*

- **ზოგიერთ სახელზმნას ზმნისწინის ძველი და ახალი სახით ხმარება განსხვავებულ მნიშვნელობას აძლევს:** *წასული (ბავშვი) — წარსული (დრო), აღზრდილი (ბავშვი) —აზრდილი (ხე) ...*

- **ზოგიერთ მიმღეობას გა-** და **და-** ზმნისწინით გარჩეული აქვს, ერთია საგანი თუ ერთზე მეტი: *გათლილი (ფიცარი) — დათლილი (ფიცრები), გაგზავნილი (წერილი) — დაგზავნილი (წერილები), გარეცხილი (თეფში) — დარეცხილი (ჭურჭელი)...*

- ***სწორია: გავსებული*** *(და არა: გავსილი),* ***დაღლილი*** *(და არა: დაღალული),* ***ნასამართლევი*** *(და არა: ნასამართლები),* ***შეცივებული*** *(და არა: შეცივნული),* ***გამოშშრალი*** *(და არა: გამოშრობილი),* ***დაკიდებული*** *(და არა: დაკიდული),* ***მოუსყიდველი*** *(და არა: მოუსყიდავი),* ***შესრულებული*** *(და არა: შენასრულები),* ***ნაჩხუბარი*** *(და არა: ნაჩხუბი),* ***დამდურებული*** *(და არა: ნამდურავი),* ***შეცოდებული*** *(და არა: შენაცოდი),* ***საეჭვო*** *(და არა: საეჭველი),* ***სასაცილო*** *(და არა: საცინელი),* ***მოსატყუებელი*** *(და არა: მოსატყვილებელი ან მოსატყუარი),* ***საცოდნელი*** *(და არა: საცოდნი, საცოდნარი ან საცოდინარი)...*

სავარჯიშო N 101. გაასწორეთ შეცდომები:

1. რა გაქს მოსარიდი, ადექი და ყველაფერი უთხარი.
2. ეს გემრიელი სადილი მაკას მომზადილი იყო.
3. ვინ არის შენი მოსატყვილებელი, შენი მოსატყუარი კბილი დიდი ხანია, მოვიცვალე.
4. მათთან ერთად არსენაც კვნესის, რათგან ბედს ყველაზე მეტი საკვნესარი მისთვის მიუთვლია.
5. პეტრემ საწვიმო მოსასხამის ყაბალახი ჩამოიხურა.
6. მალხაზიმ სწორეთ სანატრო საქმე გამიკეთა.

7. ცოდვა გამხილებული სჯობს.
8. ჩემი აზრით, ეს საქმე არ არის მოსაწონარი.
9. საცინელი რა მჭირს? სატირალად მაქს საქმე.
10. იქნებ ისეთი ვინმე გიყვარს, ვინც შენი საკადრო არ არის?

სავარჯიშო N 102. გაასწორეთ შეცდომები:

1. საქართველოს დამჩოქებელი და დამორჩილებელი მტერი ძნელი მოსაძებნია.
2. ბოთლები გავსილი იყო ცივი ღვინოთი.
3. განსაშჯელი უარყოფს კაკაბაძეს მკვლელობას.
4. ქოხიდან ოდნავ ბჟუტავი სინათლე გამოდიოდა.
5. ეზოში პატარა გიორგის მიერ აივნიდან გადმოგდებული ბურთები ეყარა.
6. ქუჩაში დაგდებული სიგარეტის ნამწვავები ადამიანების უკულტურობაზე მეტყველებს.
7. მის მაგიდაზე კოხტად დათლილი ფანქარი იდო.
8. ამ საბრალოს დამარხავიც აღარ დარჩა.
9. მორებზე ჩამომჯდარი ბავშვები ლაშქრობისათვის ემზადებოდნენ.
10. რა აბურძგნული დადის ეს ჩვენი მწრთვნელი.

☞ ***დაიმახსოვრეთ!*** **კრებითი სახელით გადმოცემულ ქვემდებარესთან რიცხვში მონაცვლე ზმნების მრავლობითის ფუძისაგან ნაწარმოები მიმღეობის ფორმები იხმარება.**

სწორია: დამსხდარი ხალხი, გადაყრილი ნაგავი *და არა: დამჯდარი ხალხი, გადაგდებული ნაგავი.*

- პარალელური ფორმებია: დამმშვენებელი//დამამშვენებელი, გამმრუდებელი //გამამრუდებელი, გამმწვანებელი //გამამწვანებელი.

სავარჯიშო N 103. გახაზეთ სწორი ფორმები:

შეცოდებული, მონაბარი, შენაგდები, შეშფოთებული, შეგდებული, შენაშფოთი, შენაცოდი, მობარებული, შენაძრწოლი, შეძრწუნებული, შენაგლეჯი, ჩრდილი, საეჭველი, ნაჩრდილები, დამდურებული, შესრულებული, შენასრულები, საეჭვო.

სავარჯიშო N 104. ჩასვით სწორი ფორმა:

1. სხვენზე (შენაგდებ/შეგდებულ) სკივრში ძველი ტანსაცმელი მაქვს შენახული.
2. (შენაძრწუნები/შეძრწუნებული) დედაკაცი ადგილს ვერ პოულობდა.
3. ბიჭს (აბურძგნილი/ აბურძგნული) თმა ჰქონდა.
4. ცოდვა (გამხილებული/ გამხელილი) სჯობიაო.
5. ქალს ღრმა ფიქრისაგან (შეჭმუხნილი/ შეჭმუხნული) შუბლი ოდნავ გაეხსნა.
6. ეს მოთხრობა ჩემ მიერაა (გალექსული / გალექსილი).
7. გოგი სავარძელში იჯდა, ფეხები შალით ჰქონდა (შეფუთნილი/ შეფუთნული).
8. კარგად (გამოცხობილ /გამომცხვარ) პურს მიირთმევდა.
9. კედელი კარგად არ იყო (გამოშრობილი/ გამომშრალი).
10. ჩვენი ინსპექტორი (მოუსყიდავი /მოუსყიდველი) კაცია.

სავარჯიშო N 105. ჩასვით სწორი ფორმა:

1. ვასო დიდი ხანია, თავის მეზობელზე (დამდურებული /ნამდურავი) იყო.

2. მომხსენებელმა ბევრი ილაპარაკა (შენასრულები/ შესრულებული) სამუშაოს ხარისხზე.

3. აკაკიმ დაინახა კერიაზე (დაკიდებული/დაკიდული) ჯაჭვი.

4. ტყეში (შეჯგუფული/შეჯგუფებული) მგლები მზის ამოსვლას ელოდნენ.

5. აუზი კამკამა წყლით არის (ავსილი/ავსებული).

6. ამ გრძნობით ვართ ყველა (აღვსებული/აღვსილი).

7. არსაკიძე (მოუწვევლად/უწვევლად) შეივლიდა ხოლმე კოლონკელიძის სახლში.

8. მელია შორს (გაიტყუილებდა/გაიტყუებდა) ხოლმე მსხვერპლს.

9. მალე მთელმა ტანმა დაუწყო (ქავება/ქავილი).

10. ხის ტოტზე (შესკუპებულმა/შესკუპულმა) მამალმა ხმამაღლა დაიყივლა.

სავარჯიშო N 106. ჩასვით სწორი ფორმა:

1. (უკურნალი/ უკურნებელი) სენის წამალი ღვინოა.
2. ახალგაზრდა კაცი, სამწუხაროდ, (უკურთხ/უკურთხებელ) მიწაში იწვა.
3. საიდანღაც (შეუწყვეტელი/შეუწყვეტი) სიმღერა ისმოდა.
4. ჩემი გადაწყვეტილება (ურყევი/ ურყეველი) იყო.
5. ამქვეყნად (უცოდველო/უცოდველი) არავინაა.
6. კორუფციას მაშინ დავამარცხებთ, როცა (მოუსყიდავი/ მოუსყიდველი) მინისტრები და ჩინოვნიკები გვეყოლება.
7. ეს საქციელი სრულიად (შეუფერები/შეუფერებელი) იყო მისთვის.
8. ეს სულაც არ არის (შეუძლები/ შეუძლებელი).
9. მაგდანას (შეუმჩნეველი/შეუმჩნევი) არავინ დარჩენია.
10. ქითო მეტად (მოურიდავი/მოურიდებელი) დედაკაცი იყო.

XI. ზმნიზედების მართლწერა

◈ ***ცნობისათვის:*** ზმნიზედა (ზმნისართი) ჰქვია დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ფორმაუცვლელ სიტყვას, რომელიც ზმნით აღნიშნულ მოქმედებას განსაზღვრავს დროსა და სივრცეში ან გვიჩვენებს, თუ რა ვითარებაში ხდება მოქმედება, რამდენჯერ და რა მიზნით ხდება იგი ან რა არის მოქმედების მიზეზი თუ მიზანი.

- ზმნიზედები ქართულში მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ფორმათაგან იწარმოება.
- მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის **თ** დაბოლოებით გაფორმებულია პირველადი ზმნიზედები *(წინათ, ზემოთ, ქვემოთ).* **დ**-ზე დაბოლოებული ზმნიზედები კი წარმოშობით ვითარებითი ბრუნვის ფორმებია *(სწორად, ბევრად, კარგად, ძველად).*

☞ ***დაიმახსოვრეთ!***

- მოქმედებითი ბრუნვის ფორმისაგან ნაწარმოები ზმნიზედა **-თ** დაბოლოებით უნდა დაიწეროს:

  სწორია: წინათ, ქვემოთ, ზემოთ, აქეთ, იქით, გარეთ, უკეთ (შემოკლებული სახეა სიტყვისა „უკეთესად“,) **მარცხნით (მარცხნივ), მარჯვნით (მარჯვნივ), ეგრეთ, მხრით (მხრივ) და სხვ.** (და არა: წინად, ქვემოდ, გარედ, მარჯვნიდ ...).

- ზმნიზედები, რომლებიც ვითარებითი ბრუნვის ფორმისაგანაა მიღებული და მიუგებენ კითხვაზე **როგორ**? უნდა დაიწეროს **-დ** დაბოლოებით.

  სწორია: კარგად, ჩუმად, უცბად, წესიერად, უქმად, ბლომად, გაისად, მთლად, ადვილად და სხვ.(და არა: კარგათ, ჩუმათ, გაისათ...).

☑ **სწორია ალბათ** (და არა: ალბად).

☑ **შერწყმული ზმნიზედები ერთად იწერება** *(ყოველდღე, მუდამდღე, დიდხანს, ყოველნაირად, მარადჟამს, გუშინწინ).*

☑ **ცალ-ცალკე იწერება:** ***წლიდან წლამდე, დღითი დღე, თვიდან თვემდე...***

სავარჯიშო N 107. გახაზეთ სწორი ფორმა:

აგრემც / ასემც
ამალამდელი / ამელამდელი
არასგზით / არაგზით
აქა-იქ / იქა-აქ
აქეთ / აქით
ახლავე / ეხლავე
იქედან / იქიდან
როგორ / რაგვარად
სადამდი / სადამდე
საიდამ / საიდან
საიდანმე / საიდგანმე
წინათ / წინად / წინედ
ამალამ / ამელამ
არასდროს / არადროს
არსაიდან / არსიდან
აქიდან / აქედან
აქეთობას / აქითობას
ეხლანდელი / ახლანდელი
იქეთ / იქით
როდისმე / როსმე
საცა / სადაც
საიდან / საიდგან
სანამდე / მინამდე
ხანდახან / ხანდისხან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარჯიშო N 108. გაასწორეთ შეცდომები:

1. გარედ თოვდა, სიჩუმეს ხანდისხან ბავშვების ყიჟინა არღვევდა.
2. ამას წინეთ ნიკოსთან სტუმრათ ვიყავით და იქედან ერთად წავედით თეატრში.
3. ნანამ ალბად არ იცის, რო ბევრ დავალებებს გვაძლევს.
4. კვამლი ნელ-ნელა წავიდა ზევიდ-ზევიდ და თან-და-თან გაიფანტა.
5. ბევრი გზები გამოვიარე, მაგრამ ამაოთ.
6. აქითობას მამიდას დაურეკე და საცა არ უნდა იყოს, წამოიყვანე.
7. ტყე შემოდგომაზე ყვითლათ და წითლათ, მოკლეთ, წითელყვითელათ აბრიალდა.
8. აშკარათ გამოჩნთა, რომ ვახტანგიმ ცერათ დამიწყო ცქერა.
9. მე-2-ე კლასში უკვე კარგათ ვკითხულობდი, ალბად, ეს მასწავლებელთან ერთათ პაპაჩემის დამსახურებაც იყო.
10. წინად აქ გმირებს უხმობდნენ დაფდაფითა და ბუკითა.

სავარჯიშო N 109. გაასწორეთ შეცდომები:

1. რა საცოდავათ კნავის ჩვენი კნუტი!
2. სულელათ არ უნდა ჩაგთვალონ, ჩემო ბატონო!
3. საოცრათ დამღალა ამდენმა შრომამ.
4. ანანო შესანიშნავათ მღერის.
5. ალბად ამაზე წინათ ვერც კი ვიოცნებებდი.
6. ზეით ნუ წახვალთ, იქ არავინ გელით.
7. გახარებული დედა უნებლიედ ატირდა.
8. ზეიდან ნუ წამოხვალთ, აქიდან უკეთესი გზაა.
9. ქალი ნელნელა, სვენებსვენებით მიდიოდა.
10. ალმართალმართ მივდიოდი მე ნელა.

XII. ლექსიკა და ფრაზეოლოგია

ეროვნული ბიბლიოთეკა

◈ <u>ცნობისათვის:</u> ენაში არსებულ სიტყვათა მარაგს ლ ე ქ ს ი კ ა ჰქვია. ენათმეცნიერების დარგს, რომელიც ლექსიკას შეისწავლის, ლექსიკოლოგია ეწოდება. მისი შესწავლის ობიექტია სიტყვა, როგორც მნიშვნელობის მატარებელი ოდენობა, სიტყვის ემოციური იერი, სიტყვის მნიშვნელობა შესიტყვებაში, ლექსიკური ფონდის გამდიდრების გზები და სხვ.

სინონიმები

◈ სინონიმები ეწოდება განსხვავებული ბგერითი შედგენილობისა და მსგავსი ან იდენტური მნიშვნელობის მქონე სიტყვებს. *მაგალითად: სევდა, დარდი, ურვა, კაეშანი, ნაღველი, ჭმუნვა... უამრავი, ურიცხვი, უთვალავი, მრავალი...*

სინონიმებში განარჩევენ აბსოლუტურ და რელატიურ სინონიმებს. აბსოლუტური სინონიმები იდენტური შინაარსისაა. ისინი, ჩვეულებრივ, ერთ საგანს მიემართებიან. *მაგალითად: ბებია — დიდედა; პაპა — ბაბუა; ბაგე — ტუჩი; ქვევრი — ჭური; კომში — ბია.*

რელატიური სინონიმები შინაარსით მსგავსია, მაგრამ არა — იდენტური. *მაგალითად: ლამაზი, მომხიბლავი, მშვენიერი, კეკლუცი, ტურფა...*

სავარჯიშო N (110) ხაზგასმული სიტყვები შეცვალეთ სინონიმებით:

1. ნინო და თემური ტკბილად <u>მასლაათობდნენ</u>.

2. ლუარსაბი მეტად <u>შეუხედავი</u> კაცი იყო.

3. მეფის სასახლეში გამართულ <u>ნადიმს</u> სამღვდელოებაც ესწრებოდა.

4. ეკა სასწრაფოდ <u>გაეშურა</u> მეგობრის დასახმარებლად.

5. შვილო, <u>გეხვეწები</u>, არ დააგვიანო!

6. ავთო <u>ჭკვიანი</u> და <u>უშიშარი</u> ბიჭია.

7. თბილისში ძალიან მომრავლდა <u>უცხოური</u> მანქანები.

8. ლალი ჩუმი და მორიდებული გოგოა.

9. მან მტკიცედ გადაწყვიტა, დღეიდან ბევრითად ემეცადინა.

10. სრულიად ნათელია, რომ პარლამენტი ამ კანონს დაამტკიცებს.

სავარჯიშო N 111

1. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა მცხუნვარეს სინონიმი.

.....ცხელ..... მზეს ელენე ვერსად დაემალა.

2. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა წმინდას სინონიმი.

ეკას და აჩიკოს ერთმანეთი ..ქალწული..... სიყვარულით უყვარდათ.

3. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა ქედმაღლის სინონიმი.

ელპიტე .....ამპარტავანი.....ქალია.

4. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა შენდობის სინონიმი.

გიგამ მოძღვარს ცოდვათა .....პატიების..... სთხოვა.

5. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა შრომის სინონიმი.

აკაკიმ კარგად იცის .....ხელსაქმე..... ფასი.

6. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა კოცნის სინონიმი.

თამილას მისი ერთი ...ალერსი..... არ ეღირსა.

7. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა გაგიჟდას სინონიმი.

ამის გაგონებაზე თორნიკე კინალამ ...ტკივილისგან გაგიჟდა

8. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა ანკარას სინონიმი.

კლდიდან .....წკარო..... წყარო მოჩუხჩუხებდა.

9. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა ღაწვის სინონიმი.

თიკოს სიცივისაგან .....ლოყა..... დასწითლებოდა.

10. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა უვარგისის სინონიმი.

ინსტრუქცია სრულიად ..გამოსადეგი..... აღმოჩნდა.

სავარჯიშო N 112. დასახელებული სინონიმური რიგიდან შეარჩიეთ შესაფერისი სიტყვები და ჩასვით მრავალწერტილის ნაცვლად:

გავარვარებული, თაკარა, მცხუნვარე, მხურვალე, მდუღარე, ცხარე, ცხელი, გახურებული.

1. .... ლითონი
2. .... კერძი
3. .... ცრემლი
4. .... ლუმელი
5. .... ამინდი
6. .... კამათი
7. .... ბრძოლა
8. .... მზე
9. .... თონე
10. .... რძე

სავარჯიშო N 113.

1. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა <u>მზაკვრობის</u> სინონიმი.

მეგობრებმა არ აპატიეს მას ეს ....

2. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა <u>უკიდეგანოს</u> სინონიმი.

ნათია .... სივრცეს გასცქეროდა.

3. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა <u>ძალაგამოცლილის</u> სინონიმი.

....მოხუცი ძლივს ლაპარაკობდა.

4. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა <u>დააცილას</u> სინონიმი.

ბავშვობის განუყრელი მეგობრები ცხოვრებამ ნელ-ნელა ერთმანეთს ....

5. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა <u>აურზაურის</u> სინონიმი.

ისეთი .... ატყდა, რომ თავი ამტკივდა.

6. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა <u>გამოემშვიდობას</u> სინონიმი.

გოჩა თავაზიანად .... კეთილ მასპინძელს.

7. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა <u>ხელმოკლის</u> სინონიმი.

იამზე .... ოჯახის შვილი იყო.

8. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა <u>სიცრუის</u> სინონიმი.

.....სყვ.ი.ი..... არ უნდა იკადრო.

9. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა <u>მანდილოსნის</u> სინონიმი.

ამ .....ქა.ბა.ნ.ლ..... სახელს ყველა მოწიწებით წარმოთქვამდა.

10. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა <u>მინდვრის</u> სინონიმი.

ამ ..... გადაღმა სასტუმრო შენდება.

☞ ***გახსოვდეთ!***

კონტექსტში სინონიმური სიტყვები შეიძლება არ აღმოჩნდნენ თანაბარმნიშვნელოვანნი, ამიტომ სიტყვის სინონიმით თავისუფალი ჩანაცვლება ყოველთვის არ მოხერხდება. **აღმართეს—ააშენეს, მოღვაწეობდა—მუშაობდა** სინონიმებია, მაგრამ არ შეიძლება ითქვას: *ჩვენს რაიონში* ***აღმართეს*** *ახალი სკოლა; კომბაინი მთელ დღეს* ***მოღვაწეობდა*** *მინდორში.*

◈ ***ცნობისათვის:*** სიტყვის სტილისტური ელფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ სამეტყველო სტილს მიეკუთვნება იგი — **წიგნურს** თუ **სასაუბროს**. მათგან პირველი გამოიყენება სამეცნიერო, პუბლიცისტურ, ოფიციალურ ტექსტებში, ხოლო მეორე იმ ადამიანთა ძალდაუტანებელ საუბრებში, რომლებიც ერთმანეთთან საქმიანი ურთიერთობით არ არიან დაკავშირებული.

სავარჯიშო N 114. გაბაზეთ მწიგნობრული სიტყვები:

1. შეჭამა, მიირთვა, ჩახეთქა, შეთქვლიფა, საკვები მიიღო.
2. მოკვდა, გარდაიცვალა, ჩაძაღლდა, თქვენი ჭირი წაიღო, სული განუტევა, მიიცვალა.
3. მაღალი, აწოწილი, აშოლტილი.
4. უგერგილო, დონდლო, მოუხერხებელი, უხერხემლო, ლობიო, დაბდური.
5. ძონძი, ძველმანი, ჯლანი.
6. იაფი, ხელმისაწვდომი, მუქთი.
7. მალოდინა, მაყურყუტა, მაცდევინა.

8. ანჩხლი, კაპარჩხინა, ჭინჭყლი.
9. შტერი, ყეყეჩი, ჩერჩეტი, ბენტერა, რეგვენი, ტუტუცი.
10. ტრფობა, გამიჯნურება, კურკური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტონიმები

◈ცნობისათვის: **ანტონიმები საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვებია.** *მაგალითად: სიმართლე — სიცრუე, სიკეთე — ბოროტება, ლაპარაკი — დუმილი.*

ანტონიმები, როგორც წესი, მეტყველების ერთი და იგივე ნაწილებია და წყვილ-წყვილად ჯგუფდება *(დღე—ღამე, კარგი—ცუდი, ბევრი—ცოტა, ახლობელი—შორებელი, ხშირი—იშვიათი, მალლა—დაბლა, აქ—იქ, იცინის — ტირის).* **ბევრ სიტყვას ანტონიმი საერთოდ არ გააჩნია** *(მაგალითად: სახლი, ხე, თბილისი, კავკასია),* **ზოგიერთს კი შეიძლება რამდენიმე ანტონიმი ჰქონდეს.** მაგალითად, *მხიარულის ანტონიმებია: სევდიანი, ნაღვლიანი, მოწყენილი...; ჭკვიანის — უჭკუო, სულელი, თავქარიანი...*

სავარჯიშო N 115. დააწყვილეთ ანტონიმებად ქვემოთ ჩამოთვლილი სიტყვები:

აღელვება, ახალი, თავაზიანი, მამაცი, ძველი, ნაყოფიერი, ლაჩარი, დასასრული, მუდმივი, ცოდვა, ნედლი, უნაყოფო, სიცოცხლე, თავხედი, სიკვდილი, ხმელი, ცვალებადი, დამშვიდება, დასაბამი, მადლი.

1.---------- ---------- 2.---------- ----------

3.---------- ---------- 4.---------- ----------

5.---------- ---------- 6. ---------- ----------

7.---------- ---------- 8.---------- ----------

9.---------- ---------- 10.---------- ----------

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარჯიშო N 116. შეცვალეთ ხაზგასმული სიტყვები ანტონიმებით:

1. სალომე მაღალი და შავგვრემანი ქალია.
2. ამ რომანს ყველა აქებს.
3. შემოდგომის ცივი და ბნელი ღამე იყო.
4. მოხუცები ჩუმად მიუყვებოდნენ გზას.
5. ელიზბარი განათლებული და მდიდარი კაცი იყო.
6. ნათიამ გიოს ეს ამბავი სიცილით უთხრა.
7. – რა მშიშარა ყოფილა, – გაიფიქრა თინამ.
8. ბიჭი მკვირცხლად წამოდგა.
9. ბავშვმა უხალისოდ ჩაიცვა ქურთუკი.
10. აქ რომ დღეა, იქ ღამეა.

სავარჯიშო N 117. შეცვალეთ ხაზგასმული სიტყვები ანტონიმებით:

1. დედის დანახვამ ნოდარი აალელვა.
2. ფილმის დასაწყისი განსაკუთრებით საინტერესოა.
3. ბარში მოსალოდნელია წვიმა.
4. ამბობენ, ნუკრი ტყუილს ხშირად ამბობსო.
5. ამ უცნობი ხელნაწერის ასლი იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან ჩამოიტანეს ჩვენმა ახალგაზრდა მკვლევრებმა.
6. ოჯახში იგი თავაზიანი და მორიდებული გოგოა, სამსახურში კი— წარმატებული მენეჯერი.
7. არწივი მალლა-მალლა მიფრინავდა.

8. საწყალ ელიკოს ბედის ბორბალი უკუღმა დაუტრიალდა.

9. ეთერი გამხდარი ქალია.

10. ეს სულელური გადაწყვეტილებაა, გამოუსწორებელი ოპტიმისტიც კი არ დაიჯერებს, რომ წარმოდგენილი პროექტი წარმატებული იქნება.

სავარჯიშო N 118. შეცვალეთ ხაზგასმული სიტყვები ანტონიმებით:

1. გამოცდაზე ისეთი მარტივი საკითხები შემხვდა, რომ თვალს არ დავუჯერე.
2. ასეთი მაჟორული განწყობილება ამ ბოლო დროს იშვიათად მეუფლება ხოლმე.
3. ეს ტრაგიკული ამბავი ჩემმა ძველმა მეგობარმა მიამბო.
4. ახალგაზრდა ადვოკატს ამ პროცესის მოგების შემდეგ ქუჩაში ყველა ცნობდა.
5. ხელმოცარული ბიზნესმენი დღედაღამ ახალ საქმეზე ფიქრობდა.
6. ზაფხულის ცხელ დღეებში წყნეთის ჩრდილიანი ეზო ძალიან გვენატრება.
7. ქორწილიდან გიორგი ღამით მთვრალი დაბრუნდა.
8. მანანამ უფროსი შვილი დატუქსა.
9. ეს დებულება მცდარია.
10. —დედიკო, ნახე, რა ჭუჭყიანი ხელები მაქვს! — ტიტინებდა პატარა ანდრო.

სავარჯიშო N (119) ამოწერეთ ანტონიმური წყვილები:

უსინათლო, მშრალი, ხმელი, ხვადი, ლამაზი, უგემური, თვალხილული, სველი, დაზოგვა, განიერი, სნეული, უკუღმა, აღმოსავლეთი, დაბა, ჩრდილოეთი, გაფლანგვა, ძუ, დასავლეთი, რბილი, გემრიელი, თბილი, დამჭკნარი, ვიწრო, ცხელი, თაკარა, წარმა, ამბა, ლმობიერი, ჯანმრთელი, ფუჭი, თავქარიანი, უქარო.

1. --- --- 2. --- ---
3. --- --- 4. --- ---
5. --- --- 6. --- ---
7. --- --- 8. --- ---
9. --- --- 10. --- ---

პარონიმები

◈**ცნობისათვის:** პარონიმები ბგერობრივად მსგავსი, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობის მქონე სიტყვებია. მაგალითად: *აღქმა — აღთქმა, მოთხოვნა — მოთხოვნილება, ცნება — მცნება, პირი — პიროვნება, სწავლა — სწავლება, თარგმნა — თარგმანი, სწორედ — სწორად, თითქოს — თითქმის, იწყებს — იწყობს.*

ბგერობრივი მსგავსების გამო პარონიმები ზოგჯერ ერთმანეთში ერევათ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი უცხო ენებიდან შემოსული სიტყვებია *(მაგ.: დიპლომატი—დიპლომანტი, აფექტი—ეფექტი, ვეტერანი—ვეტერინარი, კამპანია — კომპანია, პლაგიატი—პლაგიატორი).* **ამგვარი აღრევის საფუძველი ამ სიტყვათა ლექსიკური მნიშვნელობის არცოდნაა.**

სავარჯიშო N (120) გაასწორეთ შეცდომები:

1. საქართველოს ეკონომიის მინისტრი საზღვარგარეთ გაემგზავრა.
2. ამ ამპულაში თავს კარგად ვგრძნობ.
3. ავთანდილი თინათინის ყურმა იყო.
4. ნინომ სწორჟდ ამოხსნა განტოლება.

5. თიკო დიდი ხანია, ამ კომპანიაში მუშაობს.
6. და-ძმა ორმაცნებიანი კომპოზიტია.
7. რუსუდანს ძალიან გაუჭირდა ამ ფაქტის აღქმა.
8. ახალბედა მომღერალმა მაღალი ნოტი ვერ აიღო.
9. მეკარემ არევაძის პენალტი მოიგერია.
10. ჩვენი ბიბლიოთეკის ღვაწლმოსილი თანამშრომლები საპატიო ორდერებით დააჯილდოვეს.

სავარჯიშო N 121 მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სათანადო სიტყვა:

1. საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ..... სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობენ. (ემიგრანტები, იმიგრანტები)
2. „ბჟოლა“, „ბია“, „ბოვში“ ..... ფორმებია. (დიალექტიკური, დიალექტური)
3. ამდენი კითხვით თვალის ..... დაუსივდა. (უპეები, უბეები)
4. .....კანონი თუ არ დასჯის, საზოგადოება მაინც გაკიცხავს. (პლაგიატს, პლაგიატორს)
5. პენსიონერთა სამართლიანი .....ხელისუფლებამ დააკმაყოფილა. (მოთხოვნილებები, მოთხოვნები)
6. .....თავისი სადიპლომო ნაშრომი დროულად დაასრულა. (დიპლომანტმა, დიპლომატმა)
7. ქართული ცეკვის ..... განუმეორებელია. (რიტმები, რითმები)
8. ბატონი ლადო იფიცებოდა, რომ თვითონ იყო ამ ამბების ..... და თვითმხილველი. (მოწამე, მოწმე)
9. დავით აღმაშენებელი საქართველოს დიდი ..... იყო. (მეუფე, მეფე)

10. ზიმბაბვეში მთავრობით უკმაყოფილო ხალხმა..... გამოსვლები დაიწყო. (მასური, მასობრივი, მასიური)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარჯიშო N 122. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სათანადო სიტყვა:

1. დემეტრე .....ბიჭია. (საცოლე, საცოლო)
2. მისი ინიციატივით..... ძეგლთა დაცვის საზოგადოება. (შეიქმნა, შეიქნა)
3. ამ სტატიის ..... ბატონ თენგიზს ვთხოვე. (რეცენზია, რეცენზირება)
4. შუშანიკი და ვარსქენი ისტორიული .....არიან. (პირები, პიროვნებები)
5. სკოლის მოსწავლეებს ..... დაურიგეს და ისინიც ხალისით დადიან რუსთაველის თეატრში. (აბონენტი, აბონემენტი)
6. გრიგოლ ორბელიანის პოემა „სადღეგრძელო“ პატრიოტულ ..... დაწერილი. (თემაზეა, თემატიკაზეა)
7. ვანომ ორი ..... რუსულიც არ იცოდა. (ღერი, ღერო)
8. სტუმარმა მასპინძლებს მადლობა.....(მოუხადა, გადაუხადა).
9. დავითმა გერმანიაში წერილი გაგზავნა, რომლის..... იყო ანა. (ადრესატი, ადრესანტი)
10. კოტე ჩემი ..... (ახლობელია, მახლობელია).

სავარჯიშო N 123. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სათანადო სიტყვა:

1. ნოდარმა ბუნების ..... სურათი დახატა: ჩამავალი მზის შუქზე სალამურზე უკრავდა მწყემსი ბიჭუნა. (იდილიური, იდეალური)

5. ბალი

ა) ----------

ბ) ----------

6. ხერხი

ა) ----------

ბ) ----------

7.ხელი

ა) ----------

ბ) ----------

8. ოდა

ა) ----------

ბ) ----------

9. ატლასი

ა) ----------

ბ) ----------

10. მძიმე

ა) ----------

ბ) ----------

სავარჯიშო N 126. შეადგინეთ წინადადებები. გამოიყენეთ მოცემული სიტყვები ორი განსხვავებული მნიშვნელობით:

1. ასული

ა) ----------

ბ) ----------

2. შველი

ა) ----------

ბ) ----------

3. ვარდები

ა) ----------

ბ) ----------

4. ველი

ა) ----------

ბ) ----------

5. ვერა

ა) ----------

ბ) ----------

6. ზარი

ა) ----------

ბ) ----------

7. გადაცემა

ა) ----------

ბ) ----------

8. ალალი

ა) ----------

ბ) ----------

9. ლომი

ა) ----------

ბ) ----------

10. ჯამი

ა) ----------

ბ) ----------

◈ ***ცნობისათვის:*** **სიტყვას, რომელსაც მხოლოდ ერთი მნიშვნელობა აქვს, ერთმნიშვნელობიანი სიტყვა ეწოდება** *(მაგ.: ფანქარი, კოსმონავტი, მთვარე)*, **ორი ან მეტი მნიშვნელობის მქონე სიტყვებს კი — მრავალმნიშვნელობიანი, ანუ პოლისემიური** *(მაგ.: გული, ენა, თავი)*. **სიტყვის პოლისემიურობის რეალიზება ხდება მეტყველების დროს. კონტექსტი, როგორც წესი, წარმოაჩენს ამგვარი სიტყვის ერთ-ერთ კონკრეტულ მნიშვნელობას** (მაგ.: *„მთელი დღეა, თავი მტკივა“; „რომანის მეხუთე თავი განსაკუთრებით საინტერესოა“; „მაგიდაზე იდო ორი თავი ხახვი“; „თავი არ შეირცხვინო“; „ქალაქის თავი ღირსეული პიროვნება აღმოჩნდა“; „ამ საქმეს ვერც თავს გაუგებ, ვერც ბოლოს“*).

ერთსა და იმავე სიტყვას სხვადასხვა წინადადებაში შეიძლება ჰქონდეს პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა *(მაგ.: „ქვეყნის მომავალი ახალი თაობის ხელშია“; „სტადიონზე ქვეყანა ხალხი შეიკრიბა“).*

სავარჯიშო N 127. შეადგინეთ წინადადებები. გამოიყენეთ მოცემული სიტყვები განსხვავებული მნიშვნელობით:

1. გული

ა) ----------

ბ) ----------

2. ენა

ა) ----------

ბ) ----------

3. თავი

ა) ----------

ბ) ----------

4. კარი

ა) ----------

ბ) ----------

5. თვალი

ა) ----------

ბ) ----------

6. უბე

ა) ----------

ბ) ----------

7. პირი

ა) ----------

ბ) ----------

8. ბეჭედი

ა) ----------

ბ) ----------

9. დედა

ა) ----------

ბ) ----------

10. ფენა

ა) ----------

ბ) ----------

სავარჯიშო N 128. გამოიყენეთ დასახელებული სიტყვები პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით:

1. ბრმა

ა) ----------

ბ) ----------

2. ცივი

ა) ----------

ბ) ----------

3. ოქრო

ა) ----------

ბ) ----------

4. რკინა

ა) ----------

ბ) ----------

5. ცხელი

ა) ----------

ბ) ----------

6. ნათელი

ა) ----------

ბ) ----------

7. ცარიელი

ა) ----------

ბ) ----------

8. შავი

ა) ----------

ბ) ----------

9. ბნელი

ა) ----------

ბ) ----------

10.ყრუ

ა)----------

ბ) ----------

სავარჯიშო N 129. გამოიყენეთ დასახელებული სიტყვები პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით:

1. ანგელოზი

ა) ----------

ბ) ----------

2. ეშმაკი

ა) ----------

ბ) ----------

3. მელა

ა) ----------

ბ) ----------

4. გველი

ა) ----------

ბ) ----------

5. სამოთხე

ა) ----------

ბ) ----------

6. ყვავი

ა) ----------

ბ) ----------

7.თუთიყუში

ა)----------

ბ) ----------

8. ღელვა

ა) ----------

ბ) ----------

9. ბულბული

ა) ----------

ბ) ----------

10. კოჭლი

ა) ----------

ბ) ----------

უცხოური სიტყვების მართლწერა

◈ ***ცნობისათვის:*** ქართულ ენას თავისი განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში ბევრ სხვა ენასთან (ბერძნულთან, სპარსულთან, არაბულთან, თურქულთან, რუსულთან...) ჰქონდა კონტაქტი. ამის შედეგად უცხო ენებიდან ქართულში მრავალი სიტყვა შემოდიოდა. ზოგი მათგანი ენაში დამკვიდრდა და დღეს მათი უცხოური წარმომავლობა არც იგრძნობა.

XIX-XX საუკუნეებში ქართულ ენაში მრავალი ე. წ. საერთაშორისო სიტყვა (ძირითადად ბერძნულ-ლათინური ძირებისგან ნაწარმოები) დამკვიდრდა.

ენამ ამა თუ იმ ენიდან სიტყვა შეიძლება ისესხოს ან უშუალოდ, ან სხვა ენის მეშვეობით. ქართულ ენაში ევროპული ენების კუთვნილი ბევრი სიტყვა შემოსულია რუსულის გზით. ზოგმა მათგანმა რუსულში სახე იცვალა და ისე შემოვიდა ქართულში. მაგალითად, ლათინური tio (ფრანგ. tion) დაბოლოების სახელები რუსულში -ция-თი ბოლოვდება და ქართულშიც **-ცია** დაბოლოებით არის შემოსული. ფრანგ. revolution, რუს.революция, ქართ. რევოლუცია.

☞ გახსოვდეთ!

- უმახვილო **0**-ს შემცველი რუსული და რუსულის გზით შემოსული სიტყვები, აგრეთვე, საკუთარი სახელები, გვარები და გეოგრაფიული სახელები ქართულად **ო**-თი უნდა გადმოიცეს.
  სწორია: ოდეკოლონი, კომპოტი, კომპილაცია, ბორის გოდუნოვი, ვორონცოვი, ტოლსტოი, ოდესა, ორიოლი, პოლტავა (და არა: ადეკალონი, კამპოტი, ბარის გადუნოვი, ვარანცოვი, ტალსტოი, ადესა, არიოლი, პალტავა).
  - *გამონაკლისია: კანტორა, კატლეტი, კაპიკი, კამოდი, ლატარია.*

- რუსული და რუსული გზით ქართულში შემოსულ სიტყვებში **IO** უნდა გადმოიცეს **იუ** ჯგუფით.
  სწორია: კოსტიუმი, ვესტიბიული, მანიკიური, რეზიუმე, ავანტიურა, სიურპრიზი (და არა: კოსტუმი, ვესტიბული, მანიკური, რეზუმე, ავანტურა, სურპრიზი და მისთ.)
  - *გამონაკლისია: დუჟინი, ბროშურა, პარაშუტი...*

- გერმანულიდან ქართულში შემოსულ სიტყვებში **ei** დიფთონგი **აი**-თი უნდა გადმოიცეს.
  სწორია: აინშტაინი, რაიხსტაგი, რაინი, ცვაიგი, ლაიფციგი (და არა: ეინშტეინი, რეიხსტაგი, რეინი, ცვეიგი, ლეიფციგი) და ა.შ.

☑ ეს წესი არ ვრცელდება იმ სიტყვებზე, რომლებიც გერმანულიდან შესულია რუსულში და შემდეგ რუსულიდან — ქართულში (ეიზენშტეინი, რუბინშტეინი).

- ევროპული ენებიდან მომდინარე სიტყვები, რომელიც რუსულ ენაში **ЛЯ** და **ЛЮ** კომპლექსებს იძლევა, ქართულში უნდა გადმოიცეს მხოლოდ **ლა** და **ლუ** ჯგუფებით.

  სწორია: აკუმულაცია, აკუმულატორი, ასიმილაცია, იზოლაცია, იზოლატორი, კანცელარია, კომპილატორი, მალარია, პლაჟი, ტრანსლაცია, ალუმინი, ილუზია, პლუსი, რეზოლუცია, ჰალუცინაცია (და არა: აკუმულიაცია, აკუმულიატორი, ასიმილიაცია, იზოლიაცია, იზოლიატორი, კანცელიარია, კომპილიატორი, მალიარია, პლიაჟი, ტრანსლიაცია, ალიუმინი, ილიუზია, პლიუსი, რეზოლიუცია, ჰალიუცინაცია).

- **eu** და **au** დიფთონგის შემცველი სიტყვები ქართულში უნდა დაიწეროს **ევ**-ით (და არა **ეუ**-თი ან **ეი**-თი) და **ავ**–ით (და არა **აუ**-თი).

  სწორია: ლევკემია, ლევკოციტები (და არა: ლეიკემია, ლეიკოციტები), **ევფონია, ევფემიზმი, პნევმონია...**
  - გამონაკლისია: **ნეიტრალური, ნეიტრონი, ნეიროქირურგი...**
    სწორია: ავტონომია, ტავტოლოგია (და არა: აუტონომია, ტაუტოლოგია).
  - გამონაკლისია: **აუდიტორია, აუდიენცია, აუქციონი, ფაუნა, უმლაუტი...**

- ლათინურიდან გერმანულ-რუსული გზით შემოსულ სიტყვებში **qu** უნდა გადმოიცეს **კვ** (და არა **ქვ**) კომპლექსით.
  სწორია: ადეკვატური, ეკვივალენტი, კვორუმი... (და არა: ადექვატური, ექვივალენტური, ქვორუმი...).

- უცხოური წარმოშობის სიტყვები, რომლებიც რუსულში **ея**–ზე ბოლოვდება, ქართულში **ეა** დაბოლოებით უნდა გადმოიცეს.
  სწორია: ასამბლეა, ბაკალეა, გალანტერეა, გალერეა, იდეა, ეპოპეა (და არა: ასამბლეია, ბაკალეია, გალანტერეია, გალერეია, იდეია, ეპოპეია).

- ბერძნულ-ლათინურიდან მომდინარე სიტყვებში **ch**-ს **(X, χ)** გადმოსაცემად ქართულში ყოველთვის გამოიყენება **ქ** და არა: **ხ**.
  სწორია: ბრონქები, ქლორი, ქოლერა, ქარტია, არქაიზმი (და არა: ბრონხები, ხლორი, ხოლერა, ხარტია, არხაიზმი).

- **th-ის** გადმოსაცემად უნდა ვიხმაროთ ქართული **თ, t-ს** გადმოსაცემად კი— ქართული **ტ**.
  სწორია: ანთროპოლოგია, არითმეტიკა, ბიბლიოთეკა, თეორია, სიმპათია, ერითროციტები, ესთეტიკა, ეტიკეტი, მეტაფიზიკა, აგათა (Agatha), **ჯონათანი** (Jonathan), **დოროთი** (Dorothy), **თომასი** (Thomas)... (და არა: ანტროპოლოგია, არიტმეტიკა, ბიბლიოტეკა, სიმპატია, ერიტროციტები, ესთეთიკა, ეთიკეტი, მეთაფიზიკა, აგატა, ჯონატანი, დოროტი, ტომასი).

- **f** და **ph** გადმოიცემა **ფ**-თი და **პ**-თი **(აფიშა, ფილტრი, ეპიტაფია, ფაზა, ფობია, ფილოსოფია, ფუნქცია, ეპოპეა, აპოკალიფსი, პანაცეა, პაციფისტი. საკუთარი სახელები: პეტერი, აპოლონი, პოლინა...)**

- უცხოურ სიტყვებში, გვარებსა და სახელებში ორმაგი თანხმოვნები ქართულად ერთი თანხმოვნით გადმოიცემა.
  სწორია: გრამატიკა, მისია, რასა, ფელინი (Fellini), **ანა** (Ann), **უილიამი** (William) და არა: გრამმატიკა, მისსია, რასსა, ფელლინი, ანნა, უილლიამი...

- **h** გადმოიცემა **ჰ-თი** (და არა გ-თი ან ხ-თი), ხოლო **g** გადმოიცემა **გ-თი**.
  სწორია: ჰალუცინაცია, ჰუმანიზმი, ჰონორარი... (და არა: გალუცინაცია, გუმანიზმი, გონორარი...); **აგრონომი, ალეგორია, გენერალი, ლოგიკა...** (და არა: აღრონომი, ალეღორია, ღენერალი, ღოღიკა...).
  - **სწორია: შექსპირი** და არა: შეკსპირი (Shakespeare), **იორჭშირი** და არა: იორკშირი (Yorkshire), **ჰემფშირი** და არა: ჰემპშირი (Hampshire), **მონტგომერი** და არა: მონტჰომერი (Montgomery), **ბირმინგემი** და არა: ბირმინჰემი (Birmingham).

- ტრადიციით განმტკიცებული და ფართოდ გავრცელებული ფორმები უნდა ვიხმაროთ ძველი სახით. მაგალითად: **პარიზი** (და არა: პარი), **ვაშინგტონი** (და არა: ვოშინგტონი).

◈ **ცნობისათვის:** უცხო ენებიდან საჭიროების გარეშე შემოტანილ მშობლიური ენის ბუნებისათვის შეუფერებელ სიტყვას ბარბარიზმი ეწოდება.

☞ *გახსოვდეთ!* ბარბარიზმების ხმარება სალიტერატურო ენაში დაუშვებელია!

სავარჯიშო N 130. გახაზეთ ქართული სიტყვები:

აჩკი, ადიალა, გრეჩიხა, ზანავესკა, საროჩკა, მაროჟნი, მალინა, ტრენერი, ტამოჟნია, რუგზაკი, პერანგი, აივანი, ნაყინი, კაპუსტა, ბალკონი, ჟვაჩკა, არკა, თაღი, ბურახი, კომბოსტო, სათვალე, სუდია, პორცია, მსაჯი, ზურგჩანთა, ნაჩნიკი, წიწიბურა, შკაფი, ულუფა, კერძი, საბანი, კევი, არუნდატორი, მაგიდის ნათურა, მეურვე, ჟოლო, მოიჯარე, კარადა, კლიონკა, სალდათი, საბაჟო, მუშამბა, ჯარისკაცი, პაგონი, ქურა, სამხრე, პლიტა, ფარდა, შახმატი, კალბასი, ხრახნი, ტორმუზი, შპიონი, შურუპი, ჯაშუში, ტუმბოჩკა, გლუშიტელი, თაობა, კლუბნიკა, პლასკაგუბცი, მაყუჩი, პილასოსი, მატორი, ქანჩი, ბრტყელტუჩა, კლუჩი, მუხრუჭი, სიგნალი, ძრავა, საყვირი, მარწყვი, შოფერი, ბაგაჟნიკი, მძღოლი, მოიკა, საბარგული, რაკოვინა, პაკრიშკა, მწვრთნელი, სვარკა, ატვიორტკა, შედუღება, შტანგა, შხაპი, ძელი, საბურავი, სემიჩკა, სოკი, კრიშკა, მზესუმზირა, წვენი, ფართუკი, კუპალნიკი, სახრახნისი, სუნამო, იუბკა, საფერფლე, სეტკა, ზმეიკა, ქვედატანი, კერასინკა, თავსაფარი, შპილკა, ელვა, დუხოვკა, ნავთქურა, ჭადრაკი, მარკოვკა, პადნოსი, ხუფი, დუხი, ჰაერღუმელი, დუში, კასინკა, ბადე, სამრეხცაო, ლანგარი, ჩულანი, ბროლი, შნუროკი, თასმა, ცეპი, ზონარი, შუბა, ქურქი, ძეწკვი, ხრუსტალი, უმივალნიკი, სტირკა, რეცხვა, პირსაბანი, სტაიანკა, სპრავკა, სიდენია, პასილკა, ამანათი, პროსტინა, ნასოსი, ტუმბო, პეჩენია, პლაში, ლაბადა, საკუჭნაო.

სავარჯიშო N 131. შეცვალეთ ბარბარიზმები სალიტერატურო სიტყვებით:

1. ნათელამ შვილიდან ძვირფასი შუბა გადმოიღო, ჩაიცვა და ბალკონზე გავიდა.
2. შოფერმა რულს ხელი მაგრად ჩასჭიდა და პავაროტში შეუხვია.
3. ანამ მაგიდას კლიონკა გადააფარა და ზედ სუფთა თეფშები და რამდენიმე სტაქანი დააწყო.
4. ლაპარაკში ცალხელა სალდათიც ჩაერია, რომელსაც სერი ფერის შინელი ეცვა.
5. ტამოჟნიაზე ბაგაჟის შემოწმებისა და რეგისტრაციაში გასვლის შემდეგ აეროპორტის მოსაცდელ ზალაში შევედით.
6. გოჩას მხარზე ოქროსფერი პაგონები უბზინავდა, ფეხზე კი შავი საპოშკები ეცვა.
7. „ნიკორას“ მაღაზიებში კალბასისა და სასისკის უამრავი სახეობა იყიდება.
8. ზამთარში გაყინულ სახლებს ელექტრონის პლიტებითა და კერასინკებით ათბობენ.
9. ფეხბურთის გუნდის ტრენერმა ბურთს ისეთი ძალით დაარტყა ფეხი, რომ შტანგა კინაღამ წააქცია.
10. მძღოლმა ბაგაჟნიკი გახსნა და პაკრიშკები, პლასკაგუბცი, შურუპები და კლუჩი ამოიღო.

სავარჯიშო N 132. შეცვალეთ ბარბარიზმები სალიტერატურო სიტყვებით:

1. რასაკვირველია, არავინ იცოდა, რომ კაცი, რომელიც ბალკონზე იდგა, შპიონი იყო.
2. ქალაქში ბევრგან იყიდება პივა, სოკი და მაროჟნი.

3. ნინო არკიან სახლში ცხოვრობდა. მის სამსახურთანაც ორი დიდი არკა იყო ერთმანეთზე გადაბმული.

4. რესტორანში კლიენტმა ერთი პორცია ხბოს მწვადი და შემწვარი კარტოშკა მოითხოვა.

5. მარშუტკაში მჯდარ ნიკოს ძალიან უნდოდა, რიკოთის პერევალამდე მალე მიეღწიათ.

6. ავტობუსების გაჩერებაზე მდგარი ბიჭები სემიჩკას აკნატუნებდნენ და ჟუაჩკას ღეჭავდნენ.

7. კედლის გაყოლებაზე წიგნის შკაფები ჩაემწკრივებინათ, კუთხეში კი ნაჩნიკი დაედგათ.

8. — ამას სვარკა სჭირდება, ისე არაფერი გამოვაო, — თქვა მალიარმა.

9. ნიკოს მანქანას გლუშიტელი გაუფუჭდა და სიგნალიც არ უვარგოდა.

10. ამბობენ, მალინის მურაბა გაციებას უხდებაო.

სავარჯიშო N 133. შეცვალეთ ბარბარიზმები სალიტერატურო სიტყვებით:

1. ვანომ საროჩკა პოლზე დააგდო.

2. სად იყიდე ეს დუხი?

3. ოფიციანტკამ ორი პორცია მაროჟნი მოიტანა.

4. ამ მაღაზიაში კარგი ბულკები და პერაშკები იყიდება.

5. ჩემი ნასკები და მაიკები ნინოს შკაფში შეუნახავს.

6. გოგო-ბიჭები საკატაოდ წავიდნენ.

7. მალინის მურაბა ბანკებში ჩავასხით!

8. დედა, კარტოშკა შემიწვი!

9. ნიკოს საცოლეს კარიჩნი კოსტუმი და სერი იუბკა ეცვა.

10. ჩემი კრაოტი ფანჯარასთან იდგა.

◈ ***ცნობისათვის:*** სხვადასხვა უცხო ენიდან ქართულში შემოსული და დამკვიდრებულია მრავალი საერთაშორისო ტერმინი (ე.წ. ინტერნაციონალური ლექსიკა), რომელთა მართლწერასთან დაკავშირებით უნდა გვახსოვდეს:

- **ამგვარ ტერმინთა ქართული შესატყვისის წარმოებისათვის ამოსავალია სიტყვის ძირი, რომელსაც მაწარმოებელი ბოლოსართი დაერთვის: ექსპერიმენტ-ი > ექსპერიმენტ-ულ-ი** (და არა: ექსპერიმენტალური); **პრინციპ-ი > პრინციპ-ულ-ი** (და არა: პრინციპიალური); **დემონსტრაცია > დემონსტრაციული** (და არა: დემონსტრატიული).
- **-იკ** სუფიქსში **კ** არ იკარგება და იქნება: **ეკონომიკა > ეკონომიკური, პოლიტიკა > პოლიტიკური, სტატიკა > სტატიკური, დინამიკა > დინამიკური, დიალექტიკა > დიალექტიკური** *(და არა: ეკონომიური, პოლიტიური, სტატიური, დინამიური, დიალექტური).*

  ☑ შდრ.: ეკონომიკა > ეკონომიკური და ეკონომია > ეკონომიური;
  დიალექტიკა > დიალექტიკური და დიალექტი > დიალექტური.

- **ა-სა და ე-ზე დაბოლოებული სიტყვები სუფიქსთა დართვის შედეგად ამ ხმოვნებს მოიკვეცს. სწორია: პროფესია > პროფესიული; ლირიკა > ლირიკული** (და არა: ლირიული), **რევოლუცია > რევოლუციური** (და არა: რევოლუციონური); **რომანტიკა > რომანტიკული** (და არა: რომანტიული).
- **გამონაკლისია სიტყვა *პროზა*, რომელიც არ შეიკვეცება და გვექნება პროზაული** (და არა: პროზული), **პროზაიკოსი** (და არა: პროზაიკი ან პროზაისტი).

  ☑ *ზოგიერთ სიტყვაში მომხდარია სემანტიკური დიფერენციაცია; ნორმა – ნორმული, ნორმალური, იდეა –იდეური, იდეალური, ცენტრი – ცენტრული და ცენტრალური, პროფესია - პროფესიული, პროფესიონალური, მასა- მასური, მასობრივი...*

- ბერძნული წარმოშობის **–მა** დაბოლოებიან სიტყვებში აღდგება ფუძისეული **-ტ-** *თემატური, პრაგმატული, დოგმატური...*
- ***პარალელური ფორმებია: პრობლემა/პრობლემატური, სქემური/სქემატური, სისტემური/სისტემატური*** *(არასწორია: სისტემატიური, სქემატიური...)*
- ***სწორია: ფაქტობრივი, ტიპობრივი*** *(და არა: ფაქტიური, ტიპიური).*

სავარჯიშო N 134. ხაზი გაუსვით სწორ ფორმებს:

დიამეტრალური, დიამეტრული, ექსპერიმეტალური, ექსპერიმენტული, ტექსტუალური, ტექსტობრივი, ბაქტერიული, ბაქტერიალული, ფაქტიური, ფაქტობრივი, ფუნდამენტური, ფუნდამენტალური, მონუმენტალური, მონუმენტური, პროვინციული, პროვინციალური, ანტიკური, ანტიური, რომანტიული, რომანტიკული, ეპიკური, ეპიური, ფანტასტიკური, ფანტასტიური, ფსიქიკური, ფსიქიური,

აბსოლუტური, აბსოლიტური, ორთოდოქსული, ორთოდოქსალური, ტერიტორიული, ტერიტორიალური, პრინციპული, პრინციპიალური, ფენომენური, ფენომენალური.

სავარჯიშო N 135. დაასრულეთ დაუმთავრებელი სიტყვები:

1. ჩემს მეგობარს დეფექტ... მეტყველება ჰქონდა.
2. ბიჭებს ერთმანეთისაგან დიამეტრ... განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ.
3. კახა პირველ ექსპერიმენტ... სკოლაში სწავლობს.
4. ზურაბ წერეთელი ნიუ-იორკში მონუმენტ... ქანდაკების დადგმას აპირებს.
5. ეს მონოგრაფია ფუნდამენტ... მეცნიერების განვითარებას დიდად შეუწყობს ხელს.

სავრჯიშო N 136. გაასწორეთ შეცდომები:

1. ბაქტერიალური იარაღის გამოყენება აკრძალულია გაეროს კონვენციით.
2. პიესის თარგმანი ტექსტუალურად ახლოს დგას ორიგინალთან.
3. ეს ჩვეულებრივი პროვინციალური ამბავი იყო.
4. თედო თავისი პრინციპიალურობით ყველასაგან გამოირჩეოდა.
5. ქარხნის გამოშვებული მრავალი დეტალი დეფექტური იყო.

სავარჯიშო N 137. გაასწორეთ შეცდომები:

1. ქართულ ენაზე იქმნება მრავალი შესანიშნავი პროზული ნაწარმოებები.

2. ამ ბოლო დროს ჟურნალ „მნათობში“ მრავალი საინტერესო პროზაული ნაწარმოებები დაიბეჭდა.
3. არავინ არაფერი იცოდა მათი ბევრი კონსპირაციული ბინის შესახებ.
4. ლევანიმ თავისი დემონსტრაციული გამოსვლებით ყველას თავი მოაბეზრა.
5. ეთერიმ ზამთრისათვის აბლეპიხის პავიდლო და მალინის კამპოტი გააკეთა.
6. ბებია მუდამ თავის აჩკებს დაეძებს.
7. თფილისიდან წასვლის შემდეგ მიხეილ ვარანცოვი ადესაში დასახლდა.
8. კოსტუმების მხატვარმა ფილმის პერსონაჟების ჩაცმულობაზე დიდხანს იფიქრა.
9. ვესტიბულში შემოვიდა ნოშრევან მორბელაძე, ცნობილი ავანტიურისტი და ბაბნიკი.
10. ქალის მანიკურიან თითებს სიყვითლე გადაჰკრავდა.

სავარჯიშო N 138. გაასწორეთ შეცდომები:

1. ასიმილაცია და დისიმილაცია ფონეტიკური მოვლენებია.
2. ყველაფერს აქვს თავისი პლიუსი და მინუსი.
3. აჭარის პლიაჟს ბევრი აფხაზეთის პლიაჟს ამჯობინებდა.
4. ამ სახლს ალუმინის კარ-ფანჯარა ექნება.
5. ფატი ისეა შეშინებული, ალბათ, მალე გალუცინაციაც დაეწყება.
6. ტუსაღებმა მე-4-ე იზოლიატორიდანაც მოახერხეს გაქცევა.
7. მინისტრის განცხადებას პრეზიდენტმა რეზოლუცია უყოყმანოდ დაადო.
8. ბოლერა მეტად საშიში დაავადებაა.
9. იმ ღამეს საავადმყოფოში ბრონხიალური ასტმის შეტევით ორი ავანტყოფი მოიყვანეს.
10. ეს სიმპატიური მამაკაცი, სამწუხაროდ, ლეიკემიითა ავად.

სავარჯიშო N 139 გაასწორეთ შეცდომები. დასვით სასვენი ნიშნები:

1. პარლამენტში ხშირად ქვორუმი არ იკრიბება და ამის გამო ბევრი სხდომები იშლება.
2. ხვალ ცისფერ გალერიაში საშემოდგომო გამოფენა იხსნება რომელსაც როგორც ყოველთვის წელსაც უამრავი დამთვარიელებლები ეყოლება.
3. ბუდიზმი უფრო ახლოს დგას პანთეიზმთან, ვიდრე ტეიზმთან ან ატეიზმთან.
4. მას ბავშვობიდან იტაცებდა ატლეტიკური ვარჯიშები და თითონაც გამორჩეული ატლეტი იყო.
5. შოთა რუსთაველი თავის უკვდავ პოემაში უხვად იყენებს ეპიტეტებს.
6. როგორც კი ეს ამბავი გაიგეს მაშინვე კაზარმულ მდგომარეობაზედ გადაიყვანეს მე-VIII პოლკი.
7. ძველი თბილისის კოლორიტს ყარაჩოღელები და კინტოებიც ქმნიდენ.
8. ხირომანტია და ხირომანტობა ერთობ გავრცელებული საქმიანობაა ჩვენ ქალაქში.
9. მიწის თხილს სხვანაირად არახისს ეძახიან, ძველი ქალალდების მცველს კი - არხივარიუსს.
10. ზღვაში რომ არ დაიღრჩო, ცურვა კარგად უნდა ისწავლო.

სავარჯიშო N 140 გაასწორეთ შეცდომები:

1. ბატონ არჩილს ჩვენს შესახებ, თურმე, მჭერმეტყველურად უსაუბრია.
2. ირანის შახი ქართლკახეთის დაბყრობას ცდილობდა.
3. სასახლის ეთიკეტი სწორედ ამგვარ სიმკაცრეს და სიზუსტეს ითხოვდა მისგან.
4. კირილემ ახალი გალსტუკები შეიძინა.
5. დაჭრილი მებრძოლები გოსპიტალში მიჰყავდათ.

6. ჯენერალმა ღერბიან ქალწულს სასწრაფოდ მოაწერა ხელი.
7. ამ წიგნის ორი ეკზემპლარი ბიბლიოთეკას გავუგზავნეთ.
8. ტრაგიკულად დაღუპულ ახალგაზრდა მეცნიერს მთელი ინსტიტუტი გლოვობდა.
9. აკაკის ძალიან უნდოდა ამ ექსპერიმენტში მიეღო მონაწილეობა.
10. ამ ხალხს კრიტიკულ სიტუაციაში ლოგიკაც ღალატობს და ინტუიციაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარჯიშო N 141. უცხოური სიტყვები შეცვალეთ ქართული შესატყვისებით:

1. თოთხმეტი წლის მაკა უკვე **გროსმაისტერია**.
2. დავით აღმაშენებლის ძეგლს ახალი **პიედესტალი** გაუკეთეს და დიღომში გადაიტანეს.
3. — ყველა **გლობალურ** დათბობაზე ლაპარაკობს, თბილისში კი, მგონი, **გლობალური** აცივება დაიწყოო, — წუწუნებდნენ მოხუცები.
4. **დისკუსიამ** გვიან ღამემდე გასტანა.
5. **აბორიგენი** მოსახლეობა დიდი მოთმინებითა და შრომისმოყვარეობით გამოირჩევა.
6. მეტად **აბსურდულ** სიტუაციაში ჩავვარდი.
7. აღმოჩნდა, რომ ჩვენი მეგობარი საოცრად **ამბიციური** ადამიანი ყოფილა.
8. ამ ქალაქში სრული **ანარქიაა**.
9. თქვენმა პროექტმა **ფიასკო** განიცადა.
10. სად დადეთ ჩემი სათვალის **ფუტლარი**?

სავარჯიშო N 142. უცხოური სიტყვები შეცვალეთ ქართული შესატყვისებით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ავადმყოფის მდგომარეობა მოკლედ ასე შეიძლება შეფასდეს: სრული **აპათია**.
2. ვერავის გაეგო, რატომ გამოიწვია რატის გამოსვლამ ასეთი **აჟიოტაჟი**.
3. ნონა სტუმრებს **არომატული** ტროპიკული ხილით გაუმასპინძლდა.
4. აქ ყურძენს ისევ **არქაული** მეთოდებით წურავენ.
5. იმედი გვაქვს, თბილისის „დინამო“ წლევანდელ ჩემპიონატზე **აუტსაიდერი** აღარ იქნება.
6. — **ბაგაჟი** ჩავაბაროთ და მერე ყავა დავლიოთ, — უთხრა გურამმა ანას.
7. მეგონა, **ბაკი** წყლით იყო სავსე, მაგრამ ცარიელი აღმოჩნდა.
8. ახალგაზრდა **ბელეტრისტები** ბიჭვინთაში გაემგზავრნენ სემინარზე.
9. რა საჭიროა ეს **ბანალური** ფრაზები?
10. რომანში მოთხრობილია სამი ახალგაზრდის **ჰეროიკული** თავგადასავალი.

სავარჯიშო N 143. უცხოური სიტყვები შეცვალეთ ქართული შესატყვისებით:

1. ვინ მომცემს **გარანტიას**, რომ ჩემი უფლებები დაცული იქნება?
2. ოთახი უმშვენიერესი **გირლანდებით** მორთეს.
3. პატარა ნატალიკოს ხშირად უამბობდნენ ზღაპრებს **გნომებზე**.
4. **დებატები** ხვალ გაიმართება.

5. ამ ჟურნალისტს დახვეწილი **დიქცია** აქვს.

6. მისი წარმოება **უდეფექტოდ** მუშაობს.

7. ყველამ იცოდა, რომ ვანო დედისერთა **ეგოისტი** ბიჭი იყო.

8. ბატონი ვახტანგის მოსაზრებების **იგნორირება** არ შეიძლება.

9. **კარლიკის** როლს ახალგაზრდა მსახიობი ასრულებს.

10. ეს უკვე საშიში **მესიჯი** იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარჯიშო N 144. ჩამოთვლილი სიტყვებიდან შეარჩიეთ უცხოური სიტყვების ქართული შესატყვისები და გამართეთ წინადადებები:

ლარნაკი, ხრიკი, ჯიხური, ჰავა, ველური, კაციჭამიობა, ბიძგი, ყეყეჩი, პირბადე, ხუროთმოძღვარი, ნინველი, ავზი, შეტყობინება, მიზეზი, ქუდი, თეჯირი.

1. ოთახს უზარმაზარი ფაიფურის ვაზა ამშვენებდა.

2. ირაკლი სანიკიძე ცნობილი არქიტექტორია.

3. ქალბატონი თამარი მუდამ ვუალით დადიოდა.

4. დათო თინეიჯერების უსაყვარლესი მომღერალი იყო.

5. — იდიოტი,— ჩუმად ჩაილაპარაკა ლალიმ.

6. ამბობენ, ბოლო ხანებში აფრიკაში კანიბალიზმის ორი შემთხვევა მოხდაო.

7. კიოსკში გაზეთები დილითვე ვიყიდე.

8. ჩვენს ქვეყანაში ზომიერად თბილი კლიმატია.

9. მან რალაც უზნეო კომბინაციებით დიდი მოგება ნახა.

10. ოთახი ჩინური შირმით ორად იყო გაყოფილი.

სავარჯიშო N 145. ჩამოთვლილი სიტყვებიდან შეარჩიეთ უცხოური სიტყვების ქართული შესატყვისები და გამართეთ წინადადებები:

კეთილმოწყობილი, ეროვნული, ქამანდი, მარცხი, ჩაქუჩი, თავაზიანი, ძვირადღირებული, შეთანხმება, მორიდებული, უიმედობა, წაგება, სევდიანი, იმედიანობა, მოლაპარაკება, ამაღლებული.

1. ბაკურიანში ყველა კომფორტულ აგარაკს ეძებდა.
2. ბევრი იკამათეს, კონსენსუსს კი ვერ მიაღწიეს.
3. გოგი საოცრად კორექტული ადამიანია.
4. ბატონი ლევანის წამოწყება კრახით დასრულდა.
5. ელგუჯა მარდად ხმარობდა ლასოს.
6. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ნაციონალური კულტურა უნდა გადავარჩინოთ.
7. პესიმიზმი მისთვის სრულიად უცხო იყო.
8. ქალბატონი ოლღას ოპტიმიზმი შესაშურია.
9. ეკამ დღეს მინორულ ხასიათზე გაიღვიძა.
10. ასეთი მაჟორული შეხვედრები ხშირად უნდა გაიმართოს.

ჟარგონი, დიალექტიზმები, არქაიზმები

◈ ***ცნობისათვის:*** **ჟარგონი** ცალკეული ფენის, ასაკობრივი კატეგორიის თუ პროფესიის წარმომადგენელთათვის დამახასიათებელი მეტყველებაა.

დიალექტიზმი ამა თუ იმ კუთხის მცხოვრებთა მეტყველებისთვის დამახასიათებელი ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური მოვლენაა. როგორც წესი, სალიტერატურო ენაში მას აქვს თავისი შესატყვისი.

არქაიზმი მოძველებული, ხმარებიდან გასული სიტყვები, გამოთქმები და გრამატიკული ფორმებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

> ☞გახსოვდეთ! ჟარგონისა და დიალექტიზმის ხმარება სალიტერატურო ენაში დაუშვებელია!

სავარჯიშო N 146. შეცვალეთ ჟარგონული სიტყვები და გამართეთ წინადადებები:

1. რა მაგარი ადგილია!
2. ნუ გამიხურე საქმე, მე ვიცი, რასაც ვჩალიჩობ!
3. რას ბაზრობ, სიმონ!
4. - წამოხვალ კინოში? - ჰკითხა ნიკამ.
   - ბაზარი არაა, -უპასუხა გიომ.
5. მოკეტე, სანამ დამიბრედიხარ!
6. ათი ლარი ისე აახია ბიძამისს, რო საწყალი კაცი აზრზე ვერ მოვიდა.
7. რისთვის გაასაღეს ის საცოდავი ბიჭი, ვერავინ მოტვინა.
8. სიგარეტის დიდი პარტია გაასუხარეს და დიდი მაყუთი მოხიეს.
9. არ გინდა რიჟა ბაზარი, ყველაფერი იასნია.
10. ძმაო, აზრზე მოდი, ვის აბოლებ?

სავარჯიშო N 147. შეცვალეთ ჟარგონული სიტყვები და გამართეთ წინადადებები:

1. მაგრა მევასება ეს გოგო.
1. აახვიე აქედან, თორე...
2. ამ გოგოს დანახვაზე ვეცემი.
3. ბირჟაზე ორი ბიჭი ერთმანეთს ეხიპიშებოდა.
4. ნიკა ორი დღეა, შარაფობს.
5. კაროჩე, მოკეტე რა!
6. ან დამიმესიჯე, ან დააზვანოკე.
8. თიკამ ისეთი ზმანები იყიდა, ვერ გადარჩები.
9. მაგარი ხოხმა რამეები ვიცი.
10. გუშინ „კოფე ჰაუსში“ კაი პონტი გაიჩითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარჯიშო N 148. შეცვალეთ დიალექტური ფორმები სალიტერატურო სიტყვებით:

1. როდის ჩამოდი, ბიჭო, სოფლიდან?
2. რაია აგი, ჯო?
3. ჩვენმა ბიამ წელს კარგად მოისხა.
4. ეს ბჟოლა რამხელა გაიზარდა.
5. ახლა უკვე ძაან გვიანია.
6. მინამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძრესო.
7. ამელამ ალბათ იქნება ქარი.
8. საცხა დეიკარქა, ველარ ვიპოვნეთ.
9. გადიარს ხიდს და მივა.
10. იქინე რომ გეიარ, ნონა ნახე.

სავარჯიშო N 149. შეცვალეთ დიალექტური ფორმები სალიტერატურო სიტყვებით:

1. ბაბა, ნენა რის მოვა?
2. რა დაგემართენ, მეიტანეთ ერთი საინი!
3. იმგენის ამბავს შენ მასწავლი მე? ჯერ იქინე მივლენ და თუ იქინეი არავინ დოუხვთათ, ქე წამოვლენ სახში.
4. ზურიკელა, ბიჭო, ზურიკელა, არ გეყურება?
5. რეიზა მეუბნები ამას? რო მოვკტებოდე, კაია, მარა ხო ხედავ, სიკვტილსაც აღარ უნდებვარ!
6. დოუჯინია, წელს ქალი უნდა შევირთოო.
7. დოუმუწია პირი და წკუმს არ იღებს.
8. ამას მისდღემჩი ვერ მევიფიქრებდი. რავა, თქვენც დიპლომი გინდებლარიენ?
9. ე ბოვშები ვისია?

10.შენი წინდა ჯერ კიდო სოველია.

სავარჯიშო N150. ხაზი გაუსვით არქაულ ფორმებს:

1. იგი მშვენიერ ტაიჭზე იჯდა.
2. მყვარი გულისწამლებად ყიყინებდა.
3. მან ტყიდან თავისი ჰუნე გამოაჭენა.
4. საით მიემართებიან ეს ზეპურნი დედანი?
5. მუნ ვეძიებდი ნაცნობ ადგილს განსასვენებლად.
6. გიხაროდენ! ჩვენ გავიმარჯვეთ!
7. ეს სიტყვები გულში სამსჭვალივით მოხვდა.
8. არა აქუნდათ ცული და წერაქვი.
9. თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა.
10. მშვენიერი ბანოვანი მირონინებდა ქუჩაში.

ფრაზეოლოგიზმები

◈ ***ცნობისათვის:*** **ფრაზეოლოგიზმი ენაში დამკვიდრებული მყარი სიტყვათშეთანხმებაა** (*„კუდით ქვა ასროლინა“, „კოვზი ნაცარში ჩაუვარდა“, „სახტად დარჩა“*). **ფრაზეოლოგიზმებს ზოგჯერ იდიომებს, ფიგურალურ გამოთქმებს ან ხატოვან სიტყვათქმებს უწოდებენ. როგორც წესი, მათ ვხმარობთ გადატანითი მნიშვნელობით.**

ზოგი ფრაზეოლოგიზმი ერთი სიტყვის ეკვივალენტურია: *„ხელი გაანძრია“* — იშრომე, *„ტვინი გაანძრია“* — მოიფიქრე, *„მეცამეტე გოჭი“* — ზედმეტი, **ზოგის შინაარსი კი ერთი სიტყვით არ გადმოიცემა.** მაგალითად: *„თავი მოიკლა“* — ძალიან მოინდომა; *„სამოთხის კარი გაელო“* — გულის წადილი აისრულა, სანატრელ მდგომარეობაში ჩავარდა.

ფრაზეოლოგიზმს ახასიათებს შემადგენლობის უცვლელობა. მათი დიდი ნაწილი ვერ ეგუება ახალი სიტყვების ჩართვას. ფრაზეოლოგიზმების უმრავლესობას აქვს სიტყვათა მყარი თანმიმდევრობა, რომელთა შეცვლაც არ არის მიზანშეწონილი.

ხატოვანი სიტყვა-თქმები შეიძლება იყოს:

- წმინდა ეროვნული რეალიების ამსახველი *(„ჩაილურის წყალი დალია“, „მტკვარი ვერ გარეცხავს“);*
- ბიბლიური წარმომავლობის *(„აკრძალული ხილი“, „იობის მოთმინება“, „იუდას ამბორი“);*
- ანტიკური მითოლოგიიდან მომდინარე *(„არიადნეს ძაფი“, „აქილევსის ქუსლი“, „განჯეთქილების ვაშლი“);*
- ცნობილი ისტორიული მოვლენების ამსახველი („რუბიკონის გადალახვა“, „მაინც ბრუნავს!“ „შენც, ბრუტუს?!“ „ჰეროსტრატეს დიდება“);
- იდიომთა ერთი ნაწილის წარმომავლობა ძნელი დასადგენია („ჩიტის რძე“, „შუბლზე აწერია“, „ორ ცეცხლს შუა ყოფნა“).

სავარჯიშო N 151. რას ნიშნავს სიტყვათა მყარი შეხამება (შემოხაზეთ სწორი პასუხი):

1. **ფეხი აითრია**
   ა) დაიგვიანა ბ) დაეზარა გ) დაზარალდა
2. **ცამდე აიყვანა**
   ა) ძალიან შეაქო ბ) სწრაფად დააწინაურა გ) ხელში აიყვანა
3. **ცეცხლზე ნავთი დაასხა**
   ა) იმედი გადაუწურა ბ) ვითარება გაამწვავა გ) კოცონი დაანთო
4. **ნამუსი შეუნახა**
   ა) მისი ღირსება არ შებღალა ბ) მისი პატიოსნება დაიცვა
   გ) მისი საიდუმლო არ გაამჟღავნა
5. **მშრალზე დატოვა**
   ა) დახრჩობას გადაარჩინა ბ) ყველაფერი დააკარგვინა
   გ) ქანცგაწყვეტით აშრომა
6. **დანა პირს არ უხსნის**
   ა) დამწუხრებულია ბ) მშიერია გ) ავადაა
7. **ქვას ქვაზე არ დატოვებს**
   ა) ყველაფერს წაიღებს ბ) ყველაფერს გაანადგურებს
   გ) ყველაფერს გაყიდის

8. **კოვზი ნაცარში ჩაუვარდა**

ა) ხელი მოეცარა ბ) ხელი მოითბო გ) ხელი შეუშალა

9. **თმა ყალყზე დაუდგა**

ა) მეტისმეტად შეშინდა ბ) მეტისმეტად გაბრაზდა

გ) ადვილად მოტყუვდა

10. **ეშმაკს შეაფურთხა**

ა) ცუდ საქმეს თავი აარიდა ბ) დახმარებაზე უარი თქვა

გ) მოინათლა.

სავარჯიშო N 52. რას ნიშნავს სიტყვათა მყარი შეხამება (შემოხაზეთ სწორი პასუხი):

1. **არ ეჭაშნიკა**

ა) უკან არ დაიხია ბ) ჭკუაში არ დაუჯდა

გ) დაბრკოლებას თავი არ აარიდა

2. **ურწმუნო თომა**

ა) ადამიანი, რომელსაც ღმერთი არ სწამს

ბ) ადამიანი, რომელსაც ადვილად ვერაფერს დააჯერებ

გ) ადამიანი, რომლისაც არავის სჯერა

3. **ნავსი გატყდა**

ა) საქმე ჩაიშალა ბ) გული აიცრუა გ) ხსნის გზა გამოჩნდა

4. **ნემსის ყუნწში გაძვრა**

ა) ძალიან მოინდომა ბ) იქურდა გ) ბევრი იგლოვა

5. **კარები აუტალახა**

ა) ძალიან დაეხმარა ბ) ხშირად სტუმრობდა გ) გული გადაუშალა

6. **პირში ჩალაგამოვლებული დატოვა**

ა) სიტყვა შეაწყვეტინა ბ) მოატყუა გ) საქვეყნოდ თავი მოსჭრა

7. **ჭერში ბუზების თვლა**

ა) უსაქმოდ ყოფნა ბ) წრეგადასული მხიარულება

გ) მოვალეობისაგან განთავისუფლება

8. **თოფის წამალივით იფეთქებს**

ა) დაუნდობელია ბ) ბოროტია გ) ფიცხია

9. მრავალმა წყალმა ჩაიარა

ა) ყველაფერმა უმტკივნეულოდ ჩაიარა ბ) წვიმიანი ამინდები იყო

გ) დიდი დრო გავიდა

10. **გულზე ლოდი აწევს**

ა) გული აწუხებს ბ) დიდი დარდი აქვს გ) დიდი მოლოდინი აქვს

სავარჯიშო N 153. რას ნიშნავს სიტყვათა მყარი შეხამება:

1. თვალში ეჩხირება----------
2. თვალი დაადგა----------
3. თვალში მოუვიდა----------
4. თვალში ნაცარს აყრის----------
5. თვალში რომ ჩაუვარდეს, ხელს არ ამოისვამს----------
6. თვალი დაუყენა----------
7. თვალის დახამხამებაში----------
8. თვალი აუხილა----------
9. თვალში არ მოსდის----------
10. თვალი თვალში გაუყარა----------

სავარჯიშო N 154. რას ნიშნავს სიტყვათა მყარი შეხამება:

1. გული გადაუშალა----------
2. გული დასწყდა----------
3. გული გაუტყდა ----------
4. გულმა რეჩხი უყო ----------
5. გული გადააყოლა ----------
6. გული უკვდება----------
7. გული შესტკივა----------
8. გული ერჩის----------
9. გულზე სკდება----------
10. გული მოულბა----------

სავარჯიშო N 155. რას ნიშნავს სიტყვათა მყარი შეხამება:

1. აბუჩად აგდება----------
2. სახტად დარჩენა----------
3. ამერიკის აღმოჩენა ----------
4. გუდა-ნაბდის აკვრა ----------
5. სიხარულით ცას ეწია----------
6. რძე არ შეშრობია პირზე----------
7. ბეწვზე ჰკიდია----------
8. ენაზე კბილის დაჭერა----------
9. ქედის მოხრა----------
10. ჭურში ჯდომა----------

სავარჯიშო N 156. ხაზგასმული სიტყვები შეცვალეთ იდიომებით:

1. მაიამ ეს რომ გაიგო, გაოცებული დარჩა.
2. ამ ჩვენმა ახალმა მეზობელმა დამტანჯა.
3. თავისი საქციელით ბიჭმა მთელი სოფელი შეარცხვინა.
4. ოთარი წვრილშვილის პატრონია და დღედაღამ შრომობს.
5. თუ არ დამიჯერებს, რაც უნდა, ის ქნას.
6. მერაბი რომ აღელდებოდა, უთავბოლოდ წინ და უკან სიარულს მოჰყვებოდა ხოლმე.
7. ჩემო კარგო, მაგათ ჩვენი სატკივარი სულ არ ადარდებთ.
8. დათოს ძალიან გაუმართლა, უმაღლესი ქულებით ჩაირიცხა მაგისტრატურაში.
9. ჩვენი კურსი მთელ ფაკულტეტზე სანიმუშო იყო.
10. როგორც ვატყობ, ანას ამ საქმის არაფერი გაეგება .

სავარჯიშო N 157. შეურჩიეთ დასაბელებულ იდიომებს სინონიმები:

ეკლებზე ზის; ენა უსწრებს; წელებზე ფეხს იდგამს; ბადეში გაება; უკანმოუხედავად გარბის; ოფლს ღვრის; კბილი გაუსინჯა; თავბრუ დაახვია; მკლავდაკაპიწებული შრომობს; რა წითელი კოჭია; თვალი თვალში გაუყარა; ტვინი წაილო; რა წითელი კვერცხია; როდინობის კვირაში; ზარების დარისხება; უშაბათო კვირაში; ორ წყალშუა; დასაკარგავში; ფეხი გაჭიმა; ძაღლის ყბა გამოიბა; თითი მოკაკვა; მოუსავალში; ცრემლებმა დაახრჩო; გავიდა მარილზე; თავი ქუდში აქვს; ჩაჰბარდა პატრონს; ავ თვალს არ ენახვება.

1. მუხლჩაუხრელად შრომობს

---

2. თავქუდმოგლეჯილი გარბის

---

3. ვის დაჰკარგვია

---

4. როცა ვირი ხეზე გავა

---

5. ორ ცეცხლშუა

---

6. განგაშის ატეხა

---

7. ცხრა მთას იქით

---

8. ცრემლად დაიღვარა

---

9. გავიდა გალმა

---

10. კალმით ნახატია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარჯიშო N 158. იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები:

1. ოთახში გაისმა მხიარული ჰომერული ხარხარი.
2. სიზიფეს მძიმე შრომამ ქალბატონი ელენე ნაადრევად დააბერა.
3. თავი ისე შეირცხვინა, რომ ლიახვი ვერ გარეცხავს.
4. „რა ნიავმა გადმოგაგდო?“— შესძახა ლიამ დიდი ხნის უნახავ მეგობარს.
5. რთველში დამპატიჟა და იმდენი მამუშავა, რომ კბილებში სული მადინა.
6. ნატოს აღელვებისაგან ენა შეეკრა.
7. ღმერთო, ყურით გაიგონე ჩემი ვედრება!
8. —ქურდს გული ეწვისო, — გაიფიქრა ზაქრომ.
9. იობის უსაზღვრო მოთმინება ჰქონდა ჩვენს ნათელას.
10. გალაღებული ვახუშტი კანში სულ აღარ ეტევა.

სავარჯიშო N 159. იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები:

1. ერთმა ჩემმა ძველმა ნაცნობმა სახლი ამიტალახა და თავი მომაბეზრა.
2. ჯიმშერ სალობერიძემ ქონება რალაც მანქანით შეინარჩუნა.
3. ბუკინისტურ მაღაზიაში რომან „დათა თუთაშხიას“ პირველი გამოშვება შევიძინე.
4. მაშინვე უნდა აგვეტეხა ზარები, ახლა უკვე გვიანია.
5. ენა ჩამწყდა, ეს ამბავი რომ გავიგე.
6. თათია დამწყები ჟურნალისტია, მაგრამ კალამი კარგად უჭრის.
7. ამდენი უბედურების შემდეგ ზალიკო სულით დაეგდო.
8. ჯერ პირზე მაწონი არ შეშრობია, რა დროს მისი ცოლია.
9. დიტო ბევრს ეცადა, რომ მისი ქონება მუჭში ჩაეგდო.
10. კობა წელზე ფეხს იდგამდა, ფეხჩაუხრელად შრომობდა და მალე გაჭირვებას ყელიც მოუგრიხა.

XIII. სტილის საკითხები

ეროვნული ბიბლიოთეკა

◈ ***ცნობისათვის:*** ენათმეცნიერების დარგს, რომელიც სწავლობს ენის გამომხატველობით საშუალებებს, **ს ტ ი ლ ი ს ტ ი კ ა** ეწოდება. წინადადება შეიძლება იყოს გრამატიკულად სწორი, მაგრამ სტილის თვალსაზრისით გაუმართავი. როდესაც ენობრივი საშუალებები არ შეესაბამება გადმოსაცემ შინაარსს, წინადადება სტილისტურად უნდა გასწორდეს.

სტილისტურ ხარვეზებად მიიჩნევა: პლეონაზმი, ტავტოლოგია, პარონიმია, კალკი, ატროფია და სხვ.

- **პლეონაზმი** (ბერძნ. pleonasmos-ზედმეტი) — ლოგიკურად ზედმეტი, ერთნაირი მნიშვნელობის უსარგებლო სიტყვების გამოყენებაა *(მაგალითად: ჩამოვარდა ქვევით, ირგვლივ გარშემორტყმული, ახალგაზრდა ბიჭი, გამოამზეურა მზის სინათლეზე).*
- **ტავტოლოგია** (ბერძნ. tautos –იგივე, logos –სიტყვა) არის სიტყვათა უადგილო, უფუნქციო განმეორება ან ისეთი განმეორება, როცა მთქმელი ვერ ახერხებს თავისი სათქმელის გამართულად, მოკლედ და ნათლად გამოხატვას და გაუაზრებლად იმეორებს ერთსა და იმავე სიტყვებს. ტავტოლოგია შეიძლება იყოს აშკარა და ფარული. აშკარა ტავტოლოგია წარმოიშობა ერთი და იმავე სიტყვების ან ერთნაირფუძიანი სიტყვების განმეორებით (მაგალითად: ***„პოეტმა*** *ამ პერიოდში შექმნა ლექსი* ***„პოეტი“****, რომელშიც* ***პოეტი*** *წერს, რომ* ***პოეტის*** *მთავარი დანიშნულებაა ერის სამსახური“; „ლევანმა ჭიშკარი შეალო და* ***აღმოჩნდა*** *იმ პატარა ბალში, რომელიც, როგორც* ***აღმოჩნდა****, ადრე თავად ანდრონიკაშვილს ეკუთვნოდა, ახლა კი სოფლის ახალი პატრონის ხელში* ***აღმოჩნდა“****; „შეიძლება* ***გკითხოთ კითხვა?“****).* ფარულ ტავტოლოგიას ქართული და უცხოური სიტყვების ერთად გამოყენება ქმნის *(მაგალითად: ახალგაზრდა ვუნდერკინდი, პირველი დებიუტი).*

☞ *გახსოვდეთ!*

- ერთი ფუძისაგან ნაწარმოები სიტყვების თავმოყრა ერთ ფრაზაში სასურველი არ არის.
- ტავტოლოგიის თავიდან აცილება სინონიმური სიტყვების ჩანაცვლებით შეიძლება.

გახსოვდეთ!

- **სიტყვის სწორად გამოყენებისთვის არ არის საკმარისი მხოლოდ მისი მნიშვნელობის ცოდნა, აუცილებელია ლექსიკური შესატყვისობის თავისებურებების გათვალისწინებაც.** *მაგალითად: „გრძელი“ ან „მოკლე“ შეიძლება ვთქვათ ჯოხზე, გზაზე, მაგრამ არა— ადამიანზე. ადამიანზე ითქმის „მალალი“ ან „დაბალი“.*
- **სიტყვათშეთანხმება შეიძლება მიუღებელი აღმოჩნდეს იმის გამო, რომ ეს სიტყვები აზრობრივად არ არიან თავსებადნი.** *მაგალითად, „ასმათმა ტარიელს ცული ამბავი ახარა“.*
- **სიტყვის გამოყენება არასწორი ან არაზუსტი მნიშვნელობით, სიტყვათა უმართებულო შეხამება, ფუჭსიტყვაობა შეიძლება გამოწვეული იყოს ა ტ რ ო ფ ი ი თ. ამ ტერმინით სტილისტიკაში აღინიშნება სიტყვის გრძნობის დაჩლუნგება** *(მაგალითად: „მანანამ თვალი მოჰკრა მისი სახის შემზარავ, უებრო გამომეტყველებას“. შეუძლებელია ადამიანს ერთდროულად ჰქონდეს შემზარავი და უებრო გამომეტყველება; „სტუმარი აღგა და კარებისაკენ გაილურსა“ (უნდა იყოს გაიძურწა).*

სავარჯიშო N 160. შეარჩიეთ შესაფერისი სიტყვა:

1. პირველი სართულიდან მეორეზე ..... კიბით ავედით.
   ა) შემოხვეული ბ) დახვეული გ) დაგრაგნილი
2. რა ..... ლაბირინთია.
   ა) დახლართული ბ) აბურდული გ) აწეწილი
3. პეტრემ ..... ახალდაკრეფილი ყურძნით აავსო.
   ა)გოდოლი ბ)გოდორი გ)გვიმი
4. თამაშით ..... სამი წლის ნატატოს სავარძელში ჩაეძინა.
   ა) დაქანცულ ბ) დამაშვრალ გ) წელში გაწყვეტილ
5. სახლის ..... წყალი ჩადის და შეიძლება დაინგრეს.
   ა) საძირკველში ბ) ძირში გ) ფუძეში

6. ნინიკოს ..... მათემატიკა უყვარდა.

ა) გულმოდგინედ ბ) განსაკუთრებით გ) მეტისმეტად

7. ..... აღმოჩნდა მისი იმედები.

ა) ამაო ბ) უქმი გ) უმიზნო

8. გვირილას მზეზე აშრობენ და ისეთ ადგილზე ინახავენ, რომელიც კარგად .....

ა) გრილდება ბ) მშრალდება გ) ნიავდება

9. შროშანა ..... მცენარეა.

ა) წელმრავალი ბ) გრძელჟამიანი გ) მრავალწლიანი

10. მარანში მაჭრის დამათრობელი სურნელი იდგა და მისი ..... ხმა ისმოდა.

ა) ბუტბუტის ბ) თუხთუხის გ) ბუყბუყის

სავარჯიშო N 161. შეარჩიეთ შესაფერისი სიტყვა:

1. ალბინოსი ცხოველები მალე .....

ა) გარდაიცვლებიან ბ)იღუპებიან გ)განუტევებენ სულს

2. ეს ცნობილი მეცნიერი გენეტიკის ერთ-ერთი .....

ა)ფუძემდებელია ბ)შემქმნელია გ)დამაარსებელია

3. ნანა პირველ კურსზე ჩემი ..... იყო, ფილოსოფიას მიკითხავდა.

ა) ლექტორი ბ) აღმზრდელი გ) გამზრდელი

4. თბილისში ბევრი .....ქუჩაა.

ა) ვიწრო ბ) წვრილი გ) დაბალი

5. ბებია ..... ნემსით ქარგავდა.

ა) წვრილი ბ)წმინდა გ)ვიწრო

6. დიდმა მეცნიერმა მთელი თავისი ..... სამშობლოს დაუტოვა.

ა) ნაშრომ-ნაღვაწი ბ) ნაოფლარი გ) ნაჯახირევი

7. ბალში ..... მცენარეები აყვავდა.

ა)ერთჯერადი ბ)ერთწლიანი გ)ერთსეზონიანი

8. ასე ....., უსიცოცხლოდ მიდიოდა მათი ცხოვრება.

ა) დასუსტებულად ბ) დაუძლურებულად გ) დუნედ

9. პასტერიზებული რძე ..... 25 მაისამდე.

ა)გამოსადეგია ბ)ვარგისია გ)გამოსაყენებელია

10. მოხუცი პროფესორი დარბაისლური ნაბიჯით .....
აუდიტორიისაკენ.

ა) მიდის ბ) მიექანება გ) მიქრის

სავარჯიშო N 162. შეარჩიეთ შესაფერისი სიტყვა:

1. ფრიალო შეიძლება იყოს:

ა)კლდე ბ)თეფში გ)კაბა

1. პაჭუა შეიძლება იყოს:

ბ) თვალები ბ) ცხვირი გ) ტუჩები

2. ჟუჟუნა არ შეიძლება იყოს:

ა)სიმღერა ბ) წვიმა გ) თვალები

4. ქარაგმულად ნათქვამი ნიშნავს

ა)მოკლედ ნათქვამს ბ) გადაკვრით ნათქვამს

გ) გულის გადაშლას

5. ტახი არის:

ა) მძვინვარე ლომი ბ)გარეული ღორი გ) ღონიერი ხარი

6. მკვიდრი შეიძლება იყოს:

ჯ) ბიძაშვილი ბ) წიგნი გ) გეგმა

7. მოლოგინებული ნიშნავს:

ა)მომშობიარებულს ბ)გამოღვიძებულს

გ)გამოჯანმრთელებულს

8. აბრიალებული არ შეიძლება იყოს:

ა) თვალები ბ)ცეცხლი გ)წყალი

9. მომჟავო არ შეიძლება იყოს:

ა) ღვინო ბ) ფიქრები გ)ვაშლი

10. მოჭმუხნილი შეიძლება იყოს:

ა) შუბლი ბ) ტუჩი გ) თვალი

სავარჯიშო N 163. შემოხაზეთ სწორი პასუხი:

1. ორკაპი შეიძლება იყოს:

ა)ჯოხი ბ)თავი გ)ხელი

2. პირბასრი შეიძლება იყოს:

ა)ადამიანი ბ)დანა გ)კამათი

3. პირბადრი არ შეიძლება იყოს:

ა)ქალი ბ)ვარსკვლავი გ)მთვარე

4. სალაფავი არის:

ა)შინაური პირუტყვის საკვები

ბ) დიდი მათლაფა გ) დიდი კოვზი

5. სამფა შეიძლება იყოს:

ა)ჯოხი ბ)ხე გ)ძაფი

6. სარძევე შეიძლება იყოს:

ა)კბილი ბ)მეცხოველეობა გ)ძროხა

7. სასუსნავი არის:

ა)ფრინველების საკენკი ბ)ბალახის ნაირსახეობა

გ)გემრიელი საჭმელი

8. ტაფობი არის:

ა) ჩავარდნილი ადგილი მთებს შორის

ბ) ადგილი თითებს შორის

გ) მანძილი ვარსკვლავებს შორის

9. სანთელი შეიძლება იყოს:

ა) თაფლის ბ)ერბოსი გ)ზეთის

10. თალხი შეიძლება იყოს:

ა) თოვლი ბ) კერძი გ)კაბა

სავარჯიშო N 164. შეარჩიეთ შესაფერისი სიტყვა:

1. მოხუცი ცოლ-ქმარი ..... ცხოვრებას ეწეოდა.

ა)კარდაკეტილ ბ)კარებგადარაზულ გ)კარჩაკეტილ

2. შემოდგომა დადგა და დღემ ..... დაიწყო.

ა)დაცოტავება ბ)კლება გ)შემცირება.

3. ანას ..... კაბა ეცვა.

ა)გახუნებული ბ)ფერმკრთალი გ)ფერწასული

4. სოფელში მშვენიერი ბაღი .....

ა)დარგეს ბ)გააშენეს გ)მოამრავლეს

5. სალომემ გულიდან მალე ..... დარდი და გამხიარულდა.

ა)გაიქარვა ბ)გაიქრო გ)გადაიყარა

6. ჩემი ქალაქი ..... მაღალი მთებით.

ა)შემოხვეულია ბ)გარშემორტყმულია

გ) შემოლობილია

7. სოფელში ძაღლების ..... ყეფა ისმოდა.

ა)გადაბმული ბ)გაბმული გ)გადაჯაჭვული

8 . მიხოს ბევრი .....რქოსანი პირუტყვი ჰყავს.

ა)წვრილფეხა ბ)მოკლეფეხა გ) გრძელფეხა

9. კერძი რომ გემრიელი გამოგივიდეს, ტარხუნა ..... ჩააჭერი.

ა)უხვად ბ)ჭარბად გ)მრავლად

10. მას თვალები ეშმაკურად ..... და იღიმებოდა.

ა) მოეჭუტა ბ) მოეჭმუხნა გ)მოეკუმა

სავარჯიშო N 165. შემოხაზეთ სწორი პასუხი:

1. გრუზა შეიძლება იყოს:

ა) თმა ბ) ტვირთი გ) ფიქრები

2. ბავშვის ლაპარაკი არის:

ა) ტიტინი ბ) ჯაჯღანი გ) ბუყბუყი

3. ღაპაღუპით შეიძლება მოდიოდეს:

ა) წვიმა ბ) ცრემლი

გ) წყალი

4. დაბოხებული შეიძლება იყოს:

ა) ხმა ბ) საქციელი გ) მოძრაობა

5. ხელფასი შეიძლება:

ა) შეუმცირდეს ბ) შეუთხელდეს გ) დაუცოტავდეს

6. დონდლო შეიძლება იყოს:

ა) ადამიანი ბ) მიზანი გ)კომპიუტერი

7. თოხლო შეიძლება იყოს:

ა) კვერცხი ბ) პური გ) საზამთრო

8. თრთვილი არის:

ა) შეყინული ცვარი ბ) გამდნარი ყინული გ) მშრალი თოვლი

9. ხრიოკი შეიძლება იყოს:

ა) ველი ბ) ბიუჯეტი გ) სუფრა

10. შეიძლება თუხთუხებდეს:

ა) წყალი ბ) თოვლი გ) წვიმა

სავარჯიშო N 166. შემოხაზეთ სწორი პასუხი:

1. **ტყრუშული** შეიძლება იყოს:

ა)ლობე ბ)კაბა გ)ქვევრი

2. **უფხო** არ შეიძლება ითქვას:

ა)ლობიოზე ბ)ადამიანზე გ) ქათამზე

3. **„უქეიფოდ არის“** ნიშნავს:

ა)არ უქეიფია ბ)შეუძლოდ არის გ)უკმაყოფილოა

4. **ულრუბლო** შეიძლება იყოს:

ა) გული ბ)საქციელი გ)ბავშვობა

5. **ყაირათიანი** შეიძლება იყოს:

ა)ადამიანი ბ)ფიქრები გ)ნახატი

6. **უშობელი** არის:

ა)ბავშვი, რომელიც ჯერ არ დაბადებულა ბ)დეკეული გ)ქალი, რომელსაც ბავშვი არ გაუჩენია

7. **უცხვირპირო** ნიშნავს:

ა)ულამაზოს ბ)უხასიათოს გ)აწონწილს

8. **მოჭუტული** შეიძლება იყოს:

ა) შუბლი ბ) თვალი გ) მუჭი

9. **ფულურო** შეიძლება ითქვას:

ა) ხეზე ბ)ბუდეზე გ)სოროზე

10. **ქარაფი** არის:

ა)დიდი ფრიალო კლდე ბ)ქარაფშუტა ქალი გ)ქარიანი მინდორი

◈ ***ცნობისათვის:*** **ახალი სიტყვების ან გამოთქმების წარმოქმნას სხვა ენის ლექსიკური ერთეულების მიბაძვით, მისი პირდაპირი, სიტყვასიტყვითი თარგმნის გზით კალკი ეწოდება. კალკირება ენის ლექსიკური ფონდის შევსება-გამდიდრების ერთ-ერთი გზაა, მაგრამ, როცა ენას აქვს საკუთარი ლექსიკური ერთეული, კალკირებული ფორმის გამოყენება სტილისტურ ხარვეზად მიიჩნევა და უნდა გასწორდეს. მაგალითად, რუსულიდან არის კალკირებული გამოთქმები:** *გაყიდვაშია, შეხებაშია, სახეზეა, არ მაწყობს და მისთ.* (უნდა ითქვას და დაიწეროს: *იყიდება, ეხება, აშკარაა, ჩემთვის არ არის ხელსაყრელი*).

სავარჯიშო N 167. შეარჩიეთ სწორი ფორმები და გამართეთ წინადადებები:

1. ეს ჩვენი (ნომერ პირველი, უპირველესი) ამოცანაა.
2. ასეთი პირობები ჩვენ ნამდვილად (არ გვაწყობს, ჩვენთვის არ არის ხელსაყრელი).
3. დღეს მაღაზია „პარნასში“ (იყიდება, გაყიდვაშია) ზურაბ ქარუმიძის ახალი რომანი.
4. (სახეზეა, აშკარაა) ის შედეგები, რომლებიც თქვენმა უნიათობამ გამოიწვია.
5. (მთვრალ მდგომარეობაში მყოფი, მთვრალი) რამდენიმე ახალგაზრდა (პატიმრობაში აიყვანეს, დააპატიმრეს).
6. სხდომის დასასრულს (სიტყვაში გამოვიდა, სიტყვა წარმოთქვა) ღვაწლმოსილი მკვლევარი.

7. მას მუშაობის სურვილი (აღარ მოეპოვება, აღარ აქვს).
8. პეტრეს ამ სფეროში მუშაობის დიდი გამოცდილება (აქვს, გააჩნია).
9. სათნოების სახლი „კათარზისი“ მარტოხელა მოხუცების (დახმარებას ახდენს, ეხმარება).
10. ჩვენი სოფლის მოსახლეობა (დიდ გაჭირვებას განიცდის, ძალიან უჭირს).

სავარჯიშო N 168. შეარჩიეთ სწორი ფორმები:

1. თინათინ ბარათელს (ტყუპი ბავშვები, ტყუპები) ჰყავს.
2. მგლის (ფარა, ხროვა, ჯოგი) თვალს მიეფარა.
3. მძიმე ხვედრი (ეწია, ხვდა) ქალბატონ ელენეს.
4. (დაუფასებელია, ფასდაუდებელია) ილია ჭავჭავაძის ამაგი ქართველი ერის წინაშე.
5. სტუდენტებს ძალიან უნდოდათ გოდერძი ჩოხელის ახალი (კინოს, ფილმის) ნახვა.
6. რაიონის ადგილობრივი (მკვიდრნი, მცხოვრებლები) მოუთმენლად ელოდნენ ახალი ხიდის გახსნას.
7. ეკოლოგიური კატასტროფით (გამოწვეული, აღმოცენებული) საფრთხე მეტად აღელვებდა ქალაქის ხელმძღვანელობას.
8. ხალხი სტადიონის აღმოსავლეთ ტრიბუნაზე (განლაგდა, მოთავსდა).
9. ავტოკატასტროფაში (დაშავებული, დაზარალებული) მოქალაქე საავადმყოფოში მოათავსეს.
10. მწერალ ირინე ეპიტაშვილს (მალალი, დიდი) ჰონორარი გადაუხადეს ბოლო წიგნისათვის.

სავარჯიშო N 169. შეარჩიეთ სწორი ფორმები და გამართეთ წინადადებები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. საარჩევნო (კომპანია, კამპანია) გადამწყვეტ ფაზაში შედის.
2. სამწუხაროდ, ბევრი თანამდებობის პირი ვერ ასრულებს (მინიჭებულ, დაკისრებულ) მოვალეობას.
3. აუცილებელი (შეიქმნა, შეიქნა) ამ საკითხის საგანგებო შესწავლა.
4. ჩვენი მეგობარი ერთი თვის (წინ, უკან) დაინიშნეს (საპასუხისმგებლო, პასუხისმგებელ) თანამდებობაზე.
5. მასზე ყველა ამბობდა, (რელიგიური, მორწმუნე) კაციაო.
6. დედა ფულს (ეკონომიურად, ეკონომიკურად) ხარჯავდა.
7. ამბობენ, ადამიანის უფლებები ზოგ ქვეყანაში (სასტიკად, მეტისმეტად) ირღვევაო.
8. ქალაქში ყველას უკვირდა, ეს რა ბედი (ეწვია, ეწია) რევაზსო.
9. შვილო, (ბოდიშით, ბოდიში), ცუდად მესმის, ერთხელ კიდევ (გადმორეკე, დარეკე).
10. ჩვენს ბიბლიოთეკას ზაფხულში კიდევ ერთხელ (ჩაუტარეს რემონტი, შეაკეთეს).

სავარჯიშო N 170. შეარჩიეთ სწორი ფორმები და გამართეთ წინადადებები:

1. ბოლო 20 წელიწადში ამ ქალაქის მოსახლეობა ორჯერ (გაიზარდა, გადიდდა).
2. კრებამ დასახა დაწესებულებაში (რეორგანიზაციის მოხდენის, გარდაქმნის) გარკვეული ღონისძიებები.
3. შოთა რუსთაველი (იძახის, აცხადებს): „სიყვარული აღგვამაღლებს!“
4. ჩვენს ტყეებში (მოიპოვება, ბინადრობს) ციყვი, მელა და კურდღელი.

5. ახლა გამოვიანგარიშოთ ამ ქიმიური ნაერთის (მასიური, მასობრივი, მასური) წონა.
6. ქეთევან ვაშაკიძემ, რომელმაც დიდი წარმატება (მოიპოვა, მიაღწია) პიანისტთა საერთაშორისო კონკურსზე, მადლობა (მოუხადა, გადაუხადა) თავის პედაგოგებს.
7. ჩვენი სკოლის ბავშვები კვირას ქალაქში ავტობუსით (გასეირნებას მოაწყობენ, გაისეირნებენ).
8. მოლაპარაკება მინდა (ვაწარმოო, გავმართო) ცნობილ გერმანულ გამომცემლობასთან.
9. (ქართული, ქართველი) საზოგადოება აღფრთოვანებული დარჩა ცნობილი რეჟისორის ამ ახალი სპექტაკლით.
10. თავისი საქციელით ნიკომ (ლაფი გადაავლო, ლაფი გადაასხა, ლაფში ამოსვარა) თავის ოჯახს.

სავარჯიშო N 171. გაასწორეთ სტილისტური ხარვეზები:

1. მე მინდა დაგარწმუნოთ, რომ მე ამ საქმეს ბოლომდე მივიყვან, რადგან საქმეების მორეგულირება მე კარგად მეხერხება.
2. საქმე იმაშია, რომ ბებია შეცდომით სხვა ავტობუსზე ავიდა.
3. როგორც შემოწმებამ გვიჩვენა, ამ ორგანიზაციაში ადგილი აქვს სერიოზულ დარღვევებს.
4. თამარს ბევრი კარგი თვისება გააჩნია და ამიტომაც მოიპოვა თანამშრომელთა პატივისცემა.
5. გენერალურმა პროკურორმა კონტროლზე აიყვანა ამ ფირმის საქმიანობა.
6. ასეთი ცუდი განათება, ამ ოთახს რომ მოეპოვება, ჩვენ არ გვაწყობს.

7. საქმე იმაშია, რომ თქვენ ვერ მოაგროვეთ ხმების საჭირო რაოდენობა.
8. მე ჩემი ავტობიოგრაფია ჩემი ხელით დავწერე.
9. ქალაქის წყლით მომარაგებაში ბოლო ხანს შეფერხებას ადგილი არ ჰქონია.
10. ტურისტულმა სააგენტომ ბოდიში გადაუხადა უცხოელებს, რადგან ვერ უზრუნველყო მათი სვანეთში წაყვანა.

სავარჯიშო N 172. გაასწორეთ სტილისტური ხარვეზები:

1. ოთახში უკრავდა წყნარი მუსიკა.
2. მე ამაზე აღარ გავივრცობი, მაგრამ მინდა სწორად ვიყო გაგებული.
3. ამ მოთხრობებს უკანა ფონად ომის სიდუხჭირე აქვს წამძღვარებული.
4. ერთ-ერთ ინტერვიუში მყავდა ის ნახსენები ჩემთან მიმართებაში.
5. თავმჯდომარემ ეს საკითხი კენჭისყრაზე დააყენა და ძალიან მინდა, პარლამენტი არ შევიდეს შეცდომაში.
6. დიდი ხანია მკურნალობას გავდივარ ექიმთან.
7. ფირმა აწარმოებს ჟალუზების, რკინის კარ-ფანჯრების დამზადებას.
8. ეს ინფორმაცია პირველად ჩვენს ეთერში გაჟღერდა.
9. ეს ახალგაზრდა, რომელიც ახლა ძებნაშია, იარაღით დადიოდა ქალაქში.
10. თბილისი დღეს მაღალ სტუმრებს მასპინძლობს.

სავარჯიშო N 173. გაასწორეთ სტილისტური ხარვეზები:

1. ნოდარი უკვე ოთხი წელიწადია, ამ ავტობუსს ატარებს.
2. მარიამმა სწორედ გაიგო ჩემი ნათქვამი.

3. მთელმა უბანმა იცოდა, რომ ლადოს უხასიათო ხასიათი ჰქონდა.
4. მოხუცი ბერიკაცი ნელა მიუყვებოდა სოფლის შარაგზას.
5. არავის მივცემ უფლებას, ჩემთან მიმართებაში ასე ილაპარაკოს.
6. სამწუხაროდ, ლელამ კანონის დარღვევით მოახდინა ახალი სახლის აშენება.
7. ამ წიგნში შარშან საკმაოდ ძვირი ფასი გადავიხადე.
8. ხანდაზმული ასაკის ადამიანებისათვის გრიპის ვირუსი განსაკუთრებით საშიშია.
9. დედაჩემს წნევები აწუხებს და ამის გამო შიშები დასჩემდა.
10. მეორე ტაიმში ქართველი ფეხბურთელები შეტევაში იყვნენ, მაგრამ გოლი მაინც ვერ გაიტანეს.

სავარჯიშო N 174. ხაზგასმული სიტყვები შეცვალეთ თავაზიანი ფორმებით.

1. შემოდით, დაისვენეთ. ბატონი გიორგიც მალე მოვა.
2. რექტორმა თქვა, რომ სხდომა ორშაბათს გაიმართება.
3. ქალბატონი მარიამი პრეზიდიუმში დაჯდა.
4. რუსუდან მაჭავარიანი, თქვენი მასწავლებელი, უკვე მოვიდა.
5. ბატონო ზურაბ, ჭამეთ ელარჯი, სანამ ცხელია.
6. —თუ შეიძლება, მათხოვეთ ეს წიგნი! — სთხოვა ქალბატონმა ნათელამ ბატონ მიხეილს.

   — აიღეთ, დარწმუნებული ვარ, მოგეწონებათ.
7. შარშან ბატონი ნოდარი საფრანგეთში იყო.
8. როგორ ხართ, ქალბატონო სოფიო? როდის ჩამოხვედით რომიდან? პარიზში როდის მიდიხართ?

9. ამის თაობაზე ხვალ ბატონი მინისტრი ყველაფერს გეტყვით.

10. —ქალბატონ მზექალას სთხოვეთ!

— შინ არ არის.

სავარჯიშო N 175. გაასწორეთ სტილისტური ხარვეზები:

1. კონცერტმა სრული ანშლაგით ჩაიარა.
2. რამაზმა თავისთვის ორსართულიანი სახლი აიშენა.
3. სტუმარმა მადლობა მოუხადა კეთილ მასპინძელს.
4. ხვალ, ორ საათზე, შევხვდეთ და კბილის სტომატოლოგთან წავიდეთ, კარგით?
5. თავისი ჰიპოთეზის დასამტკიცებლად მკვლევარმა დამაჯერებელი არგუმენტები მოიტანა.
6. საბავშვო პედიატრია მედიცინის უმნიშვნელოვანესი დარგია.
7. ბრიყვებთან კამათში შესვლა უაზრობაა.
8. შენ თუ გაწყობს, ხვალ საღამოს ერთად ვესტუმროთ ნინოს.
9. აფრიკის ამ ნაწილში მცხოვრები ადგილობრივი აბორიგენები განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩევიან.
10. ახალგაზრდა ყმაწვილებმა ბაკურიანში გამგზავრება გადაწყვიტეს.

სავარჯიშო N 176. გაასწორეთ სტილისტური ხარვეზები:

1. მანანამ შვილის ხმა გაიგონა და კიბეზე ქვევით დაეშვა.
2. გაყიდვაშია ტანსაცმლის ახალი კოლექცია.

3. საფეხბურთო მატჩი ისე დამთავრდა, რომ ბერიძე შეტევაში ერთხელაც არ ყოფილა.

4. გიგიმ ამ სიტყვებით გვანცას დიდი სიხარული მიაყენა.

5. ჩემი უფლებები სასტიკად დაირღვა.

6. ორი წლის უკან აქ ხრიოკი ველი იყო.

7. მათი უნიათობა სახეზეა.

8. მოხუცი დედაბერი შვილიშვილებს ელოდებოდა.

9. თემმა ჯოყოლას დიდი შეურაცხყოფა მიანიჭა.

10. ძვირფასო ტელემაყურებლებო, ჩვენი დებიუტანტი დღეს პირველად წარდგება საზოგადოების წინაშე.

სავარჯიშო N 177. გაასწორეთ სტილისტური ხარვეზები:

1. ავტობუსში ბიჭმა მოხუც ბერიკაცს ბოდიში გადაუხადა, ნებართვა სთხოვა და გვერდზე ჩამოუჯდა.

2. საშიში ბოროტმოქმედი დღემდე მიმალვაშია.

3. ირინემ ჩუმად გადაიხარხარა და თვალები დაბლა დახარა.

4. „შეხედე, რა ლამაზია," — ყვირილით უჩურჩულა ნიკამ თამაზს.

5. ლექსი მოყოლით მოვყევი, მაგრამ ბევრჯერ შემეშალა.

6. ქუჩაში მიდიოდა ხანშიშესული მხცოვანი.

7. პატარა ნორჩმა მომღერალმა მშვენიერი სიმღერა იმღერა.

8. — შენი სიკეთე და დახმარება სიკვდილის ბოლომდე მემახსოვრება, — ამბობდა ხანშიშესული მოხუცი ქალი და თავის მხსნელს, ახალგაზრდა ყმაწვილს, გულში იკრავდა.

9. ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა მნიშვნელობა აქვს შენთვის ამ მნიშვნელოვან ღონისძიებას.
10. ამ კითხვაზე პასუხს მიიღებთ ნებისმიერ დროს, 11-დან 12 საათამდე.

სავარჯიშო N 178. გაასწორეთ სტილისტური ხარვეზები:

1. თავისი აგარაკი ესმამ ძალიან იაფ ფასად გაყიდა.
2. ნუთუ არ შეიძლება, რომ ადამიანებს შორის არსებობდეს მჭიდრო სიყვარული?
3. ამ ქვეყნებს შორის სუფევს დაძაბული მდგომარეობა.
4. ღმერთმა მათ საშინელი სიკვდილის ბედი არგუნა.
5. ეს ტკივილი ალბათ არასოდეს შეხორცდება.
6. ღალატმა მეფე ერეკლეს ქართველებზე გული აუგდო.
7. ამირანს სურს, ყველაფერი თავის სასარგებლოდ მოიხმაროს.
8. ნავთობზე ფასების გადიდებამ ყველაფერი ძვირი გახადა.
9. თედოს გუნებაშიც არ ჰქონდა პირუკუღმა დაბრუნება.
10. გამომძიებელმა დროულად მოახდინა დანაშულის ადგილის დათვალიერება.

სავარჯიშო N 179 გაასწორეთ სტილისტური ხარვეზები:

1. მეფე ერეკლემ ბრძოლა ღალატის მიზეზით წააგო.
2. ომარი ყველანაირ განათლებას იყო მოკლებული.
3. „გამზრდელისა" და „ხევისბერი გოჩას" დასასრული ტრაგედიით მთავრდება.
4. ბოროტმოქმედმა დაზარალებულს დანის დარტყმით სხეულის მძიმე დაზიანება მიაყენა.

5. ის სწორედ მოიქცა, როცა ამ უსამართლობის წინააღმდეგ გაილაშქრა.
6. მეც სწორად ამისი თქმა მინდოდა.
7. ხევისბერმა შვილს სამუდამო სიკვდილი მიუსაჯა.
8. რუსუდანმა ყურთან არავის თხოვნა არ მიიტანა.
9. ქალბატონმა მაგდამ თავისი ქურქი საკმაოდ ძვირ ფასად იყიდა.
10. გრიგოლ ორბელიანი იძახდა: "მიეცით ნიჭსა გზა ფართო!"

სავარჯიშო N 180. გაასწორეთ სტილისტური ხარვეზები:

1. საფარ-ბეგმა ბათუს ცოლს სინდისი ახადა.
2. ულირსმა შვილმა თავის მამასაც მოსჭრა სახელი საზოგადოებაში.
3. ეს მხოლოდ ჩემი პირადი აზრია.
4. თეა პირველად გორში გავიცანი.
5. გლეხები მაღალ სულიერ საფეხურზე იდგნენ.
6. ახალგაზრდა თინეიჯერები ხშირად დადიან ამ კლუბში.
7. მათი საქციელი გამოწვეულია პატრიოტულ ნიადაგზე.
8. ლილიმ ეს გადაწყვეტილება ანერვიულების ნიადაგზე გამოიტანა.
9. მთასვლელები მზად იყვნენ, საკუთარი სიკვდილის ხარჯზე გადაერჩინათ ერთმანეთი.
10. ჩემი დამოკიდებულება ირინესადმი დადებითია.

სავარჯიშო N 181. გაასწორეთ სტილისტური ხარვეზები:

1. ჩემი აზრით, ავტორის სიმპათია მიმართულია დავითისაკენ.
2. ამ საქციელმა ძირს დასცა მისი სახელი.

3. ჩემი აზრიდან გამომდინარე, ის არასწორად მოიქცა, რადგან საბუთების მიღება არ აწარმოა დადგენილი წესის მიხედვით.

4. თუ შეიძლება, დახურეთ კარებები და მომისმინეთ, განცხადება მაქვს სათქმელი.

5. ორივე ნაწარმოები სამსჯელო საკითხებითაა დატვირთული.

6. ამ ფაქტმა დიდად იმოქმედა ლელას სულიერ ყოფაზე.

7. საქართველო თავის დღეში მუდამ იყო მტრებისაგან შევიწროებული, ქვეყანას ახლაც ძლიერი შემომსეველი შემოესია.

8. გოგონამ მოჩვენებითი თანაგრძნობიანი სახე მიიღო.

9. სამწუხაროდ, ეს ფიქრები გვიანი აღმოჩნდა.

10. სინამდვილემ თეიმურაზს საკმაო დაღი დაასვა.

სავარჯიშო N 182. გაასწორეთ სტილისტური ხარვეზები:

1. ნაწარმოებში ნაჩვენებია XVIII საუკუნის ეპოქა, ჩამოყალიბებულია არგუმენტები საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ მოსალოდნელ შედეგებზე.

2. კაცობრიობის არსებობის განმავლობაში ადგილი ჰქონდა არაერთი ცივილიზაციის აყვავებასა და დაცემას.

3. ქედანს ხმა ჩაუვარდა და ძირს ჩამოვარდა.

4. თეიმურაზისათვის მთავარი მასულდგმულებელი მეგობარი მხოლოდ წიგნი იყო. მან მთელი ბიბლიოთეკა გაყიდა, მაგრამ იმედი ჰქონდა, უკან იყიდდა თავის წიგნებს.

5. რა მიიღო თეიმურაზმა სანაცვლოდ? ცხოვრებისაგან დატანჯული ადამიანის პორტრეტი და სასტიკი განაჩენი.
6. სოლომონ ლიონიძე ერეკლე მეფეს სთხოვს, თავის ხალხს ნუ გააგონებს და ნუ შეასმენს ამ სიტყვებს.
7. ერთ დამარცხებაზე მეფეს გული არ უნდა გაეტეხა და თავისუფლებაზე უარი არ ეთქვა.
8. სოლომონი არ არის დარწმუნებული ქვეყნის ბედნიერებაში რუსეთთან შეერთების შემთხვევაში.
9. ეს რომ ასე მოხდეს, მაშინ ვიღა ახსენებს ახლა შენს საქებარ სახელს?
10. სანამ ერეკლე მეფე ჰყავთ ქართველებს, მათ უბედურებაც კი ბედნიერი აქვთ.

სავარჯიშო N 183. გაასწორეთ სტილისტური ხარვეზები:

1. ყვარლის მთები მთელი სილამაზითა და სრული ბუნებით უდგება თვალწინ ადამიანს.
2. კახეთში უკვე ორი კვირაა, მიმდინარეობს ხორბლის მოსავლის აღება.
3. საარსებოდ თეიმურაზი მამაპაპისეულ დანატოვარ ქონებას ყიდდა.
4. ეს მხოლოდ მისი საქციელისგანაა განპირობებული.
5. მას ამ ქმედებისაკენ აიძულებს სიღარიბე.
6. ვაჟას ასეთი ადამიანები გამოყვანილი ჰყავს მრავლად თავის ნაწარმოებებში.
7. მასწავლებელმა ბავშვებს საყვედური მიუზღო და ასე უთხრა: „არ უნდა ვიყოთ სასტიკნი და ბოროტნი ბუნებასთან მიმართებაში.“

8. ქალაქის ხელმძღვანელობისათვის განათლებაა პირველ პლანზე წამოწეული, ამიტომ ხშირად ეწყობა სკოლების შემოწმება.
9. ამ ბრძოლაში ქართველები რიცხობრივ უმცირესობას განიცდიდნენ.
10. მას შეუძლია გაანადგუროს ყოველივე, რასაც სიცოცხლის ნიშანწყალი აზის, რადგან შეცოდების ნატამალი არ გააჩნია.

სავარჯიშო N 184. გაასწორეთ სტილისტური ხარვეზები:

1. მოხუცი იხსენებდა, რა აუტანელ შრომას ეწეოდა ახალგაზრდობაში.
2. ნელი დიეტაზე ზის.
3. ქართველმა მოჭიდავეებმა საპრიზო ადგილები დაისაკუთრეს.
4. დამნაშავე დუმილს იცავდა.
5. სამართალდამცავებმა კანონის უხეში დარღვევები დაუშვეს.
6. ახალი თაობა ფიზიკურ ვარჯიშს არ ეწევა.
7. ეს ფილმი საფუძველს დაუდებს ახალ მიმდინარეობას ქართულ კინემატოგრაფიაში.
8. ამ ქუჩის მაცხოვრებლები იძახიან, რომ ამის შესახებ მათ არავინ ამცნო.
9. ფილმში მოცემულია თბილისის ომის ამსახველი ტრაგიკული ეპიზოდები.
10. ქალაქში უჩვეულო გამოცოცხლება სუფევდა.

სავარჯიშო N 185. გაასწორეთ სტილისტური ხარვეზები:

1. ჯუმბერი საეჭვო წარსულის პატრონია.
2. ლადოს გაახსენდა თავისი ყმაწვილქალობა.
3. მეფე ლუარსაბს ჯარი დაუცოტავდა.

4. დარბაზში ისხდნენ ბანოვანი ქალბატონები.

5. სოლომონი დღითიდღე ამ საშინელ სცენებს უყურებდა.

6. კახეთს ძალიან ურიცხვი მტერი შემოესია.

7. ნათელა ძალიან გასუქდა და ამიტომ დიეტაზე დაჯდა.

8. ალექსიმ აკაკის პირდაპირ სახეში უთხრა სიმართლე.

9. ამის გამგონე თამრომ გლოვა მორთო.

10. რუსუდანი თავის საქმიანობას ბეჯითად აკეთებდა.

სავარჯიშო N 186. შეარჩიეთ სწორი ფორმები და გამართეთ წინადადებები:

1. დღეს (მოქმედი/მომქმედი) კანონის თანახმად, ასეთი დანაშაული 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება.
2. წელს ორი ტონა ვაშლი (ვაწარმოეთ/ მოვიყვანეთ).
3. სესიაზე (მოხსენება გააკეთა/მოხსენებით გამოვიდა) პროფესორი ევგენიძე.
4. კონცერტი 10 საათზე (დასრულდა/დამთავრდა).
5. როგორც იქნა, ქეთის (ილბალი ეწია/ ბედი ეწია).
6. (აღელვებულ მდგომარეობაში მყოფმა/აღელვებულმა) ახალგაზრდამ მოძრაობის წესები დაარღვია.
7. კონკურსში მონაწილეთა საბუთების მიღება (წარმოებს / მიიღება) 10 საათამდე.
8. (მაისის თვეში /მაისში) წვიმიანი ამინდია მოსალოდნელი.
9. ნინო ზაფხულშიც (თბილ ტანსაცმელს ატარებს/ თბილად აცვია).

10. ქარხანაში (ადგილი აქვს ხელფასების ზრდას/ იზრდება ხელფასები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარჯიშო N 187. შეარჩიეთ სწორი ფორმები და გამართეთ წინადადებები:

1. საკრებულო არჩევნებს დროულად (უზრუნველყოფს / ჩაატარებს) .
2. ლიზიკო ყოველთვის გამოირჩეოდა (კორექტული /კორექტურული) საქციელით.
3. ვახტანგს მხოლოდ (კეთილშობილი/კეთილშობილური) მიზნები ამოძრავებდა.
4. ეს არ არის (რელიგიური/მორწმუნე) კაცის საქციელი.
5. გიგო ერთი (უბრალო/ ჩვეულებრივი) გლეხია.
6. ამბობენ, თურმანიძის მალამო (უებრო/ უებარი) წამალიაო.
7. ამ საკითხს უფრო (ფართო /ღრმა) ანალიზი სჭირდება.
8. წიგნის მეორე გამოცემაში ვაჟას პოეზიას (ფართო /დიდი) ადგილი დაეთმობა.
9. ბავშვები (განლაგდნენ /მოთავსდნენ / დაბინავდნენ) მეორე კოტეჯში.
10. დირექტორმა განაცხადა, რომ მის საწარმოში ფინანსურ დარღვევებს (ადგილი არ აქვს/არ ხდება).

სავარჯიშო N 188. შეარჩიეთ სწორი ფორმები და გამართეთ წინადადებები:

1. თერგდალეულთა ლიდერი ილია (გახლდათ/იყო).
2. ამ საკითხის შესახებ კოტეს სხვა აზრი (გააჩნია /აქვს).

3. თავისი მოღვაწეობით ბატონმა აკაკიმ დიდი კვალი (დაამჩნია/ დააჩნია) ქართულ მეცნიერებას.
4. ფირმის მენეჯერმა წლიური ანგარიში დროულად (გააკეთა/ წარადგინა).
5. ამ მაღაზიაში, როგორც ძველ კლიენტს, ხშირად შეღავათს (მიკეთებენ/ მაძლევენ).
6. გარემოს დაცვის სამინისტროს დაევალა ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის (დაჩქარებით შესწავლა/დააჩქაროს შესწავლა).
7. გამომცემლობა "საქართველოში" უნიკალური ისტორიული რუკების (გამოცემა განხორციელდა/გამოიცა).
8. რუსეთის ნაკრებმა ქართველ მორაგბეებთან (მარცხი განიცადა/ დამარცხდა).
9. ზამთრის ოლიმპიადაზე ჩვენმა მოთხილამურეებმა (ოქროს მედლები დაისაკუთრეს/ მედლებით დაჯილდოვდნენ).
10. ჩვენ კვალიფიციური კადრების (ნაკლებობას არ განვიცდით/არ გვაკლია).

სავარჯიშო N 189. გაასწორეთ შეცდომები:

1. ამ პიროვნებაზე დიდი სიმპათიითა ვარ განწყობილი.
2. ერთადერთი გზა გადარჩენისათვის ეს იყო.
3. მასწავლებელი შეძრწუნდა თავისი მოწაფის უცოდინრობაზე.
4. მას იმედი ჰქონდა ერთადერთ ვაჟზე.
5. ნაწარმოებში „ოთრაანთ ქვრივში" ილიამ დაგვიხატა ქართველი ქალის სახე.
6. ელიზბარმა დამნაშავეზე განაჩენის გამოტანა მოითხოვა.

7. ხევისბერმა თემის ღალატისათვის საკუთარი შვილი გაწირა, ონისე მოკლა და ამისთვის ჭკუიდან შეიშლა.
8. ეს წიგნი სხვა ამგვარ წიგნებთან არ განსხვავდება.
9. ფულის გულიზე ყველაფერი არ უნდა იკადროს კაცმა.
10. ეს ამბავი სიკვდილის ბოლომდე მემახსოვრება.

სავარჯიშო N 190. გაასწორეთ შეცდომები:

1. მიუხედავად ყველაფრისაგან, ღმერთმა იგი არ გაწირა.
2. ერეკლე წელზე ფეხს იდგამდა, რომ ოჯახი გამოეკვება.
3. სანდროს მუდამ აინტერესებდა გაეგო, რა გავლენას ახდენდნენ მეგობრები თემოს მიმართ.
4. შეიძლება, საღამოს შვიდ საათზე თქვენთან სტუმრად მოვბრძანდე?
5. სწორედ ამისი ჩვენება უნდოდა მწერალს თავისი ნოველიდან.
6. „ბედი ქართლისა“ კახელებზე მოხსენიებით იწყება.
7. რაც კი გააჩნდა, ლუკმაპურზე გაყიდა.
8. ვაჟას ბევრი ლექსი ბუნებისთვისაა მიძღვნილი.
9. მხატვარი არასოდეს ფიქრობდა იმის ირგვლივ, თუ რას იტყოდნენ მასზე კრიტიკოსები.
10. დირექტორმა გამოთქვა თავისი მოსაზრება სწავლასთან ნოდარის დამოკიდებულებაზე.

სავარჯიშო N 191. გაასწორეთ შეცდომები:

1. სოფლის მოსახლეობა დანატრებული იყო სინათლეზე.
2. მშობლებზე მოიმედე ახალგაზრდები დაუფიქრებლად ხარჯავენ ფულს.
3. ყველაფრისგან ჩანს, რომ იგი სუსტი პიროვნებაა.
4. იგი დარცხვენილი წამოვიდა მეზობლის სახლისგან.
5. ნინო თავს დამნაშავედ გრძნობდა გელას მიმართ.
6. შექმნილი სიტუაციისგან გამომდინარე, საჭირო გახდა საგანგებო სხდომის მოწვევა.
7. მოულოდნელად ამინდი გაფუჭდა და ამისთვის ფრენა გადაიდო.
8. ჟურნალი ბეჭდავს ექსპერტის მოსაზრებებს ოციანი წლების მოვლენების მიმართ.
9. ინტელიგენციის პასიურობა გამოწვეული იყო იმ ეპოქის მიერ.
10. მათს კოპწია სახლს ადამიანი გულგრილად გვერდში ვერ გაუვლის.

სავარჯიშო N 192. გაასწორეთ შეცდომები:

1. ამ ბოლო დროს ყველა ამჩნევდა, რომ რევაზსა და გიორგის შუა ცუდი ურთიერთობა იყო.
2. უმწეო ქალს თავზე ყაჩაღები დაესხნენ და გაძარცვეს.
3. ჩემი აზრი ამ საკითხის მიმართ უკვე მოგახსენეთ.
4. ლადომ მწუხარება გამოთქვა თენგიზის ამგვარ მდგომარეობაზე.

5. ლუკა თავისი ნათესავის სიცოცხლის გადარჩენაზე იბრძვის.

6. გურამ დოჩანაშვილის ნაწარმოებები ჩემზე დიდ სიმპათიას იწვევს.

7. მისი მოქმედება ქვეყნის კეთილდღეობისათვის არის მიმართული.

8. მრავალ მეფეს უხსნია ეს ქვეყანა გასაჭირიდან.

9. ხევისბერი გოჩას საქციელი თითქმის ანალოგიურია ჰაჯი უსუბის საქციელთან.

10. ნაცნობები ძალიან შეწუხდნენ მისი ბებიის სიკვდილისათვის.

სავარჯიშო N 193. გაასწორეთ შეცდომები:

1. ამაზე მან დიდად გაიხარა.
2. ლექსი სამშობლოს სიყვარულზეა მიძღვნილი.
3. ამ ორი მეგობრიდან, ლელადან და თათადან, გარეგნობით ლელა გამოირჩეოდა.
4. ქვეყანაში ცხოვრების დონე დამოკიდებულია ეკონომიის განვითარებისგან.
5. ლევანი ქორწილის შემდეგ ნაქირავებ ბინაზე გადავიდა.
6. ევკალიპტის ფოთლებიდან ბებიამ სამკურნალო ნაყენი დაამზადა.
7. ნანამ ვერ დააღწია თავი მისი გავლენიდან.
8. ბუნებისადმი სიყვარული დედამ ბავშვობიდანვე ჩაუნერგა.
9. იმ ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ ვაჟას წყლისადმი შიში დასჩემდა.
10. ზაფხულზე სტუდენტობის დიდი ნაწილი ექსპედიციაში წავა.

სავარჯიშო N 194. გაასწორეთ შეცდომები:

1. ანა საბურთალოში ცხოვრობს, ეკა — ავლაბარზე და თეა — ნაძალადევში.
2. ნატომ ქუჩაზე მიმავალი მეზობლის ბავშვი დაინახა.
3. ედიშერს უნდოდა, ქალიშვილი მდიდარ კაცზე მიეთხოვებინა.
4. ბიძინა არ ფიქრობდა იმის ირგვლივ, რომ ოჯახს რჩენა სჭირდებოდა.
5. მისი საქციელი სიმამაცეზე და გაბედულებაზე მეტყველებს.
6. შალვა იბრძვის სამართლიანობაზე და იგი დიდ იმედიანობაშია, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება.
7. ბესო მხიარული სიცილით ახარხარდა.
8. ქართველი ხალხის სიამაყე არ შეედრება სხვა ხალხთან.
9. დათომ წესრიგი დაარღვია და ამის შედეგად იგი მკაცრად დაისაჯა.
10. ანდერძი, რომელიც დედიდან ჰქონდა დატოვებული, პირნათლად შეასრულა.

სავარჯიშო N 195. გაასწორეთ შეცდომები:

1. ყველაფრისაგან მიუხედავად, ხელფასი მაინც არ დაუცოტავეს.
2. ხათუნა, მით უმეტეს ამისა, მოსკოვში მაინც გაფრინდა.
3. სოფიკო და იამზე ტიროდნენ იმისთვის, რომ მამამ კინოში არ გაუშვა.
4. ჩვენს უნივერსიტეტს ბიუჯეტი არ დაუცოტავეს, პირიქით, გაუდიდეს.

5. მწერალი აგვიწერს თეიმურაზის უნიათობაზე.
6. დირექტორი და მასწავლებლები დაინტერესებული იყვნენ სკოლის კეთილდღეობაზე და ამიტომ ერთ პოზიციაში იდგნენ.
7. ქალბატონი თეკლე უზომოდ იყო შეყვარებული თავის საქმეში.
8. ოთარაანთ ქვრივის ეზოში ფეხს ვერავინ შეაჭაჭანებდა.
9. არ დაივიწყო მოვალეობა, რომელიც მშობლებისადმი გაკისრია.
10. პროკურორმა დამნაშავეზე მკაცრი განაჩენის გამოტანა მოითხოვა.

სავარჯიშო N 196. გამართეთ ტექსტი:

პატარა ნორჩი მომღერალი, ნანა დადიანი, ბერლინის საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა, სადაც მონაწილეობენ როგორც გერმანელი, ასევე სხვა უცხოელი მომღერლები. კონცერტებს უამრავი ახალგაზრდა თინეიჯერი ესწრებოდა. ისინი ტაშს უკრავდნენ და შეძახილებით ამხნევებდნენ ნორჩ დებიუტანტს, რომელიც პირველად გამოდიოდა სცენაზე. გამარჯვებულებს გამოავლენს სპეციალური ჟიური.

სავარჯიშო N 197. გამართეთ ტექსტი:

ჩვენი თანამშრომელი კოლეგა, ღვაწლმოსილი ბავშვთა პედიატრი, ელიკო კაპანაძე, კარგი ავტორიტეტით სარგებლობს, სისტემატურად ილრმავებს პროფესიული ცოდნის დონეს და გამოირჩევა სწორი დიაგნოსტიკის დასმით. საავადმყოფო პოლიკლინიკის დირექტორმა მას დაუფასებელი ამაგისა და გაწეული ღვაწლისათვის მადლობა მოუხადა და ორი თვის ხელფასი მიანიჭა.

სავარჯიშო N 198. გამართეთ ტექსტი:

მინდა გითხრათ, რომ გუშინ საღამოზე ადგილი ჰქონდა ელექტროგადამცემი ანძის დაზიანებას. ანძა მოთავსებულია მთებში, მიუვალ ადგილას, რის მიზეზითაც ვერ უზრუნველვყავით ანძის დროული აღდგენის განხორციელება. ჩვენმა ენერგეტიკოსებმა დროზე მოახდინეს ანძის დაზიანების ხარისხის შესწავლა და გამოიტანეს დასკვნა, რომ ანძის ექსპლუატაციაში შესასვლელად საჭიროა ანძის ხანგრძლივი აღდგენითი სამუშაოების განხორციელება, რის გამოც გვინდა ბოდიში გადავუხადოთ საქართველოს მოსახლეობას.

აქვე გაცნობებთ, რომ სამინისტრო აწარმოებს ახალ პროექტებზე მუშაობას და ატარებს დიდ მუშაობას მიმდინარე პრობლემების დასარეგულირებლად.

სავარჯიშო N 199. გაასწორეთ სტილისტური ხარვეზები და ალოგიზმები:

1. ბოროტმოქმედებმა არა მარტო წამებით მოკლეს მოქალაქე, არამედ მკაცრადაც გააფრთხილეს, მათს საქმეში აღარასოდეს ჩარეულიყო.
2. მას ხან ქმრის, ხან კიდევ მეუღლის სამსახურიდან დათხოვნის შიში მოსვენებას არ აძლევდა.
3. ქაჯეთის ციხის ასაღებად გმირები ჯერ ტურისტებივით მიდიოდნენ, შემდეგ კი ცხენები გააჭენეს და მტერს მუსრი გაავლეს.
4. შევადაროთ პირველი ცხრილის მონაცემები მეორე ცხრილთან.
5. ჩვენ წელს ელექტროენერგიით უზრუნველვყავით და მთლიანად გავანათეთ მთელი საქართველო, მაგრამ მომავალში კიდევ უფრო გავანათებთ.
6. იუსტიციის სამინისტრო აკონტროლებს კრიმინალურ სიტუაციას მთელ ქვეყანაში.

7. ადგილზე მოკვლევას ატარებენ ჩვენი ექსპერტები, კერძოდ – ძაღლები.
8. ეჭვმიტანილმა აღიარა დანაშაული და გამოიყენა დუმილის უფლება.
9. უცხოელი ჟურნალისტების სველი ფეხები ჯვრის მონასტერზე თავად ავიდნენ.
10. მაიკროსოფტმა 21-ე საუკუნეში ქართველებს შეგვიქმნა ქართული ანბანი.

სავარჯიშო N 200. გაასწორეთ სტილისტური ხარვეზები და ალოგიზმები:

1. დახოცილი მეომრები ტყეში ერთმანეთს ასაფლავებდნენ.
2. ტელეგადაცემის წამყვანმა განაცხადა: აქ უნდა ყოფილიყო ბატონი თამაზი, მაგრამ არ მოვიდა, რაღაც საქმე მაქვსო. ნეტა რა საქმე აქვს იმისთანა, რომ ტელევიზორში არ მოვიდა.
3. რესტორანში შეჭრილმა ნიღბიანმა ავტომატებმა ხალხი ძალიან შეაშინა.
4. ტაქსის მძღოლმა გამოაცხადა: „ფულის დახურდავებაზე მე ნუ შემაწუხებთ, დახურდავდით თვითონ!“
5. ეჭვმიტანილი დააკავეს, მაგრამ ჯერჯერობით უცნობია, ცოცხალია თუ მკვდარი.
6. — დაზარალებულები მძიმე მდგომარეობაში არიან, რადგანაც მათ ჩვენ ალმოვუჩინეთ დახმარება, — განაცხადა ექიმმა.
7. ილია და აკაკი ცოცხლები რომ იყვნენ, საფლავში გადატრიალდებოდნენ.
8. ის პატარა ბიჭი რომ არის, არჩვაძე, გვარი არ მახსოვს, გუშინ თეატრში შემხვდა.
9. ბავშვებს ახალ წელს ან თოვლის პაპა მიულოცავს, ან თოვლის ბაბუა.

10. ამას ზრდასრული ადამიანი არ გააკეთებდა. ეს ან მოზარდების ნახელავია, ან თინეიჯერების.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარჯიშო N 201. შემოხაზეთ იმ წინადადებათა რიგითი ნომრები, რომლებშიც სტილისტური ხარვეზებია:

1. ისრაელის ჩრდილოეთში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს მიწისქვეშა კომპლექსი, რომელსაც ებრაელები I საუკუნეში თავშესაფრად იყენებდნენ.
2. კომპლექსი საცხოვრებელი ნაწილის, სათავსოებისა და მათთან დამაკავშირებელი გვირაბებისაგან შედგება.
3. მიწისქვეშა ნაგებობები ჩვეულებრივი საცხოვრებელი სახლის იატაკქვეშ იყო მოწყობილი.
4. მისი კონსტრუქცია ნგრევის რისკს მინიმუმამდე აგდებდა.
5. ზოგიერთ სათავსოში აღმოჩენილია ჭურჭლები, რაც მოწმობს, რომ ამ ადგილებში ადრე საწყობი იყო.
6. თავშესაფრის დიდი ნაწილი საცხოვრებლად გამოიყენებოდა, დროთა მანძილზე იგი დაზიანდა და თავისი ფუნქცია დაკარგა.
7. მეცნიერთა აზრით, აღმოჩენა მოწმობს, რომ I საუკუნეში ებრაელები გულმოდგინედ ემზადებოდნენ რომაელების წინააღმდეგ აჯანყებისათვის.
8. ახალმა აღმოჩენამ ნათლად ცხადყო, რომ აჯანყება სპონტანურად არ დაწყებულა.
9. 66-70 წლების აჯანყება იუდეველთა ომის სახელით არის ცნობილი.
10. ებრაელების ისტორიაში მას განსაკუთრებული ადგილი ენიჭება.

სავარჯიშო N 202. შემოხაზეთ იმ წინადადებათა რიგითი ნომრები, რომლებშიც სტილისტური ხარვეზებია:

1. დღეს, საღამოს 5 საათზე, ჭადრაკის ფედერაციაში გაიმართა მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრა.
2. იქ შეიკრიბნენ ჩვენი სახელოვანი მოჭადრაკეები და მათი თაყვანისმცემლები.
3. შეკრება გახსნა საზოგადოებისათვის კარგად ნაცნობმა დიდოსტატმა გროსმაისტერმა ზაქარია ლეჟავამ.
4. სიტყვაში გამოვიდა ფედერაციის თავმჯდომარე, რომელმაც დამსწრეთ გააცნო, თუ როგორ ემზადება საქართველოს ნაკრები მომავალი ჩემპიონატისათვის.
5. მან თავისი განცხადებით განაცხადა, რომ ქართველი მოჭადრაკეები გულმოდგინედ ემზადებიან და დიდად ემადლიერებიან ცნობილ ქველმოქმედს, ბაჩანა ივანიძეს.
6. მის მიერ გადმორიცხული თანხის მნიშვნელობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სპორტსმენებისათვის.
7. ჩვენი ნაკრები ხედავს, რომ საზოგადოება ჩვენ გვერდითაა და დიდ იმედებს ამყარებს ამ ჩემპიონატზე.
8. ასეთი შემთხვევების შემთხვევაში ჩვენ არ გვაქვს უფლება, იმედები გავუცრუოთ ხალხს.
9. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ქართულ ჭადრაკს დავუბრუნოთ ძველი დიდება.
10. მომხსენებელმა ბევრი ისაუბრა როგორც ცალკეული მოჭადრაკეების, ასევე ჭადრაკის ფედერაციის სამომავლო გეგმებზე.

სავარჯიშო N 203. შემოხაზეთ იმ წინადადებათა რიგითი ნომრები, რომლებშიც სტილისტური ხარვეზებია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 ბავარია გერმანიის ყველაზე დიდი მხარეა.
2. მისი ფართობი 70, 5 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენს.
3. აქ თორმეტ მილიონზე მეტი მოსახლეობა ცხოვრობს.
4. ბავარია გარშემორტყმულია საშუალო სიმაღლის მთებით.
5. გერმანიის ეს ისტორიული მონაკვეთი მდიდარია მდინარეებითა და ტბებით.
6. მისი ტერიტორიის მესამედი დაფარულია წიწვოვანი ტყეებით, რომლებშიც ბევრი ცხოველი მოიპოვება.
7. მოსახლეობა ძირითადად ბინადრობს ქალაქებში და დაკავებულია მრეწველობით.
8. ბავარია გერმანიის უმნიშვნელოვანესი ტურისტული ცენტრია.
9. ტურისტებს ხიბლავს მისი მშვენიერი ბუნება და არქიტექტურული ხუროთმოძღვრება.
10. სწორად აქ მდებარეობს მეფე ლუდვიგის ზღაპრული ციხესიმაგრე.

სავარჯიშო N 204. შემოხაზეთ იმ წინადადებათა რიგითი ნომრები, რომლებშიც სტილისტური ხარვეზებია:

1. თამუნია წერეთელი სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად.
2. ეს უმშვენიერესი ქალბატონი არაერთი პოეტისა და მწერლის შთაგონების წყარო გამხდარა.
3. მის შეუდარებელ მშვენიერებას ტიციან ტაბიძემ მშვენიერი ლექსები უძღვნა.
4. ბეჟან წერეთლის უმცროს ქალიშვილს უზრუნველი ცხოვრება უნდა ჰქონოდა, მაგრამ ბედმა იგი ლამის გამოუვალ კრახამდე მიიყვანა.

5. 20-იანი წლების ეპოქის რეალობამ იგი შიმშილით დასაღუპად გაწირა.
6. მას მხსნელად მოევლინა ცნობილი მეწარმე, კაცთმოყვარე ჰუმანისტი ქებაძე, რომელმაც რუსთაველის პროსპექტზე მინერალური წყლების გამყიდველად მოაწყო.
7. სწორედ აქ გაიცნო პირველად თამუნია წერეთელი ტიციან ტაბიძემ.
8. მალე ქალიშვილი პოეტის მუზად იქცა.
9. ტიციანი ყოველდღე დადიოდა მაღაზიაში და მისი ნატიფი სილამაზით ტკბებოდა.
10. პოეტმა თავის პოეტურ ლექსებში უკვდავყო თამუნია წერეთლის სახელი.

XIV. სინტაქსის საკითხები

ეროვნული ბიბლიოთეკა

◈ ***ცნობისათვის:*** **სინტაქსი არის გრამატიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის წინადადების ტიპებს და წინადადებაში სიტყვათა შეკავშირების წესებს.**

წინადადება ეწოდება დასრულებული აზრის გამომხატველ სიტყვას ან სიტყვათა ჯგუფს (*შებინდდა. მზე ნაცრისფერ ღრუბლებში მიიმალა*).

სიტყვას, რომელიც წინადადებაში სხვა სიტყვას უკავშირდება, წინადადების წევრი ჰქვია. ერთმანეთთან სინტაქსურად დაკავშირებული ორი წევრი სინტაქსური წყვილია (*მზე მიიმალა, ღრუბლებში მიიმალა, ნაცრისფერ ღრუბლებში*). **წყვილის წევრებს შორის ენაში შემუშავებული წესის შესაბამისად დამყარებულ კავშირს სინტაქსური კავშირი ეწოდება. წყვილის წევრთაგან ერთი მთავარია, მეორე — მასზე დამოკიდებული.**

სინტაქსური ურთიერთობის სამი სახე არსებობს: შეთანხმება, მართვა და მირთვა.

- **<u>შეთანხმება</u> სიტყვათა ისეთი სინტაქსური ურთიერთობაა, რომლის დროსაც დაქვემდებარებული სიტყვა იმ ფორმას იღებს, რომელიც აქვს მთავარ სიტყვას. მაგალითად:** *ლამაზი ქალი, ორმა მოწაფემ, კეთილო ადამიანო* **— შეთანხმებაა ბრუნვაში;** *ბავშვი თამაშობს, ბავშვები თამაშობენ; მერცხალი გაფრინდა, მერცხლები გაფრინდნენ* **— შეთანხმება რიცხვში.**
- **სახელმა სახელი და სახელზმნა (მიმღეობა) შეიძლება შეითანხმოს ბრუნვასთან ერთად რიცხვშიც:** *მთანი მალალნი, მთათა მალალთა...*
- **სახელი ზმნას ითანხმებს არა მარტო რიცხვში** *(მე წავედი, ჩვენ წავედით...),* **არამედ პირშიც** *(მე წავედი, შენ წახვედი, ის წავიდა...).*

- **<u>მართვა</u> სიტყვათა ისეთ სინტაქსურ ურთიერთობას ეწოდება, როდესაც ერთი სიტყვა მეორისაგან მოითხოვს ისეთ ფორმას, რომელიც მას არ აქვს საერთოდ ან მოცემულ შემთხვევაში.**
- **სახელი მართავს სახელს (სახელზმნას) ბრუნვაში** *(ხის მაგიდა, მეგობრის დახმარებამ, შვილის დაბადებას, კალმით ნახატი, ენით დაკოდილი, კარგად აღზრდილი).*
- **ზმნა მართავს სახელს ბრუნვაში** *(ხატავს ბავშვი, დახატა ბავშვმა, დაუხატავს ბავშვს).*
- **ფორმაუცვლელი სიტყვა (თანდებული ან თანდებულის მნიშვნელობით ნახმარი ზმნიზედა) მართავს სახელს ბრუნვაში** *(ბავშვივით, მდინარესთან, სკოლისკენ, კაცის მიერ, სახლის წინ).*

- **მირთვა** სინტაქსური ურთიერთობის ისეთი სახეა, რომლის დროსაც ფორმაუცვლელი სიტყვა მთავარ სიტყვას აზრობრივად უკავშირდება *(ადრე ადგა, გვიან წავიდა, ძალიან გაიბარა, უფრო მალლა).*

სავარჯიშო N 205. ფრჩხილებში მოცემული სიტყვა ჩასვით სათანადო ბრუნვის ფორმით:

1. (ლამაზი ქალი) თვალი მომტაცა.
2. გიო თამუნას ყოველ დაბადების დღეზე (თეთრი ვარდები) უგზავნის და ეს (მთელი უბანი) იცის.
3. პაპას თავი მოსწონდა თავისი დაყენებული (წითელი ღვინო).
4. თეკლე სულ მალე (წარმატებული მეცნიერი) აღიარეს.
5. ჩემპიონმა (ნორჩი სპორტსმენები) გამარჯვება მიულოცა.
6. ძალიან მენატრები (ჩემი ელენე).
7. დავით კლდიაშვილმა ამ მოთხრობაში (იმერელი აზნაურნი) დუხჭირი ცხოვრება ასახა.
8. (მოხუცი ქალბატონი) სანდომიანი სახე ჰქონდა.
9. (მხატვარი კაკაბაძე) გამოფენით აღფრთოვანებული ხელოვნებათმცოდნეები ერთმანეთს უზიარებდნენ შთაბეჭდილებებს.
10. თბილისობის დღესასწაული (მთელი ქალაქი) იზეიმა.

სავარჯიშო N 206. გაასწორეთ შეცდომები:

1. დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია გამოუცდელ ახალგაზრდა ქალის ამ დაუფიქრებელმა ნაბიჯმა.
2. ბატონ ოთარის გამოსვლა ხვალისთვის გადაიდო, მის ნაცვლად ქალბატონო მანანას მოვუსმენთ.

3. გამოცდა პროფესორი ჭიჭინაძესთან 12 საათზეა დანიშნული.
4. პირველკურსელ სტუდენტმა შექსპირის პიესების მაჩაბლისეული თარგმანები შესანიშნავად გააანალიზა.
5. ირაკლის თავის მასწავლებელმა წარმატება მიულოცა.
6. მაიამ მთელს ქვეყანას გააგებინა, მის დისშვილმა რომ კონკურსში გაიმარჯვა.
7. თავის საქმით გართულ პეტრეს სხვის უბედურება აღარ აღელვებდა.
8. ყველაფერს მიხვდებოდი, მის ლაპარაკისთვის რომ ყურადღებით მოგესმინა.
9. გუშინდელი დღესავით მახსოვს შენი ქორწილი.
10. ნიკოსთან მოსვლა, სამ მეგობრის გარდა, ვერავინ მოახერხა.

სავარჯიშო N 207. გაასწორეთ შეცდომები:

1. ეს მაღალი აგური სახლი წელს ააშენეს.
2. მეგობრი დახმარება რომ არა, ამ საქმეს თავს ვერ გავართმევდი.
3. დედა თქვა, თუ წელს იბეჭითებ, ჩემგან კარგი საჩუქარს მიიღებო.
4. მოულოდნელად ჩემს წინ უმშვენიერესი პეიზაჟი გადაიშალა.
5. სახლი წინ მშვენიერი ყვავილნარი გაუშენებიათ, ხოლო სახლს უკან ვენახი ჩაუყრიათ.
6. ღამით ქალებმა ეკლესიაში წავედით.
7. მათმა თქვეს, მომავალს წელსაც აუცილებლად ბორჯომში დავისვენოთ, ამაზე უკეთეს ადგილს სად ვნახავთო.
8. ბიჭი, სახელით დავითი, პირველად მიდიოდა ექსკურსიაზე თანა - კლასელებთან ერთად.

9. — ორ კვირის შემდეგ ჩამოვალ და ზოოპარკში წაგიყვანო,— ამშვიდებდა ბაბუა ატირებული ვანიკოს.
10. პაატა მთელ ზაფხულზე გახარებული დადიოდა და ყველას უყვებოდა, როგორ ასახელა უფროსმა ვაჟიშვილმა.

სავარჯიშო N 208. გახაზეთ სწორი წინადადებები:

1. ადამიანმა ადამიანს უნდა დაეხმაროს.
   ადამიანი ადამიანს უნდა დაეხმაროს.
2. გამოცდილი გამყოლის დახმარება გზას უხიფათოს ხდიდა.
   გამოცდილი გამყოლის დახმარება გზას უხიფათოდ ხდიდა.
3. იმ საღამოს სტეფანწმინდად ამოვედით.
   იმ საღამოს სტეფანწმინდას ამოვედით.
4. ნასადილევზე კოტემ სტუმრები მცხეთაში წაიყვანა.
   ნასადილევს კოტემ სტუმრები მცხეთაში წაიყვანა.
5. ორი ტურისტი კარვებს შორის დადიოდა და დაკარგულ კომპასს ეძებდა.
   ორი ტურისტი კარვების შორის დადიოდა და დაკარგულ კომპასს ეძებდა.
6. კოლონკელიძის ასულს არ შეშინებია ავაზისა.
   კოლონკელიძის ასულს არ შეშინებია ავაზასი.
7. ანუკა, გვარად კაპანაძე, უნივერსიტეტის ასპირანტი გახდა.
   ანუკა, გვარით კაპანაძე, უნივერსიტეტის ასპირანტი გახდა.
8. კოცონს გარშემო მთელი სოფლის ბავშვები შეკრებილიყვნენ.
   კოცონის გარშემო მთელი სოფლის ბავშვები შეკრებილიყვნენ.
9. ოთარაანთ გიორგიმ კუპრაანთ თედო სცემა.
   ოთარაანთ გიორგიმ კუპრაანთ თედოს სცემა.

10. — გუშინ სკოლაში რატომ არ იყავი? — შეეკითხა ნიკას მასწავლებელმა.

— გუშინ სკოლაში რატომ არ იყავი? — შეეკითხა ნიკას მასწავლებელი.

სავარჯიშო N 209. გაასწორეთ შეცდომები:

1. —ჩემს შემდეგ ქვა ქვაზე ნუ დარჩენილაო,— ასე ფიქრობდა ნოშრევანი.
2. —მხოლოდ შენს გამო დავბრუნდი თბილისში, არ გამაწბილო, — ემუდარებოდა ვაჟი.
3. ქვიდან გამოთლილი უძველესი საწნახელი მუზეუმში გადაიტანეს.
4. ჩემი ბიძაშვილიდან სამი თვეა, არაფერი ისმის, ალბათ, ის ისევ ლონდონშია.
5. ეს დაავადება დედიდან ახალშობილს გადაეცემა და გადაუდებელ მკურნალობას საჭიროებს.
6. ჩემი აგარაკი ქალაქისაგან საკმაოდ მოშორებით მდებარეობს, მაგრამ მეგობრები მაინც ხშირად მნახულობენ ხოლმე.
7. თქვენს შესახებ გუშინ ერთმა ჟურნალისტმა მიამბო.
8. თავლას მარცხნივ ძველი დამტვრეული ეტლი იდგა.
9. ეს ჯვარი თემურმა თვითონ გამოთალა ხიდან.
10. ხის კენწეროსგან წითელი ვაშლი ჩამოვარდა და ფეხებს წინ დამეცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

◈ *ცნობისათვის:* წინადადებაში განირჩევა მთავარი და არამთავარი წევრები. მთავარი წევრებია: შემასმენელი, ქვემდებარე, დამატება-ობიექტები (პირდაპირი და ირიბი); არამთავარი წევრებია: უბრალო დამატება, განსაზღვრება და გარემოება (ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზის, მიზნის).

<u>შემასმენელი</u> წინადადების ძირითადი წევრია. იგი ორგვარია: მ ა რ ტ ი ვ ი და შ ე დ გ ე ნ ი ლ ი. მარტივი შემასმენელი გადმოიცემა ზმნის ამა თუ იმ მწკრივის ფორმით, რომელიც შეიძლება იყოს:

- მარტივფუძიანი *(წერს, დახატა, აუშენებია...);*
- რთულფუძიანი *(ვზივარ, გავზრდილვარ, დაბრუნებულხარ, გამოსულიყვნენ..., შეურაცხყოფს, ვთანამშრომლობ).*

  - <u>შენიშვნა:</u> რთულფუძიანი ზმნები ორი დამოუკიდებელი სიტყვის შეერთებითაა მიღებული. მათი ერთი ნაწილი წარმოქმნილია სახელზე მეშველი ზმნის დართვით (ცხადყოფს, ხელყო, უარვყოფ...), ნაწილი კი მეშველი ზმნის გარეშე, ორი ფუძის შეერთებით მიიღება (გულ+შემატკივრ-ობ-ს, ვ-ქედ+მაღლობ, ვ-შუა+მდგომლობ...). პირველი ტიპის რთულფუძიან ზმნებში პირის ნიშანი მეშველ ზმნას უნდა დაერთოს. **სწორია:** ცხადვყოფ, ნათელვყოფ, უარვყოფ, უარმიყვია, უკვდავვყოფ (და არა: ვცხადყოფ, ვნათელყოფ, ვუარვყოფ, ვუკვდავვყოფ), მეორე ტიპის ზმნებთან კი პირის ნიშნები ზმნის თავში იწერება. **სწორია:** ვთავკაცობ, ვავადმყოფობ, ვსულდგმულობ (და არა: თავვკაცობ, ავადვმყოფობ, სულვდგმულობ).

☞ *გახსოვდეთ!*

- აწმყოს მწკრივის I პირში (რას ვშვრები?) სუბიექტური პირის ნიშანს რთული ზმნის ორივე ნაწილი დაირთავს *(სწორია: ვუყვარვარ, ვუზივარ და არა: უყვარვარ, უზივარ).*
- I თურმეობითში (რა მიქნია?) ერთპირიანი ვნებითი გვარის I სუბიექტური პირის ფორმებში ვ თავსართი უნდა დაერთოს რთული ზმნის ორივე ნაწილს (*სწორია: გავზრდილვარ და არა: გაზრდილვარ; ავღლეჭებულვარ და არა: აღლეჭებულვარ).*

სავარჯიშო N 210. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა:

1. ნეტავ დილით ადრე .....

ა) ამდგარვიყავი. ბ) ავმდგარიყავი

2. ძალიან მინდოდა, იმ დროს მეც თქვენთან ერთად.. .....

ა)ვყოფილვიყავი ბ) ვყოფილიყავი

3. სადაც ....., იმ ადგილებს რა დამავიწყებს.

ა) შობილვარ, გაზრდილვარ

ბ) ვშობილვარ, გავზრდილვარ

4. ასე არასდროს .. ..

ა) აღელვებულვარ ბ) ავღელვებულვარ

5. ამ საქმით ჩვენ სამუდამოდ .. .. მის სახელს.

ა) ვუკვდავყოფთ ბ) უკვდავვყოფთ

6. ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ, სკოლები .....
სახელმძღვანელოებით.

ა) ვუზრუნველვყოთ ბ) უზრუნველვყოთ

7. შარშან, ზამთარში, დიდხანს .. ..

ა) ავადვმყოფობდი ბ) ვავადმყოფობდი

8. ჩვენი ვალია, ... სასწავლო პროგრამები.

ა) ვსრულვყოთ ბ) სრულვყოთ

9. მის ამგვარ ქმედებას ჩვენ, რასაკვირველია, ...

ა) ვუგულებელვყოფთ ბ) უგულებელვყოფთ

10. მეგობრებო, ნუ ..... ჩვენს ისტორიას!

ა) შევურაცხვყოფთ ბ) შეურაცხვყოფთ

სავარჯიშო N 211. შეარჩიეთ ზმნის სწორი ფორმა:

1. სადაც უნდა (ვყოფილიყავი, ყოფილვიყავი), სულ მასზე ვფიქრობდი.

2. რომ (მოვმკვდარიყავი, მომკვდარიყავი), შენ რაღა გეშველებოდა!
3. რამდენჯერ (დავრჩენილვარ, დარჩენილვარ) სრულიად უიმედოდ.
4. აქ იმისთვის არ (მოვსულვარ, მოსულვარ), რომ თავი დამემცირებინა.
5. თავი გავიმხნევე და ეს საშინელი ფიქრები (უკუვაგდე, ვუკუაგდე).
6. ჩვენ არ ვაპირებთ, (ხელვყოთ, ვხელყოთ) თქვენი უფლებები.
7. ამგვარი გადაწყვეტილების მიღებით ჩვენ (შეურაცხვყოფთ, შევურაცხვყოფთ) ჩვენი წინაპრების ხსოვნას.
8. ციდან კი არ (ჩამოვვარდნილვარ, ჩამოვარდნილვარ), ყველაფერი კარგად ვიცი.
9. ბავშვობაში ტყეში ხშირად (დავმალულვართ, დამალულვართ).
10. სიზმრით შეშინებული საწოლიდან არაერთხელ (წამოვვარდნილვარ, წამოვარდნილვარ).

◈ *ცნობისათვის!* შედგენილი შემასმენელი ორი ნაწილისაგან შედგება — ბრუნებადი სიტყვისა და მეშველი ზმნისაგან. პირველს სახელადი ნაწილი ჰქვია, მეორეს — ზმნური.

შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი უმეტესწილად გადმოცემულია:

- ზედსართავი სახელით *(ბედნიერი იყო, ბეჯითია);*
- არსებითი სახელით *(ექიმია, მეგობრები იყვნენ);*
- მიმღეობით *(გარეცხილი იყო, დამფრთხალია);*
- იშვიათად რიცხვითი სახელით, ნაცვალსახელით *(ორჯერ ორი ოთხია; წიგნი ჩემია).*

შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი, ჩვეულებრივ, სახელობით ბრუნვაში დგას *(მე მხატვარი გახლავართ; ჩვენ თქვენი სტუდენტები ვართ),* თუმცა იგი ზოგჯერ მიცემითსა და ვითარებით ბრუნვებშიც შეიძლება შეგვხვდეს *(მისი წამოსვლა მოგზაურობას საინტერესოს გახდიდა; სალამოს ბავშვი უკეთესად გახდა; ამ ოჯახში ჩემი მეგობარი სტუმრად იყო).*

შედგენილი შემასმენლის ზმნურ ნაწილად ყველაზე ხშირად ვარ და მისი მონაცვლე ზმნები გვხვდება *(ვარ, ხარ, არის, ვიქნები, ვიყავი, ვყოფილვარ...).* **ვარ ზმნის მესამე პირის ფორმა ხშირად შეკვეცილია და წარმოდგენილია მხოლოდ თავკიდური ა-თი (არის >ა), რომელიც შეერთებულია სახელად ნაწილთან ან რომელიმე სხვა სიტყვასთან** *(ნინო ჭკვიანი ქალია; ბორჯომში შესანიშნავი მინერალური წყლებია; ჩემი მეგობარი წასულია ლიკანში).*

მეშველი ზმნის მნიშვნელობით იხმარება რამდენიმე სხვა ზმნაც: გახდა *(თორნიკე სტუდენტი გახდა),* **დარჩა** *(მაყურებელი ფრიად კმაყოფილი დარჩა),* **ჰგონია** *(ლევანს თავი დიდი ბიჭი ჰგონია),* **გამოდგა** *(დათო კარგი მეოჯახე გამოდგა),* **ჩანს** *(ეს ყმაწვილი უდავოდ ნიჭიერი ჩანს).*

☞ გახსოვდეთ!

- **თუ შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი მხოლობით რიცხვშია, მისი ზმნური ნაწილი შეკვეცილი ფორმით იხმარება** *(„განთიადი“ აკაკი წერეთლის ლექსია; ბულბული მომღერალი ფრინველია).*

- **თუ შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად მრავლობით რიცხვში მოცემული სულიერი სახელია გამოყენებული, მაშინ მისი ზმნური ნაწილი სრული ფორმით უნდა ვიხმაროთ** *(სწორია: დაჩი და რატი სტუდენტები არიან).*

- **თუ შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი მიმღეობით არის გადმოცემული, ეს მიმღეობა მხოლობითი რიცხვის ფორმით იხმარება** *(სწორია: ის კმაყოფილი იყო, ისინი კმაყოფილი იყვნენ და არა: ისინი კმაყოფილები იყვნენ;* ***სწორია:*** *ის გახარებული ყოფილა, ისინი გახარებული ყოფილან და არა: ისინი გახარებულები ყოფილან).*

☑ **თუ შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი, სახელადი ნაწილი შეიძლება ნართანიანი მრავლობითით იყოს გადმოცემული** *(გახარებულნი იყვნენ, კმაყოფილნი იყვნენ).*

სავარჯიშო N 212. გაასწორეთ შეცდომები:

1. ირინე და მარინე სამხატვრო აკადემიის სტუდენტებია.
2. სანდრო და ანდრო ამ კლინიკის ექიმებია.

3. აბაშია, ბარდაველიძე, გრიგალაშვილი, მაღლაფერიძე, სალია, შამანაძე და ჭელიძე ჩვენი თანაკურსელებია.
4. ბატონი ნუგზარი და ბატონი თედო წარსულში ცნობილი სპორტსმენები ყოფილა.
5. ჩემთან გუშინ ინგლისელი და გერმანელი სტუმრები იყო.
6. ევროპის ჩემპიონები, გიორგი ასათიანი და ლევან ზვიადაძე, ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულებიც გახდა.
7. ნინო და დათო კარგი მთხრობელი აღმოჩნდა.
8. სამწუხაროდ, რეზო და თინა ამ კონკურსის შედეგებით გაწბილებული დარჩა.
9. ამ ექსპედიციაში წასვლის მსურველები აუცილებლად გამოცდილი მთასვლელები უნდა ყოფილიყო.
10. ზურა და გოგა კონცერტით აღფრთოვანებულები დარჩნენ.

სავარჯიშო N 213. გაასწორეთ შეცდომები:

1. ნატო და ნონა ჩემი ნათლიებია.
2. ბავშვები ყოველთვის გულწრფელებია.
3. მარტი, აპრილი და მაისი გაზაფხულის თვეები არიან.
4. პატარა ღელეები დიდ მდინარეებად იქცნენ.
5. გათხრების დროს ნაპოვნი ქვები საკულტო შენობის ნანგრევები აღმოჩნდნენ.
6. ბევრი ადამიანი აღტაცებული დარჩნენ.
7. მართალია, ინდოელები მამაცი მეომრები აღმოჩნდა, მაგრამ არც ხატაელები იყო მშიშრები.
8. მალე უსუსური ბარტყები კუდმაკრატელა მერცხლები გახდა.
9. ნიკა და მარიკა კარგი მეუღლეები გამოდგა.

10. ჩვენი სკოლის თხუთმეტი კურსდამთავრებული წელს სტუდენტები გახდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

◈ *ცნობისათვის:* **ქვემდებარე ზმნის სუბიექტურ პირთან შეწყობილ წინადადების მთავარ წევრს ეწოდება. ის ყველაზე ხშირად სახელით ან სახელზმნით გადმოიცემა.** *მაგალითად: კაცი სახლს აშენებს; მხოლოდ ერთმა დააგვიანა; დიდებმა პატარები გაასეირნეს; მან შვებით ამოისუნთქა; ამდენმა შრომამ დამღალა; დაჭრილმა ამოიკვნესა.*

☞ *გახსოვდეთ!*

• **ქვემდებარე მხოლოდ სამ ბრუნვაში გვხვდება: სახელობითში, მოთხრობითსა და მიცემითში. მოქმედებითი ან საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნასთან ქვემდებარე I სერიაში სახელობით ბრუნვაშია** *(ნინო ქსოვს, ნინო ცხოვრობს),* **II სერიაში— მოთხრობითში (***ნინომ მოქსოვა, ნინომ იცხოვრა),* **III სერიაში — მიცემითში** *(ნინოს მოუქსოვია, ნინოს უცხოვრია).* **ვნებითი ან საშუალ-ვნებითი გვარის ზმნით გადმოცემულ შემასმენელთან ქვემდებარე ყველა სერიაში სახელობით ბრუნვაში დგას** *(ბავშვი იზრდება, ბავშვი გაიზარდა, ბავშვი გაზრდილა, კაცი ზის, კაცი იჯდა, კაცი მჯდარა).*

• **შერწყმულ წინადადებაში ქვემდებარე ანგარიშს უწევს ბრუნვაში მასთან ახლოს მდგომ შემასმენელს.** ***სწორია:*** *ირინე ოთახში შევიდა და სტუმარიც შეიპატიჟა (და არა: ირინემ ოთახში შევიდა და სტუმარიც შეიპატიჟა);* ***სწორია:*** *ლადო ადგა, გაზეთს ხელი დაავლო და ეზოში გავიდა (და არა: ლადომ ადგა, გაზეთს ხელი დაავლო და ეზოში გავიდა).*

☑ **რამდენიმე გარდაუვალ ზმნას გარდამავალი ზმნების ანალოგიით ქვემდებარეს მოთხრობით ბრუნვაში უწყობენ, ირიბ დამატებას კი — სახელობითში, რაც არასწორია. უნდა იყოს:** *მოუყვა დავითი მეგობარს ამბავს (და არა: მოუყვა დავითმა მეგობარს ამბავი);* **სწორია:** *შეეკითხა მასწავლებელი მოსწავლეს გაკვეთილს (და არა: შეეკითხა მასწავლებელმა მოსწავლეს გაკვეთილი);* **სწორია:** *შეეხვეწა დედა შვილს (და არა: შეეხვეწა დედამ შვილს);* **სწორია:** *ვარსქენმა სცემა შუშანიკს (და არა: ვარსქენმა სცემა შუშანიკი);* **სწორია:** *შეპპირდა მამა შვილს საჩუქარს (და არა: შეპპირდა მამამ შვილს საჩუქარი).*

ეროვნული ბიბლიოთეკა

◈ *ცნობისათვის:* შემასმენელი (როგორც მარტივი, ისევე შედგენილი) მხოლობით რიცხვში ეწყობა ქვემდებარეს, როცა:

- ქვემდებარე მხოლობით რიცხვშია: *ბავშვი წერს; ბავშვი კეთილია.*
- ქვემდებარედ ერთზე მეტის აღმნიშვნელი რაოდენობითი რიცხვითი სახელია ან — ნაცვალსახელები: ყველა, რამდენიმე, ზოგი, ზოგიერთი... *ათი მოვიდა; ბევრი წავიდა; ყველა მხიარულობდა; რამდენიმემ გაიცინა; ზოგმა დააგვიანა; ორივე ლამაზია; ბევრი კმაყოფილი დარჩა; ყველა მადლიერი იყო.*
- ქვემდებარედ კრებითი სახელია: *ხალხი ლაპარაკობდა; გუნდი დაიშალა; სტუდენტობა ქუჩაში გამოვიდა; ხალხი ბრძენია.*
- თუ ქვემდებარეს განსაზღვრებად ახლავს რიცხვითი სახელი ან ისეთი სახელი, რომელიც შინაარსობრივად ერთზე მეტს აღნიშნავს: *ორი კაცი მოდიოდა; რამდენიმე ამხანაგი გვესტუმრა; ბევრი ადამიანი შეიკრიბა; ეს ორი ბიჭი ბეჯითი ჩანს.*
- ქვემდებარე უსულო საგნის აღმნიშვნელი სახელია და დასმულია -ებიან მრავლობითში: *სკამები დგას; მდინარეები ადიდდა; მისი რომანები საინტერესოა.*
- ქვემდებარედ და-ძმის ტიპის კომპოზიტია: *დედ-მამა ჩამოვიდა; ცოლ-ქმარი საუბრობდა; და-ძმა მატყუარა გამოდგა.*

☞ *გახსოვდეთ!*

- თუ ქვემდებარე მხოლობითში მდგომი, მაგრამ სიმრავლის გამომხატველი სიტყვებით არის წარმოდგენილი (კრებითი სახელები, „და-ძმის“ ტიპის კომპოზიტები), მას რიცხვში მონაცვლე ზმნით გამოხატული შემასმენელი მრავლობითის ფუძით, მაგრამ მხოლობითის ფორმით შეეწყობა. სწორია: ხალხი დასხდა *(და არა: ხალხი დაჯდა, დაჯდნენ, დასხდნენ);* და-ძმა მისცვივდა *(და არა: და-ძმა მივარდა, მივარდნენ, მისცვივდნენ);* ცოლ-ქმარი დაიხოცა *(და არა: ცოლ-ქმარი დაიხოცნენ, მოკვდა, მოკვდნენ).*

☞ *გახსოვდეთ!*

შემასმენელი მრავლობით რიცხვში ეწყობა ქვემდებარეს, როცა:

- ქვემდებარედ მრავლობით რიცხვში დასმული სულიერი საგანია: *ბავშვები თამაშობენ; ძროხები ბლავიან; ბრაზილიელები კარგი ფეხბურთელები არიან.*

- **ქვემდებარე ნართანიან მრავლობითშია:** *წყალნი, ძთით დაქანებულნი, ალმასებრ უფსკრულს ცვივიან.*
- **ქვემდებარედ გამოყენებული უსულო საგანი გაპიროვნებულია და მას ცოცხალი არსების შესაფერისი მოქმედება მიეწერება:** *ნაკადულები საუბრობენ; ახალი ქალაქები იზრდებიან.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარჯიშო N 214. გაასწორეთ შეცდომები:

1. ყველა შინმოუსვლელ შვილსა და ახლობლებზე ფიქრობდნენ.
2. ბევრი ჩასხდნენ გემში.
3. ქუჩაში უამრავი გოგო-ბიჭი ირეოდნენ.
4. ფრინველთა მთელი გუნდი წამოიშალნენ.
5. ხალხმა შვებით ამოისუნთქეს და დაიშალნენ.
6. ნაძვთან ორი მუშა საუბრობდნენ.
7. ცის კიდურზე ათასამდე მერცხალი შეკრებილიყვნენ.
8. რამდენიმე მთიული შორიახლოს იდგნენ.
9. გაზაფხულზე ზვავები დადნებიან და იები ამოიწვერებიან.
10. ასეთი სახელოსნოები მთელ საქართველოში არსებობდნენ.

სავარჯიშო N 215. გაასწორეთ შეცდომები:

1. გუშინ ნინოს ქმარ-შვილი სანადიროდ წავიდნენ.
2. გურამის და-ძმა გერმანიაში ცხოვრობენ.
3. მამა-შვილმა ისეთი კოცონი დაანთეს, ალი ცას სწვდებოდა.
4. დედა-შვილმა ღიმილით შეხედეს მიხოს.
5. დედამთილ-მამამთილმა წყნეთში მიაკითხეს პატარძალს.
6. ჰაერში უამრავი კოლო-ბუზი დაფრინავდნენ.
7. რძალ-მული ერთმანეთს კარგად შეეწყვნენ.
8. სიძე-სიმამრი აგარაკს ერთად აშენებდნენ.

9. ერეკლეს ქალაქიდან მონატრებული ქალ-ვაჟი ეწვივნენ.
10. მთელი ბავშვობა ბიძაშვილ-მამიდაშვილმა ამ სოფელში გაატარეს.

სავარჯიშო N 216. გაასწორეთ შეცდომები:

1. ცხენების რემა მოულოდნელად აჭიხვინდნენ.
2. ხალხს ჯერ კიდევ ვერ გაეგოთ, ვინ იყო დამნაშავე.
3. თბილისელი ყმაწვილკაცობა შეყვარებული იყვნენ ამ უმშვენიერეს ასულზე.
4. ეკლესიიდან გამოსული მრევლი სიამოვნებით უყურებდნენ, როგორ დაფრინავდა მტრედები ცაში.
5. წელს ისე ციოდა, რომ მდინარეები გაიყინნენ.
6. ორატორის გამოსვლით მსმენელი კმაყოფილი დარჩნენ და მადლობა გადაუხადეს მას ასეთი საინტერესო მოხსენებისათვის.
7. ქართველი საზოგადოება მადლიერებით იხსენებდნენ ამ დიდი ქველმოქმედის სახელს.
8. ლელას მოულოდნელად დეიდა და დეიდაშვილი ესტუმრა.
9. საახალწლოდ სოფლიდან მამაჩემი და დედაჩემი ჩამოვიდა.
10. თამუნა და ირინე გამოცდისათვის ერთად ემზადება.

სავარჯიშო N 217. გაასწორეთ შეცდომები:

1. სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში სამღვდელოება შეკრებილიყვნენ.
2. ჭრელ-ჭრელი პეპლები ეზოში ნაზად დაფარფატებს.
3. მიხოს ეზოში ძროხები ბღავის, ძაღლები ყეფს, კატები კი გულისწამღებად კნავიან.
4. ისინი დიდი ხნის მეგობრებია.

5. სტუდენტობა მოთმინებით იჯდა აუდიტორიაში.
6. დაღლილი ფარა ჯერ გაიშალა და შემდეგ უჭმელ-უსმელი მინდორში დაეგდო.
7. ჩემმა ალუბალმა წელს კარგად მოიბა.
8. —ხალხო! დაჯექით და მომისმინეთ!— ცხარობდა თავმჯდომარე, ხალხი კი სიცილით კვდებოდა.
9. ტყემ მოიბა ფოთოლი.
10. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები ორი კვირით საწვრთნელ შეჯიბრებაზე ბათუმში გაემგზავრნენ.

სავარჯიშო N 218. შეცვალეთ კრებითი სახელით წარმოდგენილი ქვემდებარე არაკრებითი სახელით და გამართეთ წინადადებები:

1. რემა ჭიხვინ-ჭიხვინით გარბოდა მინდორში.
2. ხალხი უკმაყოფილო იყო ხელისუფლების გადაწყვეტილებით.
3. სტუდენტობა ცდილობს, კარგი განათლება მიიღოს.
4. ირმის ჯოგი ფერდობს მიუყვებოდა.
5. კალია შეესია ნახნავ-ნათესებს.
6. ცხვარი იმდენი იყო, რომ მთელი ფერდობი გადათეთრდა.
7. კოლტი ღრუტუნით მოეფინა ჭალას.
8. ახალგაზრდობა იმედით არის აღსავსე.
9. ფარა წინ მიიწევდა, ნახირი კი უკან ჩამორჩა.
10. მშიერი მგლების ხროვა ტყეში დაძრწოდა.

სავარჯიშო N 219. გაასწორეთ შეცდომები:

1. ქალებმა შეწყვიტა ლაპარაკი, ბავშვებიც გაჩუმდა.
2. ფრინველები შემოეხვია ჭადარს.

3. ყველანი ფეხზე წამოდგა.
4. სამივენი ჭამას შეუდგა.
5. აკისკისდა წყაროები, გამხიარულდა ჭალები.
6. ასე ლაპარაკობდა შეშინებული ხეები.
7. მცენარეებმა კანკალი დაიწყო.
8. ყვავილებმა ერთმანეთს გადახედა და თავი გააქნია.
9. ძროხები ყურისწამღებად ბღავის.
10. ძაღლები გულსაკლავად ყეფს.

სავარჯიშო N 220. გაასწორეთ შეცდომები:

1. მდინარენი ადიდდა და ხიდები წაილო.
2. „ჩვენი ჯგუფის ქალნო და ვაჟნო, წამოდი, კინოში გეპატიჟებით!“— პათეტიკურად შესძახა ირაკლიმ თანაჯგუფელებს.
3. აიშალა ფრინველნი, აშრიალდა ხეთა ფოთოლნი, აიქოჩრა ტალღანი — გაწვიმდა.
4. ნატო და დათო თავდავიწყებით ცეკვავდა.
5. გუშინ ზურაბმა და დავითმა კარგად ითევზავა, გურამმა და თამაზმა კი ინადირა.
6. სალამოს მარიამმა და არჩილმა ბევრი საქმე გააკეთა.
7. ათიოდე ნათესავი ეწვივნენ ნუგზარს.
8. ტყე და ველი ამწვანდნენ.
9. გოგონა და ვაჟი გაჩუმებული იყო.
10. მის ეზოში იზრდებოდნენ კაკლის, ბლის და ტყემლის ხეები.

რთული წინადადების სინტაქსი

◈ *ცნობისათვის:* რთულია წინადადება, რომელიც შედგება ორი ან მეტი მარტივი წინადადებისაგან. შემადგენელ წინადადებათა ურთიერთობის მიხედვით რთული წინადადება ორგვარია: რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი.

რ თ უ ლ ი თ ა ნ წ ყ ო ბ ი ლ ი წინადადება შედგება ორი ან მეტი ერთმანეთის მიმართ თანასწორი წინადადებისაგან *(მზე ამოვიდა და არემარე განათდა).*

რ თ უ ლ ი ქ ვ ე წ ყ ო ბ ი ლ ი წინადადება შედგება მთავარი და დამოკიდებული წინადადების ან წინადადებებისაგან. დამოკიდებული წინადადება ხსნის მთავრის რომელიმე წევრს ან მთელ წინადადებას.

დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აერთებს:

- მაქვემდებარებელი კავშირები *(რომ, თუ, როცა, ვიდრე, სანამ, ვინაიდან, თუმცა, რათა)* .
- მიმართებითი სიტყვები:
  - მიმართებითი ნაცვალსახელები *(ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, რანაირიც, რამდენიც, სადაურიც, როდინდელიც, ვისიც, რისიც, რისაც)* .
  - მიმართებითი ზმნიზედები *(სადაც, საიდანაც, საითკენაც, სადამდეც, როდესაც, როდემდეც, როგორც, რამდენადაც, რამდენჯერაც, რატომაც, რადაც, რისთვისაც).*

☞ *გახსოვდეთ!*

- მაქვემდებარებელი კავშირი *(რომ, თუ, რათა, თუმცა...)* არ არის წინადადების წევრი, მას არ დაესმის კითხვა და ის მხოლოდ დამოკიდებული წინადადების გადაბმის, მთავარი წინადადებისადმი მისი დაქვემდებარების საშუალებაა.

- მიმართებით სიტყვებს *(ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, სადაც...)* დაესმის შესაფერისი კითხვა, ისინი წარმოადგენენ როგორც დაქვემდებარების საშუალებას, ასევე დამოკიდებული წინადადების ერთ-ერთ წევრსაც, ამიტომ მათ წ ე ვ რ-კ ა ვ შ ი რ ე ბ ი ეწოდება.

- ქვეწყობილი წინადადება შეიძლება იყოს უკავშიროც.
- დამოკიდებული წინადადება შეიძლება იყოს მთავარი წინადადების თავში, შუაში ან ბოლოში.

გახსოვდეთ!

მთავარი წინადადების ქვემდებარისა და დამატების ბრუნვას განსაზღვრავს მთავარი წინადადების შემასმენელი და არა დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელი. სწორია: *ბავშვმა, რომელსაც ოთახში შევიდა, დედა დაინახა* (და არა: *ბავშვი, რომელსაც ოთახში შევიდა, დედა დაინახა*); *მარტოხელა კაცმა, რომელსაც ხმის გამცემი არავინ ჰყავდა, მოულოდნელად მოსული სტუმარი სიხარულით შეიპატიჟა შინ* (და არა: *მარტოხელა კაცს, რომელსაც ხმის გამცემი არავინ ჰყავდა, მოულოდნელად მოსული სტუმარი სიხარულით შეიპატიჟა შინ*).

დამოკიდებული წინადადება შეიძლება იყოს:

- **ქვემდებარული** *(გაიმარჯვებს ის, ვინც მეტს იშრომებს)*;
- **დამატებითი** *(ნუ დაივიწყებ იმას, ვინც შვილივით გაგზარდა)*;
- **განსაზღვრებითი** *(ბუნება ისეთი მშვენიერი იყო, რომ კაცი თვალს ვერ მოსწყვეტდა)*;
- **გარემოებითი**:
  - **ადგილის** *(იქ, სადაც წინათ გაუვალი ტყეები იყო, ახლა ქალაქია გაშენებული)*;
  - **დროის** *(როცა ეს ამბავი გაიგო, სიხარულით ცას ეწია)*;
  - **ვითარების** *(ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ველოდით)*;
  - **მიზეზის** *(ეს იმიტომ გავაკეთე, რომ შენ დაგხმარებოდი)*;
  - **მიზნის** *(მე ჩანგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს)*.
- **შედეგობითი** *(კონკურსი დამთავრდა, ასე რომ, ორ დღეში გამარჯვებული დასახელდება)*;
- **პირობითი** *(თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი)*;
- **დათმობითი** *(თუმცა მზიანი დღეა, მაგრამ მაინც ცივა)*.

გახსოვდეთ!

- ქვემდებარულ დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აერთებს:
  - მაქვემდებარებელი კავშირები: რომ, თუ *(აშკარა იყო, რომ მას ეს ძალიან გაუხარდა; თავიდანვე ჩანდა, თუ რა შედეგს მოიტანდა ეს წამოწყება)*.

- **მიმართებითი ნაცვალსახელები:** *ვინც, რაც,* **რომელიც (სხვადასხვა ბრუნვის ფორმით).** *მაგალითად: წავიდა <u>ის, ვინც</u> ძლიერ მიყვარდა; მოხდა <u>ის, რასაც</u> არავინ ელოდა; ყველაზე მეტს <u>ისინი</u> ლაპარაკობდნენ, <u>რომელთაც</u>, წესით, ხმა არც უნდა ამოელოთ.*
- **მიმართებითი ზმნიზედები:** ***სადაც, როცა...*** *მაგალითად: უბედურება ის არის, <u>როცა</u> შინდაბრუნებულს არავინ გელოდება; <u>სადაც</u> კი ხელმოცარული ადამიანი იყო, ყველა ერთად შეიკრიბა.*

- **დამატებით დამოკიდებულ წინადადებას იგივე მაქვემდებარებელი კავშირები და წევრ-კავშირები აერთებენ მთავართან, რომლებიც ქვემდებარულ დამოკიდებულ წინადადებას.** *მაგალითად: ბავშვმა გვიან შეამჩნია, <u>რომ</u> დედა შინ არ იყო; ვერავის გაეგო, <u>თუ</u> რას მოასწავებდა მისი ამგვარი გახალისება; შემოიყვანეთ, <u>ვინც</u> პირველი მოვა; ნუ მათქმევინებ <u>იმას, რაც</u> ჯერ არავინ იცის; გიყიდი <u>იმას, რომელსაც</u> ამოირჩევ.*

- **ხშირად ქვემდებარულ და დამატებით დამოკიდებულ წინადადებებში <u>ვინც, ვისაც, რაც, რასაც</u> წევრ-კავშირების ნაცვლად შეცდომით იხმარება წევრ-კავშირები <u>რომელიც, რომელსაც, როგორც....</u> სწორია:** *წავიდა <u>ის, ვინც</u> ძლიერ მიყვარდა (და არა: წავიდა ის, რომელიც ძლიერ მიყვარდა). ვუსურვოთ ბედნიერება <u>მას, ვინც</u> ჩვენ ასე გაგვაბარა (და არა: ვუსურვოთ ბედნიერება მას, რომელმაც ჩვენ ასე გაგვაბარა).*

☞ **დაიმახსოვრეთ, სწორი სინტაქსური კონსტრუქციებია:**

ის — ვინც *(ლალია <u>ის, ვინც</u> თავისუფალია)* ;
ის — ვისაც *(ბედნიერია <u>ის, ვისაც</u> სიყვარულით უძგერს გული);*
ის — რაც *(ვიპოვე <u>ის, რაც</u> ძნელი მოსაპოვებელია);*
ის — რასაც *(მოხდა <u>ის, რასაც</u> არ ველოდი);*
მას — ვინც *(შევხვდი <u>მას, ვინც</u> ასე მენატრებოდა).*

სავარჯიშო N 221. გაასწორეთ შეცდომები:

1. ჭეშმარიტი ერისკაცი ის არის, რომელიც თავდაუზოგავად შრომობს ქვეყნის საკეთილდღეოდ.
2. უბედური ადამიანი არის ის, რომელმაც ცხოვრება ფუჭად გალია.

3. ის, რომელიც ურცხვად ცრუობს, სანდო არ არის.
4. გოგონა, ვისაც წითელი კაბა ეცვა, ყველასაგან გამოირჩეოდა.
5. ასე დასაჯა ბუნებამ ის, რომელიც მას უდიერად ექცეოდა.
6. ნუ მეტყვი იმას, რომელიც არ მინდა დავიჯერო.
7. შთამომავლობას ყოველთვის ემახსოვრება ის, რომელიც თავის ერს ასახელებს.
8. მოხდა ის, რომელიც ყველასთვის მოულოდნელი იყო.
9. ამბობენ, ბედნიერი იქნება ის, რომელიც ცისარტყელას გადაახტებაო.
10. ის, რომელმაც ხელობა მასწავლა, ორი წელია, რაც პენსიაზე გავიდა.

☞ *გახსოვდეთ!*

- განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებას მთავარ წინადადებასთან აერთებს:
  - მაქვემდებარებელი კავშირები *(რომ, თუკი, სანამ, ვითომ...)*;
  - მიმართებითი ნაცვალსახელები *(ვინც, რაც, რომელიც, როგორიც...)*;
  - მიმართებითი ზმნიზედები *(სადაც, საიდანაც, საითკენაც, როდესაც...)*.

- საზღვრულ წევრს მთავარ წინადადებაში შეიძლება ახლდეს ჩვენებითი ნაცვალსახელები *(ის, ისეთი, იმდენი, იმისთანა...)*.

„რომელიც“ წევრ-კავშირი. მისი ადგილი წინადადებაში და რიცხვში შეთანხმება ასახსნელ წევრთან

❖ „რომელიც“ წევრ-კავშირის გამოყენებისას ყურადღება მიაქციეთ:
ა) წინადადებაში მისი ადგილის სწორად განსაზღვრას;
ბ) ასახსნელ წევრთან მის რიცხვში შეთანხმებას.

- თუ საზღვრულ არსებით სახელს განსაზღვრებად არ ახლავს მისათითებელი ნაცვალსახელი, ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად მასა და მიმართებით ნაცვალსახელს შორის არ უნდა იდგეს სხვა არსებითი სახელი. მაგალითად: *წიგნი*

*მაჩუქა ნანამ, რომელიც მაიას წავუკითხე (**სწორია:** ნანამ მაჩუქა <u>წიგნი, რომელიც</u> მაიას წავუკითხე); დღეს ბავშვი პირველად ნახა ქალბატონმა დოდომ, რომელიც ორი წლის გახდა (**სწორია:** დღეს ქალბატონმა დოდომ პირველად ნახა <u>ბავშვი, რომელიც</u> ორი წლის გახდა).*

- **სასურველია, მიმართებითი ნაცვალსახელი „რომელიც“ უშუალოდ მოსდევდეს საზღვრულ წევრს.** მაგალითად, *ოთახში შესვლისთანავე დავინახე ულამაზესი <u>პორტრეტი, რომელიც</u> ბუხრის თავზე ეკიდა (და არა: პორტრეტი ოთახში შესვლისთანავე დავინახე, რომელიც ბუხრის თავზე ეკიდა).*

- **მიმართებითი ნაცვალსახელის რიცხვს განსაზღვრავს დამოკიდებული წინადადების ის წევრი, რომელთანაც ის ქმნის სინტაქსურ წყვილს:**

  - **როცა მთავარი წინადადების მისამართი სახელი მხოლობით რიცხვშია, „რომელიც“ წევრ-კავშირი მხოლობითში დგას** (*მასწავლებელი ელაპარაკებოდა <u>ბავშვს, რომელიც</u> მას ყურადღებით უსმენდა*).

  - **„რომელიც“ წევრ-კავშირი მხოლობითში დაისმის მაშინაც, როცა ის მიემართება მთავარი წინადადების იმ წევრს, რომელიც კრებითი სახელით არის წარმოდგენილი** (*<u>ხალხი, რომელიც</u> მაშინ. ბევრს ლაპარაკობდა, ახლა ხმას ალარ იღებს*).

  - **როცა მისამართი სახელი (სულიერი თუ უსულო) მრავლობითშია (-ებიანსა თუ ნართანიანში), „რომელიც“ წევრ-კავშირი მრავლობით რიცხვში უნდა ვიხმაროთ** (*მასწავლებელი ელაპარაკებოდა <u>ბავშვებს, რომლებიც</u> მას ყურადღებით უსმენდნენ; <u>კითხვები, რომლებიც</u> აქ დაისვა, მეტად აქტუალურია; <u>სტუდენტები, რომელთაც</u> გამოცდა დარჩათ ჩასაბარებელი, დასასვენებლად ვერ მიდიან; ხანძრის მონასტრის წმინდა <u>მამანი, რომელნიც</u> გრიგოლ ხანძთელთან შატბერდში ჩავიდნენ, მოძღვარმა დალოცა*).

  - **„რომელიც“ წევრ-კავშირი მრავლობით რიცხვში დგას, თუ მხოლობითში დასმულ საზღვრულ სახელს განსაზღვრებად ახლავს ერთზე მეტი რაოდენობის აღმნიშვნელი სიტყვა** (*მრავალი, ორიოდე, ყველა, ხუთი.....*). მაგალითად: *მასწავლებელი ელაპარაკებოდა <u>ორ ბავშვს, რომლებიც</u> მას ყურადღებით უსმენდნენ.*

- **„რომელიც“ წევრ-კავშირი მრავლობითში დაისმის, თუკი დამოკიდებული წინადადება მიემართება მხოლობითში დასმულ ორ ან მეტ სახელს.** მაგალითად: *ანა და ნანა, რომელთაც საღამოს კონცერტი ჰქონდათ, დილიდან გულმოდგინედ ემზადებოდნენ.*

- **„რომელიც“ წევრ-კავშირი მრავლობითში დაისმის მაშინაც, როცა ასახსნელი წევრი ორ- და მეტცნებიანი კომპოზიტია.** მაგალითად: *ნიკომ ამაყად გადახედა ცოლ-შვილს, რომლებიც მას მხარს უმშვენებდნენ.*

☑ **მისამართ წევრს ზოგჯერ შეცდომით სვამენ იმ ბრუნვაში, რომელშიც წევრ-კავშირი დგას. ეს, ჩვეულებრივ, მაშინ ხდება, როცა დამოკიდებული წინადადება მოქცეულია მთავარში და ეს უკანასკნელი იწყება მისამართი წევრით.** შეცდომაა: *წიგნი, რომელიც ბიბლიოთეკიდან ერთი კვირით გამოვიტანე, ორ თვეს ვკითხულობდი; სტუდენტი, რომელიც დროულად არ გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას, შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი.*

სწორია: ***წიგნს,*** *რომელიც ბიბლიოთეკიდან ერთი კვირით გამოვიტანე, ორ თვეს* ***ვკითხულობდი;*** ***სტუდენტს,*** *რომელიც დროულად არ გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას,* ***შეუჩერდება*** *სტუდენტის სტატუსი.*

სავარჯიშო N 222. გაასწორეთ შეცდომები:

1. სოსოს დაბადების დღე პირველმა იმ გოგონამ მიულოცა, ვინც ბათუმში გაიცნო.
2. ტყუპებმა, ვისაც მთელი ცხოვრება ერთად ჰქონდათ გატარებული, სხვადასხვა ქალაქში მოიწყინეს.
3. დეიდაჩემი ისეთივე მოსიყვარულე და კეთილი ქალია, როგორც დედაჩემი.
4. გუშინ დავამთავრე იაშვილის ის რომანი, სადაც მწერლის ბიოგრაფია დაწვრილებით არის გადმოცემული.

5. ის სპორტსმენი, ვინც პირველად მივა ფინიშთან, თხილამურებით დაჯილდოვდება.
6. ის კაცი, ვინც ბევრს ლაპარაკობს, როგორც წესი, საქმეს არ აკეთებს.
7. ელენე ისეთი უდარდელი და მხიარული აღარ იყო, როგორც ორი წლის წინ.
8. იმ მობინადრეებს, ვინც გადასახადი არ გადაიხადა, ელექტროენერგია გაუთიშეს.
9. ჟურნალისტმა გადაათვალიერა ძველი გაზეთი, სადაც თავისი სტუდენტობისდროინდელი სტატია იპოვა.
10. ავადმყოფმა ექიმს აჩვენა ძველი ნაჭრილობევი, რაც ძალიან აწუხებდა.

სავარჯიშო N 223. გაასწორეთ შეცდომები:

1. მოვალეობები, რომელიც მინისტრს აკისრია, ძალიან საპასუხისმგებლოა.
2. მან მოისმინა თანაგრძნობით აღსავსე სიტყვები, რომელსაც მისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.
3. სამწუხაროდ, ლაშას სიმპათიას იმსახურებდნენ ადამიანები, რომლის საქციელიც არავის მოსწონდა.
4. ყველა კაცს აქვთ ისეთი თვისება, რომელთა დამალვასაც ის გულმოდგინედ ცდილობს.
5. იმ ადამიანების დაპირება, რომელიც ამბობდნენ, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა, ფუჭი აღმოჩნდა.
6. საზოგადოება, რომლებიც დამნაშავის სიკვდილით დასჯას მოითხოვდნენ, სასტიკი და დაუნდობელი იყო.

7. მაკას აცნობეს, და-ძმა, რომელიც დიდი ხანია არ გინახავს, ხვალ უკვე თბილისში იქნებიანო.
8. ცოლ-ქმარი, რომელმაც ამდენ ხანს ტკბილად იცხოვრა, ახლა გაყრას აპირებდა.
9. ზურაბი და ნუგზარი, რომელსაც საქმეები უკვე მოეგვარებინათ, ტელევიზორს უყურებდნენ.
10. ია და სოსო, რომელმაც პატარა გიორგი გაასეირნეს, ახლა ბავშვს დასაძინებლად ამზადებდნენ.

სავარჯიშო N 224. გაასწორეთ შეცდომები:

1. ორი ბიჭი, რომელმაც ცოტა ხნის წინ თოვლის ბაბუა გააკეთა, ნაშუადღევს საციგაოდ წავიდა.
2. სამი წიგნი, რომელიც ბატონმა თენგიზმა მაჩუქა, ორ კვირაში უკვე წაკითხული მქონდა.
3. მრავალი ფრინველი, რომელიც ჩვენს ტყეებში ბინადრობდა, დღეს უკვე წითელ წიგნშია შეტანილი.
4. ყველა აბიტურიენტები, რომელიც გულმოდგინედ იმეცადინებს, აუცილებლად გახდება სტუდენტი.
5. მრავალმა სტუდენტმა, რომელსაც სურს მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელება, დაწერეს რეფერატი სპეციალობაში.
6. მაყურებლებს, რომელიც სპექტაკლზე დააგვიანებს, დარბაზში აღარ შეუშვებენ.
7. ხალხს, რომელთაც მისი გადაბირება უნდოდათ, არაფერი გამოუვიდათ.
8. თემს ონისე შეეცოდა და გოჩას უთხრეს, რომ მისი შვილი დამნაშავე არ იყო.

9. ყველა სოხუმელი, რომელიც ამ მიტინგს ესწრებოდა, მზად იყო, გაეწირათ უჯუში.
10. მოსახლეობა, რომლებიც მხარს უჭერდნენ ივანე პავლიაშვილს, დღეს მის წინააღმდეგ იყვნენ განწყობილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიპობრივი შეცდომები მიზეზის- და მიზნისგარემოებით დამოკიდებული წინადადებების შემცველ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში

◈ *ცნობისათვის!*

მ ი ზ ე ზ ი ს გ ა რ ე მ ო ე ბ ი თ ი ა ისეთი დამოკიდებული წინადადება, რომელიც გამოხატავს იმის გამომწვევ მიზეზს, რაზედაც მთავარ წინადადებაშია საუბარი. იგი მოგვიგებს კითხვებზე: <u>რატომ?</u> <u>რის გამო?</u> მთავარ წინადადებასთან მას აერთებს: <u>რომ</u>, <u>იმიტომ რომ</u>, <u>რადგანაც</u>, <u>ვინაიდან</u>, <u>რაკი.</u>

მთავარ წინადადებაში შეიძლება მისათითებლად იყოს მიზეზის ზმნიზედები: <u>ამიტომ</u>, <u>იმიტომ</u>, <u>ამის გამო</u>, <u>იმის გამო</u> *(ასე იმიტომ მოიქცა,* ***რომ*** *ძალიან შეშინებული იყო; ნიკას „ნახშირას“ ეძახდნენ,* ***იმიტომ რომ*** *შავგვრემანი იყო; ტყეში ძალიან ჩამობნელდა,* ***რადგანაც*** *შუე ღრუბლებს მოეფარა;* ***ვინაიდან*** *ეს იდეა თქვენი იყო, ძირითადი სამუშაოც თქვენ უნდა შეასრულოთ;* ***რაკი*** *სხვა გამოსავალი არ მაქვს, იძულებული ვარ, ამ პირობებს დავთანხმდე).*

მ ი ზ ნ ი ს გ ა რ ე მ ო ე ბ ი თ ი ა ისეთი დამოკიდებული წინადადება, რომელიც გვიჩვენებს მთავარ წინადადებაში გადმოცემული მოქმედების მიზანს. იგი მოგვიგებს კითხვებზე: <u>რისთვის?</u> <u>რა მიზნით?</u> მთავარ წინადადებასთან მას აერთებს <u>რომ</u> და <u>რათა</u> კავშირები. მთავარ წინადადებაში შეიძლება იყოს მისათითებელი ზმნიზედები: <u>მისთვის</u>, <u>იმისთვის</u> *(თედო პაატასთან გაიქცა,* ***რომ*** *მალამო დროზე მიეწოდებინა; დეკანმა პროფესორ-მასწავლებელთა კრება მოიწვია,* ***რათა*** *მათთვის ახალი სასწავლო პროგრამები გაეცნო).*

☞ *გახსოვდეთ!*

- თუ რთული ქვეწყობილი წინადადება მიზეზისგარემოებით დამოკიდებულ წინადადებას შეიცავს *(ე.ი. მიუგებს კითხვებზე:* ***რატომ? რის გამო?****),* მაშინ მთავარ წინადადებაში მიზეზის ზმნიზედები *(ამიტომ, იმიტომ, ამის გამო, იმის გამო)* უნდა ვიხმაროთ, დამოკიდებულ წინადადებაში კი საკავშირებელ

სიტყვებად — *იმიტომ რომ, რადგანაც, ვინაიდან, რაკი, რომ.* სწორია: *ეკა დამწუხრებულია, იმიტომ რომ ეს საქმე ვერ გააკეთა; ეკა დამწუხრებულია იმის გამო, რომ ეს საქმე ვერ გააკეთა; ეკა დამწუხრებულია, რადგანაც ეს საქმე ვერ გააკეთა; ეკა დამწუხრებულია, ვინაიდან ეს საქმე ვერ გააკეთა (და არა: ეკა დამწუხრებულია, რათა ეს საქმე ვერ გააკეთა; ეკა დამწუხრებულია იმისთვის, რომ ეს საქმე ვერ გააკეთა).*

- **თუ რთული ქვეწყობილი წინადადება მიზნისგარემოებით დამოკიდებულ წინადადებას შეიცავს (ე.ი. მიუგებს კითხვებზე: რისთვის? რა მიზნით?), მაშინ მთავარ წინადადებაში მიზნის ზმნიზედები** *(ამისთვის, იმისთვის, მისთვის)* ***უნდა ვიხმაროთ, დამოკიდებულ წინადადებაში კი საკავშირებელ სიტყვებად <u>რომ</u> და <u>რათა</u>.*** *სწორია: ბავშვი წავიდა, რომ დედის დანაბარები შეესრულებინა; ბავშვი წავიდა, რათა დედის დანაბარები შეესრულებინა (და არა: ბავშვი წავიდა, რადგან დედის დანაბარები შეესრულებინა).*

სავარჯიშო N 225. გაასწორეთ შეცდომები:

1. თავადები თავიანთ შვილებს გლეხებს აზრდევინებდნენ, რადგან მათ შრომის ფასი გაეგოთ.
2. ჩემი აზრით, სწორი იყო ჰაჯი უსუბი, რათა მან თავისი საქციელით სწორი ზნეობრივი მაგალითი უჩვენა ხალხს.
3. იგი მიმართავს ხალხს, რათა შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღონ.
4. უმცროსმა უფროსს უნდა დაუჯეროს, რათა მას მეტი ჭკუა აქვს.
5. სალომე გახარებული იყო, რათა ეს ამბავი ასე ადვილად მოაგვარა.
6. გარეთ იმისთვის გამოვიდა, რომ არასასურველ სტუმრებს შინ არ დახვედროდა.
7. ანდრო ადრიანად ადგა, რადგან თვითმფრინავზე არ დაგვიანებოდა.

8. სასურველია ახალი სახელმძღვანელოების გამოცემა, რადგან ახალგაზრდებმა კარგი განათლების მიღება შეძლონ.
9. იმის გამო, რომ გამოცდა კარგად ჩააბარო, ბეჯითად უნდა იმეცადინო.
10. ბავშვმა ტირილი დაიწყო, იმისათვის რომ დაიმორცხვა.

სავარჯიშო N 226. გაასწორეთ შეცდომები:

1. სალამოს წარმოდგენა არ გაიმართება იმისათვის, რომ მთავარი როლის შემსრულებელი შეუძლოდ გახდა.
2. გოგონამ ცრემლი სწრაფად მოიწმინდა, რადგან დედას არ შეემჩნია.
3. მარიამი და თენგიზი დასასვენებლად წავიდნენ, ვინაიდან მნიშვნელოვანი საქმის დაწყებამდე ძალ-ღონე მოეკრიბათ.
4. გუშინ ადრე დავიძინე, რათა დილით ადრე უნდა ავმდგარიყავი.
5. ვერ დაგირეკე იმისათვის, რომ მთელ დღეს ვერ მოვიცალე.
6. პლატონი ბევრს მუშაობდა, რადგან ოჯახი გამოეკვება.
7. ევგენი დროდადრო წამოდგებოდა ხოლმე, ვინაიდან ხალხის ახალ ნაკადს მისალმებოდა.
8. გიორგი ძლივს ლაპარაკობდა იმისათვის, რომ მძიმე ავადმყოფი იყო.
9. სოსო იმ საღამოსვე დაბრუნდა თბილისში, რადგან ეს ამბავი მეუღლისათვის პირველს ეხარებინა.
10. სოფომ გადაწყვიტა, ცოტა ხანს პეტერბურგში დარჩენილიყო, რადგან ნაცნობი ადგილები მოენახულებინა.

სავარჯიშო N 227. გაასწორეთ შეცდომები:

1. იმის გამო, რომ გიორგისათვის თავი მოეწონებინა, ნესტანი საგანგებოდ გამოიპრანჭა.
2. სტუმრად ველარ წავიდნენ იმისათვის, რომ კოკისპირულად გაწვიმდა.
3. მოსახლეობა ტყეში გაიხიზნა, ვინაიდან თავი გადაერჩინათ.
4. ქართველების მიზანი იყო, რათა ერთხელ და სამუდამოდ განედევნათ მტერი ქვეყნიდან.
5. ლევანი დაბრუნდა, რადგან სალომესათვის ეცნობებინა თავისი გადაწყვეტილების შესახებ.
6. ადვოკატმა სიტყვა მოითხოვა, რათა განცხადება ჰქონდა გასაკეთებელი.
7. ის იდანაშაულებდა თავის თავს, რათა კარგად ვერ აღზარდა ერთადერთი ქალიშვილი.
8. პაპამ თავისი სახლ-კარი ილიას დაუტოვა, რათა მას მიაჩნდა, რომ მისი შვილიშვილებიდან ის ყველაზე ღირსეული იყო.
9. მეგობართან იმისთვის მივიდა, რადგან მისგან თანაგრძნობას ელოდა.
10. რამდენი ღამე გაათენეს, ვინაიდან ეს წიგნი დროზე დაემთავრებინათ.

სავარჯიშო N 228. შეარჩიეთ სწორი ვარიანტი:

1. შენიშვნა იმას მისცეს, (ვისაც, რომელსაც) იგი საერთოდ არ ეკუთვნოდა.
2. მანანამ იპოვა დედამისის ფოტოსურათი, (რაც, რომელიც) დაკარგული ეგონა.

3. (ვინც, რომელიც) მამაცია, ის შეძლებს დაბრკოლებების გადალახვას.
4. ნუ იდარდებ (იმისათვის, იმის გამო), რომ ეს მოგზაურობა ჩაიშალა.
5. (ვინც, რომელიც) ამ გამოცდას ვერ ჩააბარებს, სხვა გამოცდებზე არ დაიშვებბა.
6. (იმისათვის, იმიტომ) მოვრბოდი, რომ მეშინოდა, არ დამგვიანებოდა.
7. ეპილოგიც ისეთი უინტერესო იყო, (როგორც, როგორიც) მთელი რომანი.
8. აგარაკიც ისეთი იქირავეს, (რაც, როგორიც) თვითონ უნდოდათ.
9. ისეთი ძვირფასი საჩუქარი მივიღე, (როგორსაც, რასაც) ნამდვილად არ ველოდი.
10. ანა და თეა (ვისაც, რომლებსაც) პროფესორები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, ცდილობდნენ, მათი იმედები გაემართლებინათ.

სავარჯიშო N 229. გაასწორეთ შეცდომები:

1. ნატომ ნონას და ნუნუკას საინტერესო ამბავი მოუყვა.
2. ორივე მეგობარი მართლები არიან.
3. ყველანი გაოცდა მისი მოსვლით.
4. კაცმა დანებდა და მორჩილად გაუდგა გზას.
5. ავტორი მოუწოდებს ყველა ქართველ დედებს, იხსნან შვილები ნარკომანიის დამღუპველი სენისაგან, საზოგადოებაც იმავე აზრისაა.
6. მწერალი ამ ნაწარმოებში წამოჭრის იმ ზნეობრივ პრობლემებს, რომელიც ყველამ უნდა გაითავისოს.
7. ჩვენს წინაშეა შალვა მატუაშვილის ახალი ნამუშევარი „ფლორა“.

8. საფარ-ბეგი მიდის გამზრდელთან, რადგან თავის დანაშაული უთხრას.
9. ზემოთ ჩამოთვლილ გმირებიდან განსაკუთრებით დამამახსოვრდა მოხუცი პეტრე.
10. ასე რომ მოქცეულიყო, ერეკლეს სახელი არავის ემახსოვრებოდათ.

სავარჯიშო N 230. გაასწორეთ შეცდომები:

1. ხალხმა არ უნდა დაკარგონ ხელისუფლების ნდობა.
2. მას არ უნდა, რომ შეცვალოს თავის გადაწყვეტილება.
3. ეს კარგი პერიოდია იმ ადამიანებისათვის, ვინც მაისშია დაბადებული.
4. მოსახლეობა დანატრებული იყო სინათლეზე და უზრუნველ ცხოვრებაზე.
5. ამის შემყურე იას და სასუტელას გული უკანკალებს და ცრემლი მოსდის.
6. ავტორი გვიხასიათებს უკეთურ ადამიანს, რადგან კარგად დაგვანახვოს მათი მანკიერებანი.
7. ასეთი პოლიტიკა ამ ორ ერს არ გამოადგებათ.
8. საზოგადოებას თქვენი სახელის გაგონება უნდა უხაროდეთ.
9. თეიმურაზმა და მარგომ სოფელში გადასახლება გადაწყვიტა.
10. ადამიანს უნდა შეეძლოს თავის პოზიციის დაცვა.

სავარჯიშო N 231. გაასწორეთ შეცდომები:

1. მან მიხვდა, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლებოდა.
2. თუ ასეთი ამინდები დიდხანს გაგრძლდებოდნენ, ვენახები გახმებოდნენ.

3. ერთის მხრივ, სარისკო საქმეა, მეორეს მხრივ — აუცილებლად გასაკეთებელი.
4. შაჰ-აბასს უნდოდა, რომ ქართველები გადაშენებულიყო.
5. სპექტაკლს დღეს მეტი მაყურებლები დაესწრნენ.
6. პოემის მთავარი გმირებია ლელა და კვირია.
7. ძმამ მიხვდა, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლებოდა.
8. ლიამ ანას ყველაფერი მოუყვა და რჩევა ჰკითხა.
9. დახმარებისათვის საფარ-ბეგმა ძიძიშვილს მიმართა, რომელმაც დაეხმარა და ინალიფას ცხენი მოუყვანა.
10. ამაზე მანანა და ბესოც ბევრს ფიქრობს.

სავარჯიშო N 232. გაასწორეთ შეცდომები:

1. ნოდარმა ადგა, მივიდა მწვრთნელთან და მადლობა უთხრა.
2. საქართველოს სჭირდება ისეთი დიდი მოღვაწეები, როგორებიც არის ილია, აკაკი, ვაჟა.
3. ხალხსაც და მთავრობასაც ძალიან აღელვებს ეკოლოგიური პრობლემები.
4. ამ ბრძოლაში საუკეთესო ვაჟკაცები დაიღუპა.
5. იმ წესებს, რომელიც ამ დაწესებულებაში მოქმედებს, ყველა უნდა იცავდნენ.
6. საზოგადოებამ არ ეცადა მისი გადარჩენა, რადგან მათ თავის თავი უფრო ადარდებდა.
7. ყაჩალმა ასე იმიტომ მოიქცა, რათა სასტიკი და დაუნდობელი იყო.
8. იგი კარგად გაუმასპინძლდა თავის მეზობლის ბავშვებს, რომელიც მასთან ხშირად მოდიოდნენ სტუმრად.

9. ექსპერტი საუბრობდა იმ გზებზე, რასაც ქვეყნის ეკონომიკა ფეხზე უნდა დაეყენებინა.
10. მან მოღალატეს ისე გაუსწორდა, როგორსაც იმსახურებდა.

სავარჯიშო N 233. გაასწორეთ შეცდომები:

1. ძნელია, თავი წარმოიდგინო მოტყუებულ მამის როლში.
2. პროფესორ იმნაძემ თავის ასპირანტისგან ვერ აიტანა ასეთი საქციელი.
3. თავის მეფობის წლებში დავითმა მრავალი რეფორმები განახორციელა.
4. ხალხს დავიწყებიათ თავიანთი მოვალეობები.
5. თამაზი ჩამოყალიბდა როგორც უნიათო პიროვნებად.
6. იგი ვერანაირი გამოსავალს ვერ ხედავდა.
7. ბავშვების წასვლის შემდეგ მის სახლი სულ დაცარიელდა.
8. ნელ-ნელა მან ბევრ ყოფით პრობლემებზე ჩაიქნია ხელი.
9. თეიმურაზმა გაყიდა თავიანთ ოჯახის ყველა ძვირფასეულობები.
10. ამის უფლება არავის არ აქვს.

სავარჯიშო 234. გაასწორეთ შეცდომები:

1. მრავალ ომებში ნატანჯი ქართველი ხალხი საკუთარ სისხლის ფასად იცავდნენ თავიანთ სამშობლოს.
2. იგი ბრაზობს იმ ადამიანებზე, ვინც ბუნებას აჩანაგებს.
3. გიორგი იმგვარი პიროვნებაა, რომლებიც ვერ ეგუებიან უსამართლობას.
4. წინასწარ არავინ იცის, რძალი და დედამთილი როგორ შეეწყობა ერთმანეთს.
5. თათიას დედ-მამა ინგლისში ცხოვრობენ.

6. მარინას მისი თავის იმედი არ ჰქონდა და ამიტომ გამოცდაზე არ გავიდა.
7. აღელვებული ხალხი ხან დაჯდებოდა, ხან ფეხზე წამოდგებოდნენ.
8. კაცი მარტო თავის თავისთვის არ უნდა ცხოვრობდეს.
9. მას თავის ცოლმა უღალატა.
10. თეიმურაზი რჩებოდა ბედს დამორჩილებული მეოცნებე ადამიანი, რომელსაც მის ეპოქამ მძიმე დაღი დაასვა.

სავარჯიშო N 235. გაასწორეთ შეცდომები:

1. თინა და ნინო ვერ მიხვდა, რა ხდებოდა.
2. ლიას იმედი ჰქონდა, რომ მალე შეხვდებოდა შვილებს, რომელთან განშორება მას გულს უკლავდა.
3. ჩემის აზრით, ეს ასე არ არის.
4. ბებია და შვილიშვილი გულიანად იცინოდა.
5. ლუარსაბს და არჩილს მამა -შვილივით უყვარდა ერთმანეთი.
6. თამუნა თავის დედის კაბაში გამოეწყო.
7. ამ საკითხზე ორივეს სხვადასხვა მოსაზრებები აქვთ.
8. იგი სხვის დახმარებით ცდილობს თავის გატანას.
9. ამით ჩვენ ამხანაგებს გავახარებთ.
10. დაუჯერებელია ორ ხალხთა ასეთი მსგავსება.

სავარჯიშო N 236. გაასწორეთ შეცდომები:

1. ნოშრევანი თავადი იყო, დათიკო და ზაქრო გლეხი.
2. მას, როგორც მორალური ადამიანი, გული შესტკივა ამ უზნეობის გამო.
3. მის წასვლის შემდეგ იქ ყოფნა აღარ მინდოდა.

4. რაც შეეხება ხევისბერი გოჩას, ის მაღალ ზნეობის ადამიანი იყო.
5. იმ დღეს ნიკამ ერთი და იგივე კაცი სამჯერ ნახა ერთი და იგივე ქუჩაზე.
6. ხალხი შეშფოთდნენ ამის გაგონებაზე და მოთმინებით ელიან გმირის გამოჩენას.
7. ის არღვევდა იმ ადათებს, რაც წინაპრებს დაუდგენია.
8. მას სწორედ ამის იმედი ჰქონდა.
9. ამას ამბობს მეფე, რომლისთვისაც თავისუფლება და დამოუკიდებლობა უმთავრესი.
10. ბებიამ მოუყვა მის შვილიშვილებს ზღაპარი.

სავარჯიშო N 237. გაასწორეთ შეცდომები:

1. მოხუცი მაინც ყველასაგან განსხვავებული სიტყვა თქვა.
2. ჰაკი აძბამ მილიციის უფროს ფეხებთან დაულაგა კარაბინი.
3. დათამ მოელოდა ამ განაჩენს.
4. ხევისბერი გოჩამ ჩათვალა, რომ თავის შვილი დამნაშავეა.
5. ოჯახის უფროს ძალიან გაუხარდა მისი სტუმრობა.
6. ისინი ნამდვილ ვაჟკაცურად იქცევიან.
7. ეს მომღერალი ჩემ განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს.
8. ქეთი და მეგი ახალგაზრდობაშიც იგივე საქმეს აკეთებდა.
9. ჩემის აზრით, არცერთ პერსონაჟის მოქმედება არ იყო სამართლიანი.
10. ეს ორი უდიდესი ადამიანი ერთმანეთს ჰგვანან.

სავარჯიშო N 238. გაასწორეთ შეცდომები:

1. ამ ამბავზე მზიამ და ლიამ ბევრი იცინა.
2. მტრის ამდენი შემოტევების შემდეგ ყველა შეშინდნენ.

3. მაგიდაზე ეწყო სხვადასხვა წიგნები.
4. მათ თავის სიკეთით ყველას თავი შეაყვარეს.
5. მოძღვარს ეს დიდი დანაშაულად მიაჩნია.
6. ქალებს მხოლოდ თავის თავი ადარდებდა.
7. ხალხი დაჰპირდა, რომ ყველაფერს იღონებდნენ მის საშველად.
8. საფარმა შეეხვეწა ბათუს, რომ მოეკლა.
9. მოდი, უყურე ტელევიზორის.
10. ილიამ ეცადა, რომ ქართველ ხალხს მისი ნაკლი დაენახათ.

სავარჯიშო N 239. გაასწორეთ შეცდომები:

1. ამითი ქართველები თავისუფლებას დაკარგავენ.
2. ნათელას თავის გერი ღვიძლ შვილივით უყვარდა.
3. რამაზს ყველაფერი უნდა გაეკეთებინა, რადგან ასეთ გასაჭირში არ ჩავარდნილიყო.
4. მას სურს, რომ ისეთი წინდაუხედავი ადამიანი, როგორც იასონია, აღარ არსებობდნენ.
5. შვილებს უნდა განვუვითაროთ ის უნარ-ჩვევები, რომელიც მათ ცხოვრებაში გამოადგება.
6. გუბერნატორი ბლიაძის შეჩერება ვერავინ შეძლო.
7. გუშინ შევიძინე წიგნები, რომელსაც დიდი ხანია ვეძებდი.
8. ბავშვები, რომელიც მშობლებს არ უჯერებენ, ნაყინს ვერ მიიღებენ.
9. ძველ ქართული საგალობლები კონსტანტინეს ყოველთვის ძალიან მოსწონდა.
10. იგი დაიბრუნებს თავისივე დაკარგულ სახლ-კარს.

სავარჯიშო N 240. გაასწორეთ შეცდომები:

1. ბევრი ქართველები ჯაყოსნაირებმა დაამარცხა ეშმაკობით.
2. მთელმა საზოგადოებამ მის სახლის წინ შეიკრიბნენ და მისი გამხნევებას ცდილობდნენ.
3. ბაღში სხვადასხვა ყვავილები გაიშალნენ.
4. მან ბიბლიოთეკიდან ერთი დასტა წიგნები მოიტანა.
5. ადამიანებმა თავის გასაჭირი უნდა მოითმინონ.
6. კარადაში ძვირფასი ფაიფურის ჭურჭლები ეწყო.
7. ქართველები და ბულგარელები ქრისტიანი ერია.
8. ამის გამო დაისჯება უდანაშაულო ადამიანები.
9. წიგნები თეიმურაზის ისე უყვარდა, როგორც საკუთარ შვილები.
10. ზურა და ეკა დიდი სიყვარულით შეუღლდა.

სავარჯიშო N 241. გაასწორეთ შეცდომები:

1. კლასიკურ პერიოდის ქართული ლიტერატურა ფრიად საინტერესოა.
2. რუსთაველმა მის გმირს, ასმათს, ათქმევინა: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია".
3. დავით კლდიაშვილი, ვისაც ქართველ სერვანტესს უწოდებენ, იმერელ აზნაურების დუხჭირ ცხოვრებაზე მოგვითხრობს.
4. რძალიც ისეთივე შეხვდათ, რაც თედომ და მარიმ ინატრა.
5. კოტე პოლიციაში წავიდა, რადგან მომხდარის შესახებ განეცხადებინა.
6. ზოგიერთი პოლიტიკოსები სერიოზულად ცდილობენ პოლიტიკურ კლიმატის გაჯანსაღებას.

7. სოფო დილიდანვე გაემართა დეიდა ნინოსთან, რადგან მისთვის დაბადების დღე მიელოცა.
8. ეკა და ნათია სხვადასხვა უნივერსიტეტებში სწავლობს, ორივე ფრიადოსანი სტუდენტებია.
9. ასე იმისთვის გავცივდი, რომ მთელ სალამოს ორპირ ქარში ვიჯექი.
10. ის, რომ ავადმყოფს გული აწუხებდა, არც ექიმი უარყოფს.

სავარჯიშო N 242. დაალაგეთ სიტყვები სწორი თანმიმდევრობით:

1. რეკომენდაცია დამიწერა კოლეგამ, რომელიც ძალიან გამომადგა.
2. თამარ მეფის სახე გამოსახულია ბეთანიის ტაძრის კედელზე, რომელსაც ქართველი ხალხი სწორუპოვარ მეფედ მიიჩნევს.
3. მთლიანად დანგრეული საქართველოს ეკონომიკა სწრაფად უნდა აღორძინდეს.
4. მეგობარმა შემისრულა სურვილი, რომელიც ბავშვობის შემდეგ არ მინახავს.
5. დეპარტამენტის ხელმძღვანელმა იანვრის ბოლოს გამოსცა პირველი ბრძანება, რომელიც ამ პოსტზე სულ ახალი დანიშნულია.
6. კატომ წიგნი აჩუქა მეგობარს, რომელიც მან ძველ სკივრში იპოვა.
7. ჟურნალის ყდაზე დაბეჭდილია ნათიას დიდი ფერადი ფოტო, რომელსაც ბევრი მკითხველი ჰყავს.
8. უცებ გაისმა შემზარავი ბავშვის ყვირილი.
9. გუშინ სიამოვნებით წავიკითხე დახვეწილი და მაღალმხატვრული კონსტანტინე ჯორჯაძის ლექსები.

10. ამ ნარგავებს მოვლა-პატრონობას არ აკლებენ გლეხები, რომლებსაც მეტად სუსტი ფესვები აქვთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთული ქვეწყობილი წინადადების გადაკეთება მარტივად და მარტივი წინადადების გადაკეთება რთულ ქვეწყობილ წინადადებად

◈ *ცნობისათვის*: ზოგიერთი რთული ქვეწყობილი წინადადება შეიძლება გადაკეთდეს მარტივ წინადადებად. ასეთ შემთხვევაში:

- ამოვარდება დამოკიდებული წინადადების საკავშირებელი სიტყვა;
- ამოვარდება მთავარი წინადადების მისათითებელი სიტყვა (თუ ასეთი არის მთავარ წინადადებაში);
- დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელი გადაკეთდება სახელზმნად (საწყისად ან მიმღეობად) და დამოკიდებული წინადადების შესაბამის წევრად მთავარს შეუერთდება. მაგალითად: *შინ რომ დავბრუნდი, მაშინვე სახლის დალაგება დავიწყე > შინ დაბრუნებისთანავე სახლის დალაგება დავიწყე.*

- ქვემდებარული დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადება მარტივად რომ გადავაკეთოთ, ამისათვის საჭიროა, დამოკიდებული წინადადების შემასმენელი შევცვალოთ სახელზმნით და ქვემდებარედ შევუწყოთ მთავარი წინადადების შემასმენელს. *მაგალითად: ვინც მოითმენს, ის მოიგებს > მოთმენი მოიგებს.*
- დამატებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადება მარტივად რომ გადავაკეთოთ, ამისათვის საჭიროა, დამოკიდებული წინადადების შემასმენელი შევცვალოთ სახელზმნით და მთავარი წინადადების შემასმენელს შევუწყოთ სათანადო ბრუნვის ფორმით დამოკიდებული წინადადების შესაბამის დამატებად (პირდაპირად, ირიბად, უბრალოდ). *მაგალითად: მხოლოდ იმას ვენდობი, ვინც სიმართლეს მეუბნება > მხოლოდ სიმართლის მთქმელს ვენდობი.*

- განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადება მარტივად რომ გადავაკეთოთ, ამისათვის საჭიროა, დამოკიდებული წინადადების შემასმენელი მიმღეობით შევცვალოთ და მთავარი წინადადების საზღვრულის მსაზღვრელად ვაქციოთ. *მაგალითად: მდინარე, რომელიც*

მოულოდნელად ადიდებულიყო, უზარმაზარ ლოდებს კენჭებივით მოაქანებდა → მოულოდნელად ადიდებული მდინარე უზარმაზარ ლოდებს კენჭებივით მოაქანებდა.

- **ადგილისგარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივად გადაკეთების შემთხვევაში დამოკიდებული წინადადების შემასმენელი საწყისით შეიცვლება, ნათესაობით ბრუნვაში დაისმის, დაემატება სიტყვა „ადგილას“ (ადგილიდან, ადგილისაკენ, ადგილამდე) და ორივე ერთად ადგილის გარემოებად შეეწყობა მთავარი წინადადების შემასმენელს.** *მაგალითად: გეოლოგებმა ძლივს მიაღწიეს იქამდე, სადაც კარვები ჰქონდათ გაშლილი > გეოლოგებმა ძლივს მიაღწიეს კარვების გაშლის ადგილამდე.*

- **დროისგარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადება მარტივად რომ გადავაკეთოთ, ამისათვის საჭიროა, დამოკიდებული წინადადების შემასმენელი საწყისით შევცვალოთ და სათანადო ბრუნვის ფორმით დროის გარემოებად შევუწყოთ მთავარი წინადადების შემასმენელს.** *მაგალითად: კონცერტი რომ დამთავრდა, ისინი სასეირნოდ წავიდნენ > კონცერტის დამთავრების შემდეგ ისინი სასეირნოდ წავიდნენ.*

- **ვითარებისგარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივ წინადადებად გადაკეთება, ჩვეულებრივ, მაშინაა შესაძლებელი, როცა დამოკიდებული წინადადება მსგავსება-შედარებას გამოხატავს. გამარტივებისას ამოვარდება მაქვემდებარებელი და მისათითებელი სიტყვები, ზმნა-შემასმენელი გადაკეთდება საწყისად ან მიმღეობად და სათანადო ბრუნვის ფორმით შეეწყობა მთავარი წინადადების შემასმენელს.** *მაგალითად: ზეზვა ისე ღრიალებდა, როგორც დაჭრილი მხეცი > ზეზვა დაჭრილი მხეცივით ღრიალებდა; დათო ისე მოიქცა, როგორც ექიმებმა ურჩიეს > დათო ექიმების რჩევისამებრ მოიქცა; ქალაქის ახალი უბანი დაპროექტებულია ისე, რომ ურბანიზაციის თანამედროვე მოთხოვნებს შეესაბამება > ქალაქის ახალი უბანი დაპროექტებულია ურბანიზაციის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად; როგორც ის მღერის, ისე მეც ვიმღერებ > მასავით მეც ვიმღერებ.*

- **მიზეზისგარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივად გადაკეთებისას დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელი საწყისად გადაკეთდება, დაერთვის „გამო“ თანდებული და მიზეზის გარემოებად შეეწყობა მთავარი წინადადების შემასმენელს, ხოლო მაქვემდებარებელი კავშირი და მისათითებელი სიტყვა საერთო წესის თანახმად**

ამოვარდება. *მაგალითად: რადგან დედა აღელდა, მაიამ ამ თემაზე საუბარი შეწყვიტა > დედის აღელვების გამო მაიამ ამ თემაზე საუბარი შეწყვიტა.*

- **მიზნისგარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივად გადაკეთებისას დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელი, ჩვეულებრივ, მომავალი დროის მიმღეობად გადაკეთდება, ვითარებით ბრუნვაში დაისმის და მიზნის გარემოებად შეეწყობა მთავარი წინადადების შემასმენელს, ხოლო კავშირი და მისათითებელი ზმნიზედა (თუ ასეთი მოჰოვება) ამოვარდება.** *მაგალითად: ლუკა ყოველდღე რეკავდა, რომ დამწუხრებული მეგობარი დაემშვიდებინა > ლუკა ყოველდღე რეკავდა დამწუხრებული მეგობრის დასამშვიდებლად.*

☑ ***გაითვალისწინეთ:***

რთულ ქვეწყობილ წინადადებას ყოველთვის ვერ გადავაკეთებთ მარტივად. *მაგალითად: ისეთი ძნელი ამოცანა იყო, რომ ფრიადოსანმა სტუდენტებმაც ვერ ამოხსნეს; თეკლე ბებია ისეთი ლამაზი ქალი ყოფილა, რომ მისი პორტრეტი ბევრ ცნობილ მხატვარს დაუხატავს.*

სავარჯიშო N 243. გადააკეთეთ რთული ქვეწყობილი წინადადებები მარტივად:

1. როგორც კი გამოცდა ჩააბარა, დათომ მაშინვე დამირეკა.

.....

2. ლუკამ დაინახა თუ არა ბატონი ვახტანგი, მისკენ გაეშურა.

.....

3. ის ვარაუდობდა, რომ ამ რომანს წლის ბოლომდე დაამთავრებდა.

.....

4. კატო, რომელიც გულამოსკვნილი ტიროდა, კოტეს დანახვისთანავე გაჩუმდა.

.....

5. ხე, რომელიც შარშან მოჭრეს, ისევ ეზოში ეგდო.

.....

6. ბედნიერია ის, ვინც თავისი ვალი პირნათლად მოიხადა.

.....

7. ჯამი, რომელიც წვნიანით იყო სავსე, ლიზიკომ ფრთხილად წაილო მაგიდისკენ.

.....

8. შინ რომ დავბრუნდი, მეგობრის წერილი დამახვედრეს.

.....

9. ის წამდაუწუმ წყალს ითხოვდა, რათა წყურვილი მოეკლა.

.....

10. პატარა რომ ვიყავი, ხშირად ვისვენებდით შოვში.

.....

სავარჯიშო N 244. გადააკეთეთ რთული ქვეწყობილი წინადადებები მარტივად:

1. გიორგიმ აიღო სათამაშო, რომელიც იატაკზე ეგდო.

.....

2. აკაკი, რომელიც სამსახურიდან დაბრუნდა, დასასვენებლად ტახტზე წამოწვა.

.....

3. მანანამ ძლივს გაბედა, რომ ეს უსიამოვნო ამბავი ეკასთვის ეთქვა.

.....

4. კაბა, რომელიც ამ საღამოსთვის შევიკერე, ყველამ მომიწონა.

.....

5. ბედნიერია ის დედა, რომელმაც კარგი შვილი აღზარდა.

.....

6. როგორც კი ლექციები დამიმთავრდა, ბიბლიოთეკაში წავედი.

.....

7. ნია დარწმუნდა, რომ არჩილი მისი ერთგული იყო.

.....

8. პატარა ელისაბედი, როგორც ნამდვილი ბალერინა, ისე ცეკვავდა.

.....

9. უნივერსიტეტში მივიდა თუ არა, მაშინვე სტუდენტები შემოეხვივნენ.

.....

10. ლელა ძალიან ცდილობდა, რომ ნინო კინოში წასვლაზე დაეყოლიებინა.

.....

☞ *გახსოვდეთ!*

- **მარტივი წინადადებაც შეიძლება გადაკეთდეს რთულ ქვეწყობილ წინადადებად.** *მაგალითად: ძვირფასი ავეჯით გადატვირთულ ოთახში ნუცას სული ეხუთებოდა > ოთახში, რომელიც ძვირფასი ავეჯით იყო გადატვირთული, ნუცას სული ეხუთებოდა.*

☑ ***გაითვალისწინეთ:*** როგორც ყველა რთული ქვეწყობილი წინადადება არ გადაკეთდება მარტივად, ასევე ყველა მარტივი წინადადება არ გადაკეთდება რთულად. *მაგალითად: კახა კარგად მღერის. მანანა ჩინებულად ცეკვავს. ნანა არაჩვეულებრივად უკრავს. გოგი დიდებულად ხატავს.*

სავარჯიშო N 245. გადააკეთეთ რთულ ქვეწყობილ წინადადებებად:

1. მზით განათებული არემარე თვალს ახარებდა.

.....

2. ღრუბლიანი ცა საწვიმრად ემზადებოდა.

.....

3. ცნობისმოყვარე ირაკლი ნესტანს წუთში ათ შეკითხვას უსვამდა.

.....

.....

4. ქვევრიდან ამოღებული ღვინო ზურაბმა დოქებში ჩაასხა.

.....

5. მოგზაურობიდან დაბრუნებულმა ლიკამ და ბესომ მეგობრების მონახულება გადაწყვიტეს.

.....

6. დათოვლილი მთა ნისლმა დაფარა.

.....

7. გახარებულმა ნინომ და გიამ ბავშვები ზღვაზე წაიყვანეს.

.....

8. დაჭრილი არწივი ყვავ-ყორნებს მაინც გაუმკლავდა.

.....

9. სწავლით გადაღლილი ბავშვები, მარიამი, მატასი და ნატა, მშობლებმა წყნეთში ბებიასთან გაგზავნეს.

.....

10. მოსკოვიდან ახლახან ჩამოსული სოფო და ანი მამიდა დარეჯანს ეწვივნენ.

.....

სავარჯიშო N 246. გადააკეთეთ რთულ ქვეწყობილ წინადადებებად:

1. მხიარული და ენაკვიმატი ლუკა ჩიკვილაძე მეგობრებს ძალიან უყვართ.

.....

2. გამარჯვებული სპორტსმენი ჩემი მამიდაშვილია.

.....

3. მაშინვე მიხვდები ჩემს უდანაშულობას.

.....

4. ოთარი ამჩნევდა შვილს უგუნებოდ ყოფნას.

.....:.....

5. ამ დღისათვის საგანგებოდ შეკერილი თეთრი კაბა ძალიან მიხდებოდა.

.....

6. აღელვებული ზღვა პატარა ნიკას ძალიან აშინებდა.

.....

7. აფორიაქებული ლევანი შინ გვიან მივიდა.

.....

8. მეათეკლასელმა ლელამ დედას ბილეთის ფული სთხოვა.

.....

9. თამაზმა ნუგზარს მანქანა შესაკეთებლად გაატანა.

.....

10. აივანზე დაკიდებულ ხურმის ჩირს ჩიტების მთელი გუნდი დახვეოდა.

.....

სავარჯიშო N 247. გაასწორეთ შეცდომები:

1. ეტლი მიუყვება გზას, რომელშიც თავადის სატრფო ზის.
2. თეიმურაზსა და მარგოს შვილი არ ეყოლა.
3. ფარსადანმა იშვილა მისი ამირბარის ვაჟი.
4. ამის შემდეგ ნიკოს ბევრი მტრები გამოუჩნდა.
5. ქართულ რომანტიზმის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნიკოლოზ ბარათაშვილს.

6. ადამიანი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მიაღწიოს.
7. პოეტი ერთმანეთს ადარებს ბოროტ და კეთილ მეფეების სახეებს.
8. თავის დიდ წინაპრის მსგავსად, ბატონი ელიზბარიც ქველმოქმედებას ეწეოდა.
9. ანას არასოდეს გადაუდგამს ისეთი ნაბიჯი, რასაც სავალალო შედეგი მოჰყვებოდა.
10. ბარათშვილის „ვპოვე ტაძარი“ 1841 წელს შეიქმნა, რომელიც არის სიყვარულის თემაზე დაწერილი.

სავარჯიშო N 248. გაასწორეთ შეცდომები:

1. მხოლოდ ეკლესიას შეუძლია ისეთი ადამიანის სწორ გზაზე დაყენება, როგორც ზაზაა.
2. ტარიელმა ხატაეთიდან მის სატრფოს წამოუღო ყაბაჩა და რიდე, რომელიც, კაცმა არ იცის, რისგან იყვნენ შეკერილები.
3. ის ამბავი, რომ უცხო მოყმე მას არ ეახლა, მეფის თავმოყვარეობაზე იმოქმედა.
4. ასმათს, რომელსაც ავთანდილი სთხოვს უცხო მოყმის ამბის მოყოლას, უარს ეუბნება თხოვნაზე.
5. ასმათი, რომელიც ტარიელთან ერთად ცხოვრობდნენ გამოქვაბულში, ცხოვრება გამწარებოდა.
6. მან მუქარით ცადა საწადელის მიღწევას.
7. ტარიელს სურდა სახელის მოხვეჭა, რომელიც რთული არ აღმოჩნდა მისთვის.
8. მისი პროგნოზები არასოდეს ამართლებდნენ.
9. ტარიელმა, რომელმაც რამაზ მეფე დაამარცხა, ჩაიბარებს ციხე-ქალაქთა ყველა გასაღებებს.
10. ტარიელის დანახვაზე ხატაელების ჯარი აქეთ-იქით გარბოდნენ.

სავარჯიშო N 249. გაასწორეთ შეცდომები:

1. ხალხს, რომლებსაც მოედანზე მოეყარა თავი, სეირის ცქერა უნდოდათ.
2. ჟურნალისტი წერდა მხოლოდ იმ პრობლემებზე, რომელიც მაშინ აქტუალური იყო.
3. მის ბიბლიოთეკას უამრავი იშვიათი გამოცემები ამშვენებდა.
4. ქართველი დედები კიდევ მრავალ სახელოვან ვაჟკაცებს გაუზრდის სამშობლოს.
5. ტარიელმა ავთანდილს მისი პირველი გამოჯნურების შესახებ მოუყვა.
6. ისეთი მძიმე დრო იყო, რომ ხალხი ყიდდნენ მის საგვარეულო ნივთებს.
7. ავტორი გვიჩვენებს გლეხების თავგამოდებულ ბრძოლას თავის თავის გადასარჩენად.
8. ციციკორე მკაცრად დასჯიდა იმ პიროვნებას, ვინც ამას ჩაიდენდა.
9. თითოეულმა ჩვენთაგანმა ათ-ათი წიგნი უნდა მოიტანონ, რადგან კოჯრის ბავშვთა სახლში გავგზავნოთ.
10. 80 წლის მოხუცი, რომელიც 20 წელია, მარტო ცხოვრობს, კეთილი მეზობლები პატრონობენ.

სავარჯიშო N 250. გაასწორეთ შეცდომები:

1. რამდენმა წლებმა გაიარა მის მერე, რაც უნივერსიტეტი დავამთავრეთ.
2. ლევანი დიდხანს ეძებდა საჭირო მასალას სხვადასხვა გაზეთებში.
3. ჩემის აზრით, დაუჯერებელია ორ მეზობელ ოჯახთა ასეთი დაპირისპირება.

4. ქაჯეთის ციხის ასაღებად სამი გმირი სამასი მეომრებით წავიდნენ.
5. ეს ის ეპოქაა, სადაც თავადაზნაურობა ნელ-ნელა კნინდება.
6. სულ ამაო აღმოჩნდა ის დიდი შრომა, რაც მან გასწია.
7. თემური ყველაფერს აკეთებდა, ვინაიდან შეყვარებულის იმედი გაემართლებინა.
8. მწერალი გვიხატავს მათ, როგორც სუსტ და ნაზ არსებებად.
9. მარადიულია ის იდეები, რასაც „ვეფხისტყაოსანი“ ქადაგებს.
10. ავთანდილს უჭირს თინათინთან განშორება, მაგრამ იგი მისი მიჯნურის დავალების შესასრულებლად მაინც მიდის.

სავარჯიშო N 251. გაასწორეთ შეცდომები:

1. ლალიმ და მისმა მეუღლემ მშვენივრად იცოდა, რომ ნიკა და სალომე კარგად გაუძღვებოდა თავის საქმეს.
2. თეა და მედეა ერთმანეთს გადაეხვია.
3. პაატა, როცა სოფელში ჩავიდა, ბევრს ეცადა, რადგან დედა ქალაქში წამოსვლაზე დაეყოლიებინა.
4. იმ ხალხს, რომელთაც ღირსების გრძნობა აქვთ, საზოგადოება განსაკუთრებულ პატივს სცემს.
5. მაკო სიამოვნებით სთავაზობს თავის დახმარებას ყველას, რომელსაც დასჭირდება.
6. ფატმანმა ბევრი კარგი თვისებები გამოამჟღვნა.
7. მას სინდისმა შეაწუხა და თავის თავს უსაყვედურა.
8. ისეთ მნიშვნელოვან საგნების სწავლებას, როგორიცაა: ისტორია, ლიტერატურა და მათემატიკა, სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

9. ბიზანტია თუ სამხედრო ძალით არ დაეხმარებოდა საქართველოს, ურჯულო მტერს მაინც დააშინებდნენ.
10. ქართველებს ბევრჯერ დაუმარცხებიათ ისეთი სასტიკი დამპყრობლები, როგორიცაა სპარსელები, ოსმალები, მონღოლები და სხვ.

სავარჯიშო N 252. გაასწორეთ შეცდომები:

1. საფარ-ბეგმა ისე მოქცა, რაც არ ეკადრებოდა.
2. მან ერეკლეს ფიქრებს მაინც ვერ ჩასწვდა.
3. კაცმა მოვიდა და ახალი ამბავი გვახარა.
4. როდესაც მან მიხვდა, რომ ქალაქში არაფერი გამოსდიოდა, მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა.
5. გურამმა უნდა მიხვდეს, რა დააშავა.
6. რეზომ ოთარს შეეხვეწა, ეს ამბავი არავისთვის გაემხილა.
7. ადამიანმა ყველანაირად უნდა შეეცადოს, ვინაიდან დაბრკოლებები გადალახოს.
8. კაცმა ბრმად არავის უნდა ენდოს, რათა მისი თავი განსაცდელში არ ჩაიგდოს.
9. როცა მატარებელი დაიძრა, ნათიამ მიხვდა, რომ უკან დასახევი გზა ალარ იყო.
10. ქალაქის მთავრობამ მოსახლეობას დაჰპირდა, რომ ყველა პრობლემებს უმოკლეს დროში მოაგვარებდა.

სავარჯიშო N 253. გაასწორეთ შეცდომები:

1. ბავშვები იმ ტყეში უნდა შესულიყო, სადაც შარშან მიტოვებული ტრაქტორი ნახეს.
2. იგივე სიტუაციაში ნინო ალბათ სხვანაირად მოიქცეოდა.
3. ბაქარმა გუშინ ისეთი ამბავი მოყვა, რომ ხალხი სიცილით მოკვდა.
4. ორივე ექსპერტი მართლები არიან.
5. კომისიამ ორჯერ იმსჯელა და ერთი და იგივე დასკვნამდე მივიდა.
6. ისეთი კარგი ბავშვები არიან, ყველა ცდილობენ, ერთმანეთს ასიამოვნონ.
7. ბევრი აზნაურები, ვინც გაჭირვებაში ჩავარდნენ, გლეხებივით შრომობდნენ.
8. გორელებს საკმარისად აქვს თავისი პრობლემები.
9. ის წიგნები, რომელსაც წავიკითხავ, მერე შენ გათხოვებ.
10. ასეთ ლამაზ ადგილს მთელს საქართველოში ვერ ნახავ.

სავარჯიშო N 254. გაასწორეთ შეცდომები:

1. თავის მიერ ჩამოყალიბებულ არგუმენტებიდან ცხადი ხდება, რომ კონცეფცია, რაც ადრე საერთოდ არ იყო ცნობილი, დღეს საყოველთაოდ გაზიარებული ხდება.
2. მრავალი თვისებები, რაც ნატომ გამოავლინა, მამისაგან გამოჰყვა.
3. თეიმურაზს დიდი ხანი დასჭირდა, ვინაიდან სიმართლე შეეტყო.
4. ამდენი რომ არ ეშრომა, მან და თავისი ოჯახი მშივრები დარჩებოდნენ.
5. ექიმ ქიმერიძეს უნდა, რომ ყველას, რომელიც ბრმაა, თვალი აუხილოს.
6. კაკომ გაყიდა თავის სახლი და იგივე ქუჩაზე პატარა ბინაში გადასახლდა.
7. ამ სუნამოს ისეთივე სუნი აქვს, როგორც მინდვრის ყვავილებს.

8. ბატონმა თედომ მადლობა მოუხადა იმ ადამიანს, რომლებიც მას დაეხმარა.
9. პატარა ანდროს უნდოდა, მისი ძალა თავის უფროს დისათვის ეჩვენებინა.
10. ქართველმა ხალხმა ბედნიერად უნდა იგრძნონ თავიანთი თავი.

სავარჯიშო N 255. გაასწორეთ შეცდომები:

1. თუ ქართველები დაკარგავს თავისუფლებას, ხალხს იმედები საბოლოოდ გაუცრუვდებათ.
2. ჩვენ სპორტსმენებს წინ დიდი ბრძოლები ელის.
3. ქალაქის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტა, ემსჯელათ, როგორ მომზადებულიყვნენ ტრადიციულ თბილისობისათვის.
4. მე დიდად ვაფასებ ხევისბერი გოჩას პიროვნებას.
5. ხალხმა პატიება სთხოვეს მრისხანე ბატონს.
6. თავის ცხოვრების გზაზე მან ბევრი წარმატებები ნახა.
7. როგორც დედაჩემს, ასევე მამაჩემსაც ჰგონიათ, რომ შვილი ძალიან მკაცრად უნდა აღზარდო.
8. ორივე მეგობრებმა ჩემი გულისწყრომა დაიმსახურეს.
9. ის შერცხვა ასეთი შვილის ყოლით.
10. იმდროინდელი საზოგადოებაში გლეხი ადამიანად არ ითვლებოდა.

სავარჯიშო N 256. გაასწორეთ შეცდომები:

1. ყველა ამხნევებდნენ უჩას, ეუბნებოდნენ, რომ გასაჭირიდან დაიხსნიდნენ.
2. მან შვილს საყვედურით მიმართავს.
3. თათია და ნათია ბევრს ფიქრობდა თავის შვილების მომავალზე.

4. ემას და ჯორჯს მოუნდება საქართველოში ჩამოსვლა, რომელშიც მათ ბევრი მეგობრები ჰყავს.
5. ჭალაში მაღალი ხეები იდგნენ, რომელზეც ჩიტები გუნდ-გუნდად სხდებოდა.
6. ბიძინას არ ასვენებდა მეგობრები და ხშირად ეპატიჟებოდნენ სტუმრად.
7. ბათუს ჰყავდა ცოლი, რომლებიც სიყვარულით შეუღლებულები ტკბილად ცხოვრობდნენ.
8. ბათუმ სთხოვა, რათა ჰაჯი-უსუბიზა ყველაფერი მოეყოლა.
9. შინ სწრაფად დაბრუნდა, რადგან ქმრისათვის ეს ამბავი ეთქვა.
10. — დედამ და მამამ ასე დამიბარაო, — ერთი და იგივეს იმეორებდა ბიჭი.

სავარჯიშო N 257. გაასწორეთ შეცდომები:

1. დედამ მთხოვა, ვინაიდან ყველაფერი მეთქვა.
2. ერთის მხრივ, ანიკო მართალია, რათა თავის პოზიციას არ თმობს.
3. თამაზს მძიმე პირობებში მოუწია ცხოვრება და მოღვაწეობა.
4. იმ ეპოქაში, სადაც ბატონი ივანე მოღვაწეობდა, ეროვნულ კულტურა და მეცნიერება აღორძინების გზაზე იდგა.
5. მკვლევარი დარწმუნებულია თავის უამრავ არგუმენტების სისწორეში.
6. მათმა ვერ შეძლეს თავის პოზიციების დაცვა.
7. ყვარყვარესნაირმა ადამიანებმა ადვილად მოიკიდა ფეხი საზოგადოების სხვადასხვა ფენებში.
8. ნატატოს ხუჭუჭა თმები მხრებზე ეფინებოდნენ.

9. გვანცას წასვლის შემდეგ ირაკლიმ მოიწყინა, მაგრამ მასთან ხვალინდელ შეხვედრის იმედით კვლავ გამხიარულდა.
10. სოსო და თათა ბევრს საუბრობს ეროვნულ კულტურის განვითარების პერსპექტივებზე.

სავარჯიშო N 258. გაასწორეთ შეცდომები:

1. პეტრე ერთგულად ემსახურებოდა თეიმურაზის.
2. თვითმფრინავი, სადაც დავითი იჯდა, ვენის აეროპორტში დაეშვა.
3. კობა ქუჩაში ყიდდა ნივთებს, რომელიც სახლიდან ჩუმად გაჰქონდა.
4. ზაალი ნაწარმოებში წარმოდგენილია, როგორც ღირსეულ ადამიანად.
5. კოტემ თავის ბიზნესი გადააბარა შვილს, რათა ფიქრობდა, რომ ჭაბუკი საქმეს ალღოიანად გაუძღვებოდა.
6. ეთერს ანა ღვიძლი დასავით უყვარდა.
7. ცოლ-ქმარი დაბალ ხმაზე ლაპარაკობდნენ.
8. ცოლი და ქმარი დაბალ ხმაზე ლაპარაკობს.
9. დედა -შვილი აგარაკზე გაემგზავრნენ.
10. დედა და შვილი აგარაკზე გაემგზავრა.

სავარჯიშო N 259. გაასწორეთ შეცდომები:

1. ევროპის ამ სამ ქვეყნებს საერთო საზღვარი აქვთ.
2. ჩემმა მეგობრებმა დამპატიჟეს კლასიკურ მუსიკის სალამოზე, სადაც ცნობილი ქართველი ვარსკვლავები მონაწილეობდნენ.
3. ისეთი ლამაზი ვარდები, როგორც შენია, სხვაგან არსად მინახავს.
4. ეს ნაწარმოებები შეიძლება შევადაროთ მსოფლიო შედევრებთან.
5. თენგიზმა, როცა ცოლი შეირთო, 20 წელი უსრულდებოდა.

6. მოხუცებს თავის თავის რჩენა აღარ შეუძლია.
7. თემს ონისე შეეცოდათ და უთხრეს ხევისბერი გოჩას, რომ თავისი შვილი დამნაშავე არ იყო.
8. ქალბატონ ქეთევანმა პრეზენტაცია გამართა, ვინაიდან საზოგადოებისათვის განათლების რეფორმის შედეგები გაეცნო.
9. თორნიკე სწორედ თავის წინდაუხედაობამ მიიყვანა იმ მდგომარეობამდე, სადაც ის იმყოფებოდა.
10. ნაწარმოებში აღწერილია VIII-IX საუკუნის სამონასტრო ცხოვრება.

სავარჯიშო N 260. გაასწორეთ შეცდომები:

1. ქართველებმა უნდა შეისისხლხორცოს ეროვნულ იდეალების ერთგულება.
2. მისმა ცოლმა ძალიან განაწყენდა და თავყრილობა მალე დატოვა.
3. ადამიანს, რომელსაც სუსტი გული აქვს, ამ ფილმს არ უნდა უყუროს.
4. უხერხულობის გამო ნოდარმა შეიშმუშნა და თავი დახარა.
5. უამრავ საფიქრალით გადაღლილმა სალომემ დასვენება გადაწყვიტა და ჩქარ მატარებლით ბათუმში გაემგზავრა.
6. ნინო მიკროფონთან მივიდა, რადგან თავისი ხმა დარბაზის ბოლოშიც გაეგონათ.
7. ნესტანი ცდილობდა, რათა ამდენი სხვადასხვა მოდელებიდან ყველაზე მოხერხებული ფეხსაცმელი შეერჩია.
8. ნანა და ლალი ერთ სკოლაში სწავლობს.
9. რომელიც ბოლოს გამოვა ოთახიდან, კარი დაკეტოს და ყველა გასაღებები შინ წაიღოს.

10. ჩემი ორი მეგობარი სულ ერთად არიან, მაგრამ ერთმანეთს სულ არ ჰგვანან.

სავარჯიშო N 261. გაასწორეთ შეცდომები:

1. ჩემთვის ორივე ნაწარმოებები ძალიან ძვირფასია.
2. ამას აკეთებს ისეთი ადამიანი, ვისაც ყველაზე მეტად ვენდობოდი.
3. ისეთი პირობები, როგორც პირველ სკოლას აქვს, სანატრელია ყველა სასწავლო დაწესებულებებისათვის.
4. თავის აზრის გამოთქმის უფლება ყველას აქვთ.
5. რატომ გაჩუმდნენ ხალხი და არ ამოიღეს ხმა?
6. ქალბატონ ანანოს ტრადიციების დამცველ ადამიანის სახელი აქვს.
7. ბევრი ეთანხმება ერეკლე მეფეს თვალსაზრისს საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციასთან დაკავშირებით.
8. სიტყვები, რომელსაც დედა ბავშვობაში მეუბნებოდა, ახლა ჩემს შვილს ვუმეორებ ხოლმე.
9. იმათ საქციელმა ფრთა შემასხა.
10. მათმა გააკეთეს ბევრი კეთილი საქმეები.

სავარჯიშო N 262. გაასწორეთ შეცდომები:

1. ლელა, ერთის მხრივ, ჩემი კოლეგაა და, მეორეს მხრივ — ახლო ნათესავი.
2. ათასგვარ წინააღმდეგობის მიუხედავად, ნუგზარმა სასურველი ქალზე ჯვარი მაინც დაიწერა.
3. საზოგადოებამ არ იზრუნა ამ ბავშვების განათლებაზე, რათა მას ახალგაზრდობის ბედი არ ადარდებდათ.

4. საუბედუროდ, საუკეთესო ვაჟკაცები დაიღუპა იმ ექსპედიციაში შხარაზე.
5. დედამ მიხვდა, რომ ბავშვები რაღაცას უმალავდნენ.
6. მრავალი ლექსები იცოდა ელიკომ და ლელამ ზეპირად.
7. ამის უფლება აქვს მხოლოდ საბჭოს წევრებს.
8. მამაპაპისეულ სახლის შეკეთება ზაზამ ზაფხულისთვის გადადო.
9. სტუდენტობა ყოველთვის გამონახავენ დროს გართობისა და მხიარულებისათვის.
10. მაკამ, რომელმაც ატირებული ბავშვი დაინახა, ცუდად გახდა.

სავარჯიშო N 263. გაასწორეთ შეცდომები:

1. ბოლო ორ გრაფებში მითითებულია ის საგნები, რომელიც მისაღებ გამოცდებზე უნდა ჩააბაროთ.
2. ჩვენი მოთხოვნები, რომელიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ, გამოქვეყნდება უმოკლეს ვადებში.
3. ასეთ გაბედულ ნაბიჯის გადადგმა ადვილი არ იყო.
4. ის პირები, ვინც ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, გამოცხადდეს ქალაქის მერიაში.
5. მხატვრობაზე და ლიტერატურაზე შეყვარებულ გოგონებს მუსიკალური ხელოვნებაც იზიდავს.
6. დათა პაპა და ვანო ზვინიდან ჩამოხოხდა, რათა კოკისპირულად გაწვიმდა.
7. ისევ იმ გზას მიუყვებოდა ნიკო, სადაც ყოველდღე დადიოდა.
8. ყველა წავიდ-წამოვიდნენ, მოხუცი ცოლ-ქმარი მარტო დარჩნენ.
9. სამი მეგობარი დიდი ხნის მოსულები იყვნენ, გოჩა რომ გამოჩნდა.
10. თოფი გავარდა და ორი მხედარი, რომელსაც სისხლი თქრიალით გადმოსდიოდა, ცხენებიდან გადმოცვივდნენ.

სავარჯიშო N 264. გაასწორეთ შეცდომები:

1. კატოსთვის კარგა ხანს ვერავინ მოიცალა, რათა ყველა თავის საქმით იყვნენ გართული.
2. აკაკიმ უარით გაისტუმრა ის შუაკაცები, ვინც სასიძომ გამოუგზავნა.
3. ქალს პატარა ქუდი ეხურა, რაც მას ძლიერ ქარისაგან ვერ დაიფარავდა.
4. ჩაბნელებულ ოთახში, რასაც ოდნავ ანათებდა სანთლის შუქი, შეშინებულ და-ძმის ჩურჩული ისმოდა.
5. რამდენიმე სტუდენტები, ვინც მოთმინებით ელოდნენ გამოცდიდან მეგობრის გამოსვლას, ფანჯარასთან იდგნენ და დაბალ ხმაზე საუბრობდნენ.
6. თინას და ანას ახალი კაბები ძალიან უხდებოდა.
7. ფერდობზე კამეჩები ჩამოდიოდა, თითოს ორ-ორი ბიჭი მოჰყვებოდნენ.
8. ქალს, ვისაც გამხდარი სახე ჰქონდა, ძალიან შორ გზიდან მოდიოდა.
9. ბავშვები, რომლებიც მუდამ ფეხებში ებლანდებოდა ელენეს, ახლა ეძინათ.
10. ესმამ და თავისმა მეუღლემ ბარგი აიღო და მატარებელს მიაშურა.

სავარჯიშო N 265. გაასწორეთ შეცდომები:

1. ბებიას იაფფასიან ბამბის წინდები ეცვა.
2. წვერგაუპარსავ კაცის დანახვაზე დედა-შვილი ცოტა კი შეშინდნენ, მაგრამ მაინც თავაზიანად მიიღეს უცნობი.
3. ჩემ ამხანაგებში ყველაზე ახალგაზრდები ლელა და ლიზიკოა.
4. ლილი და ზაზა აქვე ცხოვრობს.

5. დედა ფეხაკრებით შევიდა დათუნას ოთახში, ვინაიდან იგი არ გაელვიძებინა.
6. რამაზის და ლადოს გუშინდელ წვეულების ამბები ახსენდებოდათ და გულიანად ხარხარებდნენ.
7. — რომელიც ამ კონცერტზე არ წამოხვალთ, ძალიან ინანებთო,— ეუბნებოდა ბეჟანი გოგონებს.
8. მანქანა, სადაც ვისხედით, მოასფალტებულ გზიდან გადავაყენეთ და ფეხით გავუყევით ტყისკენ ბილიკს.
9. ესტატემ, რომელმაც ხელი ცარიელ ბოთლისკენ წაიღო, სიცილს ველარ იკავებდა.
10. დაღლილი ხალხი შინ ბრუნდებოდნენ.

სავარჯიშო N 266. შემოხაზეთ იმ წინადადებათა რიგითი ნომრები, რომლებშიც დაშვებულია სინტაქსური შეცდომები:

1. ტატომ რეზოს წერილი მისწერა, სადაც პატიებას სთხოვდა.
2. ლექს „განთიადში“ ავტორი მიმართავს საყვარელ სამშობლოს და ერთგულებას ეფიცება მას.
3. ისტორიულად ყოველთვის ბევრი ძლიერი მტრები გვყავდნენ, მაგრამ არც ქართველები იყვნენ მშიშრები.
4. ამ ორ ადამიანს სხვადასხვანაირად აქვს წარმოდგენილი ქვეყნის მომავალი.
5. ნიკო ლომთაძე გამოირჩეოდა თავისი თავაზიანობითა და თავმდაბლობით.
6. მტკვრის სანაპიროზე მალე უფრო მეტი ახალი სახლები აშენდება.
7. მხოლოდ ახლა იგრძნო ნატომ, თუ რამდენად ძვირფასი იყო მისთვის მალხაზი.
8. წავიდა მსახურმა, მეფეს ენა მოუტანა და აჭამა.

9. შეყვარებულები ამ ნეტარებაში იყვნენ, როცა კოკისპირული წვიმა წამოვიდა, რასაც სეტყვაც მოჰყვა.
10. მეეტლემ დარბაისელი მოხუცი, რომელიც მას თავის თავგადასავალს მოუყვა, ტოტებგაშლილ მუხასთან მიიყვანა.

სავარჯიშო N 267. შემოხაზეთ იმ წინადადებათა რიგითი ნომრები, რომლებშიც დაშვებულია სინტაქსური შეცდომები:

1. კაცობრიობის არსებობის ისტორია ათასწლეულებს ითვლის.
2. ამის დამნახავი გია გაფითრდა.
3. გვანცას დაბადების დღე ისეთი მხიარული გამოვიდა, როგორც თვითონ უნდოდა.
4. ამინდი უცებ შეიცვალა, დათბა და მზეს ძალა მიეცა.
5. დალიმ და ნათიამ თავისი წიგნები და რვეულები აიღეს და ერთმანეთს მომავალ შეხვედრამდე დაემშვიდობნენ.
6. დარბაზი გაივსო გოგონებით, რომლებსაც სილამაზის კონკურსში მონაწილეობის მიღება სურდათ.
7. ნანას მკერავმა სწორედ ისეთი კაბა შეუკერა, რაზედაც ოცნებობდა.
8. პეტრე და პავლე თავიანთი ცოლ-შვილით ივანესთან სტუმრად მივიდნენ.
9. ხელოსნებმა ცოტა დაისვენეს, წაიხემსეს და ისევ გააგრძელეს მუშაობა.
10. მთელმა ქალაქმა იცის, რომ ბატონი გურამი და ბატონი ვახტანგი საუკეთესო თამადებია.

სავარჯიშო N 268. შემოხაზეთ იმ წინადადებათა რიგითი ნომრები, რომლებშიც დაშვებულია სინტაქსური შეცდომები:

1. შუა საუკუნეების საფრანგეთი განთქმული იყო ვიტრაჟების ვირტუოზი ოსტატებით.
2. ვიტრაჟის დამზადებისას ოსტატი ითვალისწინებდა სარკმლების ფორმას, რომელშიც უნდა ჩაესვათ ფერადი მინის კომპოზიცია.

3. სამუშაოს დაწყებამდე ის ქმნიდა ნატურალურ ზომის ესკიზს.
4. მინის თითოეულ ნაჭერს ათავსებდნენ ტყვიის წვრილ ჩარჩოში, რადგან მას უფრო მეტი სიმტკიცე ჰქონოდა.
5. ვიტრაჟის ზოგი ფრანგი ოსტატები გერმანიაშიც მოღვაწეობდნენ.

სავარჯიშო N 269. შემოხაზეთ იმ წინადადებათა რიგითი ნომრები, რომლებშიც დაშვებულია სინტაქსური შეცდომები:

1. ტერმინი „წიგნი“ ქართულ წერილობითს ძეგლებში, როგორც ჩანს, ადრიდანვე იხმარეოდა.
2. ოთხთავის ქართულ თარგმანში „წიგნი“ ნაწერის, დაწერილის, მნიშვნელობით გამოიყენება, თუმცა იგივე ძეგლში ეს ლექსიკური ერთეული დღევანდელი მნიშვნელობითაც დასტურდება.
3. ეს ტერმინი ძველ მწერლობაში იმდენად ხშირად გვხვდება, რომ სხვადასხვა ნაწარმოებებიდან ათეულობით მაგალითების მოყვანა შეიძლება.
4. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ იგი ქართულში ძალიან გავრცელებული სიტყვა იყო და ენის აქტიურ ლექსიკურ მარაგში შედიოდა.
5. მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, ეს სიტყვა ლათინური წარმოშობისაა.

სავარჯიშო N 270. შემოხაზეთ იმ წინადადებათა რიგითი ნომრები, რომლებშიც დაშვებულია სინტაქსური შეცდომები:

1. ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე პეტერბურგში გაემგზავრა, ვინაიდან იქ კარგი საუნივერსიტეტო განათლება მიეღო.
2. ილია გულმოდგინედ შეუდგა სწავლას, რომ მისი ცოდნა მომავალში საქართველოს საკეთილდღეოდ გამოეყენებინა.
3. პეტერბურგში იმ დროს მრავალი ქართველი სტუდენტები სწავლობდნენ.

4. სამშობლოს სიყვარულით გულანთებულ ახალგაზრდების საფიქრალი საქართველოს მომავალი იყო.
5. სწავლის დამთავრების შემდეგ ისინი ერის სამსახურში ჩადგნენ.

სავარჯიშო N 271. შემოხაზეთ იმ წინადადებათა რიგითი ნომრები, რომლებშიც დაშვებულია სინტაქსური შეცდომები:

1. ჩემი სოფელი საქართველოს ერთ-ერთ მშვენიერ კუთხეში, იმერეთში, მდებარეობს.
2. სოფელს ჩამოუდის ანკარა მდინარე, რომელშიც ბავშვები ზაფხულობით უამრავ თევზებს იჭერენ.
3. ჩემის აზრით, აქ ცხოვრობს ყველაზე შრომისმოყვარე და კეთილი ხალხი.
4. ლეგენდის მიხედვით, ამ ადგილებში დასვენება ძალიან ჰყვარებია იმერეთის სახელგანთქმულ მეფის, სოლომონის, ოჯახს.
5. სოლომონს მის ოჯახთან ერთად აქ ბევრი ლამაზი და დაუვიწყარი დღე გაუტარებია.

სავარჯიშო N 272. შემოხაზეთ იმ წინადადებათა რიგითი ნომრები, რომლებშიც დაშვებულია სინტაქსური შეცდომები:

1. ქართული ღვინო გამოირჩევა სასიამოვნო გემოთი და არომატით.
2. საქართველოში აღმოჩენილია მეღვინეობის კულტურის დამადასტურებელი უამრავი საგულისხმო ნივთები.
3. მათგან უძველესი ანტიკურ ხანით თარიღდება.
4. ქართული ღვინითა და მეღვინეობის ისტორიით დაინტერესება დიდია როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთაც.
5. თბილისში მალე გვექნება ქართული ღვინის ისტორიის მუზეუმი.

სავარჯიშო N 273. შემოხაზეთ იმ წინადადებათა რიგითი ნომრები, რომლებშიც დაშვებულია სინტაქსური შეცდომები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. არსებობენ ადამიანები, რომლებიც მუდამ მზად არის, იკამათოს ყოველთვის ყველასთან და ყველაფერზე.
2. ასეთი ადამიანები, როგორც წესი, მუდმივად ოპოზიციაში არიან.
3. იმისათვის, რომ მათ არა აქვთ პროფესიული ცოდნა და ვერ სწვდებიან პრობლემის არსს, ყველას ხელს უშლიან და ალიზიანებენ.
4. გახსოვდეთ, ასეთ ადამიანებთან კამათს აზრი არ აქვს, მათთან მაინც ვერაფერს გახდებით.
5. მათთან ურთიერთობისას გირჩევთ, შეინარჩუნოთ სიმშვიდე და სულიერი წონასწორობა.

სავარჯიშო N 274. შემოხაზეთ იმ წინადადებათა რიგითი ნომრები, რომლებშიც დაშვებულია სინტაქსური შეცდომები:

1. ორატორული ხელოვნების ისტორია ანტიკურ საბერძნეთიდან იწყება.
2. ძველ წელთაღრიცხვის V-IV საუკუნეებში ათენში შექმნილი პირობები ორატორული ხელოვნების განვითარებისათვის მეტად ხელსაყრელი აღმოჩნდა.
3. მჭევრმეტყველებით დაინტერესებას ხელს უწყობდა ათენის ქალაქ-სახელმწიფოს დემოკრატიული სისტემა.
4. მოქალაქეებს შეეძლო, მონაწილეობა მიეღოთ საბალხო კრებაში, რის გამოც მათ უხდებოდათ ორატორული ხელოვნების დაუფლება.
5. მჭევრმეტყველების განვითარებას ხელს უწყობდა სასამართლო წარმოების ათენური წესიც.

XV. სასვენი ნიშნები

◈ *ცნობისათვის:* სასვენ ნიშანთა ერთობლიობას პუნქტუაცია ეწოდება.

ნაწერ თუ ნაბეჭდ ტექსტში ამჟამად შემდეგი სასვენი ნიშნები გამოიყენება: წერტილი (.), კითხვის ნიშანი (?), ძახილის ნიშანი (!), მძიმე (,), წერტილ-მძიმე (;), ორწერტილი (:), მრავალწერტილი (...), ტირე (—), დეფისი (-), ფრჩხილები ( ), ბრჭყალები („ “).

სასვენი ნიშნები იხმარება როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთად, მაგალითად, კითხვისა და ძახილის ნიშანი (?!), ძახილის ნიშანი და მრავალწერტილი (!..), კითხვის ნიშანი და მრავლწერტილი (?..), მძიმე და ტირე (,—), კითხვის ნიშანი და ტირე (?—), ძახილის ნიშანი და ტირე (!—).

ზოგი ნიშანი იხმარება არაპირდაპირი დანიშნულებითაც (როგორც ტექნიკური ნიშანი); მაგალითად, წერტილი — სიტყვის შემოკლების ნიშნად, დეფისი — გადატანის ნიშნად და სხვ. ჩვენ მათს ამგვარ გამოყენებასაც სასვენ ნიშნებთან ერთად განვიხილავთ.

წერტილი

☞ *გახსოვდეთ!*

- წერტილი დაისმის თხრობითი წინადადების ბოლოს და გვიჩვენებს, რომ აზრი (წინადადება) აქ დასრულდა. მაგალითად, *დილით მერცხლის ჭიკჭიკმა გამაღვიძა.*
- წერტილი დაისმის სახელდებითი წინადადების ბოლოსაც. მაგალითად, *ცა. ვარსკვლავები. ნაჭერ-ნაჭერი ღრუბელი. თეთრი. ნაზი. ზღვა. ტორტმანი. მთების შავი საიდუმლო. (ნ. ლორთქიფანიძე, „ხმა სამარიდან“)*
- წერტილი დაისმის პროგრამების, მოხსენებების ან სამეცნიერო ნაშრომის გეგმის შედგენის დროს საკითხების ჩამოთვლისას და რიგითი ნომრის აღსანიშნავად ხმარებული ასოებისა და რომაული ან არაბული ციფრების შემდეგ.

☑ გეგმის შედგენისა და საკითხების ჩამოთვლისას წერტილის ნაცვლად შეიძლება დაიწეროს წერტილ-მძიმეც. საკითხების დანომვრისას ასოებისა და ციფრების შემდეგ შეიძლება წერტილის ნაცვლად გამოვიყენოთ ფრჩხილი. მაგალითად: ა) ბ) 4) 5) და ა.შ. ამ შემთხვევაში ფრჩხილის შემდეგ წერტილი საჭირო არ არის.

☑ *წერტილი დაისმის სიტყვის შემოკლების ნიშნადაც: გვ. (გვერდი), წ. (წელი), ქ. (ქალაქი), ე.ი. (ესე იგი), ე. წ. (ეგრეთ წოდებული), მაგ. (მაგალითად), წწ. (წლები), სს. (საუკუნეები) და სხვ.*

სავარჯიშო N 275. დასვით სასვენი ნიშნები:

- ირიჟრაჟა აგრილდა გაწვიმდა
- გათენდა მზე ამოვიდა მინდორ-ველი განათდა გამოჩნდა კავკასიონის მაღალი მთები ოქროსფრად აელვარდა უძველესი სვანური კოშკები ირგვლივ სიჩუმე და სიწყნარე სუფევდა ცა იყო ლურჯი და უსაზღვრო
- დილაა თენდება ოდნავ ჟინჟლავს
- „სტუდენტური დღეების“ პროგრამა (2007-2008 წწ)

  I სტუდენტური დღეების საზეიმო გახსნა

  II რექტორის შესავალი სიტყვა

  III სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია

  ა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი (თსუ I კორპუსი, III სართ, აუდიტ N 103)

  ბ იურიდიული ფაკულტეტი (თსუ II კორპუსი, I სართ აუდიტ N 242)

კითხვის ნიშანი

☞ *გახსოვდეთ!* კითხვის ნიშანი დაისმის კითხვითი წინადადების ბოლოს.

სავარჯიშო N 276. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

1. განა თქვენც ჩვენთან ერთად არ მოდიხართ
2. — შინა ხარ — გაიკვირვა მარიამმა
3. აქ საიდან გაჩნდი შე მადლიანო შენა
4. დღეს წავიდეთ თუ ხვალ
5. როდის ჩამოხვედი ამერიკიდან აქ დიდი ხნითა ხარ

6. — რა გქვია — ჰკითხა გივიმ უცნობს
7. — რა დღეა დღეს —ჰკითხა დედამ შვილს. განა სკოლაში არ უნდა წახვიდე
8. ნუთუ ამით დამთავრდება ყველაფერი მეტი არაფერი მოხდება
9. — რომელ ინსტიტუტში სწავლობ რომელ კურსზე ხარ რომელ კორპუსში გიტარდება ლექციები —მიაყარა კითხვები ვახტანგმა დიდი ხნის უნახავ მეგობარს
10. ნეტა იწვიმებს ქოლგა წავიღო თუ შინ დავტოვო

ძახილის ნიშანი

☞ *დაიმახსოვრეთ!*

ძახილის ნიშანი დაისმის:

- **ძახილის წინადადების ბოლოს:** *ქრისტე აღსდგა!*
- **ბრძანებითი წინადადების ბოლოს:** *აბა, ახლავე წადი!*
- **მიმართვასთან (როცა მიმართვა ცალკეა ხმარებული ან დიდი გრძნობით წარმოითქმის და წინადადების თავშია ან ბოლოში)** *შვილებო! ძმებო! მიყვარხართ! მიყვარხართ, შვილებო! ძმებო!*
- **ცალკე ხმარებულ შორისდებულთან:** *ვაშა! ბრავო!*
- **შორისდებულთან, როცა იგი წინადადების თავშია ან ბოლოში და წარმოთქმულია დიდი გრძნობით:** *ყოჩაღ! რა მშვენიერი პროექტი მოგიმზადებია!*
- **ძახილის ნიშნით გამოიყოფა მიგებითი ნაწილაკი (განსაკუთრებით მაშინ, თუ ის ცალკე დგას):** *დიახ! არა!*

☞ *გახსოვდეთ!* **როცა კითხვასთან ერთად გამოხატულია გაკვირვება, აღტაცება, კითხვისა და ძახილის ნიშნები ერთად იწერება.** *მაგალითად: სახლში აღარ მიშვებ, დედაჩემო?!*

სავარჯიშო N 277. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

1. გაუმარჯოს საქართველოს მზეს და ზეცას საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს
2. რა მშვენიერია რა სასიამოვნოა
3. — ჩამობრძანდი მანქანიდან — შესძახეს ვანოს
4. — ყოჩაღ ყოჩაღ —ყვიროდნენ მეზობლები
5. მაშ გაუმარჯოს გაზაფხულს გაუმარჯოს გაზაფხულის მოსვლას
6. ბავშვები ყვიროდნენ: დეიდა ქეთო დეიდა ქეთო ეკა ჩამოვიდა
7. ჩვენთან მობრძანდი, რუსუდან
8. — ჰო, კარგი, გაჩუმდი – გულმოსულმა მიაძახა ქალმა
9. — ხალხო სმენა იყოს და გაგონება – დაიყვირა ელგუჯამ
10. მათს ბედნიერებას თუ მოვესწრები, მერე მე რა მიჭირს

სავარჯიშო N 278. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

1. ოხ ოხ რა ამინდია ლამის ცა ჩამოიქცეს
2. აბა ვახტანგ გაგვიძეხ
3. აუჰ რა თოფია, რა თოფი
4. ხალხო ასეთი რამ სად გაგონილა
5. — როგორ თუ არ წამოხვალ — გაცხარდა თამაზი
6. განა მას ჩემს მეტი დარდი არა აქვს
7. მომღერლობა ხომ არ დაგიწყია, ჩემო ანი
8. რა საშინელებაა უიმედობა
9. მზეო, ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა
10. ვაიმე ვაიმე მიშველეთ ვიღუპები

მრავალწერტილი

◈ *ცნობისათვის:*

მრავალწერტილი (...) დაისმის:

- როცა სათქმელი დაუმთავრებელია, შეწყვეტილ-დაყოვნებულია, ნაწილ-ნაწილ წარმოითქმის. ძირითადი მიზეზი ამისა არის მთქმელის მძიმე სულიერი მდგომარეობა, ავადმყოფობა, ულონობა, გრძნობათა სიჭარბე, შეგნებულად აზრის არ დამთავრება;
- როცა ციტატა არასრულია;
- მრავალწერტილით აღინიშნება შეფერხება ენის მოკიდებისას, ბორძიკისას.

☞ *გახსოვდეთ!* მრავალწერტილით აღინიშნება არასრული ციტატა, როცა მას დედანთან შედარებით აკლია თავი, ბოლო ან შუა ნაწილი.

☑ ზოგჯერ მრავალწერტილი გამოიყენება ტექნიკურ ნიშნად და იხმარება სახელებსა და გვარებში გამოტოვებული ასოების ნაცვლად, როცა ავტორს არ სურს დაასახელოს ადრესატის ვინაობა. *მაგალითად: ნ. ბარათაშვილის ერთ-ერთ ლექსს სათაურად აქვს „თავად ა. ჭ...ძის ასულს ეკ...ნას“ („თავად ალექსანდრე ჭავჭავძის ასულს ეკატერინას“).*

სავარჯიშო N 279. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

1. — თქვენ თქვენ აქ რა გინდათ ვინ ბრძანდებით
2. — უკაცრავად, მე მე — ხმა ჩაუწყდა ბიჭს — ველარ მიცანით
3. — დედდა მ მოდი — დაიძახა დაბნეულმა ყმაწვილმა
4. — მერე რა მოხდება — იკითხა მარომ
5. — მერე მერე ჩვენ — ველარ დაამთავრა სიტყვა ბიჭმა.
6. ავადმყოფმა თვალი გაახილა. „ წყ წყალი “ — თქვა და თვალი დახუჭა
7. — არ გაბედო, თორემ — აკივლდა ქალი.
8. — გამ გამარჯობა, ჯაყო
   — ნათლია კნიაზს ვახლავარ

9. —კაცო, სადა ხარ სად და დაიკარგე
10. —კი წამოგყვებოდი, მაგრამ — საცოდავად ჩაილაპარაკა პეტრემ

სავარჯიშო N 280. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

1. ილია ჭავჭავაძე წერდა: „ჩემო კალამო რად გვინდა ტაში “
2. პოემის დასაწყისში ვაჟა ბუნების სურათს აღწერს: „დღემ დაიხურა პირბადე “
3. — ქალო როგორ გიკითხო ხომ მშვიდობით ბრძანდები — მოიკითხა ქალი ოთარაანთ ქვრივმა და სკამზე ჩამოჯდა

— ვართ შენის ლოცვითა და კურთხ

— მე ჩემთვისაც არა ვლოცულობ, ღმერთი არ შევაწუხო-მეთქი და თქვენთვის სად ვილოცებდი — უთხრა მკვახედ ოთარაანთ ქვრივმა და სიტყვა მოუჭრა

4. „მტკი “ — თქვა ვარსქენისაგან შეშინებულმა დიაკონმა
5. პატარა ნუცა ფეხზე წამოდგა და ხმამაღლა დაიწყო: „ყაყაჩოსა სიწითლითა “

მძიმე

მძიმე შერწყმულ წინადადებაში

მძიმე უკავშირო შერწყმულ წინადადებაში

> *დაიმახსოვრეთ!*
>
> **შერწყმული წინადადების ერთგვაროვანი წევრები სინტაქსურად მათთან დაკავშირებულ სიტყვასთან ერთად ერთმანეთისაგან გამოიყოფა მძიმით, თუ მათ შესაერთებლად გამოყენებული არ არის კავშირები „და“, „თუ“, „ან“** *(იგი ჩუმად იდგა და ხალხს ათვალიერებდა; ნაცვალი თუ იასული მის ეზოში ვერ გაიჭაჭანებდნენ; ის მეზობლებთან ან მეგობრებთან ერთობოდა).*

ეროვნული ბიბლიოთეკა

☞ *გახსოვდეთ!*

მძიმე დაისმის შერწყმულ წინადადებაში, როცა გვაქვს:

- **რამდენიმე შემასმენელი ერთ ქვემდებარესთან:**
  ქალი წამოდგა, ყველას გაუღიმა და დაემშვიდობა.
- **რამდენიმე ქვემდებარე ერთ შემასმენელთან:**
  მინდორში უკვე აყვავდა ია, ენძელა და ყოჩივარდა.
- **რამდენიმე დამატება (პირდაპირი, ირიბი) ერთ შემასმენელთან:**
  დედამ ნინოს უყიდა ჩანთა, წიგნები, რვეულები და ფერადი ფანქრები;
  შვილას ევედრებოდა მიწას, მზეს, ხეს, ტყეს, ვარსკვლავებს.
- **რამდენიმე ერთი მნიშვნელობის უბრალო დამატება ერთ საერთო წევრთან:**
  იგი ფიქრობდა წარსულზე, აწმყოზე, მომავალზე.
- **რამდენიმე ერთი და იმავე შინაარსის გარემოება ერთ საერთო წევრთან:**
  მიდამო აყვავდა წითლად, ყვითლად, თეთრად.
- **რამდენიმე ერთნაირი განსაზღვრება საზღვრულ წევრთან.**
  ბავშვებს დაურიგეს წითელი, ყვითელი, ლურჯი და მწვანე ბურთები.

☑ **რამდენიმე ერთი და იმავე ფორმით გადმოცემული განსაზღვრება ერთგვარია, როცა ყოველი მათგანი უშუალოდ არის დაკავშირებული საზღვრულ წევრთან: მაგალითად:** *დედამ ნიკას წითელი, ყვითელი, ცისფერი და მწვანე ფანქრები უყიდა; ბნელი, მშვიდი და წყნარი სალამო იყო.*

☑ **რამდენიმე ერთი და იმავე ფორმით გადმოცემული განსაზღვრება არაერთგვარია, როცა ყოველი წინა განსაზღვრავს საზღვრულ წევრს მომდევნო განსაზღვრებიანად. არაერთგვარ განსაზღვრებებს შორის მძიმე არ დაისმის, მათ შორის „და“ კავშირი არ იხმარება მაგალითად:** *ბებიამ სოფოს შავი ტყავის ჩანთა აჩუქა; ია მშვენიერი პაწაწინა სურნელოვანი ყვავილია.*

☞ *გახსოვდეთ!*

- **„და“ ან „თუ“ კავშირით შეერთებული ერთგვარი წევრები ერთმანეთისაგან მძიმით არ გამოიყოფა:** *ქალი და კაცი სახლში შევიდნენ; ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა — ყველა აქ მოსულიყო.*
- **მძიმე დაისმის მაცალკევებელი კავშირების წინ, თუ მაკავშირებელი სიტყვა მეორდება** *(ამ საკითხს ან დეკანი გადაწყვეტს, ან დეკანის მოადგილე),* **მაგრამ თუ „ან“ კავშირი ერთხელ არის ნახმარი, ერთგვარ წევრებს შორის მძიმე არ დაისმის** *(ამ საკითხს გადაწყვეტს დეკანი ან დეკანის მოადგილე).*

სავარჯიშო N 281. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები, გაასწორეთ შეცდომები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. სტუდენტები მთელი დღე კითხულობენ წერენ სწავლობენ
2. მურია იღრინება ყეფს ტრიალებს
3. საღამოს დათო ადგა ოთახში შევიდა წიგნი აიღო და ბაღში გავიდა.
4. მარიამ კვიტაშვილმა კარგად იცოდა რუსული ინგლისური და გერმანული ენები
5. ამ ქალაქში ცხოვრობენ ქართველები რუსები სომხები თათრები
6. გლეხებს მოჰყავთ ხორბალი ქერი შვრია და სიმინდი
7. ავადმყოფები ბრმები დავრდომილები ტაძრის წინ იდგნენ და ლოცულობდნენ
8. სალომემ სახლი მორთო რბილი ტახტებით კარგი სკამებით სარკით
9. დაიტანჯა ტირილით კვნესით ოხვრით
10. ჰაერი დაიტვირთა ნესტით ბუღითა და მტვრით

სავარჯიშო N 282. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები, გაასწორეთ შეცდომები:

1. ოთახში სანთლების მკრთალი ნაზი ციმციმა შუქი აკიაფდა
2. გარეთ ნელი თბილი ჟუჟუნა წვიმა მოდიოდა
3. საუზმის სადილისა და ვახშმის დროს შევხვდებით ხოლმე
4. კეთილშობილი ჭკვიანი ერთგული ცხოველია ძაღლი
5. ტუჩებზე უცნაური გაურკვეველი და დამცინავი ღიმილი აუთამაშდა
6. სასტუმროებში ბარებში საკონცერტო დარბაზებში ტევა აღარ იყო
7. ეზოებში შუკებსა და ორღობეებში ძაღლები დარბოდნენ
8. ეტყობოდა, ობლად უდედოდ იყო გაზრდილი
9. ამაყად მრისხანედ მედგრად იდგა ის ქალი ჩემ წინაშე
10. წყნეთიდან კოჯრიდან ოქროყანიდან პანტიანიდან უამრავი მაწონი ჩამოჰქონდათ თბილისში

◈ *ცნობისათვის:*

➢ **მძიმე დაისმის:**

- **შერწყმული წინადადების ერთგვარი წევრების გამოსაყოფად მაჯგუფებელი კავშირის მნიშვნელობით გამოყენებული გაძლიერებითი „კიდეც“ ნაწილაკის წინ, თუ იგი გამეორებულია.**

ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს.

- **უკუთქმით წინადადებაში მაჯგუფებელ კავშირად გამოყენებული „ც(ა)“ ნაწილაკდართული უარყოფითი ნაწილაკების წინ, რომლებიც განმეორებულია: არც...არც, აღარც...აღარც, ველარც...ველარც, ნურც...ნურც.**

ეს არც ადამიანის, არც ცხოველის, არც მწერის ხმა არ არის.

- **მაჯგუფებელი კავშირების მნიშვნელობით გამოიყენება, აგრეთვე: როგორც...ისე, არა მარტო...არამედ, არა თუ... არამედ და სხვ. წყვილის მეორე ცალის წინ მძიმე დაისმის.**

როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდეს.

☑ **ზოგჯერ „არამედ” გამოტოვებულია. მძიმე ამ შემთხვევაშიც დაისმის.**

მზეთუნახავი კი არა, ანგელოზი იყო, ნამდვილი ანგელოზი.

➢ **მძიმე დაისმის მაცალკევებელი კავშირების (ხან...ხან, ან...ან, გინდ...გინდ, თუნდ...თუნდ) წინ, თუ მაკავშირებელი სიტყვა მეორდება.**

ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი, ხან არც ისა ვარ, არც ისა;
ან დედა დაგირეკავს, ან მამა გამოგივლის.

➢ **მძიმე დაისმის მაპირისპირებელი კავშირების (მაგრამ, ოღონდ, ხოლო, თუმცა, არ...არამედ, კი არ...არამედ) წინ.**

ბიჭები დაშოშმინდნენ, მაგრამ იმ ადგილს კი მაინც არ შორდებოდნენ..

➢ **მძიმე დაისმის განმეორებულ სიტყვებს შორის, როცა წინადადებაში სიტყვები ზედიზედ მეორდება.**

ხვალ შინ იქნება, უეჭველად იქნება!

➢ **მძიმე დაისმის შესადარებლად გამოყენებულ კავშირებთან „როგორც“, „თითქოს“, „ვიდრე“, როცა ისინი წინ უძღვიან შესადარებელ სიტყვას.**

წყალი ცივი იყო, როგორც ყინული.

სავარჯიშო N 283. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

1. იმ დღიდან ამაზე აღარც ვდარდობდი აღარც ვნაღვლობდი
2. ჩაფიქრდა გურამი ვერც წინ წავიდა ველარც უკან დაბრუნდა აღარ იცის რა ქნას

3. ნურც მკვდარს გამწირავ ნურც ცოცხალს
4. ეს ჭალარა კაცი ხან აქ ხან იქ გამოჩნდებოდა
5. კიდეც ვლხინობდი კიდეც ვმღეროდი
6. არა მარტო ჩემი ახლობლები არამედ ყველა მკაცრად გავაფრთხილე არ დაეგვიანებინათ
7. სეტყვას ვაზისთვის არა მარტო მტევნები არამედ ფოთლებიც დაუზიანებია
8. პატარა ელენეს ტალახით არა მარტო ფეხები ცხვირიც კი დასვროდა
9. უმცროს შვილს ხან ძალიან ვანებივრებდი ხან მკაცრად ველაპარაკებოდი
10. ღელავს ელენე ვეღარ ისვენებს ვეღარც დგება ვეღარც წვება

სავარჯიშო N 284. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

1. დათო ხან მზეს ხატავდა ხან ყვავილებს ხან ტანკებსა და მანქანებს
2. მოდი წავიდეთ ვნახოთ ან სიმართლეს გავარკვევთ ან იმას მაინც გავიგებთ ვის მივაკითხოთ
3. მომღერლებმა მიკროფონები მოიმარჯვეს მაგრამ თითქმის ცარიელი დარბაზის დანახვაზე ხასიათი გაუფუჭდათ
4. ჭკვიანი მაგრამ ცოტა ეშმაკიც იყო ჩვენი ვანო
5. მაისის თბილი მაგრამ წვიმიანი დღე ჩემში სევდას იწვევდა
6. ნინო პროფესორისათვის შეკითხვის დასმას აპირებდა მაგრამ ვერ გაბედა.
7. რაც გინდა მთხოვე ოღონდ მისი სახელი აღარ მიხსენო
8. ტვირთი ძალიან მსუბუქია თუმცა მოცულობით საკმაოდ დიდია
9. მისი დუმილი ქალს კი არ აწყნარებდა არამედ უფრო აფორიაქებდა
10. ნიკო ტანით დიდია თუმცა ასაკით პატარაა

სავარჯიშო N 285. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ასე უზრუნველად უდარდელად ცხოვრობდნენ სტუდენტები მთელი სემესტრის განმავლობაში და ვერც გრძნობდნენ, რამდენი საქმე დაუგროვდათ.
2. რამდენჯერ მომნატრებია, ჩემო ქალაქო, შენი პატარა მოკირწყლული ქუჩები ჩუქურთმიანი აივნები წითელი კრამიტით დახურული სახლები
3. ყოველ გლეხს ოჯახში უხვად ჰქონდა მატყლი და ძაფი მახათი და ნემსები ხორბალი და პური ღვინო და სიმინდი
4. სუფრაზე ეწყო სველი დოქი შოთები მწნილი კიტრი და ყველი
5. კახა ხან თავდაუზოგავად შრომობდა ხან მეგობრებთან მიიჩქაროდა გასართობად
6. სიცხიანი ბავშვი ვერ წყნარდებოდა ჭირვეულობდა ტიროდა
7. ახლაც თვალწინ მიდგას მისი დამჭკნარი დაღარული დანაოჭებული მაგრამ საოცრად კეთილი სახე
8. გინდ რეგვენისთვის გისწავლებია გინდ მკვდრისთვის გიწამლია
9. გიორგი ხან დედას შეხედავდა ხან მამას
10. წავიდეთ ვნახოთ ან მკვდარს ვიპოვით ან ცოცხალს

სავარჯიშო N 286. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

1. ბავშვები მთის ფერდობს ნელ-ნელა უდარდელად სიცილ-კისკისით შეუყვნენ
2. მასწავლებელი ჩამორჩენილ მოსწავლეს ხან უჯავრდებოდა ხან ეფერებოდა ხან ამხნევებდა

3. ჩანთა სავსე ჰქონდა სხვადასხვა ნივთით: კალმებით წიგნებით რვეულებით რაღაც ფურცლებითა და უცნაური ნახატებით
4. ვერც მგელი შემაშინებს ვერც - ტურა
5. ადგა ამხედრდა მელია ულვაშს გადისო ხელია კუდზე ეჟვანი შეიბა ხმლით დაიმშვენა წელია
6. ოდესღაც თქვენც ხომ ჩემს სკოლაში სწავლობდით ჩემს საყვარელ სკოლაში
7. ქალი ლამაზი იყო საოცრად ლამაზი
8. ცხელა ცხელა ჩემს ოთახში ისე ცხელა როგორც უდაბნოში
9. რა ეშველება ახლა მარტო სულ მარტო დარჩა
10. დაწყნარდი, გენაცვალე, დამშვიდდი და ისე მიპასუხე

სავარჯიშო N 287. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

1. დიდხანს ძალიან დიდხანს მჯეროდა, რომ თოვლის ბაბუა არსებობდა
2. მომწონს უზომოდ მომწონს ირაკლი ფარჯიანის ნახატები
3. ახალგაზრდები ისე უყურებდნენ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილ 80 წლის მოხუცს როგორც საოცრებას
4. წვიმა როგორც სქელი ფარდა ისე ჩამოეფარა ჩემს ფანჯარას
5. როგორც გამოცდილი და ფრთხილი კაცი ზაზა ადრიანად შეუდგა თადარიგს
6. გალმიდან თითქოს ათასი კაცი ერთად აყვირდაო ხმაური გაისმა
7. თითქოს გულში ვიღაცას უჯავრდებაო რაღაცას გაურკვევლად ბუტბუტებდა.
8. მშვენიერი წყარო ცივი როგორც ყინული და წმინდა როგორც ბროლი გადმოჩუხჩუხებდა იქვე
9. როგორც შაჰის ლაშქარი ისე შემოხვეოდა ხალხი უცნობ ბიჭს
10. ამას ვერასდროს ვერასდროს შევეგუები

მძიმე განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

◈ცნობისათვის:

- წინადადების წევრი ზოგჯერ შეიძლება პაუზით გამოეყოს მეზობელ სიტყვებს და განცალკევებით დადგეს. ამ მოვლენას განკერძოება ჰქვია, ხოლო თვით წევრს — განკერძოებული. გარდა განკერძოებული წევრებისა, გვაქვს ისეთი სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც განცალკევებით დგანან, მაგრამ წინადადების წევრის განკერძოებას არ წარმოადგენენ.

- განკერძოებული სიტყვები და გამოთქმებია: განკერძოებული განსაზღვრება, განკერძოებული გარემოება, დანართი, მიმართვა, ჩართული, მიგებითი ნაწილაკები და შორისდებული.

მძიმე განკერძოებულ განსაზღვრებასთან

◈ცნობისათვის:

- წინადადების წევრს, რომელიც ახლავს არსებით სახელს და საგანს რაიმე ნიშნის მიხედვით ახასიათებს, განსაზღვრება ჰქვია *(გაზაფხულის მზიანი და თბილი დღე იყო).*

- განკერძოებული განსაზღვრება წინადადებაში თავისი საზღვრული წევრისაგან ინტონაციითა და პაუზით გამოიყოფა. ჩვეულებრივი განსაზღვრებისაგან განსხვავებით მას ახასიათებს უფრო მეტი აზრობრივი დამოუკიდებლობა და გამომსახველობითი ძალა, იძლევა დამატებით ცნობას არსებითი სახელით ან გაარსებითებული სახელით გადმოცემული წევრის შესახებ *(გაზაფხულის დღე იყო, მზიანი, თბილი).*

- *განკერძოებული განსაზღვრება უმთავრესად საზღვრული წევრის შემდეგაა, მაგრამ იშვიათად უსწრებს მას.*

☞ *გახსოვდეთ!*

- განკერძოებული განსაზღვრება თავისი მომყოლი სიტყვებითურთ გამოიყოფა მძიმით (როცა წინადადების თავში ან ბოლოშია) ან მძიმეებით (როცა წინადადების შუაშია).

მდინარესთან მალალი ალვის ხე იდგა, ცისკენ ტოტებაწვდილი;

ნუნუმ, ჩემკენ დინჯად მომავალმა, გულღიად გამიღიმა.

☑ **იშვიათად განკერძოებულ განსაზღვრებასთან შეიძლება დაისვას ორწერტილი ან ტირე (*გიორგი კარგი ყმაწვილია: წესიერი, განათლებული; დღეს ახალი ამბავი გავიგე — სასიამოვნო და საგულისხმო*).**

სავარჯიშო N 288. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

1. უცხოეთში მცხოვრები ქართველი სტუდენტები შრომისმოყვარე და კეთილსინდისიერი ახალგაზრდები ოცნებობდნენ სამშობლოში დაბრუნებაზე.
2. მანანა თავიდან ფეხებამდე დასველებული ოთახში სიცილით შემოვიდა
3. ამ პატარა გოგონამ გასაოცარი ნიჭის მქონემ უკვე რამდენ რამეს მიაღწია
4. ზურაბი გარინდებული ხმას არ იღებდა
5. დედამისმა ადრე დაქვრივებულმა მარტოხელა ქალმა დიდი წვალებით გამოზარდა სოსო
6. სკოლის დირექტორი აღელვებული მოსწავლეთა ამგვარი ქცევით მშობელთა კრების მოწვევას აპირებდა
7. პეტრე ბეჯითი ბიჭი იყო დაუზარელი
8. ჩემთან ერთად იმგზავრა ჭალარა ქალბატონმა დარბაისელმა და ცხოვრებით დაბრძენებულმა
9. ზვიადმა მთებმა ცად ამაყად აზიდულებმა ჯანღი გადაიყარეს
10. „მალლა ფოთლებში ელვარებს ვაშლი სისხლივით წითელი
    მას აქეთ იქით აქანებს სიო საამო და ნელი“

სავარჯიშო N 289. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

1. წამოსულს მამის სახლიდან ნანულის აღარსად დაედგომებოდა
2. დახვეწილი ხალხი ყოფილა განათლებული და ბრძენი

3. გოგის ფიქრებში წასულს გასროლის ხმა არც გაუგია
4. მშვენიერი დილა გათენდა თბილი მზიანი
5. შინ მისულს დაღლილ-დაქანცულს სავარძელში ჩასძინებოდა
6. დედამისი დიდად განათლებული ადამიანი მეტად განიცდიდა შვილის უწიგნურობას
7. გურამს მშვენიერი ცოლი ჰყავს ტანადი ცისფერთვალება
8. როგორც გამოცდილ მთასვლელს რჩევას ყველა თამაზს ეკითხებოდა
9. მე გახარებული და ბედნიერი შვილთან შესახვედრად გავრბოდი
10. ონისეს როგორც მარტო ერთ რამეზე დაფიქრებულს სხვა ვერა წარმოედგინა რა

სავარჯიშო N 290. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

1. ყველა გონიერი კაცი თუნდაც უწიგნურიც ზოგჯერ მწიგნობრისთვისაც კი ოსტატია
2. სოფელსაც აქვს თავისი დარდი ოღონდ უფრო ღრმა და დაფარული
3. ბოროტი იყო რუქა თუმცა ჭკვიანი
4. ნიკა ისედაც ჭკუამხიარული უფრო გახალისდა
5. აქ თავდება ჩემი ბავშვობის პირველი ხანა ბედნიერი ნაყოფიერი და დაუვიწყარი
6. ცხენოსნები რიცხვით ოცდახუთამდე თანდათან უახლოვდებოდნენ სოფელს
7. შორს გამოჩნდა ქალი ახლად შეღერებული თამამად მომავალი და ლეკურად ჩაცმული
8. პირველი ორატორი წინა რიგში მჯდომი ხან დარბაზს გადახედავდა ხან ისევ სიტყვას ითხოვდა
9. ალნაგობით ალვის ხეს ჰგავდა მაღალი თხელი ტანკენარი
10. დედამისმა შავებში ჩაცმულმა სანდომიანმა ქალმა თავაზიანად დამიკრა თავი

სავარჯიშო N 291. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. სტუმარი სიცივით გათოშილი ცეცხლს ეფიცხებოდა
2. თენგიზი ყველგან დაეძებდა თავის ფრანგ მეგობარს ამ ქალაქში პირველად ჩამოსულს
3. მაიას ლამაზი კაბა ეცვა დედის მოქარგული
4. ის იყო ხალხი იშლებოდა, რომ დარბაზში შემოვიდა კონკურსში გამარჯვებული ანა ბედნიერი და მომღიმარი
5. ერთი ქალი შავთვალება და ყელმოღერებული ყველას ეკამათებოდა.
6. გასაოცარი რომანი გამოსცა საინტერესო მაღალმხატვრული და შინაარსიანი
7. ნამდვილი ფერია გახდა ნაზი და ჰაეროვანი
8. ჩემს სოფელს დიდი მინდვრები აკრავს თვალუწვდენელი
9. მომხიბლავი ქალია დიანა მშვენიერი
10. ერთმა პიროვნებამ დიდი გავლენის მქონე კაცმა ხელი შეუშალა პაატას საქმე ბოლომდე მიეყვანა

სავარჯიშო N 292. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

1. შოთა მამამისივით უცნაურია სიტყვაძვირი ჯმუხი
2. მოსამართლემ კოპებშეკრულმა ხმამაღლა და გამოთქმით წაიკითხა განაჩენი
3. ვახტანგს ამის გამგონეს თვალზე ცრემლი მოადგა
4. ვეცოდებოდი იმასაც იმ ცხონებულსაც.
5. ეს თქვენ უნდა გადაწყვიტოთ მარტო სხვების დაუხმარებლად
6. ქალი ფანჯარასთან იდგა გაღიმებული ალერსიანი
7. ის კი მაღალი და მოხდენილი ამაყად მიუყვებოდა მელიქიშვილის ქუჩას
8. მთელ ეზოში ისმოდა ნინიკოს ერეკლეს უმცროსი დის ტირილი
9. ბექას სახლი ან უკეთ რომ ვთქვათ სასახლე ქალაქის ცენტრში იდგა
10. პატარა ელენეს საჩუქრად წიგნი ვუყიდე ნახატებიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

◈ *ცნობისათვის:* დანართი სახელით გადმოცემული წინადადების რომელიმე წევრის შესახებ დამატებითი ცნობის შემცველი სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფია, რომელიც მისამართ წევრთან შეერთებულია პაუზით ან საგანგებო საკავშირებელი სიტყვით. მაგალითად: *ჩვენ, ბავშვებს, ეს ძალიან გვაბარებდა; ჩემი მეგობარი, სახელად ირაკლი, მსოფლიო ჩემპიონია ჭიდაობაში).*

☞ *დაიმახსოვრეთ!*

- დანართი წინადადებაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს გაუვრცობლად (ე.ი. ცალკე ერთეულად).

  ისინი ჩემს უფროს ძმას, ვანოს, უმზერდნენ.

- უპირატესად დანართი გავრცობილია მომყოლი სიტყვებით ან სიტყვით.

  კართან დავინახეთ ქალი, გიორგის დედა.

- ასახსნელ-განსამარტავ წევრებთან დანართის დასაკავშირებლად გამოყენებულია, როგორც საკუთრივ კავშირები (მაიგივებელი), ისე კავშირის ფუნქციით გამოყენებული სიტყვები და ნაწილაკები: ესე იგი (ე.ი.), ანუ, თუნდაც, როგორც, განსაკუთრებით, სახელდობრ, მაგალითად, ვთქვათ, უმთავრესად, კი, მეტადრე, ისიც, ც, სიგრძით, სპეციალობით, წოდებით, სახელად, მეტსახელად, გვარად, ტომით, მოდგმით, წარმოშობით, ეროვნებით და მისთ.

  ეს დიდად ახდენდა გავლენას ხალხის ზნეობაზე, ე.ი. მორალზე.

☞ არ დაგავიწყდეთ, რომ დანართი ცალკე თუ თავისი მიმყოლი სიტყვებით წინადადებისაგან გამოიყოფა მძიმეებით (როცა შუაშია), მძიმით (როცა თავშია ან ბოლოში).

☑ ზოგჯერ უკავშირო დანართი ტირეთი ან ფრჩხილებით გამოიყოფა.

ჩემი მეგობრები — ნინო რუხაძე და ლელა ნიჟარაძე — გუშინ ქორწილში წავიდნენ.

სავარჯიშო N 293. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

1. შენს მშობლებს მიხეილსა და სალომეს მთელი სოფელი დიდ პატივს სცემს
2. ამ სტატიას შენს დეიდაშვილს ირინეს ვათარგმნინებ
3. თქვენ ახალგაზრდებმა არ იცით დროის ფასი

4. ჩემი მეგობარი ნანა ყოველთვის მზად არის დახმარება გამიწიოს
5. მარინეს დედამთილმა სოფიომ მშვენიერი მასპინძლობა გაგვიწია
6. მარჯვნივ თბილისის ულამაზესი უბანია სოლოლაკი
7. თქვენ მეცნიერები ყველანი ერთმანეთს ჰგავხართ სულ წიგნებში იქექებით
8. მე ელიზბარს ამისი დაჯერება არ მინდოდა
9. ჩვენ ექიმებმა არ უნდა დავუშვათ ამ დაავადების ქალაქში გავრცელება
10. თორნიკე ჩემი უფროსი ძმა უნივერსიტეტში სწავლობს

სავარჯიშო N 294. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

1. იქვე იდგა ლევან ჩხეიძე შესანიშნავი ადამიანი და სწავლული
2. ამ ახალ წამლებს ვერაფერი გავუგე ამბობდა დავითი მოხუცი ექიმი
3. ნონა ახალბედა სტუდენტი მორცხვად იღიმებოდა და აუდიტორიას ეძებდა
4. ნაბდიანი კაცი გუგუა ფიჩიტაური იყო სასიძო
5. თითოეული სტუმარი ანუ წვეული ვალდებულია თემის ადათ-წესები დაიცვას
6. ჩემმა მეზობელმა ივანემ ბუნებით კეთილმა კაცმა ბევრი სასარგებლო რჩევა მომცა
7. მისი უფროსი შვილი ათი წლის ირაკლი წიგნს კითხულობდა
8. თავად მოსე გძელაძეს დიდად პატივცემულ ადამიანსა და კარგი გვარის შვილს ერთი გასათხოვარი ქალი ჰყავდა
9. ჭიშკართან დავინახე ხანში შესული კაცი ნიკოს მამა
10. ყვავილები ყველას უყვარს განსაკუთრებით ქალებს

სავარჯიშო N 295. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

1. საქართველოს მინერალური წყლები მაგალითად „ბორჯომი“ და „ნაბელლავი“ საქვეყნოდ არის ცნობილი

2. ვთქვათ დღეს გადარჩი ხვალ რას აპირებ
3. ჩვენი ქუჩის აღმართი სიგრძით ხუთასი მეტრი ძლივს ავიარეთ
4. დედამისი ენერგიული და მოუსვენარი ქალი მუდამ თან დაჰყვებოდა
5. ეს ბიჭი მეტსახელად „ჭკუისკოლოფა“ ყველას ძალიან უყვარდა
6. სალომეს როგორც დიდოსტატსა და ჩემპიონს ყველა სიყვარულითა და პატივისცემით ხვდებოდა
7. აპრილის მშვენიერი დილა იყო აღდგომის მეორე დღე
8. როგორც ბრძენი ადამიანი თემური ჯერ კოლეგებს მოეთათბირა და გადაწყვეტილება მერე მიიღო
9. ეს ამბავი ბებიაშენს არ უამბო ერისთავის ქალს
10. მათი ნათესავი სახელდობრ მანანა უნდა გაგვესეირნებინა

☞ *დაიმახსოვრეთ!*

- **დანართს ამხსნელ-დამაზუსტებლად შეიძლება მოსდევდეს სხვა დანართი ან დანართები. ყოველი მათგანი ერთმანეთისაგან მძიმით გამოიყოფა.**

  ახლახა გამახსენდა შალვა, ჩემი ტოლი, მეგობარი, სტუდენტი, შალვა მურვანიძე.

- **დანართი იშვიათად მისამართი წევრის გამეორებაა, ოღონდ იგი, როგორც წესი, გავრცობილია სხვა სიტყვებით.**

  კედელზე ვხატავდი სურათებს, უმთავრესად მწყემსების სურათებს.

სავარჯიშო N 296. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

1. ჩვენს ახალგაზრდა თანამშრომელს ჩემს უახლოეს მეგობარს დიდი მადლობა უთხრეს გაწეული შრომისათვის
2. ქუთაისელ მანანას მაია ნაკაშიძის ბიძაშვილს პეტრე კობახიძის ნათლულს თბილისში საცხოვრებლად გადმოსვლა გადაუწყვეტია
3. მათ მფარველობდა მეფის ძმისწული დიდი მთავარი ნიკოლოზი

4. დღეს შემთხვევით შევხვდი ერთ ჩემს ძველ ნაცნობს სვანს გვარად მარგიანს რომელმაც მესტიაში დამპატიჟა

5. წმინდა გიორგის ხატი კი აი ეს ხატი ახლა თქვენ რომ უყურებთ რამდენიმე არაკაცმა სვანეთის ერთი ეკლესიიდან მოიპარა

6. მარიამი ათი წლის მარიამი ზეპირად უშეცდომოდ ყვებოდა ავთანდილის ანდერძს

7. ამ სახლს ბაბუაჩემის აშენებულ დიდ სახლს სიყვარულით იმერულ სასახლეს ვეძახდით

8. თუთიყუში ჩემი საყვარელი თუთიყუში უგზო-უკვლოდ დაიკარგა

9. მთელი ცხოვრება მიხმობდა პარიზი ჩემი ოცნების ქალაქი

10. ეს იყო ბრეგაძეების უმცროსი ძმა სერაპიონი

მძიმე განკერძოებულ გარემოებასთან

◈ცნობისათვის: გარემოება ჰქვია წინადადების წევრს, რომელიც ზმნას ახლავს და გვიჩვენებს თუ სად, როდის, როგორ, რატომ ან რისთვის ხდება მოქმედება.

ზოგჯერ ერთ გარემოებას ახლავს მასთან აზრობრივად დაკავშირებული სხვა გარემოება, რომელიც ხსნის და აზუსტებს მას. ასეთ გარემოებას განკერძოებული გარემოება ჰქვია.

აქ, ქალაქის ამ უბანში, ყოველთვის ბევრი ხალხი ირევა;

გუშინ, სამ საათზე, მე და ნინო ერთმანეთს შევხვდით.

ქართულში ფართოდაა გავრცელებული ადგილის, დროის და ვითარების გარემოებათა განკერძოების შემთხვევები, იშვიათია მიზეზისა და მიზნის გარემოებათა განკერძოება.

☞ *გახსოვდეთ!*

განკერძოებული გარემოება წინადადებაში მძიმეებით გამოიყოფა.

სავარჯიშო N 297. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

1. მთის მწვერვალზე ცის მახლობლად მერცხლის ბუდედ რალაც მოჩანს.
2. იქ იმ ოთახში მარტო გოგონები ისხდნენ.
3. გზის იქით ბექობზე ნაძვნარის გვერდით კოხტა სასტუმრო აუშენებიათ
4. წინათ აქ ირგვლივ ყველგან გაუვალი ტყე იყო
5. ეტყობა, აქ ქობულეთში თბილისთან შედარებით სინესტეა
6. იქით გზის გასწვრივ ფერდობზე ალუბლის ხეები ყვაოდა
7. გუშინ საღამოს რვა საათზე ინგლისიდან დიდი ხნის უნახავმა მეგობარმა დამირეკა
8. ერთხელ ღამით ძალიან გვიან როცა ყველაფერი უკვე დავიწყებული მქონდა ლევანი მეწვია და ისევ ამაფორიაქა
9. მეც თქვენსავით მთიელი ვარ კავკასიიდან
10. წელს პირველად ვნახე ამხელა მთები აქ ყაზბეგში

სავარჯიშო N 298. დასვით სასვენი ნიშნები:

1. საღამოობით შებინდებისას ერთად ვიკრიბებოდით და საჭირბოროტო საკითხებზე ვმსჯელობდით
2. ერთხელ ნასადილევს სანამ საბანაოდ ჩავიდოდით გაწვიმდა
3. ჩვიდმეტ თებერვალს ხუთშაბათს საღამოს ცხრა საათზე გაბადრული მომადგა ეკა და ახალი ამბავი მახარა
4. მიხეილმა თავისებურად მამაშვილურად დაარიგა ლევანი და ისე გაუშვა შინ
5. დღედაღამ შრომობდა ფუსფუსებდა ჭიანჭველასავით
6. შეუპოვრად ებრძოდა გიორგი მტერს უშიშრად ვაჟკაცურად
7. მიხარია, რომ ძალიან მხიარულად ცხოვრობთ ახალგაზრდებო ლაღად უზრუნველად

8. ავადმყოფმა ისევ დაიწყო საუბარი თუმცა სუსტად არათანაბრად
9. მხნედ იყავით ყოჩაღად უშიშრად ვაჟკაცურად
10. ისე სხვათა შორის არც მე მაწყენდა დასვენება და ევროპაში გასეირნება

მძიმე "გარდა" და "მიუხედავად" თანდებულიან სახელებთან

> ☞ *გახსოვდეთ!*
>
> - მძიმით (მძიმეებით) გამოიყოფა სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმაზე დართული **გარდა და მიუხედავად** თანდებულიანი გამოთქმები. *მაგალითად: ყველამ ვიცით, ზოგის გარდა; ბებოს, ჩემ გარდა, კიდევ ცხრა შვილიშვილი ჰყავდა; მიუხედავად ამისა, იგი ოჯახის დიდი მოსიყვარულე იყო.*
> - განკერძოებულია აგრეთვე გამოთქმები: **პირველ ყოვლისა, უწინარეს ყოვლისა, უპირველესად ყოვლისა.**

სავარჯიშო N 299. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

1. მაღაზიაში გამყიდველის გარდა არავინ იყო
2. ახალგაზრდას გარდა განათლებისა ცხოვრებაში სწორ გზაზე ვერაფერი დააყენებს
3. ყველა პირველკურსელმა გარდა ერთისა წარმატებით ჩააბარა გამოცდა
4. იმისი სატკივარი შვილის მეტს არავის ესმოდა
5. დავითს წიგნების გარდა სხვა სიმდიდრე არ ჰქონდა
6. მიუხედავად იმისა რომ დაბერდა მედეა მაინც შეუდარებლად ლამაზი იყო
7. მიუხედავად სიბნელისა შეშინებული ნინო შუქს მაინც არ ანთებდა
8. ოჯახის წევრები მოსეს გამოკლებით მხარს ლამარას უჭერდნენ
9. ჩემო ნოშრევან, მიუხედვად ყველაფრისა მე ისევ მიყვარხარ და მენატრები
10. უპირველეს ყოვლისა მინდა ჯანმრთელობა გისურვოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

◈**ცნობისათვის:** ჩართული ჰქვია სიტყვებს, სიტყვათშეერთებებს და წინადადებებს, რომლებიც გამოხატავენ მოუბარის დამოკიდებულებას ძირითადი წინადადებების მნიშვნელობასთან, იძლევიან გამონათქვამის საერთო შეფასებას, მიუთითებენ აზრის წყაროზე და ა.შ.

ჩართული არ წარმოადგენს წინადადების წევრს, არ დაესმის კითხვა, ვერ ამყარებს გრამატიკულ კავშირს წინადადების წევრებთან.

ჩართული გვხვდება წინადადების თავში, ბოლოში, შუაში. გამოიყოფა მძიმით, როცა წინადადების თავშია ან ბოლოში, და მძიმეებით, როცა წინადადების შუაშია მოქცეული.

- **ჩართული გვიჩვენებს, რომ მთქმელი დარწმუნებულია გამოთქმული აზრის ჭეშმარიტებაში:** *რასაკვირველია, რა თქმა უნდა, ცხადია, მართლაც, ტყუილია, მახსოვს, მე რომ მკითხოთ, არც მეტი, არც ნაკლები, ბოლოს და ბოლოს...*
- **აზრი მიჩნეულია საეჭვოდ, სათუოდ, გამოთქმულია მთქმელის ვარაუდი:** *მგონი, ჩანს, ალბათ, ცოტა არ იყოს, თუ არ ვცდები, ვინ იცის, ასე თუ ისე, ერთიც ვნახოთ, ვფიქრობ...*
- **ხდება რაიმე ფაქტის შეფასება, განზოგადება:** *ჩვეულებრივ, როგორც წესი, როგორც ვიცით, საზოგადოდ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, საერთოდ...*
- **გამოხატავს მთქმელის მიერ გამოთქმული აზრის შეფასებას:** *საბედნიეროდ, ბედად, რალაც ეშმაკად, ღვთით, ჩემდა ბედად, რა ვქნა, მტრისას...*
- **მითითებულია აზრის წყარო:** *ჩემი აზრით, რომ იტყვიან, ამბობენ, როგორც ძველად ამბობდნენ, მისი წარმოდგენით, გაზეთების ცნობით...*
- **უჩვენებს მთქმელის დამოკიდებულებას სტილისადმი:** *უფრო სწორად რომ ვთქვათ, ასე ვთქვათ, უფრო სწორად. . .*
- **მიემართება თანამოსაუბრეს, იპყრობს მის ყურადღებას:** *ნუ გაგიკვირდებათ, თუ გნებავთ, როგორც გეტყობათ, ასე გასინჯეთ, შენ ხარ ჩემი ბატონი . . .*
- **ჩართული სიტყვები და გამოთქმები გამოყენებულია აზრის ლოგიკური თანმიმდევრობით დასალაგებლად ან გვიჩვენებს დამოკიდებულებას წინ გამოთქმულ აზრთან:** *ჯერ ერთი... მეორე, თანაც, ერთი მხრივ — მეორე მხრივ, პირველი..., მეორე..., ერთი სიტყვით, ამგვარად, ამრიგად, როგორც მოგახსენეთ, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, მოკლედ, მით უმეტეს, მაგალითად, პირიქით, სხვათა შორის., სამაგიეროდ...*

- **ჩართულია საალერსო სიტყვები და გამოთქმები, ზოგიერთი ფიცის ფორმულა, რომელებიც შორისდებულის მნიშვნელობის მქონედ მიიჩნევა:** *შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, შენი კვნესამე, გეთაყვა, დედაშვილობამ, ძმობამ, შვილოსა, ღმერთმანი, ჩემმა მზემ, გეფიცები და სხვ.*

- ***ჩართულის ფუნქციის შესრულება შეუძლია მრავალსიტყვიან წინადადებასაც. ამ შემთხვევაში ის შეიძლება ტირეებით გამოიყოს ან ჩაისვას ფრჩხილებში*** *(უკვე წელიწადზე მეტია, ნიკო —ასე ეძახდნენ მეზობლის ბიჭს — გერმანიაში იყო წასული და მისგან არაფერი ისმოდა).*

სავარჯიშო N 300. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

1. ეს მართლაც სამწუხარო ამბავი იყო
2. ერთი სიტყვით ამას უკვე აღარაფერი ეშველება
3. ასეთი იყო არჩევნების ჩატარების ასე ვთქვათ ევროპული მოდელი
4. მარიამი ცოტა არ იყოს გამხდარი მეჩვენა
5. რაღაც გულგრილი თუ გნებავთ უპასუხისმგებლო იყო ჩვენი ციცინოს ბოლო გამოსვლა
6. როგორც ამბობენ ბილეთი დაახლოებით ათასმა კაცმა შეიძინა
7. მისი ვარაუდით ზაფხულში სულ ცოტა 500 ლარი ექნებოდა
8. რა თქმა უნდა მე მისი წაყვანა სამწუხაროდ აღარ მინდა
9. რასაკვირველია მე მოვითხოვ ყველა წიგნი ფაქიზად სათუთად შეინახოთ
10. ვფიქრობ ამისი გაკეთება თქვენთვის პირველკურსელებისათვის ძნელი არ იქნება

სავარჯიშო N 301. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

1. როგორც გეტყობათ ჩვენს ქალაქში თბილისში პირველად ხართ
2. ბედად წვიმამაც გადაიღო
3. დეიდა სხვათა შორის ხაჭაპურით ხინკლითა და ლიმონათით გაგვიმასპინძლდა

4. მას უძილობა აღარ აწუხებს პირიქით კარგად სძინავს
5. ამ ქალს ეტყობა იქ სოფელში არავინ ელოდა
6. მე შენ გეტყვი ხელფასი გვაქვს ნორმალური
7. დავითი ჩოგბურთს კარგად თამაშობს სამაგიეროდ ფეხბურთში მოიკოჭლებს
8. ეს ამბავი როგორც თვითონ მიხვდებით ხალხმა გვიან მხოლოდ გუშინ გაიგო
9. დრო თურმე საუკეთესო მკურნალია
10. თუ გიყვარდე არ მიმატოვო შენი ჭირიმე

მძიმე მიმართვასთან

◈**ცნობისათვის:** მიმართვა ჰქვია წინადადების გარეთ მდგომ ან მის შემადგენლობაში შემავალ, მაგრამ წინადადების წევრებთან გრამატიკულად დაუკავშირებელ სიტყვას, რომელიც ასახელებს მას, ვისკენაც არის მიმართული საუბარი. მაგალითად: *იჩქარეთ, ყმაწვილებო, სკოლაში გაგვიანდებათ!*

☞**დაიმახსოვრეთ!** მიმართვა წოდებით ბრუნვაში დასმული სახელია. ის შეიძლება იდგეს წინადადების თავში, შუაში, ბოლოში.

- წინადადების თავში მოქცეული მიმართვის შემდეგ იწერება მძიმე, თუ იგი დიდი გრძნობით არ არის წარმოთქმული. მაგალითად: *კაცო, სად არის გელა?*
- თუ მიმართვა დიდი გრძნობით არის წარმოთქმული, მაშინ ძახილის ნიშანი იწერება. მაგალითად: *მეგობრებო! ნუ შეშინდებით!*
- წინადადების შუაში მოქცეული მიმართვა მძიმეებით გამოიყოფა. მაგალითად: *თქვენ წინაშე, ბატონო გენერალო, ბოდიშს ვიხდი.*
- თუ წინადადება მიმართვით მთავრდება, მის წინ მძიმე იწერება, ბოლოში კი — წინადადების შესატყვისი ნიშანი. მაგალითად: *არ მოდიხარ, ნანა?*

სავარჯიშო N 302. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

1. ბავშვებო თქვენ გაიხარეთ როგორ დამეხმარეთ
2. მაპატიე მშვენიერო ქალიშვილო სად გაირუჯე ასე ლამაზად
3. ვაი შენს დამკარგავს ჩემო პეტრე
4. წავიდეთ ბატონო მინისტრო ვფიქრობ, პრესკონფერენცია უკვე დაიწყო
5. რა დაგემართა შე კაცო გამაგრდი ასე როგორ შეიძლება
6. წადი შვილო წადი ღმერთმა ხელი მოგიმართოს
7. ფრთხილად ანა ფრთხილად იყავი
8. დამშვიდდით ქალბატონო დაწყნარდით ნუ ღელავთ
9. ვაგლახ შენ არსენა ოძელაშვილო
10. მადლობელი ვარ ჩემო ძვირფასო მეგობრებო ყველაფრისათვის

სავარჯიშო N 303. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

1. ასე არ შეიძლება ჩემო ბატონო
2. მოგესალმებით ქედებო მომაქვს სალამი გვიანი
3. ახლა შენ იყოს რჯულძაღლო ხელს არ ჩავარდეს სხვისასა
4. წმიდაო მარიამ შენ დაიფარე საქართველო
5. მობრძანდით ქალბატონო ქეთევან აქეთ მობრძანდით
6. ლევან არ დაგავიწყდეს, ხვალ დროზე უნდა მოხვიდე
7. ძმაო ძმითა ხარ ძლიერი
8. დამსეტყვე ცაო დამსეტყვე
9. შენც ჩვენთან ერთად წამოხვალ მზევინარ
10. ამაზე შენ არ იდარდო ჩემო მანანა

მძიმე მიგებით ნაწილაკებსა და შორისდებულებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

◈ *ცნობისათვის:* მიგებითი ნაწილაკი ორგვარია: დადასტურებითი (ჰო, კი, დიახ), უარყოფითი (არა, ვერა). წინადადებაში ისინი, თუ დიდი გრძნობით არ არის წარმოთქმული, მძიმით გამოიყოფა, თუ დიდი გრძნობით – ძახილის ნიშნით.

შორისდებული გრძნობასა და ნება-სურვილს გამოხატავს. თუ დიდი გრძნობით არ არის წარმოთქმული, მძიმით გამოიყოფა, თუ დიდი გრძნობით – ძახილის ნიშნით.

☞ *დაიმახსოვრეთ!*

რთული შორისდებულები და ხმაბაძვითი სიტყვები დეფისით იწერება *(ვაი-ვაი, ბა-ბა-ბა, წკაპ-წკაპ და სხვ.).* დეფისით არ იწერება შორისდებულთა რიგში შემავალი იდიომატური გამოთქმები: *თქვენმა მზემ, დილა მშვიდობისა, ძილი ნებისა, შენი ჭირიმე და სხვ.*

სავარჯიშო N 304. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

1. არა თქვენ ცდებით
2. არა ღმერთმანი არ შემიძლია
3. ჰო ეგ სხვა საქმეა
4. დიახ დიახ ყველაფერი კარგად გავიგეთ
5. კი კი არ დავაგვიანებ
6. არა ვერ დაგეთანხმებით
7. დიახ ეს ჩემი ბიძაშვილია
8. ამინ ღმერთმა ადიდოს შენი ძალი წმინდაო გიორგი
9. აბა რა ძნელია ეს ყველაფერი
10. ახ ღმერთო ჩემო ახლა ყველაფერს იტყვიან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სავარჯიშო N 305. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

1. ვიშ რა დილაა ვიშ ვიშ
2. იფ რა გემრიელია
3. ოხ ბატონ ზურაბს გაუმარჯოს
4. ყოჩაღ რა კარგად უპასუხე
5. უი შე საწყალო ჰმ ახლა რაღას გააწყობ დამშვიდდი
6. ვაიმე დედა ფეხი
7. ოლოლო ვერ გამოიცან
8. არიქა მარჯვედ იყავით
9. არა აყვავდეს იმედი გულს ვერ გამიტეხს ჭაღარა
10. აუუ მაგას როგორ ამბობ შენ რომ არ გენდო ვიღას ვენდო

სავარჯიშო N 306. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

1. ძალიან კმაყოფილი ვარ ყოჩაღ
2. ვაშა ჩვენ გავიმარჯვეთ
3. მაშ აქაც ლაპარაკობენ ქართულად?
1. ჰა ჰა ჰა გულიანად გადაიხარხარა ზურაბმა
2. ვაი ვაი ვიშვიშებდა ბებია
3. მიაუ მიაუ გაისმა მეორე ოთახიდან
4. ვერა ვერ დაგვიმონებენ
5. დიახ ნამდვილად ასე ვფიქრობ
6. ჰი ჰი ჰი ჩაიქირქილა ელიზბარმა
10. ძილი-ნებისა ჩემო პატარავ

მძიმე რთულ წინადადებაში

მძიმე რთულ თანწყობილ წინადადებაში

◈ *ცნობისათვის:* რთული თანწყობილი ეწოდება ისეთ წინადადებას, რომელიც შედგება ერთიმეორის მიმართ თანასწორი წინადადებებისაგან.

☞ **გახსოვდეთ!** როგორც უკავშირო, ასევე კავშირიანი რთული თანწყობილი წინადადების ნაწილები, თუ მათ არ აერთებთ „და“ კავშირი, ერთმანეთისაგან მძიმით გამოიყოფა.

ბავშვი ხან იცინოდა, ხან ტიროდა;
მზემ ფანჯარას სხივი სტყორცნა, დილა არის მშვენიერი;
მზე ამოვიდა და არემარე განათდა.

➢ მძიმე დაისმის კავშირიან რთულ თანწყობილ წინადადებაში:

- ან...ან, ხან...ხან მაცალკევებელი კავშირების წინ, გარდა პირველად ხმარებულისა (თუ „და“ კავშირი არ არის ნახმარი).

ხან წვიმს, ხან თოვს.

- მაპირისპირებელი კავშირების „მაგრამ“, „ხოლო“ წინ.

დაუშალეს, მაგრამ მაინც წავიდა.

➢ მძიმე არ დაისმის „კი“ მაპირისპირებელი კავშირის წინ; მძიმე იწერება წინადადებათა საზღვარზე.

ნინო ადგილზე დარჩა, ეკა კი გაიქცა.

☞ ***გახსოვდეთ!*** მძიმით გამოიყოფა უკავშირო თანწყობილ წინადადებათა ნაწილები, რომლებიც ერთმანეთთან შეერთებულნი არ არიან „და” კავშირით.

მარტი გავიდა, გათბა დღე, დარები დგება მზიანი.

სავარჯიშო N 307. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

1. მოულოდნელად ქარი ამოვარდა ზღვა აღელდა კოკისპირულად გაწვიმდა
2. ხან ევროპის დიდ ქალაქებს ვესტუმრე ხან აზიის პატარა სოფლები მოვინახულე

3. ანა ბათუმში პირველად წელს გაემგზავრა დასასვენებლად ქობულეთში კი ბევრჯერ ყოფილა
4. ანას ამ ქალაქში ბევრი მეგობარი ჰყავდა მაგრამ დათოს გარდა არავინ უნახავს
5. გადიოდა დღეები თენგიზი კი არ ჩანდა
6. ან წიგნი მოიტანე ან ლექსი ისწავლე ან დავალება შეასრულე ან წადი და თვალით არ დამენახო
7. ქალებმა ელენე ბაღში გაიყვანეს გივი კი გურამს გაუძღვა მარნისკენ
8. ტყემ მოისხა ფოთოლი აგერ მერცხალი ჭყივის ბაღში ვაზი ობოლი მეტის ლხენითა ტირის
9. ნიკო სასტუმრო ოთახში იჯდა ხოლო თეკლე სამზარეულოში ფუსფუსებდა
10. ხვალ სკოლაში ან დედაშენი უნდა მოვიდეს ან მამაშენი

მძიმე რთულ ქვეწყობილ წინადადებაში

◈ **ცნობისათვის:** რთული ქვეწყობილია წინადადება, თუ ის შედგება მთავარი და მასზე დამოკიდებული წინადადებისაგან.

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში დამოკიდებული წინადადება ზოგჯერ მოსდევს მთავარ წინადადებას, ზოგჯერ უსწრებს მას, ზოგჯერ კი მთავრის შიგნითაა მოქცეული.

☞ *გახსოვდეთ!*

მძიმე დაისმის:

- მთავარი წინადადების შემდეგ, როცა მას მოსდევს დამოკიდებული წინადადება.
  სალამო ხანი იყო, როცა დავითი შინ მივიდა.
- დამოკიდებული წინადადების შემდეგ, როცა მას მოსდევს მთავარი წინადადება.
  როცა დავითი შინ მივიდა, სალამო ხანი იყო.

- როცა დამოკიდებული წინადადება მოქცეულია მთავარი წინადადების შიგნით, ის ორივე მხრიდან მძიმეებით გამოიყოფა.
  სტუმარი, რომელიც მასწავლებელმა გააცნო მერვეკლასელებს გუშინ კვლავ ეწვია სკოლას.

სავარჯიშო N 308. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. შარშან ისეთი კარგი ამინდი იყო რომ შესანიშნავი მოსავალი მივიღე
2. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ერთი ვაჟკაცი რომელსაც სვანური ქუდი ეხურა
3. ყველამ ისე უნდა იმუშაოს რომ ქვეყანა ფეხზე დადგეს
4. კოტე დარწმუნებული იყო რომ ამ პრობლემას ადვილად მოაგვარებდა
5. პაატა ყველაფერს ხედავდა რაც ეზოში ხდებოდა
6. ეს ახალგაზრდა მასწავლებელი ყველას უყვარდა რადგან მეტად თავმდაბალი და განათლებული იყო
7. მოხდა ის რაც არ უნდა მომხდარიყო
8. ნუ მომაგონებ იმას რაც არ მინდა მოვიგონო
9. ნატომ ვერ გაარკვია რომელი მხრიდან მოდიოდა ხმა
10. მე რომ ადრე მცოდნოდა შენი ამბავი სხვაგვარად მოვიქცეოდი

სავარჯიშო N 309. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

1. რამდენადაც საზიზღარია დაშინებული მამაკაცი იმდენად მშვენიერია შემკრთალი ქალი
2. სანამ რამეს იტყვი დაფიქრდი ნუ აჩქარდები
3. გათენდა თუ არა მეც ფეხზე წამოვხტი
4. დაუჯერებელია რომ საბუთები სადღაც გაქრა
5. იმ დღეს როცა გამოცდას ვაბარებდი გადაუღებლად წვიმდა
6. ვანო სულაც არ მოელოდა რომ მისი გამოჩენა ასე გაახარებდა თანასოფლელებს
7. მე დარწმუნებული ვარ რომ გულწრფელად ლაპარაკობ
8. ყველა იმაზე ფიქრობდა როგორი უნდა ყოფილიყო ჩვენი ხვალინდელი დღე

9. ვგალობ და ვგალობ და იმით ვხარობ რომ მე ქვეყანას გალობით ვატკბობ

10. ირემი რომელიც მონადირემ დაჭრა იქვე დაეცა

სავარჯიშო N 310. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

1. ახალგაზრდებმა რომელთაც მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელება სურთ რექტორის სახელზე უნდა დაწერონ განცხადება
2. მახსოვს როცა მისი ხმა ისევ გავიგონე გული სიხარულით ამიძგერდა
3. ღამით როცა ყველას ეძინა ბებია იჯდა და კერავდა
4. ხვალ დილით სანამ სკოლაში წახვალთ გაკვეთილები გაიმეორეთ
5. იქ სადაც ბევრი ხალხია ყოველთვის გაიგებ რამე ახალს
6. ის ქუჩა სადაც ილია ცხოვრობდა ახლა თითქმის დანგრეულია
7. როგორი ავთანდილიც შენ იყავი მეც იმისთანა შერმადინობა გაგიწიე
8. ყველანი სიხარულით მიეგებნენ ონისეს რომელიც მოსვლის შემდეგ ყველაზე მეტს მხიარულობდა
9. ელისო რომელიც წყაროსთან იჯდა მწარედ ჩაფიქრებულიყო
10. სადაც ვშობილვარ გავზრდილვარ და მისროლია ისარი სად მამა-პაპა მეგულვის ჩემი სამშობლო ის არის

☞ *გახსოვდეთ!*

- **უკავშირო ქვეწყობილ წინადადებაში, რომელშიც გამოტოვებულია „რომ“ ან „თუ“, დამოკიდებული წინადადება მთავრისაგან მძიმით გამოიყოფა.**

ლევანმა გადაწყვიტა, (რომ) ქალაქში წასულიყო.

- **„რომ“ კავშირის წინ მძიმე მაშინ დაისმის, როცა ის იწყებს დამოკიდებულ წინადადებას.**

გიორგი მალე მიხვდა, რომ საქმე ცუდად იყო.

- **„რომ“ კავშირის წინ მძიმე არ დაისმის, თუ ის არ იწყებს დამოკიდებულ წინადადებას; მძიმე იწერება მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს შორის.**

შინ რომ მივიდა, უკვე შუაღამე იყო.

სავარჯიშო N 311. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

1. გოგიმ შენიშნა ლალის მკვდრისფერი დასდებოდა
2. ვანო მიხვდა რაშიც იყო საქმე
3. მე ვიცი შენი სოფელი აქედან შორს არის
4. არავინ იცოდა რა მოუვიდა ამ გოგონას
5. ჩვენს შვილებს უნდა ვუანდერძოთ ეს ძმობა მტკიცედ დაიცვან
6. ეტყობოდა აქ რაღაც საიდუმლო იფარებოდა
7. დიმიტრი მიხვდა რას გულისხმობდა ბარამიძე
8. შეშინებულმა მარინემ გადაწყვიტა არავისთვის ეთქვა ეს ამბავი
9. პოეზიის საღამოზე იმდენი ხალხი მოგროვდა ერთი თავისუფალი ადგილიც აღარ დარჩა
10. ზურაბი მიხვდა ნუგზარი აღარ გაჩერდებოდა

სავარჯიშო N 312. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

1. ქუჩაში რომ გავიდნენ უცნაური მანქანა დაინახეს
2. ეს რომ მცოდნოდა ნამდვილად არ მოვიდოდი
3. აქ რომ დარჩენილიყვნენ ყველა კმაყოფილი იქნებოდა
4. დიდი სიფრთხილე მართებდა ფეხი რომ არ ასრიალებოდა
5. კარგა შებინდებული იყო შინ რომ დაბრუნდა
6. ფული რომ ჰქონოდა ამ აგარაკს აუცილებლად იქირავებდა
7. ჯერ ბავშვი ვიყავი ჩვენი ოჯახი აქ რომ გადმოვიდა საცხოვრებლად
8. წიწამურთან რომ მოკლეს ილია მაშინ ეპოქა დამთავრდა დიდი
9. მოგახსენებთ რომ თქვენი დავალება შესრულებულია
10. პეტრემ თქვა რომ ხვალ აუცილებლად მოვიდოდა.

სავარჯიშო N 313. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

1. ხან ლექციაზე აგვიანდება ხან წიგნი რჩება მაგრამ მაინც ცდილობს თავისი გულმავიწყობა არ შეიმჩნიოს
2. ღრუბელი გაიფანტა მზემ გამოაჭყიტა დათბა

3. სკოლასთან სადაც დათო სწავლობს დიდი სასურსათო მაღაზიაა
4. გურამმა მოინდომა კარის გაღება მაგრამ მაიამ დაუშალა
5. სამსახურიდან რომ დავბრუნდი მამა უკვე წასული დამხვდა
6. ხომ იცი რა არის დედის წინათგრძნობა
7. ბავშვის დედა ის არის ვინც ის გაზარდა
8. ეს პორტრეტი რომ დაამთავრა მხატვარმა შვებით ამოისუნთქა
9. თენდებოდა სოფელს რომ მივუახლოვდით
10. ყოველთვის როცა მატარებელში ვჯდები ბავშვობა მახსენდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერტილ-მძიმე

◈ **ცნობისათვის:** ფერტილ-მძიმე ერთმანეთისაგან მიჯნავს, გამოყოფს ერთნაირ ენობრივ ელემენტებს (ერთგვარ წევრებს ან ერთგვარ წინადადებებს).

ფერტილ-მძიმე შუალედურ ადგილზე მდგომი სასვენი ნიშანია ფერტილსა და მძიმეს შორის.

სავარჯიშო N 314. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

1. გაზაფხული დადგა ცხვრის ფარა ფერდობზე გაიშალა ისმოდა ძაღლების ყეფა და ცხვრების ბღავილი
2. მზე ამოვიდა ნისლი გაიფანტა ზღვა სარკესავით ალივლივდა
3. დავითი ტაძარს ხან შორიდან უცქერდა მისი სილამაზით ტკბებოდა ხან თვალს მოაცილებდა და მთებს შეხედავდა მერე ახლოს მივიდოდა და ახლა ჩუქურთმებს დაუწყებდა თვალიერებას იგი ბეჯითად აკვირდებოდა ყველაფერს ცდილობდა არაფერი გამორჩენოდა
4. ზღვის ნაპირზე უამრავ ბავშვს მოეყარა თავი ერთნი წყალში შესულიყვნენ მეორენი იქვე სილაში თამაშობდნენ სხვანი ბურთს დასდევდნენ ნიკა და ზურა ქოლგის ქვეშ შემალულიყვნენ და ჭადრაკს თამაშობდნენ

5. ეს მაშინ მოხდა როცა აფხაზეთში ომი მძვინვარებდა როცა სოხუმის ქუჩებში ტყვიის ზუზუნი ისმოდა როცა ქალაქში სახლები იწვოდა ხალხი გარბოდა და არავის ეცალა მუზეუმებისა და ნაკრძალებისათვის.
6. გიორგის უკვე თმაჭაღარა კაცს გაახსენდა თავისი ახალგაზრდობა სკოლა მშობლები მასწავლებლები უნივერსიტეტელი მეგობრები
7. მთავრობის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს: ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, კორუფციასთან შეურიგებელი ბრძოლა მოსახლეობის დასაქმება და მრავალი სოციალური საკითხის მოგვარება
8. ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ბუნება უაღრესად მიმზიდველი პოეტური ფერებით არის დახატული. აი რამდენიმე ნიმუშიც: „ნისლი ფიქრია მთებისა იმათ კაცობის გვირგვინი“ „ბუნება მბრძანებელია იგივ მონაა თავისა ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს ზოგჯერ მქმნელია ავისა... მაინც კი ლამაზი არის მაინც სიტურფით ჰყვავისა“ „მოგესალმებით ქედებო მომაქვს სალამი გვიანი ჩემსამც სამარეს ამკობენ თქვენი დეკა და ღვიანი
9. როცა მისამართი სახელი მრავლობითშია „რომელიც“ წევრ-კავშირი მრავლობით რიცხვში უნდა ვიხმაროთ. მაგალითად: „მასწავლებელი ელაპარაკებოდა ბავშვებს რომელებიც მას ყურადღებით უსმენდნენ“ „კითხვები რომლებიც აქ დაისვა, მეტად აქტუალურია“
10. ქართული ლიტერატურის ისტორიას სამ პერიოდად ყოფენ:

I ძველი ქართული ლიტერატურა
II ახალი ქართული ლიტერატურა
III უახლესი ქართული ლიტერატურა

ორწერტილი

◈ *ცნობისათვის:* ორწერტილი იხმარება შერწყმულსა და რთულ წინადადებაში.

ორწერტილი დაისმის:

➢ თუ ერთგვარი წევრები განმაზოგადებელი (გამაერთიანებელი) სიტყვის შემდეგაა.

ყველაფერი მდუმარებს: მინდორი, ტყე, ველი.

- თუ განმაზოგადებელ სიტყვას მოსდევს ისეთი სიტყვა, რომელიც მიუთითებს ერთგვარ წევრთა ჩამოთვლაზე (მაგალითად, სახელდობრ, როგორიცაა), ასეთი სიტყვის წინ მძიმე იწერება, შემდეგ კი — ორწერტილი.

„აქა-იქ ოთახის სამკაულად ეყარა სხვადასხვა ნივთები, მაგალითებრ: ტალახიანი ყარაბალული თეთრი წალები, პირმოტეხილი სპილენძის თუნგი, ქონიანი შანდალი, სპილენძის საჩაიეში მოხარშული მყრალაბალახი, ზურგიელის ნაჭერი და სხვანი და სხვანი“.

- ერთგვარ წევრთა შორის ორწერტილი შეიძლება მაშინაც დაისვას, როცა წინადადებაში არ არის განმაზოგადებელი სიტყვა, მაგრამ დამწერს სურს მითითება ერთგვარ წევრთა ჩამოთვლაზე.

აქ შეკრებილიყვნენ: მოხუცები, ახალგაზრდები, ბავშვები, ქალები.

➢ უკავშიროდ შეერთებული რთული წინადადების ნაწილებს შორის, როცა მეორე ნაწილი გადმოგვცემს პირველის მიზეზს, მიზანს ან შედეგს, ან კიდევ ხსნის, განმარტავს, ვრცლად წარმოგვიდგენს პირველი ნაწილის მნიშვნელობას.

ნიკო სოფლის მასწავლებელი იყო და თავისთვის ტკბილად ცხოვრობდა: ჰქონდა საკუთარი სახლ-კარი, ვენახი, ჰყავდა მოსიყვარულე ცოლ-შვილი და, რა თქმა უნდა, უამრავი მადლიერი მოწაფე.

➢ პირდაპირი ნათქვამის წინ, თუ ის ავტორის სიტყვების შემდეგაა.

დიდ პოეტს უთქვამს: „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის“;

ბოლოს ჰკითხა: „მითხარ, რა გქვია სახელად?“

სავარჯიშო N 315. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

1. უამრავი პეიზაჟი დაუხატავთ ცნობილ ქართველ მხატვრებს კაკაბაძეს ახვლედიანს კალანდაძეს სანაძესა და სხვებს

2. სიგელებით დააჯილდოვეს სკოლის საუკეთესო მოსწავლეები ლევან ტაბიძე სალომე ბერულავა ნატალია ვაშაკიძე და მარიამ გულორდავა
3. ყველას მიხედავს და უპატრონებს მოხუც მეზობელს უსინათლო მათხოვარს ობოლ ბავშვებს
4. ეკამ სხვა ყველაფერი დაივიწყა სამსახური მოვალეობა ოჯახი
5. ნანა ხშირად იგონებდა მეგობრებს მანანას არჩილს გურამს კოტეს
6. დარბაზიდან მხიარული ხმები ისმოდა კისკისი ხითხითი ხარხარი
7. ბებიაჩემი პატარა ბავშვს დაემსგავსა ბავშვივით ყველაფერი უხაროდა პატარა რამე სწყინდა ზოგჯერ უმიზეზოდაც იბუტებოდა
8. ჯერ ბიბლიოთეკის საქმეებს მოვრჩი კატალოგში წიგნები მოვძებნე გამოვწერე დავიცადე სანამ წიგნი მოვიდოდა შემდეგ დარბაზში დავჯექი და კითხვას შევუდექი
9. მარიამმა პატარა ბიჭს თავზე ხელი გადაუსვა და თქვა რა ფერი გადევს გენაცვალე
10. უცებ გაისმა ჩურჩული არ დაიშალოთ ბატონი ალექსანდრე მოდის

სავარჯიშო N 316. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

1. მაკამ ვერცხლისფერი ლაბადა აიღო და დათოს უთხრა უნდა წავიდეთ
2. შოთა რუსთაველი გვასწავლის „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“
3. ამ მაღაზიაში იყიდება სამეცნიერო წიგნები სახელდობრ ტექნიკური და სამედიცინო ლიტერატურა.
4. ქართული ღვინოები მაგალითად „რქაწითელი“ „ქინძმარაული“ „მანავი“ „ოჯალეში“ ევროპის მრავალ ქვეყანაში იყიდება
5. აქ იყო ყველა ნინოს დედ-მამა ბებია-ბაბუა და-ძმები და მეგობრები.
6. ქართული ანბანის სამი სახეობა არსებობს ასომთავრული, ნუსხური მხედრული

7. სამგზავროდ ყველაფერი მოამზადა ჩანთა ტანსაცმელი წიგნები მაგრამ ბოლოს მაინც გადაიფიქრა და აღარ წავიდა
8. ოლიმპიადაზე გაიმარჯვეს ჩვენმა მოჭიდავეებმა დავით ვაშაკიძემ ზურაბ ტაბიძემ და მალხაზ ბარათელმა
9. შვილო აუცილებლად იყიდე მწვანილი ქინძი ოხრახუში ნიახური და კამა
10. ამინდის გაუარესების გამო ყველაფერი შეიცვალა ჩემი წასვლის დრო მოგზაურობის მარშრუტი უკან დაბრუნების სავარაუდო თარიღიც.

ტირე

◈ ***ცნობისათვის:*** ტირეს ფუნქცია წინადადებაში მრავალფეროვანია. ტირე ზოგჯერ იხმარება ორწერტილის, მძიმისა და ფრჩხილების ადგილზე.

ტირე დაისმის:

- **შემასმენლის გამოტოვებისას:**
  ლევანი მეორე სართულზე ცხოვრობს, ნატო კი — მეოთხეზე.
- **როცა შედგენილ შემასმენელში გამოტოვებულია ზმნური ნაწილი (მეშველი ზმნა):**
  ჩემი ხატია სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა.
- **კავშირის გამოტოვებისას:**
  ხელს მოუჭერ — დაიჭყივლებს, გაუშვებ — გაჩუმდება.
- **განმაზოგადებელ სიტყვასთან შერწყმულ წინადადებაში, როცა განმაზოგადებელ სიტყვას უსწრებს ერთგვარი წევრები:**
  ბავშვები, დედაკაცები, მოხუცები — ყველანი მოგროვდნენ.

  ☑ **ერთგვარი წევრები, ჩვეულებრივ, ტირეებით გამოიყოფა, როცა ისინი ჩასმულია განმაზოგადებელ სიტყვასა და სინტაქსურად მასთან დაკავშირებულ სიტყვებს შორის.**
  მაგალითად: უცხოური მანქანები —„მერსედესი“, „ვოლვო“, „ოპელი“ და სხვ. — ამჟამად თბილისშიც იყიდება.
- **დანართის წინ, თუ დანართი წინადადების ბოლოშია; თუ დანართი წინადადების შუაშია, იგი თავისი ამხსნელი სიტყვებითურთ ორივე მხრიდან ტირეებით გამოიყოფა:**
  აქ ერთი ძვირფასი მცენარე ცვლის მეორეს — უმთავრესად ვარდი და მიხაკი.
- **რამდენიმე მომდევნო განკერძოებული განსაზღვრების წინ:**
  უცებ დუმილი ჩამოწვა — ხანგრძლივი და უხერხული.

➢ **ჩართული სიტყვებისა და წინადადებების გამოსაყოფად, განსაკუთრებით მაშინ, თუ ისინი ვრცელია:**

იმ წუთებში კატოს — ასე ეძახდნენ მოახლეს — ერჩია, მიწა გასკდომოდა.

☑ **ჩართულის გამოსაყოფად ტირეებთან ერთად ზოგჯერ სვამენ მძიმეებსაც (მძიმე წინ უძღვის ტირეს):**

აი, იმ მთის გადალმა, — გაიშვირა მთებისაკენ ხელი, — სულ ჩვენებურები ცხოვრობენ.

➢ **„ეს“ და „ეგ“ ნაცვალსახელების წინ, რომლებიც ცვლიან წინამავალ სახელობით ბრუნვაში დასმულ ქვემდებარეს ან პირდაპირ დამატებას.**

ხელოვნება — ეს ოქროა, მიწის გულში დამარხული.

➢ **ავტორის სიტყვების გამოსაყოფად, როცა ისინი პირდაპირი ნათქვამის შემდეგაა ან მის შიგნითაა მოქცეული (ჩვეულებრივ, ტირესთან ერთად მძიმეც დაისმის)**

— იცი, რა უნდა გითხრა? — ჰკითხა ვაჟმა.
— არ ვიცი, — მიუგო ქალმა.
— რა და მიყვარხარ, — მორცხვად ჩაილაპარაკა გიამ, —მეტი ალარ შემიძლია, უნდა გამოგიტყდე.

➢ **დიალოგებში პერსონაჟთა ნათქვამის გამოსაყოფად, რომელსაც, ჩვეულებრივ, ახალი სტრიქონი ეთმობა:**

— აქაურები ხართ?
— დიახ.
— ვანოს თუ იცნობთ, კიკვიძეს?
— კი, როგორ არა. აგერ, ამ სახლში ცხოვრობს.

➢ **სიტყვებს შორის, რომლებიც აღნიშნავს სივრცის, დროის ან რაოდენობის მიჯნას.**

V—VI სართულები, I—II კლასები, 60—70-იანი წლები, ბაქო—თბილისის მატარებელი, ივლის—აგვისტოს არდადეგები.

➢ ***საკუთარ სახელებს შორის, რომელთა ერთობლიობით დასახელებულია რაიმე მოძღვრება, სამეცნიერო დაწესებულება.***

ნუცუბიძე—ჰონიგმანის თეორია; სამეცნიერო—კვლევითი ინსტიტუტი.

სავარჯიშო N 317. დასვით ტირეები და სხვა სასვენი ნიშნები:

1. „ხევი მთას მონებს მთა ხევსა
   წყალნი ტყეთ ტყენი მდინარეთ“
2. „სიკვდილსა გლოვა უხდება
   მკვდარ ძმას ტირილი დისაო
   ტყესა ხარ-ირმის ნაფრენი
   ზოგ დროს ყმუილი მგლისაო“

3. „ხან უგნური ვარ ხან ბრძენი
   ხან არც ისა ვარ არც ისა“
4. „ვაჟკაცსა გული რკინისა
   აბჯარი თუნდაც ხისაო
   თვალნი ქორებულ მხედველნი
   მუხლები შევარდნისაო“
5. რა მშვენიერი ყმაწვილია ზრდილი თავზიანი ღმერთმა ხელი მოუმართოს
6. ყოჩაღი ბიჭია ზურაბი აზრიანი ჭკვიანი მხნე და გამრჯე
7. ის ამბავი ყველამ იცის ერმაც და ბერმაც
8. პაპაშენი ღმერთმა აცხონოს გულთბილი კაცი იყო
9. აქეთ ახლა მარჯვნივ მიახედა ბავშვები გოგიმ ჯვრის მონასტერია V VI საუკუნეების ძეგლი
10. ქეთევანი 40 წლისა იქნებოდა მაგრამ 30 35 წლისას ჰგავდა

სავარჯიშო N 318. დასვით ტირეები და სხვა სასვენი ნიშნები:

1. სპორტი ეს ჯანმრთელობის საწინდარია
2. ამ ოთახში ნინოს ჰქონდა მოწყობილი თავისი კუთხე ნიკოს კი მეორე სართულზე
3. ეხლა მაგას დაიჟინებ თართიაო
   ორაგულია-მეთქი
   ეჰ თართია თავი არ მომიკვდება არც ახლა დაიჯერებ
   ორაგულია ორაგული დაიძახა კნეინამ
   აბა საიდან იცი რომ ორაგულია
   შენ საიდანლა იცი რომ თართია
4. იმ დღეს ტატომ ასე ეძახდნენ ნიკოლოზ ბარათაშვილ ილიკოს დატყვევების ამბავი გაიგო
5. პარკში ბევრ ხალხს მოეყარა თავი უმთავრესად ბავშ ებსა და ქალებს
6. ბრძოლის ველზე მეფე გამოჩნდა უშიშარი და ძლევა ისილი

7. ამ უღელტეხილის გადალმა გააგრძელა ლაშამ უკვე რაჭის სოფლები იწყება
8. შვებულებაში წასვლა ყველას ივლის აგვისტოში ურჩევნია
9. თბილისი ბათუმის მატარებელი ყოველდღე 9 საათზე გადის თბილისის ვაგზლიდან
10. XI XII კლასებში ოთხ სავალდებულო საგანს ასწავლიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრჩხილები

◈ *ცნობისათვის:* ფრჩხილები ერთი ნიშანია.

ფრჩხილებში ჩაისმის:

- სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი, რომლებიც ხსნიან, განმარტავენ წინა სიტყვის მნიშვნელობას:
  დიაკვანმა მღვდელს აიაზმა (ნაკურთხი წყალი) მიაწოდა.
- ჩართული სიტყვები და წინადადებები, რომლებიც იძლევიან დამატებით ცნობას, ახსნა-განმარტებას თუ შენიშვნას ძირითად წინადადებაში გამოთქმულ აზრთან დაკავშირებით:
  სანდრომ (უკან მიდიოდა) მოისურვა კაბას მიშველება.
  სადილობა გადასული იყო (ქართლში სადილობა დილის პურის ჭამას ჰქვია, ხოლო სამხარი — სადილს).
- მსმენელთა რეაქცია სტენოგრაფიულ ანგარიშებში:
  (ტაში), (მქუხარე ტაში), (სიცილი), (გამოცოცხლება დარბაზში).
- რემარკები დრამატულ ტექსტში:
  კაროჟნა (შემოდის მორთული): აი, მე მზად ვარ.
- ფრჩხილებში ჩაისმის ტექსტში დამოწმებულ წყაროზე მითითება:
  ილიას ეს წერილი მისი თხზულებების V ტომშია დაბეჭდილი (ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტომი V, თბ., 1987 წ. გვ. 34-76).

☞ *გახსოვდეთ!* არც გახსნილი და არც დახურული ფრჩხილის წინ არ დაისმის წერტილი, მძიმე, წერტილ-მძიმე, ორწერტილი და ტირე: ისინი დაისმის მხოლოდ დახურული ფრჩხილების შემდეგ.

სავარჯიშო N 319. დასვით სასვენი ნიშნები:

1. მელიას უნდოდა ბუდე ერთი ხელით თათით ჩამოეგდო მაგრამ ბუდე მაღლა აღმოჩნდა
2. იამზეს დაბადების წელს თუ ცოტა შემდგომ მე-2 კლასის მოსწავლე ვიყავი მახსოვს მამაჩემმა პირველად წამიყვანა ცირკში.
3. დათო ხორცი ხომ ჩამოიტანე ბაზრიდან იმ სოფელში ბაზარიც გახლდათ
4. „თეთრი გენერალიც“ მოვიდა ასე ეძახდნენ ვორონცოვს.
5. ძლივს არ გავისტუმრე ურმები ტყუილიც უყვარდა ჩვენს ლუარსაბსა
6. არგონავტების თქმულებაში კოლხეთი დასავლეთი საქართველო გამოყვანილია მაღალი კულტურის ქვეყნად
7. გიომ ცხენს ალიკაპი ხის აღვირი ამოსდო
8. ბუკიოტი პატარა ბუ ამ ტყეშიც იყო
9. აკაკი თავის მემუარულ მოთხრობაში „ჩემი თავგადასავალი“ წერს: „საწერეთლოში ზემო იმერეთში ბევრი კარგი სოფელია და მათ რიცხვში ურევია სავანეც“ აკ წერეთელი თხზ ტ II თბ 1989 გვ 45
10. მამა ნიკოლოზი გიორგაძე ჩემი მოძღვარია

ბრჭყალები

◈ *ცნობისათვის:* **ბრჭყალებში ჩაისმის:**

- **უცვლელად, სიტყვასიტყვით მოყვანილი ციტატები, გამოთქმები, რომლებიც სხვას ეკუთვნის და არა ავტორს:**
  რუსთაველმა ბრძანა: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“.

- **რაიმე საგნის, ორგანიზაციის; დაწესებულების, გაზეთის, ჟურნალის, ნაწარმოების, კინოფილმის, სპექტაკლის, გემის და სხვათა სახელწოდებები:**
  გაზეთი „ალია“, ჟურნალი “ცისკარი“, ლექსი „მერანი“, სპექტაკლი „კავკასიური ცარცის წრე“, გემი „შოთა რუსთაველი“ და სხვ.

- ***ირონიულად გამოყენებული სიტყვები:*** ·

გიორგი დიდხანს აფრქვევდა თავის „სიბრძნეს“.

- ***ლიტერატურაში დასაშვები ბარბარიზმები:***

„იამშიკმა“ შემოიბღვირა;

☞ გახსოვდეთ!

- **წერტილი, მძიმე, წერტილ-მძიმე ან ტირე მხოლოდ დახურული ბრჭყალების შემდეგ დაისმის:**

მაყურებელმა დიდი ინტერესით ნახა ქართული კინოფილმი „ნატვრის ხე“, რომელიც თენგიზ აბულაძემ გიორგი ლეონიძის მოთხრობების მიხედვით გადაიღო.

- ***კითხვის და ძახილის ნიშნები დაისმის ბოლო ბრჭყალების წინ, თუ იგი განეკუთვნება იმ სიტყვას ან სიტყვებს, რომლებიც ბრჭყალებშია მოქცეული:***

„მტკიცედ სდგაა?“— ჰკითხა იაკობმა შუშანიკს.

- **კითხვის და ძახილის ნიშნები დაისმის ბოლო ბრჭყალების შემდეგ, თუ ის ბრჭყალებში ჩასმულ სიტყვებთან ერთად განეკუთვნება მთელ წინადადებას:**

ვისი ლექსია „განთიადი“?

სავარჯიშო N 320. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

1. გუშინ ხუთშაბათს სადილად რესტორან ნიკალაში შევედით
2. მერი ნიკოლსონი ინგლისელი პროფესორი ოროველას თვალცრემლიანი უსმენდა
3. ორკესტრმა ვიღაცის დაკვეთით სამშობლო დაუკრა
4. მწერალს როგორც მისი მემუარებიდან ირკვევა ეს ამბავი ქართლის ცხოვრებაში ამოუკითხავს
5. ოტელოზე ჩემდა გასაოცრად ორი ბილეთი ვიშოვე
6. ვარსქენი ამბობს აწ ნურას მერიდებით მე და ნუცალა გძაგ
7. პოჟალუსტა პოჟალუსტაო ლულლულებდა რუსის ქალი
8. მაყურებელი დიდი ინტერესით უყურებს საინფორმაციო პროგრამა მოამბეს
9. ლარსის სტანციაში ილია ერთ რუს ოფიცერს შეხვდა
10. ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო თქვი შენ და მე გავიგონე

სავარჯიშო N 321. დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ფრიად საყურადღებო შრომა გამოაქვეყნა ჟურნალ მაცნეში აკადემიკოსმა სტეფანე მახარაშვილმა ქიზიყური მეტყველების თავისებურებანი
2. ისტორიული პოემა მეფე დიმიტრი თავდადებული ილიამ 1877 1878 წლებში დაწერა
3. საწოლთან გადაშლილი იდო მ. ჯავახიშვილის რომანი ჯაყოს ხიზნები
4. ვის შესახებ ამბობს დავით კლდიაშვილი საქმე კარგად წავიდა ფული რიგიანად შემოუდიოდა მუდამ ჰყავდა თითო სოფელი საჭმელად
5. ვეფხისტყაოსნის რომელი პერსონაჟის სიტყვებია ესე ამბად არ ეგების რომე სპარსნი გაგვიხასდენ
6. ვაჟას რომელ ნაწარმოებში ვხვდებით ამ სიტყვებს განა ყველა რაც ხმელია კაცისგან საწუნარია
7. პირველ ქართულ უნივერსიტეტს „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს“ წელს დაარსებიდან 90 წელი შეუსრულდა.
8. „ოთარაანთ ქვრივმა“ გიორგი ღირსეულ პიროვნებად გაზარდა
9. ვინ არის ლექს სულიკოს ავტორი
10. რომელი პერსონაჟის სიტყვებია ვინ არის თქვენი ხელმწიფე ჩვენზედა რა პატრონია

გახსოვდეთ!

- **ბრჭყალებში არ ჩაისმის სიტყვა „სახელობის“ შემცველი სახელწოდებანი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი.**

XVI. სასვენი ნიშნები პირდაპირ ნათქვამთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიმახსოვრეთ!

- პირდაპირი ნათქვამი ტირეთი ან ბრჭყალებით გამოიყოფა.

- პირდაპირი ნათქვამი, რომელსაც არ დაერთვის სიტყვასიტყვითი ნაწილაკი (-მეთქი, -თქო, -ო), ბრჭყალებში ჩაისმის.

- თუ ჯერ ავტორის სიტყვებია, შემდეგ პირდაპირ ნათქვამი, ავტორის სიტყვების შემდეგ ორწერტილი დაისმის, ხოლო პირდაპირი ნათქვამის შემდეგ ის ნიშანი, რომელიც შეეფერება შინაარსის მიხედვით.

  ყოველი გაკვეთილის ბოლოს ასე გვემშვიდობებოდა: „ნახვამდის, მომავალ ორშაბათამდე“.

- თუ პირდაპირი ნათქვამი უსწრებს ავტორის სიტყვებს, მის შემდეგ იწერება სათანადო ნიშანი, შემდეგ — ტირე.

  „როგორც ჩანს, დღესაც არვინ მოვა“, — გაიფიქრა ლევანმა.

- კითხვის, ძახილის ან კითხვით-ძახილის შინაარსის შემცველი პირდაპირი ნათქვამის შემდეგ იწერება სათანადო სასვენი ნიშანი და ტირე.

  „ხომ არ წავიდე?“— ფიქრობდა ქალი;
  „ის გოგო უნდა წამართვას?!“ — ბრაზობს ბაალი.

  ☑ სხვათა სიტყვის „ო“ ნაწილაკდართული პირდაპირი ნათქვამის ბრჭყალებში ჩასმა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, რომ იგი სხვისი ნათქვამია: „ზღვა კოვზით დაილევაო“; „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო“.

- პირდაპირი ნათქვამი დიალოგში ახალი აბზაცით იწყება და მის წინ ტირე იწერება (მაშინ ბრჭყალები საჭირო აღარ არის).

  — ჩემთან ბრძანდებით? — ღიმილით იკითხა მან.
  — დიახ, — მორცხვად მიუგო ქალმა.

- როცა ავტორის სიტყვები მოქცეულია პირდაპირ ნათქვამის შიგნით, გასარჩევია რამდენიმე შემთხვევა.

  ▪ ავტორის სიტყვები მძიმითა და ტირეთი გამოიყოფა, როცა იგი პირდაპირ ნათქვამში ჩართულია იმ ადგილას, სადაც მისი ჩართვის გარეშე ან საერთოდ არ არის სასვენი ნიშანი, ანდა საჭიროა მძიმე:

  — ამას წინათ, — განვაგრძე მე, — ნინო თეატრში ვნახე;
  — ომი უწინაც გვქონია, — ამბობდა იგი, — მაგრამ მოგვიგია.

  ▪ თუ ავტორის სიტყვები ჩართულია იქ, სადაც მათი ჩართვის გარეშე წერტილია საჭირო, მაშინ ავტორის სიტყვების წინ იწერება მძიმე და ტირე, შემდეგ — წერტილი და ტირე.

  — გვიან არის, – თქვა მაიამ და წამოდგა. — ღამე ნებისა!

- **თუ ავტორის სიტყვები პირდაპირ ნათქვამში ჩართულია იქ, სადაც მათი ჩართვის გარეშე საჭიროა ძახილის, კითხვის ან კითხვა-ძახილის ნიშანი, მაშინ ავტორის სიტყვების წინ სათანადო ნიშანი დარჩება, ხოლო შემდეგ წერტილი და ტირე დაიწერება.**

  — არასოდეს დაგეთანხმებით ამ სისულელეზე! – მოისმა ლიას ხმა. — არასოდეს დავმცირდები ისე, რომ მაგათ რამე ვთხოვო.
  — შენ ლაპარაკობ ჩვენზე? — ხმა აიმაღლა ნუგზარმა. — განა შენ არა ხარ ყველაფრის მოთავე?

☑ **პირდაპირ ნათქვამში ჩართული ავტორის სიტყვების შემდეგ ორწერტილი და ტირე იწერება იმ შემთხვევაში, თუ ავტორის სიტყვებში არის ორი ზმნა და მათგან პირველი პირდაპირი ნათქვამის პირველ ნაწილს ეხება, ხოლო მეორე — მეორე ნაწილს.**

„ეს ნინოს ქმარი უნდა იყოს!“ — გაიფიქრა თინამ და მანანას უჩურჩულა:
— კარგი ბიჭი ჩანს, ახლოს მივიდეთ!

სავარჯიშო N 322. დასვით სასვენი ნიშნები:

1. წამოვდექი მშვენიერ გოგონასთან მივედი და განვუცხადე ნება მიბოძეთ გაგეცნოთ მე ბაქარ ბარათელი ვარ
2. ამ ამბავმა შოთა რუსთაველის აფორიზმი გამახსენა კოკასა შიგან რაცა სდგას იგივე წარმოსდინდების
3. მამაჩემი ვენახში წავიდა მაგრამ მალევე მობრუნდა და გვითხრა აბა ბიჭებო წამომყევით მომეხმარეთ
4. ოთახიდან საზარელი ყვირილი მოისმა რას მერჩით რა დაგიშავეთ რა გინდათ ჩემთან
5. ალბათ საპატიო სტუმარს ელიან ჩაილაპარაკა ნათიამ
6. აკაკი კარისაკენ მიტრიალდა მაგრამ ამ დროს სალომეს ხმა შემოესმა ნუ წახვალ ჩემო კარგო მეშინია მარტო ნუ დამტოვებ
7. მამის ხნის რომ გახდება ალბათ გოგიც ასეთივე დინჯი და დარბაისელი მამაკაცი იქნება გაიფიქრა შორენამ
8. ეჰ რა მოგზაურობა ჩამეშალა თქვა ნანამ მაგრამ იმედია რომ მომავალ წელს მაინც შევძლებ გამგზავრებას

9. უკვე წასვლის დროა წამოდგა თამარი კარგად ბრძანდებოდეთ
10. არა უკაცრავად არ ცხრებოდა ანა მომისმინეთ როგორ შეიძლება მე სწავლისა და წიგნის წინააღმდეგი ვიყო

სავარჯიშო N 323. დასვით სასვენი ნიშნები:

1. ნუთუ ამით დამთავრდება ყველაფერი არ ცხრებოდა დათო ნუთუ მეტი არაფერი მოხდება
2. წავიდეთ წამოიძახა ლუკამ საცაა ინათებს
3. ნინო დედა სად არის ჰკითხა მიხეილმა შვილს
4. ქართული ანდაზა გვასწავლის რაც მოგივა დავითაო ყველა შენი თავითაო
5. იმასაც ამბობენ დაამატა მანანამ რომ მალე სტუდენტებს არდადეგები დაეწყებათ და ექსპედიციაში წავლენო
6. აბა ახლა კი გაჩუმდი შვილო დაუყვავა მარინემ პატარა ირინეს დაიძინე
7. მე ვამბობ დაბეჯითებით თქვა ოთარმა რომ ქვა სწორედ ამ ადგილას ეგდო
8. ნიკო იცი რას გეტყვი ჩაერია ზურაბი მოდი შენ და ლევანი ერთად წადით სოფელში
9. ცოტახანს კიდევ გაუძელით გამაგრდით მეგობრებო ყვიროდა იგი ყველაფერი კარგად იქნება
10. ვინ უნდა გაგზავნოთ იკითხა პეტრემ ჩვენ ყველანი დაღლილები ვართ

სავარჯიშო N 324. გადააკეთეთ პირდაპირი ნათქვამი ირიბად და პირიქით. დასვით სასვენი ნიშნები:

ნიმუში:

- დედამ უთხრა შვილს, რომ დამჯდარიყო და წიგნი წაეკითხა.
  დედამ უთხრა შვილს: „დაჯექი და წიგნი წაიკითხე!“

- მასწავლებელმა სთხოვა მშობლებს: „ყურადღება მიაქციეთ შვილების ყოფაქცევას!“

  მასწავლებელმა სთხოვა მშობლებს, რომ ყურადღება მიექციათ შვილების ყოფაქცევისთვის.

1. მანანამ უთხრა ანანოს ფრთხილად იარე არ დაეცე

---

2. წადი შვილო მაღაზიაში და ხილი იყიდე უთხრა ბებიამ დათოს

---

3. მეფემ მოითხოვა რომ მისთვის ლურჯა ცხენი მოეგვარათ

---

4. ამაზე არც იოცნებო ღიმილით შენიშნა მასწავლებელმა.

---

5. ყმაწვილებმა მოითათბირეს რომ საღამოს რუსთაველის პროსპექტზე გაისეირნებდნენ.

---

6. კაცმა იყვირა გაჩუმდით და მომისმინეთ

---

7. დედამ დაიბარა სახლი დაალაგეთ და სადილი გააკეთეთ

---

8. მათ გადაწყვიტეს რომ წასულიყვნენ და პასუხი მოეთხოვათ მამასახლისისათვის

---

9. მმართველმა გვიბრძანა არ გავნძრეულიყავით და მას დავლოდებოდით

---

10. დღეს ნამდვილი გაზაფხულის ამინდია თქვა ლელამ

სხვათა სიტყვის ნაწილაკების მართლწერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

☞ *გახსოვდეთ!*

- სხვათა სიტყვის ნაწილაკებია: „*-მეთქი*“ (მიღებულია „მე ვთქვი“ წინადადებისაგან), „-თქო“ (მიღებულია „თქვა“ ზმნისაგან) და „ -ო“.
- „*-მეთქი*“ ნაწილაკი იხმარება მაშინ, როცა პირველი (მოუბარი) პირი წინათ ნათქვამს ან განაზრახს განმეორებით გადმოსცემს.

☞ *დაიმახსოვრეთ!* „ -მეთქი“ ნაწილაკი სიტყვისგან გამოიყოფა დეფისით.

აკი გითხარი, ხვალ აუცილებლად მოვალ-მეთქი.

- მრავლობით რიცხვში „ -მეთქის“ ნაცვლად გვაქვს „ო“ ნაწილაკი.

ქარმა ღრუბლები გაფანტა, ვიფიქრეთ, იქნებ ალარ იწვიმოსო.

- „-თქო“ ნაწილაკი იხმარება მაშინ, როდესაც პირველი პირი სთხოვს ან ავალებს მეორე პირს, თავისი ნათქვამი გადასცეს სხვას, ე.ი. მესამე პირს:

დაარწმუნე ყველა, რომ ბაში-აჩუკი მოვკალი-თქო.

- „-თქო“ სიტყვისგან დეფისით გამოიყოფა (*„-თქვა“* არასწორი ფორმაა).
- შეცდომაა პირველი პირის ნათქვამის გადმოსაცემად „-თქო“ ან „-თქვა“ ნაწილაკების გამოყენება.

მე მადლი მოვახსენე და სიცილით ვუთხარი, გადავრჩი-თქო (უნდა იყოს – გადავრჩი-მეთქი).

- „ -ო“ ნაწილაკი იხმარება მაშინ, როდესაც პირველი პირი (მოუბარი) გადმოსცემს მესამე პირის ნათქვამს. ის იწერება სიტყვასთან ერთად.

დედის ნათქვამიც გამახსენდა: არ დააგვიანოო.

სავარჯიშო N 325. გაასწორეთ შეცდომები, დასვით სასვენი ნიშნები:

1. აკი მოგახსენეთ, დილით ადრე უნდა ავდგე თქო
2. აკი გითხარი მოვალ თქვა
3. უთხარი რო ცოცხალი ვარ ისევ მიყვარხარო.
4. ჩვენებსაც შეატყობიე, უთხარი სასწრაფოთ მანქანა გამოგზავნეთო
5. გუნებაში ვამბობდი: რა გამოუცთელი ვიყავი-თქვა.
6. ვიფიქრე, მარჯვენა ხელს გავიფუჭეფ და მარცხენას მივცემთქვა
7. ქაჯან უცეფ გაიქეცი დედაშენს უთხარი ერთი პური გვასესხეო
8. დედამ მითხრა მაგათ რო აჭმევ შვილო სხვებს ხო გული დაწყდებათ-ო
9. იტყვიან კვიცი გვარზე ხტის-ო
10. ამბობდენ ეს ბავში ნამდვილათ სულელი გამოვა-ო.

სავარჯიშო N 326. გაასწორეთ შეცდომები, დასვით სასვენი ნიშნები:

1. პლატონის უთხარი: პლატონი დედა გეხვერწება-თქვა ჩემო პლატონი ერთი დოქი ღვინო გამომიგზავნეთქვა
2. თუ ვინმემ ქკითხოს გიორგის ვინაობა, უთხარი რო ჩემი კახელი ნათესავიათქვა.
3. ათასჯერ მითქვია ნუ ხარ ასე დაგლახაკებულიო.
4. მე სიცილით უთხარი როგორ მომენატრეთქო.
5. გუშინ ყველა გაგაფთხილეთ, ხვალ საკონტროლო წერა გვექნება-ო
6. თაგვმა თხარა თხარაო კატა გამოთხარა-ო
7. დილით მყინვარ წვერს შევხედე თუ არა მაშინათვე ეს გავიფიქრე რა მშვენიერი რამ არისმეთქი
8. დედაშენი მომიკითხე, უთხარი როგორ ხარ, რას შვები რას აპირობთქვა
9. მშობლებმა ნიკა მკაცრათ გააფრთხილეს: „სასწრაფოთ წადი და გაკვეთილები ისწავლე“-ო.
10. ბრძენ ქართველს უთქვია: ხერხი სჯობია ღონესა თუ კაცი მოიგონებსა-ო.

სავარჯიშო 327. გაასწორეთ შეცდომები, დასვით სასვენი ნიშნები:

1. მეხუთეთ გიმეორეფ მე იქ არ ვიმღერებ თქო.
2. გამეცალე, გამეცალემეთქი.
3. ჩემი ბიძა შვილი შენს გამო მეტად წუხს ასე დამაბარა გაჩერდეს არსად წავიდეს-ო
4. სიყვარული აღგვამაღლებს-ო სთქვა რუსთველმა
5. ანამ შემოგვითვალა აუცილებლათ დამირეკეთ-ო
6. მარიამ წადი და დათო დაპატიჟე ჩვენთან სტუმრად მოდი-თქვა
7. ნიკა, ბებიას უთხარი დედა გეძახის-თქვა
8. ვიფიქრე დილას ადრე ავდგები და ყველაფერს მოვასწრეფთქვა.
9. ამბობენ კარგი შვილი დედის გულისვარდია-ო.

10. რევაზმა შემოგვითვალა გოგოებო აქ ძალიან მჭირდებით და უარი არ მითხრათ-თქვა
11. მე და ჩემი მეგობარი მთელი სალამო ვლაპარაკობდით რა უცნაური კაცია ეს რეზო მისი ვერაფერი გავიგეთ-ო.
12. ინანებ ჩემო ბატონო გიმეორებ ინანებთქო
13. მუდამ იმის ლაპარაკში ვიყავით, ჩამოვა ჩვენი ბიჭი და ის მოგვივლის-მეთქი
14. დავდიოდით ქუჩებში და ხალხს ვუმეორებდით ხმა ამოიღეთ ვერა ხედავთ ვილუპებით-მეთქი.
15. მუდამ იმის მტკიცებაში ვიყავით ვინც არ ისწავლის ცხოვრებაში დაიჩაგრება-თქვა.

სავარჯიშო N 328. შეცვალეთ ხაზგასმული შემასმენლის რიცხვი და გამართეთ წინადადება:

1. სასაცილოა, ეს გოგო როგორ იპრანჭება, რას იკლაკნება-მეთქი, -
   ვამბობდი.
2. დაგვიბერდნენ მშობლებიო, —**ვწუწუნებდით** ჩვენ.
3. მოგვატყუეს, მოგვატყუეს-მეთქი, —**ვუჩიჩინებდი** ლიას.
4. რა ხდება, რა ხდებაო,— **ვეკითხებოდით** დარაჯს.
5. ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერიაო, — **ვამტკიცებდით.**
6. არ მომეკარო, გესვრი, ადგილზე გაგათავებ-მეთქი! — **შევძახე** გამწარებულმა.
7. ეს ქალი ნამდვილად ავადმყოფია-მეთქი, — **ვფიქრობდი** გულში.
8. მოდით, ჩვენი სიხარული გაიზიარეთო, — **მოვუწოდებდით** ყველას.
9. სამი სურვილი აგვისრულეო,— **დავდევდით** ბებიას.
10. ამას არ შევარჩენ-მეთქი, — **ვიმუქრებოდი** დღენიადაგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიალოგი

◈ცნობისათვის: ორ ან მეტ პირს შორის საუბარს დიალოგი ჰქვია. დიალოგის ყოველი მონაწილის ნათქვამი იწყება ახალი სტრიქონით, წინ ტირე იწერება და ბრჭყალებში არ ჩაისმის.

სავარჯიშო N 329. დასვით სასვენი ნიშნები.

- მოდიხარ
  სად
  კინოში
  რა გადის
  ბეჭდების მბრძანებელი
  ბილეთები თუ გვაქვს
  ავიღებთ
  რას აიღებ უამრავი ხალხი იქნება
  შენ წამოდი და მოვახერხებ რამეს
  კარგი ჩავიცვამ და წამოვალ

- რატომ დაგაგვიანდა იკითხა მამამ
  გამოცდა დიდხანს გაგრძელდა უპასუხა მარიამმა
  რას აბარებდი დაინტერესდა მამა
  ფსიქოლოგიას უხალისოდ უპასუხა გოგონამ
  ვინ გამოგცადა არ ეშვებოდა ნიკო
  ჩვენი პროფესორი ავად გახდა და მისმა ასისტენტმა წაიდუდუნა ქალიშვილმა
  რალაც ხასიათზე ვერ ხარ ვერ ჩააბარე თანაგრძნობა გაისმა მამის ხმაში
  ჩავაბარე მოკლედ მოჭრა გოგონამ
  მერე
  რა მერე ძალიან დაბალი ქულა დამიწერა

აუ შეწუხდა მშობელი

- ხშირად გხედავ ამ ქუჩაზე აქ ცხოვრობ
  არა
  აბა რას დადიხარ აქ
  მეგობარი ცხოვრობს და ერთად ვმეცადინეობთ
  ო იკლავ თავს ალბათ მეცადინეობით
  მართლა არ გჯერა
  არა
  აბა სიმართლეს გეტყვი
  მიდი თქვი
  ერთი გოგო მომწონს
  აუ ვინაა
  შენთვის რა მნიშვნელობა აქვს
  თქვი არ მოგტაცებ
  მატასი ჰქვია სახელად
  რა ლამაზი სახელია
  შენ გოგო უნდა ნახო
  ღმერთმა ხელი მოგიმართოს აბა კარგად იყავი

- დათო წამიყვანე გადაღებაზე
  მარიამ დამანებე თავი შენთვის არ მცალია
  არ მცალია არ მცალია სულ ამას გაიძახი შენ ჩემთვის არასდროს
  გცალია
  კარგი ბატონო წამოდი ოღონდ არ დაიწყო მერე დავიღალე მეტი
  ალარ შემიძლიაო
  არ დავიწყებ ოღონდ ახლა წამიყვანე
  ბებო აჭამე მარიამს უნდა წავიდეთ
  სად მიდიხართ შვილო
  გადაღებაზე
  მალე მოხვალთ
  ოთხ საათში
  რა ამბავია ბებო ოთხი საათი ხო დაიხოცებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ გეშინია არაფერი მოგვივა
წავედით მარიამ ჩქარა

XVII. რამდენიმე სასვენი ნიშანი ერთად

◈ცნობისათვის:

- **მძიმისა და ტირეს ერთად ხმარებისას ჯერ დაისმის მძიმე, შემდეგ — ტირე.**
  — მართალია, პაპამისი იტალიელი ყოფილა, — მიუგო გიორგიმ, — მაგრამ ის ჯერ კიდევ ჭაბუკი ჩამოსულა საქართველოში.

- **როცა წერტილი, მძიმე, წერტილ-მძიმე, ორწერტილი ან ტირე ბრჭყალებთან ერთადაა, ისინი მხოლოდ დახურული ბრჭყალების შემდეგ დაისმის.**
  გავიხსენოთ მისი სპექტაკლები — „ბაკულას ღორები“, „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“, „ბნელ ოთახში“.

- **კითხვის, ძახილის ან კითხვა-ძახილის ნიშნები და მრავალწერტილი დაისმის როგორც ბოლო ბრჭყალების წინ, ისე შემდეგ. კერძოდ:**
  - **ბოლო ბრჭყალების წინ, თუ იგი განეკუთვნება იმ სიტყვას ან სიტყვებს, რომლებიც ბრჭყალებშია მოქცეული.**
    ეკას მოესმა ბოხი ხმით წარმოთქმული სიტყვები: „ნეტა ეს ლამაზი ქალი ვინ არის?“;
    „ზვიადაურო, ძმობილო, რად არ მაჩვენებ შენს სახეს?!“
    „როგორ მოგწონს ახალი სახლი?“— მკითხა დედამ.
  - **ბოლო ბრჭყალების შემდეგ, თუ იგი ბრჭყალებში ჩასმულ სიტყვებთან ერთად განეკუთვნება მთელ წინადადებას.**
    ნუთუ არ გინახავთ ახალი მხატვრული ფილმი „სამოთხის გვრიტები“?

- **არც გახსნილი და არც დახურული ფრჩხილების წინ არ დაისმის წერტილი, მძიმე, წერტილ-მძიმე, ორწერტილი და ტირე: ისინი დაისმის მხოლოდ დახურული ფრჩხილების შემდეგ.**
  მისი საუბრიდან გავიგე, რომ ყბაჩა (ასე ეძახდნენ მეგობრები ნიკას) — ცნობილი მსახიობის შვილი ყოფილა;

- **კითხვისა და ძახილის ნიშნები და მრავალწერტილი დაისმის:**
  - **დახურული ფრჩხილების წინ, თუ ისინი მხოლოდ იმ სიტყვას ან სიტყვებს განეკუთვნება, რომლებიც ფრჩხილებშია ჩასმული.**
    მთვარიანი ღამე აქ გასაგიჟებელია, ქობულეთის მთვარიანი ღამე (თუმცა სად არაა იგი გასაგიჟებელი?).
  - **დახურული ფრჩხილების შემდეგ, თუ ის ფრჩხილებში ჩასმულ სიტყვებთან ერთად მთელ წინადადებას განეკუთვნება.**
    რომელი ანბანი შეიქმნა უფრო ადრე: მრგლოვანი (ასომთავრული) თუ კუთხოვანი (ნუსხური)?
- **წერტილი არ დაისმის ციტატის შემდეგ, როცა მას ერთვის ფრჩხილებში მითითებული ავტორი და წყარო. იგი დაისმის დახურული ფრჩხილის გარეთ.**

„დამოუკიდებელი მნიშვნელობის არმქონე სიტყვებს წინადადების წევრობა არ შეუძლიათ“ (ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, ტ. III, თბ., 1980, გვ.35).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარჯიშო N 330. დასვით სასვენი ნიშნები:

1. როგორც უკვე აღვნიშნე ჩვენი მოსვლის მიზანია თქვა მინისტრმა აგრარული რეფორმის საბოლოოდ გატარება ამ რაიონში.
2. იქ გვიჩვენეს ოთახი სადაც იწერებოდა ომი და მშვიდობა და ანა კარენინა
3. ვანომ ცნობილმა მომღერალმა ყველასათვის ნაცნობი საამური ხმით გააბა თავო ჩემო ბედი არ გიწერია
4. მე ვეკითხები ხალხი სად არის მეთქი ის კი გაიძახის „ბატონო ნაჩალნიკო ბატონო ნაჩალნიკოო“
5. ჩვენს სოფელში ფართოდ იყო გავრცელებული ზედმეტი სახელი, რომელიც ხშირად გამოსახავდა ადამიანის თვისებას: სიხარბეს (მგელი) ეშმაკობას (კუდიანი) სიჯიუტეს (ჯიქი)
6. ჩახტა თუ არა ყმაწვილი წყალში მდინარემ იმწამსვე დააპროწიალა. ვაიმე ამასაც დაახრჩობს ეს წყეული მდინარე აყვირდნენ ბავშვები.
7. ღამის სიბნელეს მთელი ქვეყანა მოეცვა ხალხი სახლებში შეყუჟულიყო და ნამცეცი შუქი არსად ჩანდა რომ მგზავრს გზადაკარგულს გზა გაეგნო და ნადირებისა და ავი სულების წერა არ გამხდარიყო.
8. საწერეთლოში ზემო იმერეთში ბევრი კარგი სოფელია და მათს რიცხვში ურევია სავანეც ის სოფელი სადაც ჩემი ძიძა ცხოვრობდა და მე ვიზრდებოდი.
9. ერთხელ ავდრიანი დღე იყო ქალებმა ყანაში არ წაგვიყვანეს გვეწყინა მაგრამ რაღას ვიზამდით
10. ძიძიშვილმა მითხრა მოდი ერთი ბაბუას წვერები დავუჩეჩოთო ჩამოიღო საჩეჩელი მოიტანა მატყლი და დაუწყო ჩეჩვა თანაც ასე იძახოდა ასე დაეჩეჩოს ბაბუას წვერებიო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარჯიშო N 331. დასვით სასვენი ნიშნები:

ვაჟა-ფშაველა „მთანი მაღალნი“

იდგნენ და ელოდნენ უსაზღვროა მთების მოლოდინი უსაზღვრო ზღვადა სდგას იმათ გულში წითლად, სისხლისფრად შედედებული უთიმთიმებთ გულ-მკერდში გარეთ სახეზე კი არაფერი ეტყობათ გარდა მტერობისა ეს არის კიდეც ნიშანი მოლოდინისა. ვინ იცის რა ამბავია მთების გულში რა ცეცხლი სდუღს და გადმოდის

მთებო მთებო რას ელით ვის ელით ნუთუ გყავთ სატრფო დიდიხნის უნახავი იქნება შვილი დაჰკარგეთ იქნება ძმა ან დედა გყავთ შორს წასული და არაფერი ამბავი მოგსვლიათ? პასუხი არ ისმის. სდგანან წარბშეუხრელად ელოდენ ელიან და კვლავ ექნებათ მოლოდინი რა დააშრობს იმათ გულში იმ მოლოდინის ზღვას არა აქვს იმას ბოლო არც დასასრული როგორც ღვთაებას

როცა ყველა სულდგმულს მწერს ბალახს ყვავილებს მდინარეს და მოუსვენარს დაუღალავს ნიავს დაეძინებათ მაშინ მხოლოდ მაშინ ამოიოხრებენ და ცრემლებს ჰღვრიან. ჩვენ კაცნი მაშინ ვამბობთ ახ რა მძიმე ლოდივით ნაღველი მაწევს გულზეო

რატომ არ მღერით მთებო განა ისე უნდა მოვკვდე რომ თქვენი ხმა თქვენი სიმღერა ვერ გავიგონო რატომ არ იცინით ღიმილი მაინც მაჩვენეთ თქვენი კარგებო მაგრე როგორ დაგიმონათ შეგიპყრათ დაგიმორჩილათ ერთმა ფიქრმა რომ სხვა ყოველივე ძალა და ნიშანი სიცოცხლისა დათრგუნვილა თქვენს გულ-გონებაში არა არა ხანდახან თქვენც გიხარიათ და ქვეყანას კი ჰგონია ვითომ თქვენ არაფერს გრძნობთ ხომ ვიცი თქვენს გულში სანთლები დაენთება

როცა ლაღი არწივი დაგთამაშებთ თავზე და დასასვენებლად თქვენს კალთაზე ჩამოეშვება რა ლამაზი ხართ მაშინ როგორ გიხდებათ რომ ის თქვენი აღზრდილი შვილი ისე მამაცი შეუპოვარი და ლამაზია ის ხომ შიკრიკიცაა თქვენი ღმერთს უამბობს ატყობინებს თქვენს ამბავს...

არა გაქვთ აზრი იდეა გრძნობა არ ოცნებობთ როგორ არა! მაშ რაა ის მშვენიერი ყვავილები თქვენ რომ გულმკერდს გიმშვენებთ ეგაა თქვენი ოცნება იმედი ნუგეში რად იბურავთ თავს ხშირის ნისლებით თუ ჩუმჩუმად რასმე არა ჰფიქრობთ და მაგ ფიქრს არ გვიმალავთ ადამიანის შვილებს?! რად მოგყავთ ბალახი რად ადენთ ცივთა წყაროთა რად აქანებთ ზვავებს რადა ზრდით ლალთა ხარჯიხვთა ვის ატყუებთ თქვე კარგებო

სდგანან და ელიან წვიმა წვიმს იმათ თავზე ელვა უტუსავს ოქროს ქოჩორს მეხი ეთამაშება იმათ თვალებს და ხშირადაც ერჭობა ისარივით გულმკერში, არაფერია. ინგრევა ხშირად ნახევარი მთა და ზვავად მიდის ხევში. არაფერია ეგეც თუ კლდე და ლოდები მაინც ელიან. წადით ვისაც არ გინდათ ჩვენთან მაღლა ცის ახლოს ყოფნა დაბლა განისვენეთ

სდებს თოვლი ჰყინავს ცივა ქვა ტყვრება მთებს სუდარი ჩაუცვამთ ტანზე თითქოს მკვდრები იყვნენ დაგვმარხეთ დაგვიტირეთო გვეძახიან. ჩვენ კი იმათგან მოველით დამარხვას...

სდგანან და ელიან გული სტკივათ ძალიან სტკივათ მაგრამ არ იხოცებიან არც ჭლექდებიან ელიან ვის ან რას რაღაცას დიაღ რაღაცას ეს რაღაცაა უნახავის დანახვა ჰნახეს და გაათავეს რასაც იმათი თვალი და გული მისწვდებოდა სხვა ახალი მოსწყურებია იმათ თვალსა და გულსა. ეს ხომ თვალ-გულის გაუმაძღრობაა სწორედ რომ ისაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

XVIII. სიტყვის სტრიქონიდან სტრიქონზე გადატანა

◈ *ცნობისათვის:* სიტყვის სტრიქონიდან სტრიქონზე გადატანისას დასაშვებია მისი გაკვეთა ნებისმიერ ნაწილში. აკრძალულია მხოლოდ ერთი ასოს ან უმარცვლო თანხმოვანთკომპლექსის დატოვება ან გადატანა.

სიტყვის გადატანისას მისი ლექსიკური მნიშვნელობის უკეთ აღსაქმელად უმჯობესია ფუძის გამიჯვნა დამხმარე ელემეტისგან (აფიქსები, თანდებულები, ზმნისწინი...) მაგალითად, სახლ-ში, მაგიდა-ზე, აღ-წერს...

ასევე უმჯობესია რთული სიტყვების ბუნებრივ საზღვარზე გაკვეთა (ცოლ-ქმარი, სპორტ-დარბაზი, თვით-მმართველობა, ხუროთ-მოძღვარი...).

სავარჯიშო N 332. ჩამოთვლილი სიტყვები გაკვეთეთ გადასატანად.

გვგვრის	გააადამიანა
შეეერთებინა	უარზეა
კრწანისი	მატარებლისკენ
გრიალებს	კლავს
ბრდღვნის	წყნეთსა
გლეჯს	მაყვალას
ცეცხლს	ოცნება
ალია	ია
ხელმძღვანელი	ანთია
არია	ეზო
მიჩანჩალებს	აელვარა
გააათმაგებინეს	დააარსა
შრება	უკრავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარჯიშო N 333. ჩამოთვლილი სიტყვები გაკვეთეთ გადასატანად:

სახელმწიფოებრივი	წარმოგიდგენთ
სახლ-კარი	პარლამენტი
ერთთვიანი	ტელევიზია
ცოლშვილიანი	დაგვგვიანებია
სიუხვე	ნაზია
სია	გია
ენა	პირველხარისხოვანი
უსაქმურად	კურდღელი
ბრიალებს	ცოლ-შვილი
წიგნი	სასახელო

XIX. სიტყვათა შემოკლება და აბრევიატურა

◈ *ცნობისათვის:* **ყველაზე ხშირად შემოკლებით იწერება შემდეგი სიტყვები:**

- **მსაზღვრელად გამოყენებული საზოგადო არსებითი სახელები: ქ. — ქალაქი** *(ქ. თბილისი),* **სოფ. — სოფელი** *(სოფ. კაკაბეთი),* **მდ. — მდინარე** *(მდ. არაგვი),* **გაზ. — გაზეთი** *(გაზ. „რეზონანსი“),* **ჟურნ. — ჟურნალი** *(ჟურნ. „გზა“).*

- **ინიციალები გვართან: ნ.მ. ბარათაშვილი, ა.ს. პუშკინი** *(ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილი, ალექსანდრე სერგის ძე პუშკინი).*
- **წოდების აღმნიშვნელი სიტყვები: აკად.** – აკადემიკოსი, **პროფ.** – პროფესორი, **დოც.** დოცენტი...

- **ზომა-ოდენობის აღმნიშვნელი სიტყვები: მ** — მეტრი, **სმ** – სანტიმეტრი, **კმ** – კილომეტრი, **მმ** – მილიმეტრი, **დმ** – დეციმეტრი, **კვ.მ.** — კვადრატული მეტრი, **კგ** – კილოგრამი, **გ** — გრამი, **ტ** — ტონა, **ც** — ცენტნერი, **ჰა** — ჰექტარი, **ლ** — ლიტრი, **ვტ** — ვატი, **ვ** — ვოლტი.

☞ ***დაიმახსოვრეთ!***

- **არ შეიძლება სიტყვის შემოკლება ხმოვანზე.**
- **შემოკლებით დაწერილი სიტყვების ბოლოს აუცილებელია წერტილის დასმა.**

- *გამონაკლისია ზომა-წონისა და სხვა ფიზიკური ერთეულების აღმნიშვნელი შემოკლებები. წერტილი მათ ბოლოს დაისმის მხოლოდ მაშინ, თუ წინადადება მთავრდება.*

☞ **შემოკლებით იწერება:**

- **დროის გამომხატველი სიტყვები: წ.** — წელი; **წწ.** — წლები; **ა.წ.** – ამა წლის; **ძვ. წ.** — ძველი წელთაღრიცხვით; **ახ. წ.** — ახალი წელთაღრიცხვით; **სთ.** — საათი; **წმ.** — წამი; **ს.** – საუკუნე; **სს.** — საუკუნეები.
- **სქოლიოსა და ტექსტში ხშირად გამოყენებული სიტყვები: გვ.**— გვერდი; **ფ.** — ფურცელი; **თხზ.**— თხზულებანი; **იხ.** — იხილე; **ნაწ.** — ნაწილი; **ტ.** — ტომი; **შრ.** — შრომები; **მაგ.** — მაგალითად; **შდრ.** — შეადარე; **შნშ.** — შენიშვნა.

- **ზოგი კავშირი და ზმნიზედა: ე. ი.** — ესე იგი; **ე. წ.** — ეგრეთ წოდებული; **ა. შ.** ასე შემდეგ; **და მისთ.** — და მისთანა; **და სხვ.** — და სხვა.

☞ ***გახსოვდეთ!*** **ბრუნვის ნიშნები და თანდებულები შემოკლებულ სიტყვასთან (ან აბრევიატურასთან) დეფისით იწერება** *(ს-ში, მ-ს, აშშ-ში).*

◈ ***ცნობისათვის:*** **აბრევიატურა ეწოდება ორი ან მეტი სიტყვის შემოკლებით შეერთებას.**

არსებობს აბრევიატურის მიღების რამდენიმე ხერხი:

- **სიტყვის დასაწყისი ნაწილების შეერთება:**
  - **აღებულია სიტყვების პირველი (ან პირველი და მეორე მარცვალი).**

    გაერო *— გაერთიანებული ერების ორგანიზაცია,* ***საქინფორმი*** *— საქართველოს საინფორმაციო ცენტრი.*
  - **შემოკლებულია პირველი სიტყვა, მეორე კი სრულად არის წარმოდგენილი:**

    ჯანდაცვა *— ჯანმრთელობის დაცვა;* ***მედდა*** *— მედიცინის და;* ***ევროსაბჭო*** *— ევროპის საბჭო;* ***პედსაბჭო*** *— პედაგოგიური საბჭო;* ***მასმედია*** *— მასობრივი მედია.*
- **წარმოდგენილია მხოლოდ დასაწყისი ასოები:**

  აშშ *– ამერიკის შეერთებული შტატები;* ***ეუთო*** *– ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია;* ***ედპ*** *— ეროვნულ-დემოკრატიული პარტია;* ***შპს*** *— შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;* ***თსუ*** *— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;* ***ქეგლ*** *–ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.*
  - *ხშირად აბრევიატურა ინგლისური სიტყვების შემოკლებითაა მიღებული და ინგლისურადვე კითხულობენ:* ***ბი-ბი-სი*** *(BBC);* ***ნატო*** *(NATO);* ***იუნესკო*** *(UNESCO);* ***თი-ბი-სი*** *(TBC);* ***სი-ეს-ბი*** *(CSB).*

სავარჯიშო N 334. დაწერეთ ხაზგასმული სიტყვები შემოკლებით:

1. გრიგოლ ხანძთელი VIII-IX **საუკუნეებში** მოღვაწეობდა.

2. ილიამ ეს ნაწარმოები XIX **საუკუნის** 60-იან **წლებში** დაწერა.

3. ეს წიგნი რვა **მილიმეტრის** სისქის ქაღალდზე უნდა დაიბეჭდოს.

4. ამ ოთახის ფართობი 25 **კვადრატული მეტრია.**

5. ლაბორანტმა სინჯარაში 5 **მილიგრამი** გოგირდმჟავა ჩაასხა და **პროფესორ** ბაკურაძეს მიაწოდა.

6. **მდინარე** მტკვრის ნაპირზე **ახალი წელთაღრიცხვის** V საუკუნეში მეფე ვახტანგ გორგასალმა **ქალაქი** თბილისი გააშენა.

7. ამ **ეგრეთ წოდებულ** სამხილებს რა ფასი აქვს?

8. ამ საკითხთან დაკავშირებით **იხილეთ აკაკი** შანიძის **თხზულებანი, ტომი** II, **გვერდი** 123.

9. ნიკომ შარშან ორი თვე გაატარა **გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.**

10. ზვიადი **თბილისის ელმავალმშენებლი ქარხნის დასახლებაში** ცხოვრობს.

სავარჯიშო N 335. ფრჩხილებში ჩაწერეთ შემოკლებული სიტყვებისა და აბრევიატურების სრული ფორმები:

1. თსუ (.....) პირველი ქართული უნივერსიტეტია.
2. გაეროს (.....) თანამშრომლები შეხვდნენ ქართველ სტუდენტებს.
3. ა. (.....) კალანდაძე ცნობილი ქართველი ლირიკოსია.
4. აშშ-ში (.....) წელს დიდთოვლობა იყო.
5. ა.წ. (.....) 12 მარტს გაიმართება ლიტერატურული კონკურსი.
6. შპს (.....) „ოცნება“ ორი წლის წინ დაარსდა.
7. 5 კგ (.....) შაქარი ამიწონეთ, გეთაყვა.
8. ქ. (.....) თბილისს მდ. (.....) მტკვარი ჩამოუდის.
9. ამ სახელმძღვანელოს ავტორი არის აკად. (.....) კიკნაძე.

10. სოფ. (.....) ტაბაკინი იმერეთში მდებარეობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XX. სავარჯიშოები გასამეორებლად

სავარჯიშო N 336. გაასწორეთ შეცდომები:

1. ნოდარი დგებუაძე თავის მამიდა-შვილის კლას დასასვენებლათ დმანიში გაყვა.
2. ფანჯრებ-ჩამტვრეულ ვაგონში ერთერთი პირველთაგანი ალმოვჩნთი.
3. ქათმები ხეზე დასაბუდებლათ დაჯდენ.
4. სულ იმის შისში იყო ვინმე არ მიკარებოდა.
5. რკინის საწოლები ერთმანეთან ახლოს მიწიეს და ზედ გლეხურათ ჩაცმული ზვიადი კობახიძე დააწვინეს.
6. ოთარიმ ზვიადის კითხა ვახტანგის ამბავი, მარა ზვიადიმაც არაფერი არ იცოდა.
7. ეთერიმ ბილეთები დაჰკეცა და დიდი ამბავით შეინახა.
8. გურამიმ თამაზის სასმისი პირთამდი ოუვსო და მიაწოდა.
9. დარჩა ქვრივათ საწყალი ლუარსაბი, გარედ აღარ გადიოდა.
10. ის ალბად ჩემ დაბრუნებას ელოდა.

სავარჯიშო N 337. გაასწორეთ შეცდომები, დასვით სასვენი ნიშნები:

1. ისმის ხმლების ჭახა-ჭუხი, ფლოქვების თქარა-თქური და მეომრების ყიჟინა.
2. ცხენ-და-ცხენ გამოვედევნე იმ მზეთ-უნახავს, დღე და ღამ ვიარე, სულ ტყეტყე მივდიოდი, მარა ვერ დავეწიე.
3. ნიკავ, საახალწლოთ ცოლ-შვილი ჩამოიყვანე, შენ დედმამას გოუხარდებათ.

4. თათრებმა უამრავი სახლი გადაწვეს, ბალვენახებსაც უწყალოთ ჰკაფავდენ და დიდ-პატარას ულუკმა-პურით სტოვებდენ.
5. ცხვარ-ბატკანი საძოვარათ მიკუნტრუშობდენ.
6. მგლებს მიზეზი ქონდათ თავის თანა-მოძმე ლუკმა-ლუკმა დაეგლიჯად.
7. ცოტა ხნის შემდეგ ქვების რახა-რუხი და კომბლების ტყაპა-ტყუპი ისმოდა.
8. ათასშვიდასსამოცდაცხრამეტ წელს ეკატერინე მე-II-ემ რუსეთიდამ ოთხიათასი ჯარის კაცი გამოჰგზავნა.
9. წყალ სადენის იქით ერთად-ერთ ორ-სართულიან შენობაში იაფ ფასიანი მაღაზია იყო.
10. მე მას სიტყვა მოუჭერი: ნახევარი ჩემი ობლებისაა—თქო.

სავარჯიშო N 338. გაასწორეთ შეცდომები, დასვით სასვენი ნიშნები:

1. უთხარი რომ როცა მინდია კვტებოდა შენ გლოცავდათქვა
2. ნათქვამია კაი ბედაური მათრახს არ დაიკრავს-ო
3. ვაივაივაი ეს რა მომივიდა, ონკანი ღიათ როგორ დამრჩა
4. ხა ხა ხა გადაიხარხარა ლევანიმ
5. ჩხიჩხიჩხი დასძახოდა ჩხიკვი
6. მიაუ მიაუ ისმოდა კატის კნავილი.
7. ვაგონრესტორანის ფანჯარიდან ვხედავდი როგორ აფრინდენ დედალ მამალი ხოხობი.
8. მე ძაღლს შივარდი, მაგრამ ის უკვე უსულოთ ეგდო
9. მე მას ყურს აღარ უგდებდი.
10. მე რო დაობლდი სულ პატარა ვიყავი.

სავარჯიშო N 339. გაასწორეთ შეცდომები, დასვით სასვენი ნიშნები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ვიცი რო მე დიდი სიფრთხილე მართებს.
2. ნაცარ-ქექიები გვაშინებდენ, დევები კი ზიზღსა გვრიდნენ.
3. მას სოფლის ველმინდვრების სურნელება შემოყვა.
4. იგი გადაწვდა ვარდს მოსწყვიტა და მისცა თამარის.
5. მოდიხარ კითხა ლევანიმ ომარის.
6. ამირანიმ ცოლს რამოდენიმე სიტყვა მიწერა.
7. შუაში ზურა ჩეისვეს, თითონ გარშემო მიუჯდენ და ახარხარდენ.
8. ჯერ კიდევ არ დამიკარქია ანალიზის უნარი.
9. ყვითელ და შინდის ფერ ფოთლებს ენა აუდგიათ.
10. ვახტანგიმ ქუდი დაიფარა წვიმას რო არ დაესველებია.

სავარჯიშო N 340. გაასწორეთ შეცდომები, დასვით სასვენი ნიშნები:

1. ოთარიმ ბიჭებს ხელ-წერილი დააწერია და მათ მშობლებს გაუგზავნა.
2. ო რარიგ გაუგემურდა მას სიბერე.
3. სამართველოში ნელ-ნელა შედიოდენ სამ სამი კაცი.
4. მეფემ მდუმარეთ გაწია კვეტარისაკენ.
5. ბოვშმა დედას ხმა არ გაცა.
6. ეს კალამი ჩვენ არ დაგვარდნია.
7. სისხლის მღვრელმა ბრძოლამ მთელ ღამეს გატანა.
8. ეთერიმ საკონტროლოში ხუთიანი მიიღო და მისი სიხარული დედმამას გაუზიარა.
9. უცეფ გამოვარდენ შეიარაღებული გლეხები.
10. ისინი ჩამოჯდენ გაშალეს ნაბადი და ქალი მაზე დააჯინეს.

სავარჯიშო N 341. გაასწორეთ შეცდომები:

1. მაგიდაზე გარეცხილი თეფშები იდო.
2. რუსუდანის ცრემლები გადმოვარდა.
3. ამხედრებული დავითი და გია თქარა-თქურით მოვარდენ.
4. დაჭრილები გარედ უპატრონოდ ეგდენ.
5. ოსები ნადირეფს უმოწყალოთ კლავდენ.
6. ბერი-კაცები სიცილით კვდებიან.
7. მათმა დავლება პირნათლათ შეასრულეს.
8. ნინო და ნანა გვიან დაბრუნდა სკოლიდან.
9. ნიაო, ჩემო ნიაო ნუ სჩაგრავ ტყეში ობოლსა.
10. ჩვენო არაგო რა რიგ მიყვარხარ

სავარჯიშო N 342. გაასწორეთ შეცდომები:

1. მერცხალმა ბარტყები გამოჩეკა.
2. დამხდურთა შორის ნანაც იყო.
3. მორცხობით ვერა ფერს მოიგებ.
4. მინდა როგორ-მე ვძლიო ეს პირუტყული შიში.
5. ის ტახტის უდაო მემკვიდრეა.
6. ბავშმა ბავშობა არ უნდა დაკარქოს.
7. არწივს მოშაო ფერის ტანი აქს.
8. თავის-უფლება თითონ უნდა მოიპოო.
9. ეს ძალზედ სადო საკითხია.
10. უდაოა ქვეყნის წარმატებას ეკონომიკა განსაზღვრავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარჯიშო N 343. გაასწორეთ შეცდომები:

1. თინა მხატვარს სურათსა ახატინებს
2. ჩვენი მეეზოე ულვაშებ-აპრეხილი ქურთია.
3. ნოდარო, დღეს კინოში წავიდედ უთხრა ნოდარის გიამ.
4. თენგიზი მოდი ჩემთან დაუძახა დედამ შვილს.
5. აგიაშვილი გამოდი დაფასთან.
6. ეს დავალებები ერთიდაიგივე ჯარის-კაცმა შეასრულა.
7. ბებია-ჩემი ანთავისუფლებს ჩემ მშობლებს სწავლის ხარჯებისაგან.
8. დრო და დრო ისმოდა ქარიშხალის გუგუნი.
9. ლევანიმ ყურძენის კრეფას თავი გაანება.
10. ეს ანბავი ვილაცეებმა მითხრენ.

სავარჯიშო N 344. გაასწორეთ შეცდომები:

1. დედა-კაცი ცრემლებს იწმენდავდა თვალებდამ.
2. ქალები იჯდენ და მცხარე ცრემლით სტიროდენ.
3. ბებიაჩვენს ბევრი ახირებული ჩვევები ქონდა.
4. ორივე მონადირეები ფრთხილათ ჩამოვიდენ მთიდან.
5. ამ ოთახში სძინავდა ჩემ ნაცნოფს, იმ ოთახში კი შენსას.
6. ვეფხისტყაოსანი მე-12-ე საუკუნეში დაიწერა.
7. ცოლქმარმა ბუზების დათვლა დეიწყეს.
8. აქიდამ ხელის გულივით მოჩანს „კახეთი“, მისი ლამაზი არე-მარე.
9. ფშავ-ხევსურეთი ჩვენი ქვეყნის ულამაზესი კუთხეებია.
10. ვაშკაცს შიში ვერ გასდრიკავს.

სავარჯიშო N 345. გაასწორეთ შეცდომები, დასვით სასვენი ნიშნები:

1. რათქმაუნდა მოყვარული ცოლქმარი ამის გამო ერთი მეორეს არ ახირებია.
2. ნიკოვ, ფრთხილათ მოიქეცი
3. ილია მგზავრის წერილები ერთერთი საუკეთესო თხზულებათაგანია „ქართულ ლიტერატურაში“.
4. მრცხვენოდა და გურამის თვალებს ვერ უსწორებდი.
5. გურულებმა და მეგრელებმა ერთმანეთში მისვლამოსლვა დაიწყო.
6. ეს რამ გაფიქრებია შენი ჭირი მე კითხა გაოცებულმა ქალმა.
7. ყოჩახ ჩემო ძმაო სწორეთ ასე უნდა მოიქცე
8. „მტკვარის“ მარჯვენა სანაპიროზე დიდი საცურავო აუზია.
9. „ნიკორწნიდა“ მნახველს ანცვიფრებს
10. ორივე შეჩერდენ და აღელვებულს ზღვას დაუწყეს ყურება.

სავარჯიშო N 346. გაასწორეთ შეცდომები, დასვით სასვენი ნიშნები:

1. წადი შვილო ღმერთმა ხელი მოგიმართოს
2. მზე რომ ამოვიდა არემარე განათდა.
3. თქვენ ქალაქელები ყველა ერთმანეთს ჰგავხართ უთხრა ანზორმა ქალაქელ სტუმრებს.
4. ხერხი სჯობია ღონესა თუ კაცი მოიგონებსა გვასწავლის ქართული ანდაზა.
5. მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის მიწიერი ზეციერსა ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ რომ წარვუძღვე წინა ერსა
6. სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი ბრძანებდა რუსთველი
7. თუ გახსოვს ჩემო კარგო რა დრო იყო
8. გაასწორეთ: სტუმრები შემოვიდენ და სკამებზე დაჯდენ.

9. ლევანი ღრმად იყო დარწმუნებული რომ ფულით ცოდნას კაცობას სინდის ნამუს ერთი სიტყვით ყველაფერს იყიდიდა

10. თაგვმა თხარა თხარაო კატა გამოსთხარაო გვასწავლის ქართული ანდაზა

სავარჯიშო N 347. გასწორეთ შეცდომები, დასვით სასვენი ნიშნები:

1. გამომცემლობა დიოგენემ ბევრი ახალი წიგნები გამოცა
2. დიახ დიახ გავიგედ წამოიძახეს ერთად შეშინებულმა ცოლქმარმა
3. ავთანდილი გადაწყვიტავს მეფეს სიმართლე დაუმალოს და ეტყვის რომ სალაშქროდ აპირებს წასვლას
4. მე მშვიდად ავდექი და რა თქმა უნდა შენსკენ წამოვედი
5. — ჰაი, პეტრევ, ფრთხილათ! — არიგებდა პეტრე თავის თავს
6. სტუმრები შემოვიდნენ და მაშინვე სკამებზე დაჯდნენ
7. კაცი ქალი დიდი პატარა მისთვის ყველა ერთი იყო.
8. წესი ეგრეა ბატონო უპასუხა კარის კაცმა
9. ტყემ მოისხა ფოთოლი აგერ მერცხალი ჭყივის ბაღში ვაზი ობოლი მეტის ლხენითა ტირის
10. როგორც სჩანს ეს ახალი ამბავი ყველამ იცის ჩემს გარდა

სავარჯიშო N 348. გაასწორეთ შეცდომები:

1. ჩვენ არ გვაკმაყოფილებს მიხწეული შედეგები.
2. დიდი ვაივაგლახით შევახწიეთ ვაგონში.
3. ვახო და კობა ბრთხილად მივიდენ სახლის კარებთან.
4. სკივრის ბსკერს მოშაო ფერი გადაჰკრავდა.
5. ნიკო სტვენა-შტვენით მიუყვებოდა ჩაბნელებულ ქუჩას.
6. მგზავრი ურემის ნაკვლევს წააწყდა და ხელით ბრთხილათ მოშინჯა.

7. ოსტატი ფიცარს ასალაშინებს.
8. ელიკოს არ უნდოდა, ნაუცბათევათ გაეცა პასუხი.
9. ეშმაკმა მაცთუნა და სწორეთ აქ მომიყვანა.
10. ირანის შახმა თავის ლაშქარს თბილისი გააცარცვინა.

სავარჯიშო N 349. გაასწორეთ შეცდომები:

1. „თავსაფრიანმა დედაკაცმა“ ერთ ბოლჩაში გამოჰკრა თელი მისი ავლადიდება.
2. ნოველის ბოლოს მამა მეზობელის ვენახში იღრჩობს თავს.
3. ნოდარი განძრახ დაბრუნდა უკან, თუმცა, ეგონა, ამას ვერავინ მიხვთებოდა.
4. საჭმელს გემოს პიმპილი და მარილი აძლევს, მით უმეტეს, თუ საქმე ინდოურის საცივს ეხება.
5. ბაზრობაზე ხშირათ იეფფასიანი და უვარგისი საქონელი იყიდება.
6. ამის დანახვა ყოველთვის იამება ქრისტეან კაცს.
7. ილიას ლარსში რუსი აფიცერი შეხვთა.
8. ზოგიერთ ეგრედწოდებულ დემოკრატულ სახელმწიფოს დემოკრატულობის არაფერი სცხია.
9. ნიკავ, რას დამზგავსებიხარ, რა დაგმართნია?
10. ბავშვებო, გახსოვდეთ ორმცნებიანი კომპოზიტები დეფიზით იწერება!

სავარჯიშო N 350. იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები. აღნიშნეთ, რა ტიპისაა შეცდომა — ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური, სინტაქსური, პუნქტუაციური თუ სტილისტური.

1. აკაკი წერეთელის ბევრი ლექსი სწორედ ივანე მაჩაბელის ოჯახში შეკრებილმა საზოგადოებამ მოისმინა პირველად.
2. მაყურებლები შეძახილებით ამხნევებდნენ ნორჩ დებიუტანტს, რომელიც პირველად გამოდიოდა სცენაზე.
3. ხალხი გააკვირვა თევზაძეს თამადობამ და თევდორაძეს სიმღერამ.
4. იმ საქმეს, რომელსაც ხელს მოჰკიდებ, მას ერთგულად უნდა ემსახურო.
5. დედოფალ მარიამმა უფლისციხეში წასვლა გადაწყვიტა.
6. ძმებო ნება მოგვეცით დაგეხმაროთ.
7. ჭიაბრის დასაფლავების დღეს ქორსატეველას ციხეში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი.
8. მეფე გიორგის დანაბარები მელქისედეკ კათალიკოს ზვიად სპასალარმა გადასცა.
9. ბორდოხანი, მამამზის ცოლი, დარბაზიდან გავიდა.
10. ლევანმა წერილი ეთერის გადააწერინა და საგულდაგულოდ შეინახა.
11. „კარგი იქნებოდა, მერაბს ეს ყველაფერი თავის თვალით ენახა,“— ჩაილაპარაკა ნინომ.
12. გრიგოლ ხანძთელი მე-VIII—IX-ე საუკუნეებში მოღვაწეობდა.
13. მეორე დღეს, დილის 8 სათზე, ქალაქისაკენ გავემართეთ.
14. გაბუნიის მჭევრმეტყველებითა და მენაბდის თამადობით ყველა აღფრთოვანებული იყო.
15. მჯერავს, ყველაფერი კარგად იქნება.
16. სამწუხაროდ დრო გამოიცვალა, იტყოდა ხოლმე ლუარსაბი.

17. ნინო თავს დამნაშავედ გრძნობდა ვახტანგისადმი.

18. ნიკორწმინდა მნახველს ანცვიფრებს.

19. კესოს ბაღში მრავალი საუცხოო ყვავილები ყვავის.

20. —ეს რამ გაფიქრებინა, შენი ჭირი მე?— გაოცდა ვახტანგი.

21. ყოჩახ, ჩემო ძმაო, სწორედ ასე უნდა მოიქცე!

22. ყველა მონადირეები დათვს გამოუდგნენ უკან.

23. ამ ოთახში ეძინა ჩემს ნაცნობს, იმ ოთახში კი შენსას.

24. ჩემო პატარა ეკავ, სასწრაფოდ ჩაალაგე ჩანთა!

25. სვეტიცხოველი 11-ე საუკუნეში აიგო.

26. ეს სალამოც მისი დაბალი ნიჭიერების მაჩვენებელი იყო.

27. მერაბს სწორად ამისი დამტკიცება უნდოდა.

28. მისი აზრით, რამდენიმე ხანში სიტუაცია უნდა შეცვლილიყო.

29. ბიჭები წყვილწყვილად მირბოდნენ სტადიონისაკენ.

30. მამა-შვილმა ტყეში დამალვა გადაწყვიტეს.

31. ამ საკითხს ჩვენი პარლამენტი მალე გადაწყვიტავს დადებითად.

32. ეს ამბავი სამწუხაროდ მთელმა ქვეყანამ გაიგო.

33. ნიკავ, აქ რას აკეთებ?

34. ქალი, რომელსაც ოჯახის გაძღოლა შეუძლია, ის ქვეყანასაც გაუძღვება.

35. ზურა და გიორგი ცხენებზე შეჯდნენ.

36. ქართული ახალგაზრდობა მე-19 საუკუნეში რუსეთის უნივერსიტეტებში იღებდა განათლებას.

37. მეზობლები ჩვენს ბაღვენახს კარგად უვლიდნენ.

38. ამირანმა თბილისი დასტოვა და სოფელში გადავიდა საცხოვრებლად.

39. მარტოხელა ქალს თავზე ყაჩაღები დაეცნენ.

40. მე შენ დიდ პატივს ქცევ, ჩემო კახა!

41. ძმები ბუხართან ზიან და ტკბილად საუბრობენ.

42. ახლავე წადი, უბრძანა ლევანმა დავითს.

43. ხალხი ყურადღებით უსმენდნენ ორატორებს.

44. ეზოში სტუმრები სუფრას მიჯდომოდნენ.

45. მღვდლის სიტყვებმა ყველა გააკვირვეს.

46. —ეს წიგნი ვინ მოქცა? — ჰკითხა მანანამ მალხაზს.

47. წუხელ ძლიერი ქარი ჰქროდა.

48. სჩანს, დღესაც ავდარი იქნება.

49. დაჭრილ ირემს წყალი მოწყურებიყო.

50. მატარებელი მე-IV ლიანდაგზე ჩამოდგება.

51. მე თვითონ გადავწყვეტ როგორ მოვიქცე.

52. მას სწამდა რომ, სიკეთეს აკეთებდა.

53. მოულოდნელად ამინდი გაფუჭდა და ამისთვის ფრენა გადაიდო.

54. ეს რომ გავიგე მაშინვე თქვენკენ წამოვედი.

55. ცხრა ივლისს 5 საათზე თბილისში ჩამოვედი.

56. —სად მიდიხარ კაცო — ვეკითხები ლევანს.

57. ურემში კნეინა დარეჯანი და მისი მოახლე იჯდა.

58. გიორგი ჩემკენ წამოვიდა მოსასალმებლათ.

59. მადლობას მოგიხდით ყურადღებისთვის.

60. ეკა, გეფიცები, რომ ნოდარს არაფერი უთქვია.

61. ყველანი ერთსა და იგივეს იმეორებდნენ.

62. გაზაფხულზე მინდორ-ველი საამოდ ჰყვავის.

63. გავიგე რომ, გუშინ დაბადების დღე გქონია.

64. ეს ამბავი ზოგს ანცვიფრებს, ზოგს კი ანრისხებს.

65. ნინო ფულს ეკონომიკურად ხარჯავდა და ქვეყნის სოციალურ-
ეკონომიური ვითარება ნაკლებად აინტერესებდა.

66. XXI საუკუნე ბევრ სიახლეებს გვპირდება.

67. ამ მოთხრობაში მწერალი დაუფარავად აგვიღწერს ხალხის გაჭირვებულ ცხოვრებასა და სიდუხჭირეს.

68. როდის ჩამოდი სოფელში, რატომ არ მოდი ჩვენთან?

69. ცხვირ-პირ დამტვრეული ბიჭები ძლივს გააშველეს.

70. ნაძვის ძირას ორი მეგობარი გულმხურვალედ საუბრობდნენ.

71. ვანო სირბილით მისეირნობდა.

72. ისეთ ადამიანს, რომელიც ერთხელ ტყუილს იტყვის, მას აღარ დაუჯერებენ.

73. ჩვენი ავტობუსი მიჰქრის ქუთაისისაკენ.

74. ასეთი პირობები ჩვენ არ გვაწყობს.

75. რათქმაუნდა, თავმჯდომარედ ისევ ელიზბარი აირჩიეს.

76. ფშავხევსურეთში მოხვედრა ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო.

77. პირველკლასელი ეკა მშვენივრად სწერს.

78. —ეს ვინ გითხრა?— ჰკითხა დარეჯანმა ლამაზისეულს, მის მოახლეს.

79. ნანამ ძლივს დააღწია თავი მისი გავლენიდან.

80. ჩემ სოფელში ბევრი კარგი ადამიანი ცხოვრობს.

81. ათი შვილის აღმზრდელი დედა ქალაქის მერიამ ღირსების ორდერით დააჯილდოვა.

82. თემმა დამნაშავეზე განაჩენის გამოტანა მოითხოვა.

83. ტატო მე-5 კლასში სწავლობს, ვატო კი მე-8-ში.

84. ჯემალის ძალიან უყვარს მეგობრებთან ყოფნა.

85. მამაჩემს ხუთი ბიძაშვილები ჰყავდა.

86. დღეს სკოლაში ცოტა ბავშვები მოვიდნენ და ამის გამო გაკვეთილები ჩაიშალა.

87. იქვე ხის ძირში ისხდნენ გიორგის მოწაფეები.

88. მოხუცმა ცოლქმარმა საუბარი შეწყვიტა.

89. დავით IV-მ თბილისი გაანთავისუფლა.

90. როგორც მათმა გადაწყვიტეს, ყველაფერი ისე მოხდა.

91. ლუარსაბი გვარად თათქარიძე კახელი თავადი იყო.

92. სიბრძნე სიცრუისა სულხან-საბამ დაწერა.

93. ძალიან გამიხარდა რომ მოხვედი.

94. ოთახიდან ჭურჭელის ლაწალუწი ისმოდა.

95. ლევან წადი, შენი ჭირიმე ჩქარა წადი. ვერ ხედავ მატარებელი უკვე დაიძრა.

96. ნინო ჩიტაიამ ეთერის პარიზიდან საჩუქარი ჩამოუტანა.

97. მემაწვნეს ხმამ იმ დღეს ადრიანად გამაღვიძა.

98. ჩერნიშევსკმა და დობროლუბოვმა დიდი გავლენა მოახდინეს XIX საუკუნის რუსულ კულტურაზე.

99. ამ კაფეს წინ შეკრებილი ბიჭები, შეზარხოშებულები, დიდხანს იქცევდნენ თავს ათასნაირი ოინებით.

100. მონადირიდან ნასროლი ტყვია მიზანს მოხვდა.

101. იაკობ ხუცესის, იოანე საბანისძის და გიორგი მერჩულის თხზულებები ქართული ჰაგიოგრაფიის შედევრია.

102. ბედნიერი მგზავრობას გისურვებ, ჩემო ელენე!

103. ამ ამბავს შეიძლებოდა დიდი შუღლი გამოეწვია ხალხს შორის.

104. „კავკასიის ბიზნესის სკოლას“ ატლანტას უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ხელშეკრულება აქვს დადებული.

105. ნიკოს საჩხერეს მატარებელზე დააგვიანდა და ამიტომ ჭიათურის მატარებელს უნდა დალოდებოდა.

106. მარიამ კვიტაშვილს ბევრი მეგობრები ჰყავს.

107. დათოს დაბადებისდღეზე ყოველთვის ბევრი ბავშვი იკრიბება.

108. თამაზს, თავის ფიქრებში წასულს, არც კი შეუმჩნევია გვერძე მჯდომი გოგონა.

109. ქართულ ხალხურ სიმღერის სამხმოვანებას ბევრი გაუოცებია.

110. მდიდარ ადამიანებს, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, მათ ხშირად მიმართავენ სხვები დახმარებისთვის.

111. ირაკლი სტუმრებს კახური ღვინოთი გაუმასპინძლდა.

112. დავით კლდიაშვილის მოთხრობების მთავარი თემა იმერელ აზნაურების ცხოვრების აღწერაა.

113. შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში ახალი სპექტაკლის პირველმა პრემიერამ დიდი წარმატებით ჩაიარა.

114. მშობლები სულ ერთსა და იმავეს უმეორებდენ აკაკის და სანდროს.

115. სანდრო მურადაშვილი, დაფასთან გამოდი!

116. გრაფ სეგედიმ დათა თუთაშხიას საქმის გარკვევა მის ბიძაშვილს, ჟანდარმერიის გამომძიებელს, მუშნი ზარანდიას დაავალა.

117. „ოთარაანთ ქვრივი“ მკაცრი, მაგრამ სამართლიანი დედაკაცი იყო.

118. ევკალიპტის ფოთლებიდან ბებიამ სამკურნალო ნაყენი მოამზადა.

119. ქართულის მასწავლებელი უამრავ სავარჯიშოებს გვაკეთებინებს.

120. ნინოს ჯერ კიდევ ტკბილად ძინავს.

121. ორთაჭალას ჰესი ელექტროენერგიით ამარაგებს ფონიჭალას დასახლებას.

122. შექმნილი სიტუაციისგან გამომდინარე საჭირო გახდა პარლამენტის საგანგებო სხდომის მოწვევა.

123. მაგიდაზე გაურეცხავი ჭურჭლები ეწყო.

124. ლევანს ფული რომ ჰქონოდა ამ სახლს აუცილებლად შეიძენდა.

125. ამ საღამოს გადავწყვიტავთ, ხვალ სანადიროდ წავიდეთ თუ არა.

126. მოგესალმებით ქედებო მომაქვს სალამი გვიანი.

127. დედამთილმა მაკას ძვირფასთვალიანი ბეჭედი აჩუქა.

128. ადამიანის უდიერი დამოკიდებულება ბუნების მიმართ თანამედროვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა.

129. ნატოს ფიქრებში გართულს არაფერი გაუგია.

130. ნიკა სიცხისგან გათანგული მხოლოდ წყალზე ფიქრობდა.

131. მეგობრები უფრო სწორად რომ ვთქვათ ახლო მეგობრები ძალიან მეხმარებიან.

132. პიანისტს ჟურნალისტების ნათქვამს, თუ დავეყრდნობით, პრიზი არ ეკუთვნოდა.

133. სხვათაშორის, ზურაბი კარგი მონადირეა.

134. ლადოს ჩემდა გასაოცრად, ხატვის ნიჭი აღმოაჩნდა.

135. თამაზის რომ ისეთი სამსახური ჰქონოდა, როგორიც უნდოდა, უფრო ხალისით იმუშავებდა.

136. უი შე საწყალო ახლა რას აპირებ?

137. წავიდეთ, ბატონო რამაზი, სხდომაზე გვაგვიანდება!

138. ყველაფრისგან ჩანდა, რომ იგი სუსტი პიროვნება იყო.

139. ნიკა 15 ივნისს დაიბადა, მე კი — 25 მაისში.

140. ახალგაზრდებმა, რომელთაც სტაჟირება ზაფხულში გაიარეს, მათ უნდა დაწერონ ვრცელი ანგარიში.

141. ეკა, ძალიან გთხოვ, ნუ ყვირიხარ.

142. მას დათვის წილი მიუძღვის ჩვენს წარმატებებში.

143. ნება ინებეთ და თვითონ გაარკვიეთ თქვენი საქმე.

144. სხდომის დამთავრების შემდეგ ქალბატონ ქეთევანმა ყველას მადლობა გადაუხადა.

145. ეს რომ მომხადრიყო ყველა კმაყოფილი იქნებოდა.

146. იმ ერთს მე-2-ე მოჰყვა, მე- 2-ეს — მე-3.

147. გიორგი ნიკოლაიშვილს, რა საკვირველია, სხვა განზრახვა არც ჰქონია .

148. სტუმრის თვალს ძილი არ მიკარებია.

149. ლიზიკო თვალებ დაჭყეტილი იწვა და მოუთმენელად ელოდა რიჟრაჟს.

150. ილია ჭავჭავაძე XIX საუკუნის 60-იან წლეებში გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზე.

151. ორივე ძმები კარგად მღეროდნენ.

152. გიგი მე-V კლასამდე მე-60-ე სკოლაში სწავლობდა, მერე კი მე-4 სკოლაში გააგრძელა სწავლა.

153. რაინდები ნელა მიაჯირითებდნენ ცხენებს და თან ერთმანეთს ჩუმი შეძახილებით ამხნევებდნენ.

154. ერთიმეორედია მეტი თუ ერთი-მესამედი?

155. მათემატიკის მასწავლებელი ბევრ მაგალითებს გვაძლევს ამოსახსნელად.

156. ამ ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ ვაჟას წყლისადმი შიში დასჩემდა.

157. თინათინ გოგრიჭიანს უნდოდა, რათა მისი ამბავი სხვებს გაეგო.

158. ლექსი მოყოლით მოვყევი, მაგრამ ბევრჯერ შემეშალა.

159. ათას ცხრაას ორმოცდაერთი წლის ოცდაორ ივნის გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს.

160. ნაბდის ქუდიანი ახალგაზრდა კაცი ხელ ჯოხით მიუყვებოდა ალმართს.

161. აქ იყო ყველა ნინოს დედ-მამა, ბებია-ბაბუა, და-ძმები და მეგობრები.

162. მოგახსენებთ, რომ, როცა ეს ამბავი მოხდა, აქ არ ვბრძანდებოდი.

163. მაღლიდან წაწვეტებულ სახურავიანი კოშკები და კრამიტის სახურავიანი სახლები გადმოგვყურებდნენ.

164. ამ თავდაჯერებულ ყმაწვილ-კაცს ბედისწერა ვერაფერს დააკლებს.

165. —არ მოგბეზრდა წამდაუწუმ ერთი და იგივეს ლაპარაკი?—შეჰყვირა მოთმინებადაკარგულმა ლევანმა.

166. ბავშვი სხაპა-სხუპით ლაპარაკობდა.

167. ეს სტატია გაზეთ „ახალ თაობის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა.

168. ნიკამ სიტყვა-სიტყვით გადასცა ნინოს დედის დანაბარები.

169. ზემოთაღნიშნული საკითხები დიდიხანია მოსაგვარებელია.

170. ქუჩაში რომ გავიდნენ უცნაური მანქანა დაინახეს.

171. ბექა და ბაქა ჭანტურია კარგად სწავლობს.

172. ლელას თავის მეზობელი არქიტექტორი ეგონა.

173. ამ თმა-წვერშეთეთრებულ მამაკაცს ზედმეტს ვერაფერს აკადრებდით.

174. ნინო და სანდრო დღე-და-ღამ ერთად იყვნენ.

175. და-ძმამ თაყვანი სცეს დედოფალს.

176. პატარა ნორჩმა მომღერალმა მშვენიერი სიმღერა იმღერა.

177. კრწანისის პრეზიდენტის რეზიდენციაში უამრავ ადამიანს მოეყარა თავი.

178. „ვეფხისტყაოსანში“, რომელიც 16-მარცვლიანი შაირითაა დაწერილი ერთი 20-მარცვლიანი სტროფიც გვხვდება.

179. ქვაფენილის გალმა-გამოღმა ბევრი ორმოები იყო.

180. ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა მნიშვნელობა აქვს შენთვის ამ მნიშვნელოვან ღონისძიებას.

181. ისე ბრთხილად მძინავს, ჩურჩულზეც კი მელვიძება.

182. იმ დღევანდელი ამბის შემდეგ კოტე უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

183. გახსოვს როგორ გვიყვარდა ფშავური და მოხევური ხინკალი.

184. საახალწლოდ დედაჩემმა ბევრნაირი კამფეტები იყიდა.

185. მე და ჩემი სამი საუკეთესო მეგობრები ბაკურიანში წავედით.

186. ამდენი ლექსების ზეპირად სწავლა ძალიან გამიჭირდა.

187. გიგას, როგორც ჩანს, თავის თავის იმედი არ ჰქონდა.

188. რამდენჯერ მომნატრებია ჩემო ქალაქო შენი პატარა მოკირწყლული ქუჩები ჩუქურთმიანი აივნები წითელი კრამიტით გადახურული სახლები.

189. სულ რაღაცეები მახსენდება და ვიღაცეები მენატრებიან.

190. მალხაზ ცოლ-შვილი სად გყავს შვილო?

191. წელს ზაფხულში ჩვენს მაღალმთიან სოფელში ვაპირებ დასასვენებლად წასვლას.

192. ლეილა, ერთის მხრივ, განიცდიდა სამსახურის დაკარგვას, მეორეს მხრივ, უხაროდა კიდევაც, რომ შვილებისათვის მეტი დრო ექნებოდა.

193. საალდგომო არდადაგები ბებიასთან სოფელში გავატარე.

194. ნოდარმა ჩაბნელებულ ოთახის კარი ჩუმად შეაღო.

195. თავ-ზარდაცემული ბიჭი თავ-ქუდ-მოგლეჯილი გაიქცა შინისაკენ.

196. ავადმყოფი უსიტყვოთ ასრულებდა ექიმის მითითებას.

197. ვანომ კილონახევარი კომში ორლარნახევარად იყიდა.

198. ეს ის მაღაზიაა, რომელშიც ანტიკვარული წიგნები იყიდება.

199. მეფე გიორგი III-მ სიცოცხლეშივე გაამეფა მისი შვილი თამარი.

200. სამივე ძმები თბილისში ცხოვრობენ.

201. ორ წელიწადში საპარლამენტო ახალი არჩევნები უნდა ჩატარდეს.

202. ჯოყოლა ქისტების პატარა სოფელში ჯარეგაში ცხოვრობდა.

203. მისი მოსაზრება უდაოდ ანგარიშგასაწევია.

204. განდეგილი დღე და ღამ ლოცულობდა.

205. კესო თავად-აზნაური იყო, გიორგი კი — გლეხი.

206. თავად-აზნაურობის ეკონომიკური მდგომარეობა ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ საგრძნობლად გაუარესდა.

207. მადლობა მინდა მოგიხადოთ მობრძანებისათვის.

208. გიორგი სუთიძე და მარიამ ჯანელიძე დღეს არ აგვიანებს.

209. ცოლ-ქმარმა მგზავრს ვინაობა ჰკითხეს.

210. სანიმუშოდ გვინდა მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი.

211. ერეკლე მტრის დროშას ფეხით შედგა.

212. იმ დღეს ბაზარში ადრიანათ წავედი.

213. სასტუმროს ოთახები ცუდად იყო კეთილმოწყობილი.

214. დაუფასებელია ილია ჭავჭავაძის ამაგი ქართველი ერის წინაშე.

215. ლუარსაბი თავს მუდამ ერთი და იგივე იმედით ინუგეშებდა.

216. ადამიანმა ადამიანს უნდა დაეხმაროს.

217. სტუდენტები მთელი სემესტრის განმავლობაში უდარდელად ცხოვრობდნენ და ვერც გრძნობდნენ, რამდენი საქმეები დაუგროვდათ.

218. ნიკო ფეხ მოტეხილ სკამზე ფრთხილად ჩამოჯდა.

219. დღეს შემთხვევით შევხვდი ერთ ჩემს ძველ ნაცნობს სვანს გვარად მარგიანს, რომელმაც მესტიაში დამპატიჟა.

220. ხელოსნები ამ სამუშაოს შესრულებაში იაფ ფასს ითხოვენ.

221. სკოლის ეზოში იმდენ ბავშვებს მოეყარათ თავი, რომ ტევა აღარ იყო.

222. ეს რომ მცოდნოდა ნამდვილად არ მოვიდოდი.

223. ანასტასიასათვის ვარდისფერი კაბის ყიდვა მინდოდა, მაგრამ ვერსად ვიშოვნე.

224. კონცერტს უამრავი ახალგაზრდა თინეიჯერი ესწრებოდა.

225. „ვეფხისტყაოსნის“ რომელი პერსონაჟის სიტყვებია: „ესე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი გაგვიხასდნენ“

226. ირაკლი კობახიძე თავის მამიდაშვილის კლასს ექსკურსიაზე გაჰყვა.

227. სულ იმის შიშში იყო, ვინმე არ მიჰკარებოდა.

228. სურამში შარშან უფრო მეტი ბავშვები ისვენებდნენ, ვიდრე წელს.

229. კახამ ვარდი მოსწყვიტა და თამარს მისცა.

230. ოთარმა ზვიადის ჰკითხა ვახტანგის ამბავი, მაგრამ ზვიადიმაც არაფერი იცოდა.

231. გიორგიმ ბილეთები დაკეცა და დიდის ამბით შეინახა.

232. ჩვენი დირექტორი მხოლოდ ერთხელ გამოვიდა წყობილებიდან.

233. დარჩა ქვრივად საწყალი ლუარსაბი, გარედ აღარ გადიოდა.

234. ის, ალბად, ნატალია ვაშაკიძის დაბრუნებას ელოდა.

235. ლუარსაბს ჩიხირთმაზე მეტათ ბოზბაში უყვარდა.

236. შენ როგორ გგონია თვითმფრინავი დროზე ჩამოფრინდება?

237. ტყეში სანადიროდ თუ ხის მოსაჭრელად წასული ხალხი ამ ამბის გამო გაოცებული რჩებოდნენ.

238. ადამიანი, რომელიც ერთხელ შეგიყვარდება, ის არასოდეს დაგავიწყდება.

239. ჩემი იმდღევანდელი საქციელის გამო ძალიან მრცხვენოდა და მოხუც მამას თვალს ვერ უსწორებდი.

240. მას კარგად ჰქონდა გათვითცნობიერებული, თუ რა მოვალეობა დაეკისრა.

241. სუფრაზე ეწყო ყველაფერი პური, ყველი, კიტრი, მწვანილი.

242. დედა შვილს სამშობლოს სიყვარულით ღზრდის.

243. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატი, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მეორე სართულზეა.

244. დედა-შვილი ერთმანეთს შესცქეროდნენ.

245. უცებ ტყიდან შეიარაღებული გლეხები გამოვარდნენ.

246. თორნიკეს პასუხმა დიდი შთაბეჭდილება დატოვა მასწავლებელში.

247. თინა მხატვარს სურათს ახატინებს.

248. პატარა რომ ვიყავი, სულ ამაზე ვვოცნებობდი.

249. გამარჯობა, მე ვბრძანდები თქვენი დირექტორი.

250. ამ ბოლო დროს დეიდა ქეთოს წნევები აწუხებს და შიშები დასჩემდა.

251. უკვე ხუთი წელია, ამ დაწესებულებაში ვმოღვაწეობ.

252. ლექსებს, რომლებიც დღეს ვერ ჩამაბარეთ, მათ თავიდან გამოგკითხავთო, — გააფრთხილა მასწავლებელმა მოსწავლეები.

253. ლევანმა ხეს ტოტი მოჭრა.

254. გიორგი გრძელიშვილმა უკვე საკმაოდ კარგი ავტორიტეტი და პატივისცემა მოიპოვა.

255. ცნობილი ნახატი „ვენერას დაბადება“ ბოტიჩელს ეკუთვნის.

256. მამაო თევდორეს ქადაგებას მრევლი სულგანაბული უსმენდა.

257. ნანა, ინებეთ ეს ტორტი, გასინჯეთ, ძალიან გემრიელია.

258. მე აქ მოვედი, რათა ძალიან მომენატრეთ.

259. ცოლ-ქმარმა ბუზების დათვლა დაიწყეს.

260. ბოდიშით, თქვენი ჭირიმეთ, გამატარეთ, თვითმფრინავზე მაგვიანდება.

261. ბრძენ ქართველს უთქვამს: ხერხი სჯობია ღონესა თუ კაცი მოიგონებსა-ო.

262. საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არ დამიკარგია ანალიზის უნარი.

263. დაჭრილები გარეთ უპატრონოდ ეგდენ.

264. ჟურნალისტმა მადლობა მოუხადა მინისტრს სტუდიაში მობრძანებისთვის და შემდეგ სხვა სტუმრებთან გადავიდა შეკითხვით.

265. ხალხმა არ უნდა დაივიწყოს ძირ-ძველი ტრადიციები.

266. იგი მთელი ცხოვრება მეფის სამეფო კარზე მსახურობდა.

267. პატარა მარიამი დღეს ბევრ წყალს სვავს.

268. ისტორიულ პოემა „თორნიკე ერისთავს“, რომელიც აკაკი წერეთელმა დაწერა, მას ყველა ქართველი სიამოვნებით კითხულობს.

269. გიორგი მეფემ ასე დაასრულა სიცოცხლე, რომელიც 12 წლისა ავიდა ტახტზე.

270. იმ ღამეს ქუჩაში კაცის ჭაჭანების ხმა არ ისმოდა.

271. ლევან უჩუმბეგაშვილმა სახელოვნად ასახელა თავისი ქვეყანა.

272. ამირანი მაღაზიაში მხოლოდ იმიტომ შევიდა, რომ ასლარიანი დაეშალა.

273. მეტალურგიის პირველი პიონერები საქართველოში უხსოვარ დროში გამოჩენილან.

274. სხვათა შორის, მან ეს ყველაფერი წერილში მითხრა.

275. ვერაფრით დამაჯერებ, რომ ირაკლი ჩხიკვაძეს ამ ქორწილზე წასვლა არ უნდოდა.

276. იქნებ თქვენ იცოდეთ, ვინ გააკეთა რუსულიდან „ანა კარენინას“ თარგმანი?

277. ზია-ხანუმმა საფარ-ბეგს დაავალა, რათა ინალიფას ცხენი მიეგვარა მისთვის.

278. ყველა ხედავდა, რომ ეკას გოგის მიმართ დიდი სიყვარული გააჩნდა.

279. დედაჩემმა ეს რომ გაიგო დამამშვიდა და დამაწყნარა.

280. და- ძმა სხვა და სხვა ქალაქში ცხოვრობდა.

281. სამშობლოსადმი ღალატი დიდი ცოდვაა.

282. ადამიანებს, ვინც თავისი ვალი პირნათლად მოიხადეს, მათ ყველა პატივისცემით ეპყრობა.

283. თუ დღეს ვერ წავედი შვილო იმ კაცის სანახავად, ეს საქმე რასაკვირველია ჩაიშლება.

284. ეს ძეგლი იმდენად ძველად შეიქმნა, რომ მისი ავტორის შესახებ არაფერია ცნობილი.

285. ამ ადამიანის ბიოგრაფიის დეტალებზე როგორც ჩანს დღესაც ერიდებიან საუბარს.

286. ბევრი დაბრკოლების მიუხედავად, გიორგი მაინც დაქორწინდა თავის საყვარელ ადამიანთან.

287. ნია თავის კლასელის დაბადების დღეზე წავიდა.

288. უცხო მოყმე ანუ ტარიელი სარიდან მეფის ვაჟი იყო.

289. დავით ებანოიძე გატაცებით გვიყვებოდა კორეას ამბებს.

290. გიორგი დუნდუამ როგორც ყოველთვის ახლაც კარგად ჩააბარა გამოცდა.

291. ბატონი აკაკის მოსწავლეებმა ფართოდ მოიხვეჭეს სახელი მთელ მსოფლიოში.

292. ერთხელ, მეგობრებთან ერთად ბეთანიაში წავედი.

293. დილით ადრე ავდექი, ვინაიდან სამსახურში არ დამგვიანებოდა.

294. ხალხი დამნაშავედ გუგუას თვლიდნენ.

295. კარგი იქნება, თუ ადგილი არ ექნება გამოძიებაზე ზეწოლას და საქმე იქნება ბოლომდე მიყვანილი.

296. საფარ-ბეგი ღალატობს ტრადიციებს და მის ძუძუმტეს.

297. ქალბატონ მარინეს განსაკუთრებით უყვარდა სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობა.

298. კოცონი, რომელსაც ბავშვებმა წყალი დაასხეს, იგი დილამდე ბოლავდა.

299. წიგნი რომელიც ლიზიკომ მათხოვა გუშინვე დავუბრუნე.

300. ამ საქციელით ავთანდილი თავის ვაჟკაცობას იჩენს.

301. ასე, რომ მათთან სადავო და საკამათო არაფერი მაქვს.

302. მათ უნდოდათ, სიხარულით ელხინათ.

303. ამრიგად დროა შევაჯამოთ კვლევის შედეგები.

304. ავთანდილის მიერ უცხო მოყმის ძებნის შედეგი დადებითია.

305. რატომ დაპირდი, ხომ იცი, რომ შენ ამას ვერ გააკეთებ?

306. თუ ტარიელი დაიღუპება, ნესტანი თავს არ იცოცხლებს: ან კლდიდან გადახტება, ან თავს დანით დაიღუპავს.

307. ასეთი შემთხვევები ექიმის აზრით იშვიათია.

308. ეს რომ მცოდნოდა რა თქმა უნდა არც მოვიდოდი.

309. მანანას და გიას ერთმანეთი ძალიან უყვარდა.

310. სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციას ჩვენ, ქართველები, ძალიან ვუფრთხილდებით.

311. სრულიად შემთხვევით ამ შემთხვევაში ორივე შემთხვევის მონაცემების თანხვედრა მოხდა.

312. სამწუხაროდ, მჭერმეტყველების ბევრი მშვენიერი ნიმუში დაიკარგა.

313. მამიდაჩემი ძალიან განიცდიდა საყვარელ ადამიანის ღალატს.

314. როგორ გავს პატარა ანდრო თავის დიდ ბაბუას!

315. დირექტორმა ლიანას თავისი საქმეების მოსაგვარებლად გარკვეული ვადაც გამოუყო.

316. ნიკო სისტემატიურად აგვიანებდა სამსახურში.

317. მთელი გულით გითანაგრძნობ, ვიცი, რა მძიმეა ახლობელი ადამიანის დაკარგვა.

318. ოპოზიციამ განსახილველად ალტერნატული კანონპროექტი წარმოადგინა.

319. ზაფხულში საკურორტო ქალაქებში ფასების ზრდას ჰქონდა ადგილი.

320. ანანო, რომელსაც მატარებელზე აგვიანდებოდა, ის ძალიან ღელავდა.

321. მწყემსი ქალი დაწვრილებით უხწერს ბერს, რა ტკბილია წუთისოფელი.

322. ქართველი ერი თავის ავ ბედს მისტიროდა.

323. შეგახსენებთ, რომ, როცა მწერალმა ამ რომანზე მუშაობა დაიწყო, მას ასობით ისტორიული საბუთების შესწავლა მოუხდა.

324. ილია არჩილსა და კესოს სახით გვიხატავს განათლებულ თავადებს.

325. ეკლესიის ზარები განუწყვეტლივ რეკდნენ.

326. ამ ბოლო ხანს ქალაქის ქუჩებში ადგილი აქვს საგზაო მოძრაობის წესების ხშირ დარღვევას.

327. ნანახით გაბრაზებულმა სასწრაფოდ შინისკენ გავეშურე.

328. მალე ლადო ამ მძიმე სენისგან გაინკურნა.

329. ლიტერატურულ საღამოზე, რომელიც მიძღვნილი იყო ყველასათვის საყვარელ პოეტზე, სიტყვაში გამოვიდა ახალგაზრდა დამწყები კრიტიკოსი თამარ შალამბერიძე.

330. ქართველმა ფეხბურთლებმა თამაში მოიგეს ანგარიშით ერთით ნოლი.

331. უბედურება იმაშია, რომ განსასჯელი ახლაც არ თვლის თავს დამნაშავედ.

332. მამას ჰაკისთვის უანდერძნია, უჯუშისთვის თავი გაეწირა.

333. დათომ ყურადღება მიაპყრო ტაძრის გუმბათზე ამოკაწრულ წარწერას.

334. სახლიდან გამოსულმა თამარმა გეზი პირდაპირ მაღაზიაზე აიღო.

335. დღეს დღეობით ეს ჩვენი უმთავრესი ამოცანაა.

336. მოგახსენებთ რომ, ამ საქმის შესახებ არაფერი ვიცი.

337. — ხვალ ყველაფერი კარგად იქნება!— გულს ინუგეშებდა პეტრე.

338. მოლაპარაკება შენი დაუდევრობის წყალობით ჩაიშალა.

339. მათემატიკას თოფურიის წიგნით ვსწავლობთ.

340. საქართველოს გიმნი ყველამ ზეპირად იცის.

341. ბებიას დიდი ხანია ფეხი ტკივა.

342. ნუ ტირიხარ, არაუშავს, მალე დაგავიწყდება ეგ წყენა.

343. ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გავიარე რაა მამული?

344. ჩვენ მაღაზიაში სამარხვო ნამცხვრები იყიდება.

345. მზეო ამოდი ამოდი ნუ ეფარები გორასა.

346. პედაგოგს, რომელიც I კლასში მასწავლიდა, მას არასოდეს დავივიწყებ.

347. ბატონი თორნიკე დღეს კრიტიკული გამოსვლით გამოვიდა.

348. ამ შეჯიბრში ერთმანეთს ეჯიბრებიან მსოფლიოს საუკეთესო მოჭიდავეები.

349. პრეზენტაციაზე შესავალი სიტყვა გააკეთა ფირმის პრეზიდენტმა.

350. ამას რუსთაველი ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში იძახდა.

XXI. ტესტი თვითშემოწმებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. რომელია სწორი:

ა) ერთი და იგივე ამბავმა ბ) ერთმა და იმავე ამბავმა
გ) ერთმა და იგივე ამბავმა დ) ერთიდაიგივე ამბავმა

2. რომელია სწორი:

ა) მე-18-ე ბ) 18-ე გ) მე-18

3. რომელ წინადადებაშია სასვენი ნიშნები სწორად დასმული:

ა) მირბის მიმაფრენს უგზო უკვლოდ ჩემი მერანი.
ბ) მირბის, მიმაფრენს, უგზოუკვლოდ ჩემი მერანი.
გ) მირბის მიმაფრენს, უგზო-უკვლოდ, ჩემი მერანი.
დ) მირბის, მიმაფრენს, უგზო-უკვლოდ, ჩემი მერანი.

4. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა: მელა ქათამს . . . . . .

ა) მიჰპარვიყო ბ) მიჰპარვოდა გ) მიპარვოდა დ) მიჰპაროდა

5. ჩასვით სახელის სწორი ფორმა:

დღეს კინოში წავიდეთ უთხრა ..... ნოდარს

ა) ეთერიმ ბ) ეთერმა

6. ჩასვით სწორი ფორმა: მტკვრის მარცხენა სანაპიროზე დიდი . . . . . აუზია

ა) საცურავო ბ) საცურაო გ) ცურვის

7. რომელია სწორი: ა) მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივის“
ბ) მოთხრობის „ოთარაანთ ქვრივი“

8. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა: დედას ბავშვები გვერდით . . . . . .

ა) ედგენ ბ) ედგა გ) ედგნენ დ) ედგათ

9. რომელია სწორი:

ა) არე-მარე ბ) არემარე გ) არე მარე

10. რომელია მცდარი:

ა) დღედაღამ ბ) დღე-ღამე გ) დღედაღამე

11. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა:
დედა-შვილი ერთმანეთს . . . . . .
ა) შესცქეროდა ბ) შესცქეროდენ
გ) შეცქეროდნენ დ) შესცქეროდნენ

12. რომელია სწორი: ა) ანცვიფრებს ბ) აცვიფრებს

13. რომელია ორთოგრაფიულად მცდარი დაწერილობა:
ა) წამწამი ბ) წამ-წამი

14. ჩასვით სწორი ფორმა: ქეთო და კოტე . . . . . .
ა) მღეროდა ბ) მღეროდენ გ) მღეროდნენ

15. რომელია სწორი: ა) კვალ და კვალ
ბ) კვალდაკვალ
გ) კვალ-და-კვალ

16.რომელია სწორი: ა) ცოლ-შვილიანი ბ) ცოლშვილიანი

17. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა: ნიკო გაკვეთილებიდან . . . . . .
ა) გაანთავისუფლეს ბ) გაათავისუფლეს გ) განათავისუფლეს

18. რომელია სწორი: ა) ლამაზ კაბიანი
ბ) ლამაზ-კაბიანი
გ) ლამაზკაბიანი

19. რომელ წინადადებაშია სასვენი ნიშნები სწორად დასმული:
ა) სუფრაზე ეწყო ყველაფერი პური, ყველი, კიტრი, მწვანილი.
ბ) სუფრაზე ეწყო ყველაფერი: პური, ყველი, კიტრი, მწვანილი
გ) სუფრაზე ეწყო ყველაფერი: პური, ყველი, კიტრი, მწვანილი.

20. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა: დედა შვილს სამშობლოს სიყვარულით . . .
ა) ზრდის ბ) ღზრდის

21. რომელია სწორი: ა) ცოლ-ქმარმა მგზავრს ვინაობა კითხა.
ბ) ცოლ-ქმარმა მგზავრს ვინაობა ჰკითხა.
გ) ცოლ-ქმარმა მგზავრს ვინაობა კითხეს.
დ) ცოლ-ქმარმა მგზავრს ვინაობა ჰკითხეს

22. რომელია სწორი დაწერილობა:
ა) ანგარიშ-გასაწევი ბ) ანგარიშ გასაწევი გ) ანგარიშგასაწევი

23. რომელია უმართებულო ფორმა:
ა) განადიდებს ბ) გაადიდებს გ) ანდიდებს

24. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა: ვახტანგს ჩემთვის არაფერი.....
ა) დაუმალია ბ) დაუმალავს

25. რომელია სწორი:
ა) გიორგი I ბასილი II წერილი გაუგზავნა.
ბ) გიორგი I-მა ბასილი II წერილი გაუგზავ.ნა
გ) გიორგი I-მა ბასილი II- ს წერილი გაუგზავნა.

26. რომელია სწორი:
ა) ბავშვები ხის ძირას იჯდენ.
ბ) ბავშვები ხის ძირას ისხდენ.
გ) ბავშვები ხის ძირას იჯდნენ.
დ) ბავშვები ხის ძირას ისხდნენ.

27. რომელია სწორი: ა) იმედ-გაცრუებული
ბ) იმედგაცრუებული
გ) იმედ გაცრუებული

28. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა: მხატვარი თქვენ . .. . . .
ა) გხატავს ბ) გხატავთ გ) გხატავსთ

29. ჩასდვით ზმნის სწორი ფორმა : მრცხვენოდა და გურამს თვალს ვერ ა) ვუსწორებდი ბ) უსწორებდი

30. რომელია სწორი: ა) გრძელულვაშა
ბ) გრძელ-ულვშა
გ) გრძელ ულვაშა

31. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა: აქედან მთელი ალაზნის ველი . . . . .
ა) სჩანს ბ) ჩანს

32. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა: მთელი დღეა . . . . . .
ა) ვტირივარ ბ) ვტირი

33. როგორ დაიწერება არაბული ციფრებით რიგობითი რიცხვითი სახელი მეჩვიდმეტე?

ა) მე-17 ბ) მე-17-ე გ) 17-ე

34. რომელია სწორი მიმართვისას: ა) ჯემალი ბ) ჯემალ

35.ჩასვით ზმნის სწორი ფორმა: იგი . . . . წყაროს წყალს
ა) სვავდა ბ) სვამდა გ) ლევდა

36.ჩასვით ზმნის სწორი ფორმა: ორივეს მართლაც კარგი ხელი . . .

ა) ქონდა ბ) ქონდათ გ) ჰქონდა დ) ჰქონდათ

37. რომელია სწორი: ა) აივლჩაივლის ბ) აივლ-ჩაივლის

38. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა: ვანოს ცხენი ღობესთან . . . . .
ა) მიუბავს ბ)მიუბამს გ) მიუბია

39. რომელია მცდარი დაწერილობა:
ა) ანხორციელებს
ბ) ახორციელებს
გ) განახორციელებს

40. რომელ წინადადებაშია ნახმარი სიტყვა „უკან“ უმართებულოდ:
ა) უკან დაბრუნება უნდოდა.
ბ) სახლის უკან დიდი ტყეა.
გ) წინ წყალი, უკან— მეწყერი.
დ) ხუთი წლის უკან დაბრუნდა უცხოეთიდან.

41. რომელია სწორად დაწერილი:
ა) 105-ე ბ) მე-105-ე გ) მე-105

42. ჩასვით სწორი ფორმა: ზაქარია . . . . . ამბით შეხვდა მოსულს.
ა) დიდის ბ) დიდით გ) დიდი

43. რომელია სწორი: ა) ბედის წერა ბ) ბედისწერა გ) ბედის-წერა

44. რომელია სწორი:
ა) წუთნახევარი ბ) წუთ ნახევარი გ) წუთ-ნახევარი

45. რომელია სწორი ფორმა: ა) თითეული ბ) თვითეული გ) თითოეული

46. ჩასვით სწორი ფორმა: ქალაქის მოედანზე . . . . . სანახაობა მოეწყო

ა) არა ჩვეულებლივი ბ) არა-ჩვეულებრივი გ) არაჩვეულებრივი

47. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა: თქვენ გაინტერესებთ ..... თუ არა ხილი ბავშვობაში.

ა) მომიპარავს ბ) მომიპარია

48. რომელია სწორი:

ა) ლევანიმ გააანალიზა. ბ) ლევანიმ გაანალიზა.

გ) ლევანმა გაანალიზა. დ) ლევანმა გააანალიზა.

49. რომელია სწორი:

ა) დავითიმ მოჰყვა თავის თავგადასავალი.

ბ) დავითიმ მოჰყვა თავისი თავგადასავალი.

გ) დავითი მოყვა თავის თავგადასავალს.

დ) დავითი მოჰყვა თავის თავგადასავალს.

50. რომელია სწორი: ა) ბოლოს და ბოლოს

ბ) ბოლო-ბოლო

გ) ბოლოს-და-ბოლოს

51. რომელია სწორი: ა) მათმა გააკეთეს ბ) მათ გააკეთეს

გ) იმათმა გააკეთეს დ) იმგენმა გააკეთეს

52. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა:

დარბაზში განათლებული საზოგადოება. . . . . .

ა) სხედს ბ) ზიან გ) ზის დ) სხედან

53. რომელია უმართებულო: ა) ბოდიში მოუხადა

ბ) მადლობა მოუხადა

გ) ქუდი მოუხადა

54. ჩასვით სწორი ფორმა: დედამ თავისი ერთადერთი შვილი . . . . . .

ა) გაანებიერა ბ) გაანებივრა

55. რომელია სწორი: ა) მან მას გადასძახა.

ბ) მან მას გადაძახა.

56. დაწერეთ რომაული ციფრებით: რომანის **ოცდამეხუთე** თავზე შევჩერდი

ა) 25-ე ბ) XXV—ე გ) მე-25 დ) XXV

57. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა: მებაღეს ბუჩქები . . . . . .

ა) გაუკრეჭია ბ) გაუკრეჭნია
გ) გაუკრიჭავს დ) გაუკრეჭავს

58. რომელია სწორი: ა) ხელ-ფეხ-შეკრული
ბ) ხელ-ფეხშეკრული
გ) ხელფეხშეკრული
დ) ხელფეხ-შეკრული

59. რომელ სახელშია „ი“ ფუძისეული?

ა) გივი ბ) დაჩი გ) ეთერი დ) ირაკლი

60. რომელია მცდარი: ა) ორი კაცები მოვიდნენ.
ბ) ორი კაცი მოვიდა.

61. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა: ნინო ფანჯარას . . . . . .

ა) სწმენდს ბ) სწმინდავს გ) წმენდს

62. ჩამოთვლილთაგან რომელია კუმშვად-კვეცადი სახელი:

ა) მაგიდა ბ) მერხი გ) ფანჯარა დ) კარი

63. ჩამოთვლილთაგან რომელს უნდა მოთხრობითში ორი მ?

ა) რატი ბ) გურამი გ) ნოდარი

64. რომელია სწორი: ა) თმა-წვერ-შეკრეჭილი
ბ) თმაწვერ-შეკრეჭილი
გ) თმაწვერშეკრეჭილი

65. რომელია მცდარი:

ა) ლომივით ბ) ლომისავით გ) ლომსავით

66. რომელია სწორი: ა) მგალობლიშვილი, გამოდი დაფასთან!
ბ) მგალობლიშვილო, გამოდი დაფასთან!

67.ჩასვით ზმნის სწორი ფორმა : სამმა გმირმა ნესტანი

ა) გაანთავისუფლეს ბ) გაათავისუფლეს
გ) გაათავისუფლა დ) გაანთავისუფლა

68. ჩასვით სწორი ფორმა: მე ჩემს ბებიას თავს . . . . . .

ა) ურჩევნივარ ბ) ვურჩევნივარ გ)ვვურჩევნივარ

69. რომელია სწორი: ა) გადაწყვიტავს
ბ) გადაწყვეტს
გ) გადასწყვეტს
დ) გადასწყვიტავს

70. რომელია სწორი მიმართვისას:
ა) ეთერი ბ) ეთერ გ) ეთერო

71. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა: ანო და ვანო ხის ძირას ....
ა) ჩამოჯდენ ბ) ჩამოსხდნენ გ) ჩამოჯდა დ) ჩამოსხდა

72. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა: მთელი ცხოვრების მანძი;ლზე ამაზე . . . . . .
ა) ვვოცნებობ ბ) ვოცნებობ გ) ვოცნებოფ

73.რომელია სწორი: ა) ცაზე უთვალავი ვარსკვლავია.
ბ) ცაზე უთვალავი ვარსკვლავებია.

74. ჩასვით სწორი ფორმა: რა . . . . . .ასეთ საქციელს?
ა) ქვია ბ) ჰქვია გ) ჰქვიან

75. ჩასვით სწორი ფორმა: ცხვარი გაიშალა და წყაროს წყალს . . .
ა) მივარდა ბ) მიცვივდა გ) მისცვივდა

76. რომელია სწორი: ა) ვახტანგისთან მივდივარ.
ბ) ვახტანგთან მივდივარ.

77. რომელია სწორი: ა) ჩემკენ ბ) ჩემსკენ

78. **ჩასვი სახელი <u>მალხაზი</u> სწორი ფორმით:** „ვინ არის შენი მეგობარი?“- ჰკითხა . . . . ირაკლის.

ა) მალხაზმა ბ) მალხაზიმ

79. რომელია სწორი: ა) ნატოს უნდოდა ეს ოთახიც შეერთებინა.
ბ) ნატოს უნდოდა ეს ოთახიც შეერთებინა.
გ) ნატოს უნდოდა ეს ოთახიც შეერთა.

80. ჩასვი ზმნის სწორი ფორმა: სიხარულისაგან მთელი დღეა . . . . .
ა) ვმღერივარ ბ) ვმღერი

81. ჩასვით სხვათა სიტყვის ნაწილაკი

ბოლოს გადავწყვიტე, თავს ზემოთ ძალა აღარ არის . . . .

ა) -მეთქი ბ) -თქო, გ) –ო

82. ჩასვით სწორი ფორმა:

დათრგუნულ ხალხს ჯერაც ვერ დაეძლია . . . დარდი.

ა) მისი ბ) მათი

გ) თავისი დ) თავიანთი

83. რომელია სწორი:

ა) ხუთიათას შვიდას ორმოცდახუთმეტი

ბ) ხუთი ათას შვიდას ორმოცდათხუთმეტი

გ) ხუთიათას შვიდას ორმოცდათხუთმეტი

დ) ხუთი ათას შვიდასორმოცდათხუთმეტი

84. რომელია სწორი:

ბ) დავით გურამიშვილი ვახტანგ VI-ეს ეახლა მოსკოვში.

ც) დავით გურამიშვილი ვახტანგ VI-ს ეახლა მოსკოვში.

გ) დავით გურამიშვილი ვახტანგ მე-VI-ს ეახლა მოსკოვში.

დ) დავით გურამიშვილი ვახტანგ VI ეახლა მოსკოვში.

85. რომელია მცდარი: ა) ავღნიშნე ბ) აღვნიშნე

86. რომელია სწორი: ა) დამიხატავს ბ) დამიხატია

87. რომელია სწორი: ა) რა თქმა უნდა

ბ) რათქმაუნდა

88. რომელია სწორი: ა) იცვავდნენ ბ) იცვამდნენ

გ) იცმევდენ დ) იცმევდნენ

89. ჩასვით ზმნიზედის სწორი ფორმა:

ხალხი სწრაფად გამოცვივდა ...

ა) გარეთ ბ) გარედ

90. ჩასვით სწორი ფორმა: „მინდორში . . . . . ამოსულიყო იაო“

ა) ბალახ-ბულახში ბ) ბალახბულახში

91. რომელია სწორი: ა) შეურაწყოფილი

ჰ) შეურაცხოფილი

გ) შეურაცყოფილი

დ) შეურაცხყოფილი

92. ჩასვით სწორი ფორმა:
მონადირე დაჭრილ ირემს კვალდაკვალ . . . . . .
ა) მიყოლოდა ბ) მიჰყოლოდა
გ) მოყოლიყო დ) მიჰყოლიყო

93. რომელი სწორი: ა) გლეხკაცი ბ) გლეხ-კაცი გ) გლეხ კაცი

94. რომელი სწორი: ა) მას არ დაუნახია
ბ) მას არ დაუნახავს

95. რომელი სწორი: ა) ყურ-მოჭრილი
ბ) ყურმოჭრილი

96. ჩასვით სწორი ფორმა:
ათასნაირი ხილი მწიფს და თავისით . . . . ხიდან
ა) ცვივა ბ) სცვივა გ) ვარდება დ) ცვივდება

97. რომელია სწორი: ა) ნოდარის უთქვია.
ბ) ნოდარის უთქვამს.
გ) ნოდარს უთქვია.
დ) ნოდარს უთქვამს.

98. ჩასვით სწორი ფორმა: . . . . . არაფერი იციან ამის შესახებ
ა) მათმა ბ) მათ გ) იმათმა დ) იმგენმა

99. ჩასვით სწორი ფორმა: მთელ დღეს მას ხის ძირში . . . . . .
ა) ძინებოდა ბ) სძინებოდა გ) სძინებიყო

100. რომელია სწორი?
ა) იმ ერთს მე-2-ე მოჰყვა, 2-ეს 3-ე.
ბ) იმ ერთს მე-2 მოჰყვა, 2-ეს 3-ე.
გ) იმ ერთს მე-2 მოჰყვა, მე- 2-ეს — 3-ე.
დ) იმ ერთს მე-2-ე მოჰყვა, მე-2-ს მე-3-ე.
ე) იმ ერთს მე-2 მოჰყვა, მე-2-ს — მე-3.

ტესტის პასუხები:

1) ბ. 2) ბ. 3) დ. 4) ბ. 5) ბ. 6) ბ. 7) ა. 8) გ. 9) ბ. 10) გ.

11) ა. 12) ბ. 13) ბ. 14) გ. 15) ბ. 16) ბ. 17) ბ. 18) გ. 19) გ. 20) ა.

21) ბ. 22) გ. 23) გ. 24) ბ. 25) გ. 26) დ. 27) ბ. 28) ბ. 29) ა. 30) ა.

31) ბ. 32) ბ. 33) ა. 34) ბ. 35) ბ. 36) გ. 37) ბ. 38) ბ. 39) ა. 40) დ.

41) ა. 42) გ. 43) ბ. 44) გ. 45) გ. 46) გ. 47) ა. 48) დ. 49) დ. 50) ა.

51) ბ. 52) გ. 53) ბ. 54) ბ. 55) ა. 56) დ. 57) ა. 58) გ. 59) გ. 60) ა.

61) გ. 62) გ. 63) ბ. 64) გ. 65) ბ. 66) ბ. 67) გ. 68) ბ. 69) ბ. 70) ბ.

71) ბ. 72) ბ. 73) ა. 74) ბ. 75) გ. 76) ბ. 77) ა. 78) ა. 79) ბ. 80) ბ.

81) ა. 82) გ. 83) ბ. 84) ბ. 85) ა. 86) ა. 87) ა. 88) ბ. 89) ა. 90) ბ.

91) დ. 92) ბ. 93) ა. 94) ბ. 95) ბ. 96) ა. 97) დ. 98) ბ. 99) ბ. 100) ე.

ლიტერატურა

1. ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.
2. შ. აფრიდონიძე, ჩვენი ენა ქართული, თბ., 2002.
3. ნ. ბასილაია, ქართული მართლწერის საკითხები, თბ., 1960.
4. ნ. ბასილაია, სასვენი ნიშნების ხმარება ქართულში, თბ., 1966.
5. ნ.ბასილაია, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბ., 1991.
6. რ. გაბეჩავა, ზ.ჭუმბურიძე, ქართული ენა, X კლასის სახელმძღვანელო, თბ., 2003.
7. რ. გაბეჩავა, ზ.ჭუმბურიძე, ქართული ენა, XI კლასის სახელმძღვანელო, თბ., 1999.
8. ო. გაჩეჩილაძე, ქართული ენა, თბ., 1992.
9. ლ. გეგუჩაძე, ქართული ენა, ნაწ. I, 1997; ნაწ. II, 1999; ნაწ. III, 2001; ნაწ. IV, 2003; ნაწ. V, 2006.
10. რ. ზექალაშვილი, ქართული მართლწერის საკითხები, თბ., 2004.
11. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, თბ., 1986.
12. ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1988.
13. ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, ნაწ. I, თბ., 1981.
14. ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977.
15. თ. სანიკიძე, ქართული მართლწერა, თბ., 1998.
16. თ სანიკიძე, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბ., 1999.
17. ქართული მართლწერის 120 წესი, ცნობარი მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის შეადგინა სანდრო ზარდალიშვილმა, ქუთაისი, 1995.
18. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, I -1972; II —1979; III- 1980; IV 1981; V- 1983; VI – 1984; VII- 1985; VIII- 1988; IX- 1989, X-1993; XI-1998.
19. გ. შალამბერიძე, ქართული მართლწერა, თბ., 1985.
20. გ. შალამბერიძე, ქართული სწორმეტყველების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1980.
21. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.
22. ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი, ლ. კვაჭაძე, ქართული ენა VI კლასის სახელმძღვანელო, თბ., 2001.
23. ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ქართული ენა VII კლასის სახელმძღვანელო, თბ., 2001.

ეროვნული ბიბლიოთეკა

24. ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, VIIIკლასის სახელმძღვანელო, თბ., 2001.
25. ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, IX კლასის სახელმძღვანელო, თბ., 2001.
26. ბ. ჯორბენაძე, ენა და კულტურა, თბ., 1997.

ლექსიკონები

1. ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი (შეადგინა კ. გიგინეიშვილმა), თბ., 1985.
2. ლ.ბრეგაძე, ქართული ჟარგონის ლექსიკონი, თბ., 1996.
3. ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, II გამოცემა, თბ., 1998.
4. ალ. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1978.
5. საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიულ სახელთა ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1988.
6. თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 1979.
7. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შეადგინა მ. ჭაბაშვილმა, III გამოცემა, თბ., 1989.
8. უცხოურ პირთა სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი (რედ.ა.კობახიძე, მ.ჭაბაშვილი), თბ., 1989.
9. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (არნ. ჩიქობავას რედაქციით), ტ. I-VIII, თბ., 1950-1965.
10. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1986.
11. ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, I-II თბ., 1974-1975.

K 35.464
4

ISBN 978-9941-16-128-5